# კვირის პალიტრა

№ 34 (445) ◆ 25 – 31 აგვისტო. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## 28 აგვისტოს მარიამობაა!



**დედაო ღვთისავ, ეს ქვეყანა შენი ხვედრია...**

## განუბაჟებელი მანქანების ხარჯზე ბიუჯეტი ყოველწლიურად 10 მილიონ ლარს კარგავს



**„არ დავიწყებ იმის მტკიცებას, თითქოს მამა აბრამის ბატკნები ვართ...“** გვ.6

განუბაჟებელი ავტომობილები საგზაო პოლიციაში მაინც რეგისტრირდება. უკანონო რეგისტრაციის ერთი მეთოდია ყალბი საბაჟო დეკლარაციების გამოყენება. განუბაჟებელი ავტომობილების საგზაო პოლიციაში რეგისტრაციის მეორე ძირითადი მეთოდი ყალბი ტექნიკური პასპორტების გამოყენებაა...“

## რას წარმოადგენს „რობოტას“ ბანდა

„იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია ვეღარ სწვდებოდა მათ მფარველობას, კანცელარია ერეოდა საქმეში...“

### სკანდალური ინტერვიუ

„თითქოს ეს ბანდა იყო შპს „ავტომობილების გაცილება“. თუ არ გააცილებინებდნენ თავს, მაშინ ესენი ესროდნენ, ან მოკლავდნენ პატრონს, ან მანქანას წაართმევდნენ და მერე ოსებს დააბრალებდნენ...“

გვ.5,27



რაც უფრო მეტს ვილაპარაკებ, მით უფრო აქტიური იქნება შეტევები თქვენ მიმართ და არც მე დავრჩები „უვნებლად“.

## ხუთტონიან ჯვარს ხალხი თავად მიაბრძანებს სამების ტაძარში...



გაკეთება რომ დავიწყეთ, ვუთხარი უწმინდესს, კარგი იქნება, ჯვარს ბორბლებს თუ გავუკეთებთ, ჩვენ, ხალხი – მივაწვებით და ისე მივაბრძანებთ სამების ტაძარში-მეთქი. მოეწონა ეს აზრი.

**ტაძრის აგებისას გინესის რეკორდზე არავინ ფიქრობს**

ეს ქიმიკატები რომ გვქონდეს, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს, ჯვართამაღლების დღეს – 27 სექტემბერს უკვე შევძლებდით ჯვრის აღმართვას... გვ.13



## „ქვეყნის პირველი „ბიჭი“ ვარ და სიმართლეს ყოველთვის ვიტყვი...“

**„თუ ხელისუფლება იტყვის, გავიმარჯვეო, ხალხი ქუჩაში გამოვა“**

„აღორძინებამ“ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის უცნაური ტაქტიკა აირჩია, – მედავებიან, „საკრებულოს მაცნეში“ გამოქვეყნებულ მისამართებზე ლიფტები და სახურავები არ შეკეთებულაო. ეტყობა, ჰგონიათ, რომ სამარეში ვწევარ და ხმას ვერავის მივაწვდენ. გვ.7

საზოგადოების კრიმინალიზაცია მკაფიოდ მეტყველებს სახელმწიფოს, მისი ინსტიტუტების დასუსტებაზე. ხელისუფლების დასუსტებამ გაათამამა კრიმინალები.

წინასაარჩევნოდ ქუჩის არეულობა ხელისუფლებისთვისაა მომგებიანი, რადგან წამგებიან სიტუაციაშია. ორი მოჭადრაკიდან რომელს გაუჩნდება დაფის ამოტრიალების სურვილი? ხომ ცხადია, იმას, ვინც აგებს. გვ.3



## დამალავს თუ არა გამოძიება ნამდვილ მიზეზს?!

**რამ მიიყვანა პოლკოვნიკი შუბითიძე 16 წლის ბაქარ მუმლაძის მოტაცების ბრძანების გაცემამდე.**

*ერთ-ერთი დაკავებული ჩვენებაში ამბობს, რომ მერაბ შუბითიძე 20 ათას დოლარს შეჰპირდა ოპერაციის განხორციელებაში.* გვ.5



გვ.20

## „ყვარყვარე, შენ შეგვიწყალე!..“

ყვარყვარე ყოველთვის იყო. პოლიკარპე კაკაბაძეს კი არ გამოუგონებია ეგ კაცი, ათასწლოვანი ბიოგრაფია აქვს. იშოვის დროს და წამოგისკუპდება წინ... მაგრამ ისე არასოდეს აყვავებულა ყვარყვარეობა, როგორც ჩვენს დროში. რატომ? იმიტომ, რომ ერთბაშად ბევრი უნამუსო ადამიანი გამოჩნდა.



## „სააკაშვილის მომხრეები დაუკრეფავში გადადიან და მათ ჭკუაზე მოვიყვანთ“

გვ.7

**ბრეგაძეს თუ დანაშაული დაუმტკიცდა, პარტიიდან გავრიცხავთ...**

# დედა ღვთისმშობლის მადლი გფარავდეთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ხელისუფლებას კემპ-დეივიდის იმედი აქვს

რუსეთ-ამერიკის პრეზიდენტების მომავალ შეხვედრას კემპ-დეივიდში საქართველოს ხელისუფლება იმედის თვალით უყურებს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იმედოვნებს, რომ ბუშისა და პუტინის შეხვედრა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაზე დადებითად აისახება. მენაღარიშვილის განცხადებით, კემპ-დეივიდში ქართულ-აფხაზური კონფლიქტი აუცილებლად გახდება მსჯელობის საგანი და დარწმუნებულია, რომ ამ საკითხის განხილვისას ბუშიც და პუტინიც საერთაშორისო კანონმდებლობითა და საქართველოს ეროვნული ინტერესებით იხელმძღვანელებენ. რაც შეეხება რუსეთის დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი როგოზინის განცხადებას, რომელიც საქართველოს საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში ადანაშაულებს და მის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას ითხოვს, ირაკლი მენაღარიშვილი მორიგი პროვოკაციის კვალიფიკაციას აძლევს და ეჭვობს, რომ როგოზინი რუსეთის დესტრუქციული ძალების დაკვეთას ასრულებს. საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ამ ძალებს არ სურთ რუსეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

## გერმანია საქართველოს 26 მლნ ევროს გამოუყოფს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს უვე შრამსა და საქართველოს ფინანსთა მინისტრ მირიან გოგიაშვილს შორის ფინანსთა სამინისტროში ფინანსური თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო-ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

შეთანხმების მიხედვით, საქართველოში შვიდი პროგრამა დაფინანსდება: მათ შორის მიწის კადასტრი, ენერგოგანაწილების სარეაბილიტაციო პროგრამა და ასევე ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის პროექტი.

როგორც მირიან გოგიაშვილმა განაცხადა, 26 მილიონი ევროდან 19,5 შეღავათიანი კრედიტია, ხოლო დანარჩენი კი გრანტის სახით მიეწოდება ქვეყანას.

## ნარჩემაშვილი გვარებს ჯერ არ ასახელებს

შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი სიგარეტის კონტრაბანდაში მხილებული მაღალჩინოსნების, ბიზნესმენებისა და პარლამენტარების გვარებს მას შემდეგ დაასახელებს, როცა მათი ბრალეულობის დამადასტურებელი მასალების შეგროვებას დაასრულებს.

ნარჩემაშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც საქართველოს უშიშროების საბჭომ შს სამინისტროს სიგარეტის კონტრაბანდაზე კონტროლის დაწესება დააკისრა, შინაგან საქმეთა სამინისტრო ოპერატიული სამუშაოების ჩატარების შემდეგ კონკრეტული პირების კვალზე გავიდა, მაგრამ „მათი გვარები საზოგადოებისათვის არც ისე ყურისმომჭრელია, როგორც ჟურნალისტები ელიან“.

ნარჩემაშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ფოთის პორტში დაკავებული დიდი ოდენობით კონტრაბანდული სიგარეტი ფირმა „ომეგას“ ეკუთვნის. ამჟამად მიმდინარეობს საგამოძიებო სამუშაოები იმის დასადგენად, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა აღნიშნული კონტრაბანდული სიგარეტი იმ ფირმას, რომლის სახელზეც არის რეალურად გაფორმებული. ნარჩემაშვილის თქმით, მთავრობის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებისათვის კარგად არის ცნობილი კონტრაბანდული სიგარეტის შემომტანის ვინაობა, რომლის დასახელებასაც მისგან მოითხოვენ.

## ცვლილება საგადასახადო კოდექსში

საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის განხილვამ, რომელიც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ლევან ჩრდილელმა წარადგინა, მწვავე დებატები გამოიწვია. მთავრობის განმარტებით, აღნიშნული ცვლილებებით, რომლებიც მობილური ტელეფონით საუბრების გაძვირებასა და ბაზრობებსა და მშენებლობებზე გადასახადის გაზრდას ითვალისწინებს, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზება მოხერხდება. მთავრობის პოზიციას პარლამენტარები, მათ შორის, სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებიც, არ ეთანხმებიან და მიაჩნიათ, რომ მთავრობის შეცდომები ხალხის ხარჯზე არ უნდა გამოსწორდეს. დეპუტატ კობა ამირხანაშვილის განცხადებით, მობილური ტელეფონებით საუბრების გაძვირება და გადასახადების გაზრდა ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებასა და მობილური ტელეფონების მომხმარებელთა შემცირებას გამოიწვევს. მიხეილ მაჭავარიანმა მთავრობას მოუწოდა, პატივი სცეს „გადამხდელთა ქარტიას“, რომლის თანახმად, „მთავრობის უუნარობის გამო არ შეიძლება მეწარმეს წელიწადში სამჯერ შეუცვალო თამაშის წესები“. ჯერჯერობით უცნობია, როგორ დასრულდება დებატები, — სავარაუდოდ, კანონპროექტს მიიღებენ, რადგან ბიუჯეტის სეკვესტრისგან განსხვავებით, მის მიღებას მხოლოდ 79 ხმა სჭირდება.

## პრეზიდენტი სასჯელის გამკაცრებას ითხოვს

საქართველოს პრეზიდენტი დამნაშავეობასთან ბრძოლის გააქტიურებასა და სასჯელის გამკაცრებას ითხოვს. „ქვეყანაში შექმნილი კრიმინოგენული ვითარება კრიტიკას ვერ უძლებს. განსაკუთრებით შემაშფოთებელი ვითარებაა სვანეთში, იქ შესაძლოა სპეციალური დესანტის გადასხმაც კი დაგვჭირდეს“, — განაცხადა მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა. მისი აზრით, ცუდია, რომ ყველასათვის ცნობილ გარემოებათა გამო, ქართულ სამართალდამცავ სტრუქტურებს დამნაშავეთა გაციმბირების საშუალება აღარ აქვთ. რომ არა ევროკავშირის მოთხოვნა, საქართველოს ხელისუფლებას ალბათ არც დამნაშავეთა სიკვდილით დასჯაზე უნდა ეთქვა უარი. „ბევრი დანაშაულს მხოლოდ იმიტომ სჩადის, რომ სხვა გზა არ აქვს“, — განაცხადა პრეზიდენტმა, რომელმაც ქვეყანაში არსებული მძიმე კრიმინოგენული ვითარება შექმნილი მძიმე სოციალური მდგომარეობით ახსნა(?!).

## ლტოლვილებმა მძევალი გაათავისუფლეს

შვიდსაათიანი ტყვეობის შემდეგ, აფხაზეთიდან დევნილმა 15-მა ქალმა, რომლებიც „თბილმეტრომშენის“ №1 საგვირაბო რაზმის ადმინისტრაციულ შენობაში შეიჭრნენ, ამავე რაზმის გენერალური დირექტორი თენგიზ დოხნაძე გაათავისუფლა.

ლტოლვილებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ როგორც თბილისის ადგილობრივი, ასევე აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები: რუდიკ ცატავა და მერაბ დგებუაძე, პარლამენტის წევრები გია ყარყარაშვილი, მერაბ სამადაშვილი და სხვები.

როგორც აფხაზეთის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ნინო თოდუამ განაცხადა, შენობაში შეჭრილი ლტოლვილები ოჯახებიანად დიდი ხანია ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდნენ. მათ არაერთხელ მიმართეს მთავრობას უფასო საცხოვრებლის მისაღებად, მაგრამ უშედეგოდ.

დევნილთა განცხადებით, ისინი არ აპირებენ შენობის დატოვებას და თავიანთ ქმედებას იმით ხსნიან, რომ ხელისუფლება აფხაზეთის დასაბრუნებლად არაფერს აკეთებს და ამიტომ გადაწყვიტეს საბინაო პირობები თვითონვე გაეუმჯობესებინათ.

## სახელმწიფო მინისტრი შემცირებას ითხოვს

სახელმწიფო მინისტრი შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმების დაჩქარებასა და პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვან შემცირებას ითხოვს.

„80-დოლარიანი ხელფასის მქონე პოლიციელი თავის ფუნქციას ხარისხიანად ვერ შეასრულებს. აუცილებელია შს სამინისტროს პირადი შემადგენლობის ოპტიმიზაცია, რაც თანხების გამოთავისუფლებასა და პოლიციელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას გამოიწვევს“, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა მთავრობის სხდომაზე. ჯორბენაძის აზრით, აუცილებელია პოლიციისა და პოლიციელთა მენტალური გარდაქმნა, რათა საზოგადოება ამ სისტემაში დასაქმებული ადამიანების მიმართ ნდობითა და პატივისცემით განიმსჭვალოს.

## ეი-ი-ესი სასამართლოზე არ გამოცხადდა

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში საქართველოს ლეიბორისტული პარტიისა და „ეი-ი-ეს თელასის“ დავა, ამ უკანასკნელის გამოუცხადებლობის მიზეზით 27 აგვისტოსთვის გადაიდო. ლეიბორისტები სასამართლოსგან „ეი-ი-ესის“ ფინანსური დირექტორის მიერ გამოცემული იმ ბრძანების გაუქმებას მოითხოვენ, რომლის საფუძველზეც საქართველოში მცხოვრებ ომის ვეტერანებს ენერგოტარიფებზე შეღავათები მოეხსნათ. როგორც ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, „ეი-ი-ეს თელასი“ ფორმალური საკითხების მოუგვარებლობით პროცესის სექტემბრამდე გაჭიანურებას ცდილობს, რადგან სექტემბრიდან საქართველოში უკვე რუსული ენერგოკომპანია „რაო ეესი“ შემოდის.

## სააკაშვილი მოუწოდებს!

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი მოუწოდებს პარლამენტარებს, არ დაუჭირონ მხარი მიწისძვრით დაზარალებულთათვის განკუთვნილი თანხის 2 მლნ ლარით შემცირებას. როგორც სააკაშვილმა განაცხადა, დანაშაულია, როცა იზრდება ფასიანი ქაღალდებით მომსახურებისა და პრეზიდენტის შენახვის ფონდები და აკლდება ფული პენსიონერებს, მიწისძვრით დაზარალებულებს, მასწავლებლებს, ექიმებს.

„თუ პარლამენტი საბოლოოდ აიღებს ხელს ნამუსზე და მიწისძვრით დაზარალებულებს თანხებს ჩამოაჭრის, ეს იმას ნიშნავს, რომ დეპუტატები საკუთარ ხალხს ჯიბიდან ფულს აცლიან. მოვუწოდებ პარლამენტის საღად მოაზროვნე ნაწილს, ნუ აჰყვება ჯიბგირებს და არჩევნების წინ თავს ნუ მოიჭრის“, — აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ. მიწისძვრით დაზარალებულთათვის განკუთვნილი თანხის 2 მლნ ლარით შემცირებას 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტი ითვალისწინებს.

## ბლოკმა საარჩევნო ტურნე სამეგრელოდან დაიწყო

გასულ კვირას ნინო ბურჯანაძემ და „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ ერთიანი ბლოკი შექმნეს და მეორე დღესვე საარჩევნო ტურნე სამეგრელოდან დაიწყეს. ჟვანია და ბურჯანაძე ჯერ სენაკს, შემდეგ კი ზუგდიდს ესტუმრნენ, სადაც აღელვებული მოსახლეობა დახვდათ. ყვავილების ნაცვლად, ზუგდიდელებმა ექს და ამჟამინდელ სპიკერებს გამგეობის შენობასთან გარდაცვლილი ჯარისკაცის ცხედარი დაახვედრეს და მისი მკვლელების სათანადოდ დასჯა მოსთხოვეს. ნინო ბურჯანაძე ჭირისუფალთ დაჰპირდა — ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა ეს დანაშაული გამოიძიონო.

„გაერთიანებული დემოკრატები“ სამეგრელოში 25 აგვისტომდე დარჩნენ, ბურჯანაძემ კი გურიის სოფლები მოინახულა.

ბურჯანაძე-„გაერთიანებული დემოკრატების“ ზუგდიდში სტუმრობას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. როგორც ჩანს, მოსახლეობა ექს და ახლანდელი სპიკერების გაერთიანებამ „დააინტერესა“, ჟვანია და ბურჯანაძე ლამის წალეკა ხალხის ტალღამ — გაერთიანებულებმა, თავის მხრივ, ხალხს პირობა მისცეს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, მათ იმედებს არ გაუცრუებენ.

## დააკავეს კონტრაბანდული მობილური ტელეფონები

წითელი ხიდის საბაჟო-საკონტროლო გამშვებ პუნქტზე საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დიდი ოდენობით კონტრაბანდული ტვირთი დააკავეს. მებაჟეებმა „იკარუსის“ ტიპის სამგზავრო ავტობუსებში ბარგის შემოწმებისას დაახლოებით 100 ათასი დოლარის ღირებულების 400-მდე ძვირად ღირებული მობილური ტელეფონი აღმოაჩინეს. კონტრაბანდისტები კანონის გვერდის ავლით ცდილობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთის შემოტანას. სამართალდამცველებმა აღნიშნული ფაქტის გამოძიება დაიწყეს.

## საპირველსექტემბრო ზეიმი აღარ გაიმართება

თბილისის მერიის წინ პარტიებს შორის გამართულ ცემა-ტყეპას მერიაში ყოვლად დაუშვებელ ვანდალურ აქტად აფასებენ. ქალაქის მერის თქმით, მსგავსი ექსცესებისა და შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, საპირველსექტემბრო საზეიმო მიტინგი, რომლის დროსაც პირველკლასელებს სახელმძღვანელოები უნდა დარიგებოდათ, მერიის წინ აღარ გაიმართება.

„პირველკლასელები სახელმძღვანელოებს სკოლებში მიიღებენ და არავის მივცემთ უფლებას, ეს მართლაც კეთილშობილური საქმე საკუთარი პოპულისტური და მერკანტილური ზრახვებისათვის გამოიყენოს“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

## მინისტრი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს

საქართველოს იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას საპარლამენტო არჩევნებში „აღორძინების კავშირის“ სიით მონაწილეობის შესახებ, თუმცა არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. გილიგაშვილის განმარტებით, უკანასკნელ პერიოდში, მისი მისამართით გაკეთებული უსამართლო ბრალდებების მიუხედავად, იგი ისეა ჩაფლული სამინისტროს ყოველდღიურ საქმიანობაში, რომ ჯერჯერობით, არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე არ უფიქრია, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საარჩევნო მარათონში „სერიოზულად ჩაბმას არ გამორიცხავს“.

იუსტიციის მინისტრი კატეგორიულად უარყოფს ასლან აბაშიძის ყოფილი თანამებრძოლის, ამჟამად პოლიტიკური ოპონენტისა და გერმანიაში დევნილის სტატუსით მცხოვრები, ექსპარლამენტარ ლევან ქიძინიძის ბრალდებას იუსტიციის სამინისტროს მიერ ქიძინიძის დაფუძნებული „დემოკრატიული სიმართლის პარტიის“ რეგისტრაციაში გაუტარებლობასა და აბაშიძესა და გილიგაშვილს შორის არსებული შეთანხმების შესახებ.

## „ჰიგიენის გაკვეთილების“ წინააღმდეგ

ჯონდი ბაღათურიამ და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ მოზარდთათვის განკუთვნილი „ჰიგიენის გაკვეთილების“ წინააღმდეგ გაილაშქრეს.

მოზარდი თაობის გახრწნას ხელისუფლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპეციალური სახელმძღვანელოთი უწევს პროპაგანდას, რაც ბავშვების ფსიქიკას ამახინჯებს, განაცხადა ჟურნალისტთა ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ჯონდი ბაღათურიამ.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, განათლების სამინისტრომ გასულ წელს გამოუშვა პირველი სახელმძღვანელო — „მხიარული საუბრები სექსზე“, რაც მოგვიანებით შეიცვალა სახელწოდებით „ჰიგიენის გაკვეთილები“. როგორც ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, გამომცემლობა „დიოგენეს“ მიერ გამოცემული სახელმძღვანელო „ცვლილებები სხეულსა და ცვლილებები ცხოვრებაში“ პროპაგანდას ზნეობრივ გადაგვარებას, სულიერ დეგრადაციასა და ქართველი ერის გენეტიკურად გადაშენებას უწევს.

„დაგეგმილია და უკვე ხორციელდება მოზარდი თაობის გადაქცევა კონტრაცეპტული პროდუქციის მომხმარებლად. სასაცილო გახდა ცნებები სიწმინდის, ქალწულობის და უბიწოების შესახებ. შედეგი სავალალო იქნება — წართმეული ბავშვობა, განადგურებული ჯანმრთელობა“, — განაცხადა ბაღათურიამ. იმ შემთხვევაში, თუ სკოლებში აღნიშნული საგნის შესწავლა გაგრძელდება, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრები საპროტესტო აქციებს გამართავენ.

## კავშირგაბმულობის მინისტრმა არაფერი იცის

საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის, მერაბ ადეიშვილის განცხადებით, მისთვის უცნობია პარლამენტარ გიორგი ბარამიძის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, რუსეთის კომპანია „როსტელეკომი“ მოლაპარაკებებს აწარმოებს ამერიკულ კომპანია „მეტრომედიასთან“, საქართველოს ტელეკომისა და საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის შესყიდვის თაობაზე. ადეიშვილის განმარტებით, საქართველოს მთავრობაში, ჯერჯერობით, საქართველოს ტელეკომის გაყიდვის საკითხი არ დგას, ხოლო რაც შეეხება კერძო ბერძნული კომპანიის მიერ საქართველოში დამონტაჟებულ ოპტიკურბოჭკოვან კაბელს, მისი თქმით, მას ქართული კერძო კომპანია „ფოკნეტი“ ფლობს და თუ ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებენ ან რუსებთან, ან ამერიკელებთან, მისთვის უცნობია. კერძო კომპანიების საქმიანობაში ჩარევის უფლება მას, როგორც კავშირგაბმულობის მინისტრს, არა აქვს.

## რუსეთს საქართველო სჭირდება

„რუსეთი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებისთვის და ამიტომ მას საქართველოს, როგორც ამ ორგანიზაციის წევრის, ხმა სჭირდება“, განაცხადა ამას წინათ გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. პრეზიდენტის მოსაზრებას დაეთანხმა საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ მას არ აქვს იმის ილუზია, რომ რუსეთის მსო-ში გაწევრებით საქართველო-რუსეთს შორის ყველა პრობლემა მოიხსნება. მენაღარიშვილის თქმით, „მოლაპარაკებების შედეგად იმას მივაღწიეთ, რომ რუსეთმა აღიარა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული პრობლემები, რაც აქამდე მისთვის პოლიტიკურად მიუღებელი იყო“.




## ევროპელი ტურისტები გაათავისუფლეს

აფრიკაში, საჰარის უდაბნოში, ალჟირელი აჯანყებულების მიერ მძევლად აყვანილი 14 ევროპელი ტურისტი გაათავისუფლეს. როგორც მალის პრეზიდენტის წარმომადგენელმა განაცხადა, ყველა მძევალი — ცხრა გერმანელი, ოთხი შვეიცარიელი და ერთი ჰოლანდიელი მალის ხელისუფლებას გადაეცა. ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ექსტრემისტებთან. გათავისუფლებული ტყვეები ხუთი თვის წინ საჰარის უდაბნოში ისლამისტების მიერ მძევლად აყვანილი 32-კაციანი ტურისტული ჯგუფის მეორე ნაწილია. 17 კაცი ალჟირის უშიშროების ძალებმა მაისში გაათავისუფლეს. ერთ-ერთი მძევალი, სავარაუდოდ, ინსულტის შედეგად გარდაიცვალა. 14 კაცი მაშინ გამტაცებლებმა მალის ტერიტორიაზე გადაიყვანეს. დღემდე უცნობია, როგორ მოხერხდა მძევალთა გათავისუფლება. გერმანული ტელეარხი CDF ვარაუდობს, რომ ექსტრემისტებს გამოსასყიდი გადაუხადეს და უსაფრთხოების გარანტიაც მისცეს. თუმცა, ოფიციალური ბერლინი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

## ატლანტის ოკეანის ფსკერზე განძი აღმოაჩინეს

მკვლევართა ჯგუფმა ატლანტის ოკეანის ფსკერზე მე-19 საუკუნეში ჩაძირული გემის ნამსხვრევებში განძი აღმოაჩინა, რომლის ღირებულება 180 მილიონ დოლარს შეადგენს.

გემმა The Republican-მა ნიუ-იორკის პორტი 1865 წლის 25 ოქტომბერს დატოვა და გეზი ახალი ორლეანისკენ აიღო. ჯორჯიის შტატის ქალაქ სავანიდან დაახლოებით 100 მილში გემი შტორმში მოხვდა და ჩაიძირა. მის ბორტზე დაახლოებით 20 ათასი ოქროს მონეტა იყო. ეს ფული სამოქალაქო ომის შემდეგ სამხრეთ შტატების რეკონსტრუქციისათვის ჰქონდათ გათვალისწინებული. ყველა მგზავრი გადარჩა, ოქროს მონეტები კი, ისევე, როგორც სალონის ძვირფასი მორთულობა — სპარსული ხალიჩები, ჩინური ფაიფური, ვერცხლის ჭურჭელი, გემთან ერთად ფსკერზე აღმოჩნდა.

The Republican-ი გემთმშენებელი კომპანიის „ჰარლანდ ენდ ვოლფის“ სიამაყე იყო. მოგვიანებით კომპანიამ „ტიტანიკის“ სახელწოდებით ცნობილი უფრო ამბიციური პროექტი განახორციელა. ოკეანის ფსკერიდან განძის ამოღება სექტემბერში დაიწყება.

CMYK

# „შტატებს შევარდნაძე უკვე საქართველოს პრობლემად მიაჩნიათ“



**პრეზიდენტისთვის სასურველი იქნება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოვიდეს ჭრელი, უუნარო პარლამენტი, სადაც არ იქნება ქმედითი უმრავლესობა. უუნარო პარლამენტის ფონზე კი შევარდნაძე იქნება „ყველაფერი“ და შეინარჩუნებს რეალურ გავლენას. ის, რომ დღემდე ვერ შეიქმნა ერთიანი ოპოზიციური ბლოკი, პრეზიდენტის უდიდესი მიღწევაა!**

**ის, რომ დღემდე ვერ შიქმნა ერთიანი ოპოზიციური ბლოკი, პრეზიდენტის უდიდესი მიღწევაა!...**

**ადამიანმა, რომელსაც აქვს იარაღი, გარკვეული უფლებები და იმდენად დაბალი ხელფასი, რომ ოჯახის სარჩენად არ ჰყოფნის, შეუძლებელია ბოროტად არ გამოიყენოს თავისი მდგომარეობა. ამის გამოა, რომ პოლიციასა და დამნაშავეებს შორის ზღვარი იშლება. როდესაც პოლიტიკურად სიტუაცია არასტაბილურია, პოლიციელმა არ იცის, ხვალ ვინ იქნება მინისტრი, დატოვებს თუ არა ახალი მინისტრი თანამდებობაზე, ისტერიულად ცდილობს, აინაზღაუროს ის ფული, რომელიც თანამდებობის საყიდლად დახარჯა.**

უხეირო მთავრობა, რომელიც ტრადიციისამებრ ვერ ასრულებს ბიუჯეტს, რამდენიმე კვირაა, ყელს უწევს პარლამენტს — სეკვესტრზე დასტური მომეცი, თორემ შევრცხვებით, სავალუტო ფონდი ჩვენზე ხელს აიღებსო. უცნაურია ჩვენი მთავრობის უჩვეულო მორცხვობა. მას მთელი მსოფლიო ხომ უკვე იცნობს, როგორც მატყუარას და გაუმაძღარს.

მსოფლიო ორგანიზაციების წინაშე კიდევ ერთხელ რომ გავწითლდებით, ეს ფაქტია. კიდევ ერთხელ გადააქნევენ თავს ჩვენი მეგობრები, — რა ძირგავარდნილი ქვევრია ეს საქართველოს ბიუჯეტი, ამდენი ტრანშით, გრანტითა და სესხით რომ ვერ ამოავავსეთო. შუბლის ძარღვგაწყვეტილი ხელისუფლება კი ალბათ ამ სირცხვილსაც ჩაყლაპავს. მერე რა, თუ ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვან ეპითეტს (კრიმინალების ბუდე, ტერორისტებისა და მაფიოზების ქვეყანა) კიდევ ერთი — ბანკროტი — მიემატება... გაკოტრებული ქვეყნის ზნეობრივად და პოლიტიკურად გაკოტრებულ ხელისუფლებას დღეს არც სახელმწიფოს იმიჯი აწუხებს და არც წამოკიდებული თუ წამოსაკიდებელი მილიარდიანი ვალები, რადგან მისი გულისყური მხოლოდ, საპარლამენტო არჩევნებისკენაა მიპყრობილი.

ხელისუფლება წინასაარჩევნოდ რეგიონებში პოზიციების გაძლიერებას ცდილობს და არასაიმედო გუბერნატორებს იცილებს — „ნამეტანი ინტელიგენტები“ კი არა, საქმის გამკეთებელი ხალხი მჭირდებაო. ამგვარი, ან „სხვა სამსახურში გადაყვანის“ მოტივით შესაძლოა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს სხვებიც მიაყოლონ. ამ კონტექსტში თავსდება ანტიკრიმინალური ოპერაციების ჩატარებაც არაპროგნოზირებადი რეგიონების მოსახლეობის ჭკუაზე მოსაყვანად, რაზეც უკვე იმსჯელეს უშიშროების საბჭოში. ხელისუფლება სავარძლების დათმობას არ აპირებს და ამიტომ საშემოდგომოდ ყველა ბერკეტსა და საცეცს აამუშავებს... მაგრამ რას აპირებს ოპოზიცია, რომელსაც ხელისუფლებაში მოსასვლელად ორმაგი ძალისხმევა სჭირდება? ოპოზიციურ ფლანგზე ჯერჯერობით ისევ განხეთქილების ვაშლი დაგორავს — მას ლიდერის პრობლემა აქვს. სახელისუფლებო გუნდმა იცის, ვისაც უნდა გაჰყვეს, ოპოზიციას „ყოჩი“ ჯერ არ აურჩევია. ცალ-ცალკე, წვრილ-წვრილმა ლიდერებმა კი შეიძლება შევარდნაძეს ვერ აჯობონ.

გასულ კვირას ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ჟვანიას გაერთიანება დაქსაქსული ოპოზიციის გასამთლიანებლად არცთუ პატარა გაბრძოლება იყო, მაგრამ დამეთანხმებით, გასამარჯვებლად არასაკმარისი.

სანამ ყველა შიდაპოლიტიკურ ვითარებასა და კარს მომდგარ არჩევნებზეა მიყურადებული, საქართველო ოკეანეში გზადაკარგული გემივით დაცურავს. ნუ შეგეშინდებათ, მოხუც კაპიტანს არც კომპასი გაფუჭებია და ჯერჯერობით საჭის მართვაც შეუძლია. ის უბრალოდ იცდის და ზვერავს, მაგრამ ხომ შეიძლება ამასობაში ხომალდი წყალქვეშა რიფს წამოედოს, მაშინ რას ვშვრებით? ამის გარკვევა კავკასიის ინსტიტუტის თავმჯდომარესთან, პოლიტოლოგ **გია ნოდიასთან** ერთად ვცადეთ.

— 90-იანი წლების მეორე ნახევარში პრეზიდენტს თვალი დასავლეთზე, კერძოდ კი შეერთებულ შტატებზე ეჭირა. დასავლეთის დასაინტერესებლად შევარდნაძე მეტ-ნაკლები ეფექტიანობით იყენებდა საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, შიდაპოლიტიკურ ბრძოლებში მისი მთავარი „საქონელი“, რასაც მოსახლეობას ასაღებდა, დასავლეთთან კარგი ურთიერთობა იყო — ვინც მებრძვის, ის რუსეთის ფარული აგენტიაო.

ბოლო ხანებში თითქოს ამ მხრივ ვითარება სხვაგვარია. ვერ ვიტყვი, რომ საქართველომ ორიენტაცია შეიცვალა იმიტომ, რომ ხელისუფლებისთვის კვლავ მნიშვნელოვანია ურთიერთობა აშშ-თან, პრიორიტეტად რჩება მასთან სამხედრო თანამშრომლობა, მაგრამ გარკვეული ცვლილებები მაინც არის. ეს ორი მიზეზით არის განპირობებული. პირველი გახლავთ ქვეყანაში შევარდნაძის პოლიტიკური რეჟიმის კრიზისი. აშკარაა, რომ ბოლო დროს მისმა სუსტმა, უუნარო ხელისუფლებამ დაკარგა ლეგიტიმურობა, გაძლიერდა ოპოზიცია და უფრო მკაფიოდ გამოჩნდა შევარდნაძის, როგორც ქვეყნის მმართველის, სისუსტეები. მისი მმართველობის დასუსტების შედეგი იყო მოქალაქეთა კავშირის, ანუ იმ კოალიციის დაშლა, რომელიც რეალურად მართავდა საქართველოს. ყოველივე ამის ფონზე შეიცვალა შტატების დამოკიდებულებაც ჩვენი ხელისუფლებისადმი. შტატებისთვის შევარდნაძე სტაბილურობისა და დემოკრატიზაციის მთავარი გარანტი იყო. ამერიკის პოლიტიკურ წრეებში სჯეროდათ, რომ შევარდნაძეს გვერდით ედგნენ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები, რომლებიც მისი წასვლის შემდეგ მოვიდოდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ ბოლო წლებში გამოჩნდა, რომ პროცესები ასე არ ვითარდება, შტატებს შევარდნაძე უკვე საქართველოს პრობლემად მიაჩნიათ. ბუნებრივია, ეს იგრძნო პრეზიდენტმა და გაღიზიანდა. ამდენად, აქამდე თუ შევარდნაძისთვის პროდასავლურობა საქართველოს განვითარების გზა იყო, დღეს ეს ორი ვექტორი ერთმანეთს დასცილდა. აშკარაა, რომ დასავლეთი მხოლოდ შევარდნაძეზე აღარ დებს ფსონს. შტატებში ყოფნისას დავინახე, რომ ამერიკელები იმედგაცრუებულნი დატოვა შევარდნაძემ და მისმა გარემოცვამ. დღეს მის ახლოს ვერ ხედავენ ფიგურას, რომელიც მტკიცედ შეინარჩუნებს პროდასავლურ კურსს. ადრე დასავლეთს თუ თარგამაძე ალაშფოთებდა, ახლა ამ გრძნობას ჩხაიძე იწვევს. ამას ხედავს შევარდნაძე და ამიტომაც გაუგრილდა გული შტატების მიმართ. ძნელია იმის თქმა, რომ მან ცალსახად შეიცვალა ორიენტაცია, მაგრამ ფაქტია, პრეზიდენტი ალტერნატიულ დასაყრდენს რუსეთში ეძებს.

მეორე ფაქტორი, დღევანდელი ვითარების შექმნისა, არის ის, რომ რუსეთმა შეიცვალა პოლიტიკა. ელცინის დროს კავკასიის მიმართულება სამხედროებს ჰქონდათ გადაბარებული, ანუ ის პრიმიტიულ, ძველმოდურ სამხედრო ზეწოლის პოლიტიკას ეწეოდა. ამან ნეგატიური შედეგი გამოღო — რუსეთმა კავკასიაზე კონტროლი ვერ დაამყარა, სამაგიეროდ, საქართველოს ამერიკისკენ უბიძგა. პუტინის მოსვლის შემდეგ რუსეთის პოლიტიკა შეიცვალა. სამხედრო ზეწოლაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ აქცენტი ეკონომიკურ, განსაკუთრებით ენერგეტიკულ ზემოქმედებაზე გადაიტანა. ამის შედეგი იყო საბოლოოდ „რაო ეესისა“ და „გაზპრომის“ შემოსვლა საქართველოში. ამან ახალი რეალობა შექმნა. საქართველოს ხელისუფლებამ რომც არ შეიცვალოს ორიენტაცია, რუსეთს მასზე ზემოქმედების მეტი ბერკეტი გაუჩნდა და ჩვენი ხელისუფლება იძულებული იქნება, მეტად გაუწიოს მას ანგარიში.

**— ყოველივე ამის შემდეგ რამდენად აქტიურად ჩაერევა აშშ საქართველოში მიმდინარე პროცესებში (იქნება ეს არჩევნები თუ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა)?**

— რა თქმა უნდა, მათ ბეიკერის სქემის ჩავარდნაც გააღიზიანებდათ, რაც ალბათ პოლიტიკურადაც გამომჟღავნდება. შევარდნაძემ ჯერ მოიწონა ბეიკერის ვარიანტი, მერე კი უარი თქვა მასზე. ეს არასაიმედო პარტნიორის საქციელი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არა მგონია, ამერიკამ საქართველოზე საბოლოოდ ჩაიქნიოს ხელი იმიტომ, რომ მას ეს რეგიონი აინტერესებს. რაც შეეხება არჩევნებს, აშშ-ს ამ პროცესის გაკონტროლების ბერკეტი არა აქვს. ის არჩევნების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას მხოლოდ მაშინ მოახდენს, თუკი ამის სურვილი ექნება და წამყვანი პოლიტიკური ძალები არბიტრის როლს შესთავაზებენ.

ხშირად გაიგონებთ, ამერიკა და რუსეთი საქართველოზე ერთმანეთს გაურიგდებიანო. ასეთ გარიგებას არ ველი, ამ ქვეყნებს ჩვენს რეგიონში ყოველთვის მეტოქეობა ექნებათ.

**— ჩვენს ისედაც მრავალ პრობლემას გასულ კვირას კიდევ ერთი დაემატა — ქვეყანა დეფოლტის საშიშროების წინაშეა. ოპოზიცია ბიუჯეტის სეკვესტრზე უარს ამბობს — ამას უთუოდ მოჰყვება სავალუტო ფონდის სანქციები. გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს კი აბრალებენ — ქვეყნის გასაკოტრებლად შეგნებულად ირჯებიანო.**

— ობიექტური რეალობა ისაა, რომ საქართველოს ბანკროტად გამოცხადება ემუქრება და ეს მძიმე პერსპექტივაა ქვეყნისთვის. რაკი წინასაარჩევნო პერიოდია, ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობს, ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ამ შემთხვევაში, გარკვეულწილად, ორივე მხარე მართალიცაა და ამავდროულად — მტყუანიც. ხელისუფლება მართალია, როდესაც ამბობს, — სეკვესტრის მიღება არსებული რეალობის აღიარებაა და აუცილებელია საბიუჯეტო ხარჯების ახლებურად გადანაწილებაო. სეკვესტრის მიუღებლობა ნიშნავს სავალუტო ფონდთან ურთიერთობის გაწყვეტას — ვალებს აღარ გადაგვივადებენ. თავის მხრივ, ოპოზიციაც მართალია, როდესაც ამბობს, — სეკვესტრზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ აიღოსო.

**— საქართველოს პრეზიდენტი სიკვდილით დასჯასა და დამნაშავეთა „გაციმბირებაზე“ ალაპარაკდა, ახსენებენ დასაჭერი ხალხის სიებსაც. რას მიშნავს ეს?**

— ძნელია შევარდნაძის ჩანაფიქრის გამოცნობა. შესაძლოა ეს მხოლოდ წინასაარჩევნო „აგდება“ იყოს. ფაქტია, დანაშაულის ზრდა მოსახლეობას აწუხებს. სიკვდილით დასჯის გაუქმება არ არის მაინცდამაინც პოპულარული ნაბიჯი. კრიმინალიზაციის ზრდის შემთხვევაში ბევრ ქვეყანაში დგება სიკვდილის დასჯის მოთხოვნა და ეს მომგებიანია არჩევნებზე ხმების მოსაზიდად. მეორე მხრივ, შესაძლოა შევარდნაძეს მართლაც უნდოდეს წესრიგის დამყარება იმიტომ, რომ რეჟიმის გამკაცრებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე საშუალება ჩნდება, დამნაშავეებს ოპოზიციაც მიაყოლოს. მესამე ვერსიით, იქნებ შევარდნაძე ნანობს კიდეც, რომ ზედმეტად მიჰყვა დასავლურ ორიენტაციას. ავიღოთ თუნდაც სიკვდილით დასჯის გაუქმება.

საზოგადოების კრიმინალიზაცია მკაფიოდ მეტყველებს სახელმწიფოს, მისი ინსტიტუტების დასუსტებაზე. ხელისუფლების დასუსტებამ გაათამამა კრიმინალები. მეორე მხრივ, ხელისუფლებასა და პრეზიდენტს ქვეყნის მართვის ჩამოყალიბებული კონცეფცია არ აქვთ. შევარდნაძის სტილი სხვადასხვა ინტერესების დაბალანსებაა. ვინც მეტად შეუტევს, მას უთმობს. ამით მხოლოდ შემტევები იგებენ. პრეზიდენტის ასეთი მართვის სტილის შედეგია ის, რომ მოდაში შემოვიდა რადიკალური ოპოზიციონერობა — ყვირილით უფრო მიაღწევ საწადელს, ხოლო მშვიდად მოლაპარაკეს ყურადღებასაც არავინ მიაქცევს. დღეს შს სამინისტროს დანაშაულთან მებრძოლ სტრუქტურად კი არ აღიქვამენ, არამედ გარკვეული ინტერესების მქონე პიროვნებათა ჯგუფად, რომელსაც გავლენის სფეროების დასაკუთრება სურს. ამიტომ უნდა შს სამინისტროს ხელში ჩაიგდოს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის ბერკეტები და ამიტომ არ შეხვედრია სიხარულით საგანგებო ლეგიონის შექმნას — შემოსავლის წყარო დაკარგა. ამან ჩამოაყალიბა პოლიციაში კრიმინალური ცნობიერება. ადამიანმა, რომელსაც აქვს იარაღი, გარკვეული უფლებები და იმდენად დაბალი ხელფასი, რომ ოჯახის სარჩენად არ ჰყოფნის, შეუძლებელია ბოროტად არ გამოიყენოს თავისი მდგომარეობა. ამის გამოა, რომ პოლიციასა და დამნაშავეებს შორის ზღვარი იშლება. როდესაც პოლიტიკურად სიტუაცია არასტაბილურია, პოლიციელმა არ იცის, ხვალ ვინ იქნება მინისტრი, დატოვებს თუ არა ახალი მინისტრი თანამდებობაზე, ისტერიულად ცდილობს, აინაზღაუროს ის ფული, რომელიც თანამდებობის საყიდლად დახარჯა.

**— ალბათ პრეზიდენტი უნდა ფიქრობდეს იმ ადამიანზე თუ პოლიტიკურ ჯგუფზე, რომელიც ხელისუფლებაში მის შემდეგ მოვა. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ვინ გესახებათ ასეთად?**

— არა მგონია, შევარდნაძეს სტრატეგიულად ჩამოყალიბებული ჰქონდეს, როგორ უნდა განვითარდეს პროცესები მისი წასვლის შემდეგ. შევარდნაძე მიმდინარე პროცესებს უფრო ადევნებს თვალყურს — მისი ყურადღება საშემოდგომო არჩევნებისკენაა მიმართული, ასევე ფიქრობს ოპოზიციაც — მთავარია საპარლამენტო არჩევნებში მივაღწიო წარმატებას და მერე ვნახოთ, რა მოხდებაო. ორივე მხარის განცხადებები — მე მოვიგებო, წინასაარჩევნო ბაქიბუქია, მეტი არაფერი. არა მგონია, პრეზიდენტს გამარჯვების იმედი ჰქონდეს, მაგრამ ფიქრობს, ღირსეულად მაინც დავმარცხდეო. ამ შემთხვევაში შევარდნაძის კოზირი ოპოზიციის დაქსაქსულობაა. ყველაზე რეალური საფრთხე შევარდნაძისთვის მომავალ პარლამენტში მეტ-ნაკლებად შეკრული ოპოზიციური უმრავლესობა იქნებოდა. თუ ასე მოხდა, შევარდნაძე იძულებული გახდება, მომავალ პარლამენტთან დათმობებზე წავიდეს. ეს კი მას მემკვიდრის დატოვების შანსს აკარგვინებს. პრეზიდენტისთვის სასურველი იქნება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოვიდეს ჭრელი, უუნარო პარლამენტი, სადაც არ იქნება ქმედითი უმრავლესობა. უუნარო პარლამენტის ფონზე კი შევარდნაძე იქნება „ყველაფერი“ და შეინარჩუნებს რეალურ გავლენას. ის, რომ დღემდე ვერ შეიქმნა ერთიანი ოპოზიციური ბლოკი, პრეზიდენტის უდიდესი მიღწევაა!

შევარდნაძეს უნდა ისეთი მემკვიდრე დატოვოს, რომელიც მის პოლიტიკურ ელიტას ხელშეუხებლობას აღუთქვამს. მაგრამ აქ კიდევ ერთი ნიუანსი ჩნდება — შესაძლოა მომავალი მემკვიდრის შერჩევა მხოლოდ შევარდნაძის ნება-სურვილზე არ იქნეს დამოკიდებული. ამ პროცესში უთუოდ ჩაერევა მისი გარემოცვა, რომელსაც შევარდნაძე ველარ აკონტროლებს. ჩანდა, რომ პრეზიდენტს მემკვიდრედ ჯორბენაძის დატოვება უნდოდა, უნდოდა, რომ სახელისუფლებო ბლოკისთვის სახელმწიფო მინისტრს ეხელმძღვანელა, მაგრამ მისივე გარემოცვის სხვა წევრებმა, რომლებისთვისაც მიუღებელი იყო ჯორბენაძის დომინირება, აიძულეს პრეზიდენტი, კოალიცია შეექმნა, რომელშიც ჯორბენაძე ერთ-ერთი რიგითი ლიდერი გახდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მემკვიდრის არჩევისას შევარდნაძე თავისუფალი არ იქნება, გადაწყვეტილებას თავის გარემოცვასთან ერთად, კოლექტიურად მიიღებს.

**— გარკვეულწილად, ოპოზიციაც ცდილობს მოღონიერებას. გასულ კვირას ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძის ბლოკის შექმნა რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ ოპოზიციის გაერთიანების დასაწყისად?**

— უპრიანი იყო, წინასაარჩევნოდ დიდი გაერთიანება შექმნილიყო. ოპოზიციას თუ სურდა შევარდნაძისთვის მძლავრი დარტყმის მიყენება, აუცილებლად უნდა ეფიქრა გაერთიანებაზე. გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატიც იქნებოდა. მაგრამ რადგან ყველა პოლიტიკურ ლიდერს საპრეზიდენტო ამბიციები აწუხებდა, ერთმანეთზე იეჭვიანეს და გაერთიანება ვერ შეძლეს. ერთადერთი ფიგურა, რომელიც ოპოზიციის გამაერთიანებლად აღიქმებოდა, ნინო ბურჯანაძე იყო, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ის პოლიტიკურ ამბიციებს არ გამოამჟღავნებდა და იქნებოდა ერთგვარი მანდილი, რომელიც მოქიშპე მამაკაცებს დააზავებდა და გააერთიანებდა, მაგრამ ბურჯანაძემ არ ისურვა ასეთი სიმბოლური როლი და ახლავე გამოავლინა პოლიტიკური ამბიცია. ეს, შესაძლოა, პოლიტიკოსის სიძლიერეც იყოს, მაგრამ... ის რომ ოპოზიციის არაამბიციური პოლიტიკური ლიდერი ყოფილიყო, თავისთავად მაინც შეექმნებოდა იმიჯი, რომელიც მას საპრეზიდენტო კანდიდატად აქცევდა, მაგრამ ვფიქრობ, ბურჯანაძე აჩქარდა...

სააკაშვილი ამბობს, — „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ბლოკში იმიტომ არ მივედი, რომ იქ დავით სალარიძეაო. სინამდვილეში სალარიძე ერთ-ერთი მიზეზია, მაგრამ არა მთავარი. ოპოზიციის გაუერთიანებლობის მიზეზი ის არის, რომ პოლიტიკური ლიდერები იერარქიაზე — საარჩევნო სიაში ადგილებზე ვერ შეთანხმდნენ, რისი დროც ჯერ კიდევ აქვთ.

**— რაკი ძველ თანაგუნდელებსა და თანამოაზრეებს უკვე უჭირთ საერთო ენის მონახვა, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ განსხვავებული შეხედულებებისა და ორიენტაციის პოლიტიკური ძალები გაცილებით მკვეთრად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ქუჩის აქციები და დაპირისპირებები უკვე იძლევა სერიოზული შეშფოთების საფუძველს.**

— წინასაარჩევნოდ ქუჩის არეულობა მომგებიანი ხელისუფლებისთვისაა, რადგან წამგებიან სიტუაციაშია. ორი მოჭადრაკიდან რომელს გაუჩნდება დაფის ამოტრიალების სურვილი? ხომ ცხადია, იმას, ვინც აგებს. ასევეა პოლიტიკაშიც. დაბალრეიტინგულ პარტიას, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს, ყველაზე მეტად ხელს არეულობა აძლევს. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ თუ სადმე ჩხუბი მოხდა, უთუოდ ხელისუფლების დაგეგმილი იქნება, მაგრამ ობიექტურად თუ გავაანალიზებთ, ეს ხელისუფლებისთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე მაღალი რეიტინგის მქონე ოპოზიციისათვის. თუკი ქუჩაში არეულობა მოხდა, პასუხისმგებელი მისი ინიციატორი იქნება, ამიტომ აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების პოზიცია, რომელიც სამართლიანი არბიტრის როლს დაიკავებს და დარწმუნებული ვარ, მტყუან-მართალს გაარჩევს.

*დაჩი გრძელიშვილი*
*იზო რიკაძე*

# „თბილისი ჩემი სახლია...“



სოლოლაკში ვცხოვრობ, ტიპურ იტალიურ ეზოში. საკმარისია ერთი დღე შინ დავრჩე, რომ ერთბაშად ცოცხლდება ფილმები, რომელთაც ძველი თბილისის შნო და ლაზათი შემოინახეს. ამას თან ერთვის გათანამედროვებული მაგდანები, ბაბაჯანები, კინტოები... და ეს უბნებიც ისევ ფიროსმანის ტილოსავით ფერადი და მადლიანია. „ეს ძველი სახლები უნდა დაანგრიონ თურმე, ეკაჯან და კორპუსები წამოჭიმონ, გაიგე შენა, მაგათ აქვთ ახლა ტვინი და ჭკუა, ან გემოვნება აქვთ ახლანდელ არქიტექტორებსა?“ — შემომჩივლა მეზობელმა სომეხმა მეწაღემ, რომელსაც ისეთი ხელი აქვს, სულ უკან ჩამოიტოვებს ფრანგ და იტალიელ დიზაინერებს. მერე კიდევ იმდენი ჭორ-მართალი იცის, მიკვირს, საიდან იგებს თავის პატარა ჯიხურში „გამოკეტილი“. ჩავეძიე, ვინ გითხრათ, რობერტა პაპა, ძველი სახლების დანგრევის შესახებ-მეთქი. ისეთმა კაცმა მითხრა, წყალი არ გაუვაო. დაანგრევენ, თუ ერთი ითქვა, მაგათ წინ ვერაფერი დაუდგებათო — დანანებით მიპასუხა და დასძინა, — ასეთი თბილისი ჩემი სახლია, კორპუსებიანი თბილისი კი უცხოეთისო. რობერტა პაპას სიტყვებმა ერთბაშად ღიმილიც მომგვარა და სევდაც. მაინც რა ჯადო აქვს ასეთი ამ დალოცვილ ძველ უბნებს. თხელი კედლებით დატიხრულ ძველისძველ სახლებს და „იტალიურ“ ეზოებს? ამაზე ძველი თბილისელები უკეთ გვიპასუხებენ:

*სალომე* — ჯერ ერთი, იტალიური ეზო ყურით მოთრეული სახელია. რასაც იტალიურს უწოდებთ, სუფთა თბი-ლისურია. ფელინის ფილმები რომ შემოვიდა, მაშინ აიჩემა ვიღაც მეტიჩარამ — არიქა, იტალიური ეზოები გვქონიაო. მოიკითხეთ აბა, იტალიაში, სად ცხოვრობს ერთ ეზოში ოცი ეროვნების ოჯახი და სად ნახავთ იმდენ სასწაულს, რამდენიც თბილისურ ეზოებში ხდება. იძახიან, დრო გაფუჭდა, ყველას უჭირს და კაცი კაცს ხელს ვეღარ უმართავსო. არ დაიჯეროთ... მეზობლის ბიჭმა ცოლი შეირთო. უჭირდათ ძალიან. მაგრამ უყვარდათ ბიჭს და გოგოს ერთმანეთი და შეუღლდნენ. მამას ნერვიულობისგან ლამის ინფარქტი დაემართა, რა ვქნა, რა წყალში გადავვარდეო. მეზობლებმა ბიჭს ქორწილიც გადაუხადეს და წლისთავზე შვილიც გამოაყვანინეს სამშობიაროდან.

*გურამი* — ეს ძველი სახლები რომ დაანგრიონ, თბილისი აღარ იარსებებს, გაქრება... აბა, გადით და ნახეთ გარეუბნებში ან თუნდაც იმ უბნებში, სადაც ფეშენებელური კორპუსებია, რა ხდება, კაცი კაცს ვერ ცნობს. „მეზობელო კარისაო...“ წარსულს ჩააბარეს. ჩვენთან კი... იცი, დილა როგორ თენდება ჩემს ეზოში? უთენია სომეხი ლევანა დაქოქავს თავის ძველისძველ დრანდულეტს — „ვოლვოს“, გამოენთება ჯულია, დააყრის ქოქოლას მერე ხმაურზე ქურთი ნინო გამოვარდება და სანამ მე არ დავუყვირებ ფანჯრიდან, — აბა, მორჩით ახლა დილის საარი-მეთქი, არ გაჩერდებიან. ისევ მოვხუჭავ თვალს და უცებ გაბმული საყვირივით შეძახილი „კარტოფილიი“ წაიღებს ტვინს, იმას ებრაელი ხუხა გამოენთება და ვინ გაცლის დილის ტკბილ ძილს. მერე აიშლება, აყაყანდება ეზო, ჩაილეწება ონავრების მიერ უგზო-უკვლოდ გაფრენილი ბურთით ფანჯრის მინა, ცხრაჯერ წაეკიდებიან ერთმანეთს და შერიგდებიან სომეხი, ქურთი, ქართველი და აზერბაიჯანელი ქალები და ჩვენი ეზო შფოთის ბალაგანს ჰგავს, მაგრამ ისეთი ლამაზია, ისეთი თბილი... ვინ თქვა, უნდა დაანგრიონო. გაგიჟდნენ?.. მეზობელი მყავს შაქრო, თქმა იცის, — ამ ეზოში უნდა დავიმარხო, სასაფლაოზე უთქვენოდ რა გამაჩერებსო. ვინც ძველი თბილისის დანგრევას აპირებს, შაქროს სიტყვებში რომ ჯიგარია, იმაზეც იფიქროს!..

ძველ სახლებს ნუ დავანგრევთ, რაც დასანგრევი იყო, მიწისძვრამ დაანგრია, მოდი გავამაგროთ, გავალამაზოთ... იქნებ გულმა გული უკეთ იცნოს და სიყვარულიც არ დაგვავიწყდეს.

***ეკა ლომიძე***

# იასამნებიც დარდობენ...



თბილისის ზოგიერთ უბანში, განსაკუთრებით მასივებში, ხშირად რომელიმე მოუსვენარი მცხოვრები შე-მოღობავს ხო-ლმე პატარა ნაკვეთს და იქ ათასგვარ მცენარეს ახარებს — მწვანილით დაწყებული, ნაირფერი ყვავილებით დამთავრებული. დაჰკანკალებენ მერე ამ ბაღებსა და „ბოსტნებს“ და გვიან შემოდგომამდე მათ ნახვას არაფერი სჯობს. განსაკუთრებით ერთი ასეთი ბაღი დამამახსოვრდა, სადაც იასამნიდან მოყოლებული ქრიზანთემებით დამთავრებული, ლამის მთელი წელი იწონებენ თავს ყვავილები. გამორჩეული მაინც იასამანი იყო. სხვაგან არსად მინახავს ასეთი მუქი იასამნები. იქვე მოფუსფუსე მოხუცი ქალიც ხშირად შემინიშნავს... მგონი, რომელიღაც ზედა სართულზე ცხოვრობდა, ჩამოდიოდა დაღლილი... ცოტა ხანს ჩამოჯდებოდა, დაისვენებდა (რა თქმა უნდა, ლიფტი არც იქ მუშაობდა). მერე დახრიდა თავს და დაიწყებდა ფუსფუსს...

ასე გრძელდებოდა ზამთარ-ზაფხულ. ერთხელ დავინტერესდი და მოხუცს გავესაუბრე. ქალბატონი მარიამი დუშეთიდან ყოფილა. მითხრა, — რა ვქნა, შვილო, ან ამ ბაღს ვუვლი, ან არადა წინდებს ვქსოვ და შიგ ვაქსოვ ჩემი ქალობის ვარამს. სხვა აღრაფერი მახარებსო...

— ჯიშიანი იასამნები გაქვთ, ასეთი მუქი და დიდრონყვავილებიანი იასამანი არც მინახავს.

მხრები აიჩეჩა, რა ვიცი, სულ პატარა ტოტი დავრგე და ასეთი გამოდგა, თანაც ორიოდე წელში იმრავლა, ნერგებიც მიაქვთ უკვე აქედან... სიმართლე რომ გითხრა, სპეციალურად არც მიძებნიაო... მელაპარაკებოდა. თან წუთითაც არ ჩერდებოდა. დაკოჟრილ ხელებს ხან ერთ ნარგავს წაატანდა, ხან მეორეს. ხშირად მიწევდა იმ სახლთან გავლა. შევჩერდებოდი და ვუყურებდი პატარა ბაღს და თვალშისაცემად ლამაზ იასამნებს.

წელს კი თვალი რომ შევავლე, ვეღარ ვიცანი იასამნები. ხე თითქოს მთლიანად შეცვალესო — სულ სხვანაირი, ფერმკრთალი, წვრილ-წვრილი ყვავილები ესხა. ასეთზე ხშირად მიფიქრია, რა დასარგველი იასამანია-მეთქი... არადა, მე ხომ ვიცოდი, როგორ ყვავილებს ისხამდა წინა წლებში... მარიამ ბებია გამახსენდა. იქვე ჩამომსხდარ მეზობლებს ვკითხე მისი ამბავი...

ზამთარში მარიამ ბებია ძალიან ავად გამხდარა და... ვერ მოესწროო თავისი ხელით დარგული იასამნის ხელახალ ყვავილობას... კვლავ ცნობისმოყვარეობამ მძლია და ვიკითხე:

— ამ იასამანს მაინც რა მოუვიდა, როგორ ყვავილებს ისხამდა...

— ადამიანია, შვილო, ყველაფერი, — მითხრა ერთმა სასიამოვნო ქალბატონმა, — კარგი ადამიანის ხელში ყველაფერი კარგია და თვალადი... მარტოობას კიდევ კაციც განიცდის და ხეც... აი, შენ იასამანი მოგხვდა თვალში. მეც ეგრე ვარ ფერ და ხალისდაკარგული, რაც ჩემი შვილები საზღვარგარეთ წავიდნენ...

— განა იასამანმა არ იცის დარდი? — ჩაილაპარაკა ერთმა ჭარმაგმა მოხუცმა და თვალმოჭუტულმა შემომხედა.

ყველაფერმა იცის დარდი...

როგორღაც სხვანაირად დარდიანი მომეჩვენა დიდი, რუხი კორპუსი, დარდიანი და ფერწასული იასამნის უკან...

**P.S.** ახლახან ისევ მომიწია იმ ბაღთან გავლა. მოხუცის ხელი მართლაც დაკლებოდა იქაურობას...

***ლელა ჯიყაშვილი***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „რატომ მალავენ ოქროს ზოდებში ვერცხლისწყლის არსებობას“ — 135 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „განძზე მონადირე ხარბი მაწანწალა...“ — 113
3. **ინგა ჯაყელი** — „დაკარგული სამშობლო და... ქართველები!.. — 59
4. **დაჩი გრძელიშვილი** — „კორუფცია აღმოიფხვრება მხოლოდ მაშინ, როცა ამას შევარდნაძე ჩათვლის საჭიროდ“ — 28



მკითხველის პრემიას კვლავ ჟურნალისტი **ზვიად ჩაკვეტაძე** მიიღებს. თემის დასასრულმა, ისევე როგორც ამ თემაზე შექმნილმა სტატიებმა, მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა — ზვიად ჩაკვეტაძე ზედიზედ უკვე მესამედ გახდა თქვენი პრემიის მფლობელი.

***მკითხველის პრემიის ლაურეატი 448-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# დიღმის ბაზარში საყურეებიან „მონებს“ გვთავაზობენ...



ზოოპარკის გარდა, თბილისში კიდევ ერთი ადგილია, სადაც ცოცხალი ცხოველების და ფრინველების ნახვა შეიძლება. ბოლო წლებში დიღმის ბაზარზე მგლის ლეკვებიც შემხვედრია. ვიღაცის ხელში მომწყვდეულები თვალებს ბრაზიანად აელვარებდნენ. ცხადია, თუ ფული გაქვს, ამ ბაზარში მგელსაც იშოვი, დათვსაც და... ზღარბსაც! თუ ფული არ გაქვს და ცხოველები გიყვარს, შაბათ-კვირას შეგიძლია ჯიბეებში უბრალოდ ჩაიწყო ხელები და მხეცები უფასოდ დაათვალიერო.

ამჯერად იქ საღამოსპირს გავიარე, ამიტომ მხოლოდ თუთიყუშები, მტრედები, ბაჭიები და იხვის ყვითელი ჭუკები დამხვდნენ... კიდევ თეთრი „დვარნიაშკა“, ორი თაობის ათიოდე ლეკვით... ეს ლეკვები მშვენივრად მეგობრობენ მეზობელ გოჭებთან. იმათ ნამდვილად არ უკვირთ, სამაგიეროდ, მე დავრჩი გაკვირვებული — გოჭებს ორივე ყურზე ვარდისფერი საყურეები ეკიდათ. ერთმა ქალმა უყურა, უყურა ჩემს დაბნეულ სახეს და სიცილით მოკვდა.

— ეგეთი ჯიშია, საყურეებიანი, მასე იბადებიან. კირკიტს ვეძახით სამეგრელოში. „მონებივით“ იყიდებაო, ზოგი ასეც ამბობს. თანაც როგორ ვუვლი. ქატო არ მოეწონათ და პურის ფქვილი მოვუტანე. აბა, კურდღლების პატრონს რა უჭირს, დაუყრის მემწვანილეების ბალჩეულს და ქე არიან წყნარად. — თქვა და მეკურდღლისკენ გაიხედა.

ხნიერი მეკურდღლე აიმრიზა: — მე რა, წყალს ვნაყავ? ამათ გალიების მოწყობა სჭირდებათ, ბალახი უნდათ... გორებზე დავძვრები ბალახისთვის...

— **რომელ გორებზე დაძვრებით?**

— რომელზე და სვანეთის უბნის გარშემო, იქა ვცხოვრობ. პირველი ბაჭიები რომ გაჩნდნენ, დავდიოდი და ვიცინოდი, არიან ვირთხებივით. სხვა სულიერი რომ გაჩნდება, ვთქვათ, ძაღლი ან კატა, „ადამიანურად“ წოვს ძუძუს, ესენი კიდევ ზურგზე გადაკოტრიალებულები წოვენ, ფეხები მაღლა აქვთ. ამათი დედები, მაკობის მიწურულს ბალანს იგლეჯენ და სოროში აფენენ... ასე, თავისი წესი აქვს ბუნებას...

— **ის მითხარით, მტრედები ვის რად სჭირდება, რატომ ყიდულობენ?** — ვკითხე მტრედების გამყიდველს.

— მტრედებს? უფალს სწირავენ, ეკლესიისთვის ყიდულობენ, სასაფლაოებზე უშვებენ. არ გინახავს ეკლესიის სახურავებზე მტრედების ბუდეები? სახურავებზე, ყველგან იკეთებენ თავშესაფარს, სადაც თუნუქს წააწყდებიან. ჭკვიანი ფრინველია, ადამიანი უყვარს. ფოსტის მტრედი ამერიკიდან თბილისში ჩამოვა და პატრონს მიადგება.

— **ბავშვები აქ ხშირად მოდიან?**

— მაშ? მაგათ ლეკვები უყვართ, მაგრამ ყველა ვერ ყიდულობს. ძვირია. ამ დილით ერთმა ბიჭმა ლამის თავი მოიკლა, სანამ მამამისს 100-დოლარიანი ჩინური „პეკინესი“ არ აყიდვინა. აგე, იმ ქალს ჰყავდა გასაყიდად...

— **სარფიანად გიჟაქრიათ, ბევრია ისეთი, ვინც ლეკვში 100 დოლარს იხდის?**

— არიან. ისეთი ლამაზები არიან, რომ ნახო, შენც მომცემ 100 დოლარს. ... პატარა ამბავი კი არ უნდა იმათ მოვლას. როცა დაიბადებიან, ბარე ორ კვირას ღამეებს ვუთევ, რომ დედამ არ გამიჭყლიტოს. არაფერი შეუძლიათ, ბრმები არიან, არც არაფერი ესმით, მაგრამ რომ ეტყვი, მომეფერეო, თავისი ჭკუით, გკოცნიან... ზამთარში, შენ რომ იყინებოდე, ისინი უნდა გაათბო, დედის მუცლიდან რომ გამოვლენ, სითბო თუ არ დახვდათ, დაიხოცებიან. მაგ ლეკვების დედა ისე მიყვარს, რამე რომ დაემართოს, მოვკვდები. ამას წინათ მუცელი ასტკივდა, ეხო გადავუღე და 45 ლარი გადავიხადე. აბა, არ ღირს ლეკვი 100 დოლარი?

*იმის შიშით, ძაღლის ყიდვა არ მომინდეს-მეთქი, „პეკინესის“ პატრონს სასწრაფოდ გავეცალე და მტრედებთან წავედი. აი, მტრედის ყიდვა ნამდვილად შეიძლება. თუ 9-სართულიან კორპუსს მათი „ბინა“ როგორმე მივაშენე... ვითომ რითი არის ცუდი აზრი?... ვიყიდი მტრედს, დილაობით დავუყრი გამომხმარ პურს და დაველოდები მშვიდობის მოფრენას.*

***ეთერ ერაძე***




CMYK

# დამალავს თუ არა გამოძიება ნამდვილ მიზეზს?!

## მარნეულის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ადამიანის გატაცების ერთ-ერთი ორგანიზატორია?!

მარნეულის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, მერაბ შუბითიძის დაკავება პირველი შემთხვევაა, რომელიც ადამიანის გატაცების საქმეში მაღალჩინოსანი პოლიციელის მონაწილეობას უკავშირდება.

როგორც ჩანს, მოარული ხმა იმის თაობაზე, რომ „დიდი საქმეები“ პოლიციელთა გარეშე არ კეთდება, სინამდვილისგან შორს არ დგას. მაინც რამ მიიყვანა პოლკოვნიკი შუბითიძე 16 წლის ბაქარ მუმლაძის მოტაცების ბრძანების გაცემამდე? ამ კითხვაზე ჯერჯერობით პასუხი არ არსებობს. მერაბ შუბითიძე აცხადებს, რომ ყველაფერი ეს შეთითხნილია და მას ბრალი არაფერში მიუძღვის. თუმცა უშიშროების სამსახურები არ გამორიცხავენ, რომ გატაცების საქმე იარაღის ბიზნესს უკავშირდება.




**იარაღით დატვირთული „ტრაილერი“, რომელიც თურქეთის სპეცსამსახურებმა ვალეს ტერმინალზე დააკავეს**

გატაცებული ბაქარ მუმლაძის მამის, თამაზ მუმლაძის სახელი ამ რამდენიმე თვის წინ გახმაურდა. „კვირის პალიტრა“ სამხედრო გვერდში წერდა, რომ გასული წლის 15 ნოემბერს, ვალეს ტერმინალის გადაკვეთისას, თურქეთის სპეცსამსახურებმა დააკავეს ტრაილერი, რომელშიც დიდი რაოდენობით იარაღი — ტროტილი, ტყვიამფრქვევები, სხვადასხვა სახის ჭურვები — აღმოჩნდა. მაშინ ოფიციალურად განაცხადეს, რომ ტვირთი საქართველოს გავლით აფხაზეთიდან თურქეთში მიდიოდა, ხოლო საქართველოს უშიშროების სამინისტრომ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

25 მარტს უკვე სხვა ვერსია გამოჩნდა. უშიშროებამ მარნეულის რაიონის სოფელ წერეთელში მცხოვრები თამაზ მუმლაძე აიყვანა. იმავდროულად, გაავრცელა ინფორმაცია, რომ 15 ნოემბერს ვალესთან დაკავებული კონტრაბანდული იარაღი თამაზ მუმლაძის კუთვნილება იყო და იარაღით ვაჭრობას სწორედ იგი ეწეოდა.

საინტერესოა, მაგრამ ქართულ სპეცსამსახურებს მას შემდეგ მუმლაძე აღარ უხსენებიათ. საზოგადოებას მისი სახელი მეორედ მაშინ მოხვდა ყურში, როცა თბილისის ფსიქიატრიული კლინიკის ეზოდან მისი შვილი, ბაქარ მუმლაძე გაიტაცეს.

გატაცებისთანავე გაჩნდა ვერსია, რომ შემთხვევა რიგითი დანაშაული არ არის და იგი იარაღის ბიზნესს უკავშირდება. ეს ვერსია დღესაც აქტუალურია. კრიმინალური წყაროები მიიჩნევენ, რომ ვალესთან იარაღის პარტიის დაპატიმრების შემდეგ მუმლაძეს თანამზრახველების ვალი დაედო, რისი გადახდაც ვერ შეძლო. ბიზნესში თანამონაწილეებმა კი შვილი მოსტაცეს და ამ გზით შეეცადნენ კუთვნილი წილის მიღებას.

ამ ვერსიაზე მარნეულშიც ლაპარაკობენ. მართალია, მარნეულის პოლიციაში შუბითიძის შესახებ არაფერს ამბობენ, მაგრამ შუბითიძისა და მუმლაძის გვარების იარაღის ბიზნესთან ერთად ხსენება, ეტყობა, რომ მარნეულელებს არ აკვირვებთ.

***ბელა ცარციძე**, მარნეულის მცხოვრები, ყოფილი სამხედრო მოსამსახურე:*

— რაიონში მართლაც ამბობენ, იარაღის ბიზნესში, წილის გაყოფის ამბავში უთანხმოება მოუვიდათ ერთმანეთშიო. ეს უბრალო ჭორი არ არის. სამხედრო საქმის სპეციალისტი ვარ და კარგად ვიცი, რა ხდებოდა მარნეულში ბოლო დროს. მუმლაძეები და შუბითიძეები, ფაქტობრივად, ერთი კლანის წევრები არიან. ადრე მარნეულსა და კოდაში, ბაზები რომ იყო, იქიდან მოყოლებული ამ ხალხს ხელიდან იარაღი არ გაუშვია.

თამაზ მუმლაძის ძმა — ნოდარი კიტოვანის მარჯვენა ხელი იყო. პუტჩის დროს კიტოვან-სიგუას იარაღით ამარაგებდა. გამსახურდიას ჩამოგდების შემდეგ, ნოდარ მუმლაძე რაიონის გამგებლად დანიშნეს. პარალელურად, შუბითიძეებიც დაწინაურდნენ პოლიციაში, ერთდროულად სამმა შუბითიძემ მიიღო მაღალი თანამდებობა. ამის შემდეგ ამ კლანმა მთლიანად ჩაიგდო რაიონი ხელში. დროდადრო უთანხმოებაც მოსდიოდათ ერთმანეთში, მაგრამ კლანი რომ განემტკიცებინათ, სისხლისმიერადაც დანათესავდნენ. ერთმა შუბითიძემ მუმლაძის გოგო მოიყვანა ცოლად. საჩხუბარიც ბევრი არ უნდა ჰქონოდათ. იარაღის ბიზნესიდან იმდენი მოგება რჩება, რომ ყველა კმაყოფილი უნდა ყოფილიყო.

— **სად შოულობდნენ იარაღს?**

— მარნეულში საავიაციო ბაზა იყო. იქ დიდძალი იარაღი ინახებოდა. ამბობენ, ახლა მთლიანად გაყიდულია და კლანმა დიდი მოგება ნახაო.

ამას წინათ თავდაცვის სამინისტროში ვიყავი და ძველი მეგობრები ვნახე. თურმე ყველამ იცის, რა სახის იარაღი ფასობს ყველაზე მეტად და სად რა მაზანდა ადევს. მაგალითად, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი „ვჯყ-100“ ჩეჩნეთში რომ ჩაიტანო, 500 დოლარს მოგცემენ. ერთი კილოგრამ ტროტილში ჩეჩნეთში 100 დოლარს იხდიან. დიდი მოთხოვნაა „იგლებსა“ (სავარაუდოდ 10.000 დოლარი) და „ტრუბებზე“. ერთი „ტრუბა“ (ყუმბარმტყორცნი) ჩეჩნეთში 5 ათას დოლარად იყიდება. ერთი სიტყვით, იარაღით ვაჭრობა სარფიანი ბიზნესია. ამიტომ მასში უბრალო კაცი ვერ ჩაებმება, თუ ზემოთ არ ჰყავს „კრიშა“.

— **მაინც მგონია, თუ ამ საქმეში მერაბ შუბითიძე მონაწილეობდა, სიფრთხილეს გამოიჩენდა და საკუთარ კაბინეტში ფულს არ აიღებდა. ბოლოს და ბოლოს, გამოცდილი ოპერმუშაკია.**

— შეიძლება მარნეულში ეგონა თავი. ისე, საინტერესოა, რატომ მოიქცა ასე დაუფიქრებლად? ვფიქრობ, სიხარბემ სძლია და საკუთარი მეგობრებისგან მოინდომა ფულის გამოძალვა, როცა საქმეში პრობლემა გაჩნდა...

მერაბ შუბითიძის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მთელი ეს საქმე შეთითხნილია და უშიშროებამ რატომღაც შუბითიძის თავიდან მოშორება გადაწყვიტა. ერთი მხრივ, შუბითიძეს უმწიკვლო რეპუტაცია აქვს(?!). წლების მანძილზე მუშაობდა სასჯელაღსრულებით სისტემაში, ყველა გზა განვლო — რიგითი კონტროლიორიდან ოპერსამსახურის უფროსობამდე. იგი თავისი საქმის პროფესიონალად ითვლებოდა. შემდეგ მარნეულის კრიმინალური პოლიციის უფროსად დაინიშნა და მხოლოდ რამდენიმე კვირის წინ დაუბრუნდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს.

*თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი, **ვალერი გრიგალაშვილი**:*

— შესაძლებელია იარაღით ვაჭრობაში უთანხმოება იყოს ერთ-ერთი საფუძველი ბაქარ მუმლაძის გატაცებისა, მაგრამ ყველაფერი ეს მომავალში გაირკვევა. დღეს მერაბ შუბითიძეს, კოტე ჭანტურიას, დემურ საჯაიასა და არმაზ შენგელიას ბრალად ედებათ ადამიანის მძევლად აყვანა. შუბითიძეს დაკავებისას გაუფორმებელი იარაღიც უპოვეს. ალბათ, ბრალს ამ კუთხითაც წაუყენებენ.

— **მერაბ შუბითიძე ამბობს, რომ უდანაშაულოა.**

— მას შეუძლია, რაც მოესურვება, ის თქვას — ეს მისი უფლებაა. იგი მართლა არ მონაწილეობდა გატაცებაში. იგი ერთ-ერთი ორგანიზატორია. ერთ-ერთი დაკავებული ჩვენებაში ამბობს, რომ მერაბ შუბითიძე 20 ათას დოლარს შეჰპირდა ოპერაციის განხორციელებაში.

— **ამას რომელი დაკავებული ამბობს?**

— გვარი არ არის საჭირო. სამიდან ორი დაკავებული შუბითიძეს ადებს ხელს. გარდა ამისა, თვითონაც ვერ ამბობს, მისივე სეიფიდან ამოღებული 15 ათასი დოლარი და ჯიბეში ნაპოვნი 850 დოლარი საიდან აღმოაჩნდა.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ გაგვერკვია თვითონ თამაზ მუმლაძის პოზიცია, რომლის გარშემო უშიშროების სამინისტრომ საინფორმაციო ვაკუუმი შექმნა. ისიც კი „არავინ იცის“, სად იმყოფება ამჟამად თამაზ მუმლაძე...

ერთადერთი, რაც შევიტყვეთ, ის არის, რომ იარაღით ვაჭრობაში მხილებული ადამიანი დაპატიმრებული არ არის.

„თამაზ მუმლაძე პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, — ამბობს პროკურორი **გოჩა ფარულავა**, — მის საქმეს ვსწავლობთ. ჯერჯერობით, მეტს ვერაფერს გეტყვით...“

თამაზ მუმლაძის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნის მიზეზად მის ავადმყოფობას ასახელებენ. ცნობილია, რომ იგი თავისი ნებით მივიდა ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკვლევების ჩასატარებლად. სწორედ აქედან გაიტაცეს მამის სანახავად მისული ბაქარ მუმლაძე.

**აბელ მამარდაშვილი**, თბილისის ფსიქიატრიული კლინიკის დირექტორი: — მუმლაძე თვითონ მოვიდა კლინიკაში. პატიმარი რომ ყოფილიყო, ვინ გაუშვებდა?

— **როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

— ვერ არის კარგად. ღრმა დეპრესია აქვს. დეპრესია როგორ არ ექნებოდა, როცა შვილი მოსტაცეს.

— **შვილი მას შემდეგ მოიტაცეს, როცა თქვენთან მოვიდა, მანამდე რა აწუხებდა?**

— მაშინაც დეპრესია ჰქონდა, საკმაოდ გამოხატული, მაგრამ შერაცხადია და სულით ავადმყოფი არ არის. როგორც კი გამოვა დეპრესიული მდგომარეობიდან, შეუძლია წარდგეს ჩვენების მისაცემად.

— **ხომ არ უნდოდა ცნობის აღება, რომ სულით ავადმყოფი იყო?**

— არა. არც უცდია. პირიქით, ამბობდა, რომ დამნაშავე არ იყო.

დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით, თამაზ შუბითიძე უშიშროებამ განსაზღვრული მოსაზრების გამო არ გამოამწყვდია იზოლატორში. ვარაუდობენ, რომ სპეცსამსახურებმა სასურველი ჩვენებები და თანამონაწილეთა გვარ-სახელები ვერ მოიპოვეს. ამიტომ ამჯობინეს, ეჭვმიტანილი გარეთ ჰყოლოდათ და ასე ედევნებინათ თვალი მის გარშემო არსებული წრისათვის. ისინი ამ წრისგან შეცდომის დაშვებას ელოდნენ. გამოდის, ბაქარ მუმლაძის გატაცებით შეცდომა მართლაც დაუშვეს. თუმცა, იგივე ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გამტაცებელთა ჯგუფს იარაღის ბიზნესში მონაწილეობას ბრალად არავინ წაუყენებს და მათ სხვა დანაშაულობების საბაბით მოუწევთ სასამართლოს წინაშე წარდგომა. იარაღით ვაჭრობის ბიზნესში მათი მონაწილეობის ძიებამ კვალი შეიძლება კიდევ უფრო „ზემოთ“ წაიყვანოს, სადაც აუცილებლად იზრუნებენ, რომ ასეთი ბრალდება, როგორც ყოველთვის, ახლაც ვარაუდად დარჩეს.

***დავით დევდარიანი***

# რას წარმოადგენს „რობოტას“ ბანდა

## ვინ მფარველობდა შპს „ავტომობილების გაცილებას“

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოთარეშე ავტომანქანების გამტაცებელთა ერთ-ერთი ბანდის ბელადი — „რობოტა“, იგივე ნიკოლოზ ხმიადაშვილი. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოითქვა ვარაუდი, რომ „რობოტას“ და მის ბანდას დღემდე მფარველობას სწორედ ის ძალა უწევდა, რომლის მიერაც მათი თარეშში ალიკვეთა და აქვე ითქვა, რომ არა სახელმწიფო მინისტრის კატეგორიული მინიშნება შს მინისტრისადმი, სავარაუდოდ, პოლიცია კვლავაც ხელუხლებლად დატოვებდა „რობოტას“ ბანდასო. ამ ამბამდე რამდენიმე დღით ადრე, „კვირის პალიტრაში“ მანქანების გატაცების თემაზე დაბეჭდილი სტატიის (რომელშიც „რობოტაც“ იყო ნახსენები) გამო დაგვიკავშირდა მოქალაქე, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა და შემოგვთავაზა „რობოტას“ საქმიანობისა და მისი მფარველების შესახებ მასალების მოწოდება, ამჯერად, სწორედ მასთან საუბარს გთავაზობთ. მანამდე კი ჩვენი მხრიდან იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული ოპერაცია წერტილს დაუსვამს იმ საშინელ ქმედებას, რასაც ავტომანქანების გატაცება ჰქვია და რაც სამწუხაროდ, არაერთხელ დამთავრებულა უდანაშაულო მსხვერპლით.

> **როგორც კი რომელიმე უწყება დაიწყებდა „რობოტას“ ჯგუფზე მუშაობას, იმ შემთხვევაში თუ პოლიცია ველარ სწვდებოდა მის მფარველობას, კანცელარია ერეოდა საქმეში.**

— „რობოტა“, ასე იცნობენ „შავ სამყაროში“ ქართული წარმოშობის კრიმინალს, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ნიკოლოზ ხმიადაშვილი. „რობოტა“ 1995 წლიდან გამოჩნდა „არენაზე“. გორში დისლოცირებული სპეცდანიშნულების რაზმის შიდანაწილში მსახურობდა, იყო ომონის წევრი. 1997-98 წლებში წავიდა მოსკოვში, სადაც ნამდვილი კრიმინალური კოცონი გააჩაღა: უცხოური წარმოების ავტომობილებს იტაცებდა, მათ შუა აზიასა და საქართველოში ყიდდა. 2001 წელს ჩამოვიდა საქართველოში გამოცდილებით დახუნძლული და უკვე კვალიფიცირებულმა დამნაშავემ, აქაც იგივე საქმიანობა განაგრძო.

გორის რაიონში გაეროს წარმომადგენლების ჯიპი გაიტაცა. ეს იცოდა მეორე კრიმინალმა გივი ჯალაბაძემ, რომელმაც „რობოტა“ ჩაუშვა პოლიციაში. ამის გამო ისინი სერიოზულად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ჯალაბაძე იძულებული გახდა რუსეთში გაქცეულიყო. 6-7 თვის წინ ეს ორი პიროვნება შერიგდა. მათ ერთი საერთო მიზანი ჰქონდათ: ჯალაბაძის დაახლოება ოს კრიმინალთა ბანდასთან. „რობოტასაც“ და ჯალაბაძესაც ავტომანქანების „ბიზნესთან“ დაკავშირებით ოსებთან ურთიერთობა სჭირდებოდათ, ამიტომაც საქმეში ჩაერთო ალან ძიგოევის ბანდა.

> **თითქოს ეს ბანდა იყო შპს „ავტომობილების გაცილება“. ხო სასაცილოა?! თუ არ გააცილებინებდნენ თავს, მაშინ ესენი ესროდნენ, ან მოკლავდნენ პატრონს, ან მანქანას წაართმევდნენ და მერე ოსებს დააბრალებდნენ.**

— **რომელიც მგონი მარტო მანქანების გატაცებით არ იყო დაკავებული.**

— ეს მოგვიანებით გაირკვა. როცა ზუგდიდში ა.წ. ივლისში აიყვანეს ძიგოევიც და ჯალაბაძეც.

— **ამ საქმეში „რობოტა“ არ იყო ჩარეული?**

— არა. „რობოტას“ „თავისი საქმე“ ჰქონდა და სერიოზული „კრიშაც“ ჰყავდა, მისი ალალი მამიდაშვილი, შიდა ქართლის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, კრიმინალური პოლიციის უფროსია. ამ პიროვნებას თავის მხრივ ახლო ურთიერთობა აქვს შს მინისტრ კობა ნარჩემაშვილთან. ისინი თანაკურსელები და მეგობრები არიან. ამ გზით მოვიდა თანამდებობაზე.

— **ამ ინფორმაციების დადასტურება ოფიციალური დოკუმენტებით შეგიძლიათ?**

— ყველაფრის დოკუმენტები არსებობს, სათანადო სამსახურებში და გარკვეულ მომენტში ამოტივტივდება, ჯერჯერობით რაღაცას ელოდებიან, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე... მაგრამ სტატიის დაწერის დროს ფრთხილად იყავით, შესაძლოა ბევრი პრობლემა შეგიქმნან. იცოდეთ, თქვენზე ზეწოლა შეიძლება კანცელარიიდანაც განხორციელდეს, რადგან „რობოტას“ ბანდას არა მარტო შსს მფარველობდა, არამედ კანცელარიაც. ეგენი ყველაფერზე წამსვლელები არიან, თავისი ტყავი რომ გადაირჩინონ.

— **ყოფილა ვინმეზე ზეწოლის პრეცედენტი შსს-დან ან კანცელარიიდან?**

— რა თქმა უნდა. როგორც კი რომელიმე უწყება დაიწყებდა „რობოტას“ ჯგუფზე მუშაობას, იმ შემთხვევაში თუ პოლიცია ველარ სწვდებოდა მის მფარველობას, კანცელარია ერეოდა საქმეში.

— **თუ ბანდას პოლიცია მფარველობდა, რატომ აიყვანეს სწორედ მათ დამნაშავეები?**

— ბევრი კითხვა შეიძლება დაიბადოს ამ საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია, რახან აიყვანეს, ამ ბანდის მოქმედება უკვე პოლიტიკას უკავშირდება. მათმა თარეშმა უარყოფითად განაწყო შიდა ქართლის მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. ყველამ მშვენივრად იცოდა ვინ იყო დამნაშავე, და ვინ რას აკეთებდა. ვფიქრობ, ჩატარებული ოპერაცია უფრო წინასაარჩევნო „ტრიუკია“, ვიდრე დამნაშავეთა თარეშის აღმკვეთი ღონისძიება.

— **დავუშვათ, რიგი უწყებები მართლა მფარველობდნენ დამნაშავეებს, რაში გამოიხატებოდა მათი საერთო ინტერესები?**

— დამერწმუნეთ, რაც უფრო მეტს ვილაპარაკებ, მით უფრო აქტიური იქნება შეტევები თქვენ მიმართ და არც მე დავრჩები „უვნებლად“. მაგათ მშვენივრად იციან, ვინ რა ინფორმაციას ფლობს. ამ ეტაპზე ჯობია ყველაფერი არ იცოდეთ.

— **არსებობს ვარაუდი, რომ ჯალაბაძე შესაძლოა გაათავისუფლონ.**

— გივი ჯალაბაძე პოლიციაზე მუშაობდა, უშუალოდ პოლიციელები ამუშავებდნენ. ერთი პერიოდი ინფორმაცია გავრცელდა, რომ გივი ჯალაბაძე „მე-6-ს“ თანამშრომელია, ჩემი თვალითაც მაქვს ნანახი მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სადაც მითითებულია, რომ მე-6 სამმართველოს თანამშრომელია. მთელი კონტრაბანდა მისი მეთვალყურეობის ქვეშ მოძრაობდა საქართველოში, კერძოდ თბილისში, მაგრამ მაგაზე საშიში, „რობოტას“ ბანდაა. თუ მაგას ციხიდან გამოუშვებენ, ე.ი. ხელმეორედ დაიწყება გატაცებები. არადა, ცხინვალის ე.წ. ხელისუფლება დღეს ცდილობს, რომ ყაჩაღობები და მაიმუნობები თავის ტერიტორიაზე ალაგმოს, რაც ვითომ კიდეც მოახერხა. ყველა ბანდა განდევნილია ან დაჭერილია ცხინვალში. თუ ჯალაბაძეს გამოუშვებენ, მაშინ ძიგოევის ბანდაც უნდა გამოუშვან. ამ უკანასკნელს კი უშუალოდ ურევია ხელი რამდენიმე წლის წინ კობა კურტანიძის გატაცებასა და გაუბედურებაში.

— **ეს იციან სამართალდამცველებმა?**

— რა თქმა უნდა. პოლიციამ იცის. სწორედ იქიდან გამოვიდა ეს ინფორმაცია.

— **მერედა რატომ აფარებენ ხელს ძიგოევს?**

— იმიტომ, რომ ძიგოევის ბანდამ ძალიან ბევრი რამ იცის. იცის ვის შეკვეთებს ასრულებდნენ. ვინ არის მათი „კრიშა“.

— **თუ ამ ბანდების მფარველები არჩევნების შემდეგ ძალაუფლებას შეინარჩუნებენ, დამნაშავეები გარეთ აღმოჩნდებიან და „მოღვაწეობას“ გააგრძელებენ?**

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

CMYK

# „არ დავიწყებ იმის მტკიცებას, თითქოს მამა აბრამის ბატკნები ვართ...“



**განუბაჟებელი მანქანების ხარჯზე ბიუჯეტი ყოველწლიურად 10 მილიონ ლარს კარგავს**

ავტობაზრობაზე მეგობართან ერთად მისულმა თავი ისე დავიჭირე, თითქოს ავტომობილის ყიდვას ვაპირებდით. თვალს ჭრიდა სხვადასხვა მარკის უცხოური ავტომობილების ხასხასა ფერები. ჯერ „მერსედესების“ გამყიდველებს (უფრო სწორად, გადამყიდველებს) შევევაჭრეთ, მერე — „ოპელის“, „BMW“-ს, „აუდის“... ისეთი მონდომებით ვათვალიერებდით მანქანებს, ყველა დარწმუნდა, რომ საქმე ნამდვილ მყიდველებთან ჰქონდა. რამდენიმე საათის შემდეგ ორი მამაკაცი მოგვიახლოვდა. ჯერ ჩვენი ვინაობით დაინტერესდნენ. თავი ერთ-ერთი კომერციული საწარმოს მენეჯერებად გავასაღეთ. ახალმა ნაცნობებმა მინიგამოცდა მოგვიწყვეს — ჯერ საწარმოს ადგილმდებარეობა, მერე დირექტორისა და სხვა ხელმძღვანელ პირთა გვარ-სახელები გამოგვკითხეს (ჩვენ კარგად ვიყავით მომზადებულები და არ ჩავჭრილვართ). მხოლოდ ამის შემდეგ დაინტერესდნენ, რა მარკის მანქანა გვინდოდა და რას გადავიხდიდით...

როგორც გვითხრეს, ყოველ შაბათ-კვირას, ავტობაზრობაზე უამრავ მყიდველ-გამყიდველთან ერთად, ავტომობილების ქურდებიც ტრიალებენ. ისინი ყურადღებით აკვირდებიან მყიდველს და თუ სანდო კაცად მიიჩნევენ, მოპარულ მანქანას შედარებით იაფად სთავაზობენ. სწორედ ამიტომ გავაჭიანურეთ „ვაჭრობა“ თითქმის სამ საათს. ჩვენს ცდას ფუჭად არ ჩაუვლია. ანკესს იოლად წამოეგნენ ვინმე თემური და სლავიკა.

— ვხედავთ მართლა მანქანის საყიდლად მოსულხართ, მაგრამ როგორც ჩანს, ფასში ვერ მორიგდით გადამყიდველებთან. თუ გვენდობით, ფაიზალ „მერსედესს“ გაგიჩალიჩებთ. იაფად მოგცემთ, ნახმარი არ გეგონოთ. თითქმის თაზაა (ახალია). მისმა პატრონმა გერმანიიდან ერთი წელიც არ იქნება, რაც ჩამოიყვანა. ცვეტიც ნორმალურია. გაწყობთ?

— **გააჩნია, რას დააფასებთ. გვაჩვენეთ მანქანა.**

— აქ რა უნდა. ქალაქგარეთ გვყავს. რამე არ იფიქროთ. ყველა საბუთი აქვს. უბრალოდ, სასწრაფოდ თავნი გვაქვს ჩასაბარებელი და იძულებული ვართ იაფად გავყიდოთ...

„ასეთი „ფაიზალი“ ავტომობილი უმეტესად მოპარულია, ან საზღვარგარეთ აწაპნეს ვინმეს. ოღონდ ტექპასპორტი მართლაც ნამდვილი აქვს იმიტომ, რომ ამ საქმეში საგზაო პოლიციის ხელი ურევია, — გვითხრა „რენოს“ გამყიდველმა **გონელი ლეჟავამ**, რომელსაც საზღვარგარეთიდან ჩამოჰყავს მანქანები და შემდგომ საქართველოში ყიდის, — ჩვენს ბიზნესსაც დედა უტირეს ქურდებმა და საგზაო პოლიციამ. ქურდები უცხოეთში იპარავენ მანქანებს და შემდეგ საგზაო პოლიციის დახმარებით ყალბ ტექპასპორტს ადგენენ, თუმცა რაღა ყალბია, როდესაც სათანადო ორგანოებშია რეგისტრირებული. საზღვარგარეთ ნაყიდი მანქანა უმრავლესობას საქართველოში ისე ჩამოჰყავს, რომ საბაჟო გადასახადის მხოლოდ ნახევარს ან მესამედს იხდის. საბაჟო გადასახადი ათასი ლარიდან ორი ათას ლარამდეა და თუ საგზაო პოლიციასთან შეკრული ავტომობილების იმპორტიორები მხოლოდ მის ნახევარს გადაიხდიან, მაშინ ისინი ოფიციალურად შემოყვანილ მანქანებზე ნაკლებად დააფასებენ თავიანთ საქონელს და ჩვენ კანონიერად ჩამოყვანილი ავტომობილები აღარ გვეყიდება. ორი თვეა, რაც ამ „რენოს“ ვყიდი. რაც უნდა მომეგო, ბაზრის სადგომის ქვითარს დავახარჯე, სხვადასხვა მაქინაციით მოპარული თუ განუბაჟებელი ავტომობილები კი პანტაპუნტით იყიდება. მეც ალბათ ამ გზას დავადგები“.

> განუბაჟებელი ავტომობილები საგზაო პოლიციაში მაინც რეგისტრირდება. უკანონო რეგისტრაციის ერთი მეთოდია ყალბი საბაჟო დეკლარაციების გამოყენება. განუბაჟებელი ავტომობილების საგზაო პოლიციაში რეგისტაციის მეორე ძირითადი მეთოდი ყალბი ტექნიკური პასპორტების გამოყენებაა...“

რამდენიმე კვირის წინ საქართველოს ანტიკორუფციულმა ბიურომ შეისწავლა საქართველოში ავტომობილების იმპორტისა და საგზაო პოლიციის ქვედანაყოფებში მათი რეგისტრაციის პროცესი და უამრავი დარღვევა აღმოაჩინა. როგორც გაირკვა, სახელმწიფო ბიუჯეტმა მხოლოდ 2002 წელს 10 მილიონი ლარი იზარალა(!). ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნაში ვკითხულობთ: „2002 წლის განმავლობაში საქართველოში ოფიციალურად, იმპორტის რეჟიმით, შემოყვანილ იქნა 20.251 ავტომობილი, რომლის ნახევარი არ განბაჟებულა. ასევე საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ დაფიქსირებულია 2.978 ავტომობილი, რომლებიც შემოყვანილ იქნა დროებითი რეჟიმით, ანუ ტრანზიტით, მაგრამ მათ საქართველოს ტერიტორია დოკუმენტების მიხედვით აღარ დაუტოვებიათ. სავარაუდოდ, მთლიანად განუბაჟებელ იქნა 12.437 ავტომობილი, მაგრამ ისინი რეგისტრირებული იქნა საგზაო პოლიციაში სხვადასხვა უკანონო გზით (მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იმპორტის რეჟიმით ავტომობილების შემოყვანისას, შესაბამის საბაჟო პუნქტზე გამოიწერება შინასაბაჟო ტრანზიტის ე. წ. ფორმა, რომლის მიხედვითაც 30 დღის ვადაში შესაბამის ტერიტორიულ საბაჟოზე უნდა მოხდეს სატრანსპორტო საშუალების საბაჟო გაფორმება და საბაჟო გადასახადის გადახდა, რის შემდეგადაც იწერება საბაჟო დეკლარაცია, სადაც სხვა მონაცემებთან ერთად მითითებულია, რომ ავტომობილის პატრონმა გადაიხადა ბაჟი. სწორედ საბაჟო დეკლარაციის საფუძველზეა შესაძლებელი ავტომობილის საგზაო პოლიციაში რეგისტრაცია, გამოიწერება ტექპასპორტი და ავტომანქანას მიენიჭება სახელმწიფო ნომრები. — ზ. ჩ.). მიუხედავად ამისა, განუბაჟებელი ავტომობილები საგზაო პოლიციაში მაინც რეგისტრირდება. უკანონო რეგისტრაციის ერთი მეთოდია ყალბი საბაჟო დეკლარაციების გამოყენება. განუბაჟებელი ავტომობილების საგზაო პოლიციაში რეგისტრაციის მეორე ძირითადი მეთოდი ყალბი ტექნიკური პასპორტების გამოყენებაა...“

ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ექსპერტს ძალოვანი და სამართალდამცავი სტრუქტურების საკითხებში **ანდრო გოცირიძეს:**

— ყალბი დეკლარაციების წარდგენა საგზაო პოლიციაში უშუალოდ საგზაო პოლიციის თანამშრომლების მონაწილეობით და ხელშეწყობით ხდება. ჩვენ კანონის უხეში დარღვევისა და სამსახურებრივი დანაშაულის მრავალ ფაქტს ავხადეთ ფარდა. მაგალითად, ყალბ საბაჟო დეკლარაციებში არ არის მითითებული დეკლარაციის რიგითი ნომერი და მისი შევსების თარიღი. ყალბი დეკლარაციის ნიმუშები საგზაო პოლიციის შენობის კედელზეც თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული. ვინ დაიჯერებს, რომ პოლიციელები თითქოს ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებდნენ ყალბ და ნამდვილ საბაჟო დეკლარაციებს? მეტიც, თვითონვე გასცემენ ყალბ ტექპასპორტებს. საქართველოში თითქმის აღარ ფიქსირდება ახალი, ძვირად ღირებული მარკის ავტომანქანების განბაჟების ფაქტები. ავტომობილის, რომლის ფასი 5 ათას დოლარს აღემატება, საბაჟო გადასახდელი არსად არ არის რეგისტრირებული. ყველა ყალბი დეკლარაციების საფუძველზეა გატარებული საგზაო პოლიციაში. თვითონვე წერენ ყალბ ტექპასპორტებში დეკლარაციების არარსებულ ნომრებს.

— **ალბათ, საგზაო პოლიციას ასევე შეუძლია მოპარულ ავტომობილზე გასცეს ტექპასპორტი და ქურდს ველარავინ დაუმტკიცებს, რომ მან მანქანა მოიპარა.**

— რა თქმა უნდა. ვინ დადებს თავს იმაზე, რომ საზღვარგარეთ მოპარული მანქანების საქართველოში „გაპრავება“ არ ხდება? მაგალითად, მოიპარავთ ბულგარეთში „მერსედესს“, შემოიყვანთ საქართველოში. საბაჟო გამოგიწერთ დეკლარაციას, რომელსაც გადააგდებთ. მერე, ვთქვათ, ლენტეხის საგზაო პოლიციის თანამშრომლები გაგიფორმებენ ყალბ საბუთებს იმის დასტურად, რომ თითქოს ავტომობილი ლენტეხში იყიდეთ. სწორედ ასეთი ფაქტი გამოვავლინეთ. ჩვენდა გასაოცრად, უცხოეთიდან შემოყვანილ ავტომობილზე ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტები ლენტეხის რაიონის საგზაო პოლიციაში 2001 წელს იყო გაფორმებული. მაშინ როცა მანქანამ საქართველოს საზღვარი 2002 წელს გადმოკვეთა. ე. ი. სანამ ავტომობილი საქართველოში ჩამოვიდოდა. ეს „დაუკვირვებლობა“ დაუსჯელობის სინდრომით არის განპირობებული. იცით, რატომ ირჯება ასე „გულმოდგინედ“ საგზაო პოლიცია? მიზეზი მარტივია — მაგალითად, თუ საზღვარგარეთიდან შემოყვანილ ავტომობილზე საბაჟო გადასახდელი ოფიციალურად 1.500 ლარია, ყალბი დეკლარაციების გამოყენებით პოლიციელი მანქანის პატრონს მხოლოდ ნახევარ თანხას ახდევინებს, ამ შემთხვევაში 750 ლარს. მანქანის პატრონიც კმაყოფილია და საგზაო პოლიციელიც. „უკმაყოფილო“ მხოლოდ ბიუჯეტი რჩება... მოპარული მანქანები საქართველოშიც იყიდება. მაგალითად ქურდი თბილისში მოიპარავს „მერსედესს“ და შემდეგ ბათუმში გაყიდის. ყალბი ტექპასპორტის შოვნა და მოპარული მანქანის რეგისტრირება ძნელი არ არის. პირიქით, აქეთ გეხვეწებიან.

საქართველოს ანტიკორუფციულმა ბიურომ საგზაო პოლიციას ბრალად სხვა უკანონო ქმედებებიც დასდო. მათგან ერთ-ერთი ავტომობილების მართვის მოწმობების გაცემაში არსებული დარღვევებია.

ისევ ძველი ხერხი მოვიშველიეთ და თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს ვეწვიეთ, „შვილისთვის მართვის მოწმობის ასაღებად“. გვითხრეს, თუ ფული გაქვს, მართვის მოწმობას ერთ საათში მოგცემენ საგზაო პოლიციაშიო. ჩვენდა გასაოცრად, სიმართლე აღმოჩნდა. თუმცა სანამ ავლაბარში, საგზაო პოლიციაში მივიდოდით, დავით აღმაშენებელზე მდებარე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკური ცენტრის ავტოსკოლის დირექტორმა, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გაგვარკვია სიტუაციაში. კ.ჯ.:

— გუშინ დაიწყო მართვის მოწმობის მისაღებად ერთმა ჯგუფმა მეცადინეობა, რომელიც თვე და ერთი კვირა გასტანს. სწავლის ღირებულება 60 ლარია, ამას დაემატება „ვაჟდენიის“ 20 ლარი, რომელსაც მძღოლს გადაუხდით. შემდეგ „ფსიქოსთვის“ 28 ლარი იქნება საჭირო, ხოლო მართვის მოწმობისთვის 25 ლარი. სულ 133 ლარი დაგიჯდებათ მართვის მოწმობა.

— **ამდენ ხანს ჩემი ვაჟი ვერ მოიცდის, თან ზღვაზეა და ვერ ჩამოვა. იქნებ სხვანაირად გვეცადა?**

— ისე ძვირი დაგიჯდება, მაგრამ მაგასაც მოევლება. ჯგუფში ჩავრიცხავთ, სანამ სწავლას დაამთავრებენ, შენი ბიჭიც ჩამოვა და „პრავასაც“ მიიღებს, ოღონდ 170 ლარია საჭირო.

— **უფრო სწრაფად არ გამოვა?**

— ერთ დღეში თუ გინდოდა, გეთქვა თავიდან. ოღონდ ასეთი სწრაფი მომსახურება 140 დოლარი დაჯდება. მანქანის ტარება ხომ იცის ბიჭმა? — მკითხა გამომშვიდობებისას ავტოსკოლის დირექტორმა და „გზაც“ გვასწავლა.

ჩვენც თბილისის საგზაო პოლიციას მივადექით, თავი დავადე და პირველივე კაბინეტში შევედი. მაგიდასთან ხანში შესული მამაკაცი იჯდა, იგი საგზაო პოლიციის თანამშრომელი, პენსიონერი მ.კ. აღმოჩნდა. პირდაპირ საქმეზე გადავედი და რძლისთვის „პრავის“ გაკეთება ვთხოვე, თანაც სწრაფად.

— ერთი ფოტო დამჭირდება 3X4-ზე ფსიქოსთვის და 30 ლარი. რძალი მოიყვანე, ფოტო გადაიღოს, რომ კომპიუტერში შევიდეს მისი სურათი და კომპიუტერი მართვის მოწმობას დაბეჭდავს სურათთან ერთად. ამას სულ ერთი საათი და 150 დოლარი დაჭირდება.

> არ დავიწყებ იმის მტკიცებას, თითქოს მამა აბრამის ბატკნები ვართ და ფულისთვის ხელი ან მე, ან სხვას არასოდეს ეხლოს. რა ვქნათ, ასეთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. გეთანხმებით, რომ მძიმე მდგომარეობაა თბილისის საგზაო პოლიციაში.

— **უფრო იაფად არ გამოვა ეგ საქმე?**

— არა. თუ არ გეჩქარება, ორ-სამ კვირაში 100 დოლარად მიიღებ მართვის მოწმობას.

იგივე გამიმეორა საგზაო პოლიციის თანამშრომელმა, ვინმე კაპიტანმა გურამმაც, ოღონდ მან თავისი მომსახურება 130 დოლარად შეაფასა:

— რა ვქნა, ძმაო, 100 დოლარი ბიჭებს უნდათ და 30 დოლარი მე არ უნდა დამრჩეს? ტრასაზე რომ დავდგე, იმისთვის ვაგროვებ ფულს.

— **ტრასაზე დადგომას რამდენი უნდა?**

— შემოსავლიან ტრასაზე რომ მოხვდე, საგზაო პოლიციის შეფებს 3 ათასი დოლარი უნდა ჩაახუტო. მაგასაც იაფად მიკეთებენ, თორემ სხვას 5 ათას დოლარად არ გაუკეთებენ. მე მაინც შინაური ვარ...

დასასრულ, კიდევ ერთ ნაწყვეტს შემოგთავაზებთ საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნიდან: „2002 წლის განმავლობაში საგზაო პოლიციის მიერ ჯარიმების სახით ამოღებული თანხა მილიონ 700 ათას ლარს შეადგენს. აქედან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებული ავტომობილების რაოდენობას, გამოდის, რომ ერთი ავტომანქანა საგზაო მოძრაობის წესებს წელიწადში მხოლოდ ერთხელ არღვევს და იმ შემთხვევაშიც მინიმალური ჯარიმის ოდენობით ჯარიმდება, რაც რბილად რომ ვთქვათ, აბსოლუტური ტყუილია... სამართალდარღვევებისათვის დაკისრებული საჯარიმო გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 10-ჯერ მეტი უნდა შედიოდეს, ვიდრე დღეს არის დაფიქსირებული. ეს თანხა კი 17 მილიონით იზომება“.

სხვათა შორის, ანტიკორუფციული ბიუროს ამ დასკვნას ერთი ნაცნობი საგზაო პოლიციელიც ადასტურებს: „შეიძლება საგზაო პოლიციამ, ანუ ჩემმა კოლეგებმა 17 მილიონზე ორჯერ და სამჯერ მეტი მართლაც ამოვიღეთ, ოღონდ არა ბიუჯეტისათვის, არამედ ჩვენი და ჩვენი უფროსების ჯიბისთვის. ჩვენ დღეში ჯარიმებიდან 15 ლარი თუ გვრჩება. რიგით საგზაო ინსპექტორს თავისი უფროსისთვის ყოველ მორიგეობაზე ხარკი 20-30 ლარი აქვს მისატანი (გააჩნია ადგილს, სად დგახარ), ამას კიდევ თვიურად უფროსთან მისატანიც ემატება. ოცეულის მეთაურს ინსპექტორებისგან შეკრებილი თანხა თბილისის საგზაო პოლიციაში მიაქვს. საგზაო პოლიციის უფროსს რესპუბლიკის საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში, ხოლო სამმართველოს უფროსს შინაგან საქმეთა სამინისტროში და ვაი შენი ბრალი, თუ დროულად არ გადაიხადე, ან ფული დააკელი. მაშინვე „შტრაფნოიში“ გიკრავენ თავს“.

ჩვენ რესპუბლიკის საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობას დავუკავშირდით. ჩვენთან საუბარი პოლკოვნიკმა **გია აბაზაძემ** ისურვა, რომელიც მართვის უფლების საგამოცდო კომისიის წევრია:

— საგზაო პოლიციელი საზოგადოების ნაწილია და როგორი საზოგადოებაც გვყავს, ისეთივე პოლიციელი გვემსახურება. სახელმწიფო მას არ აძლევს იმ მინიმალურ ხელფასსაც, რომლითაც თავი უნდა ირჩინოს. რა ქნას? ვერ იტყვის უარს იმ 2-3 ლარზე, რომელსაც მოძრაობის დამრღვევი მძღოლი ჯიბეში უტენის(?!).

— **ჩვენ უფრო გვაინტერესებს ის მაღალი რანგის ოფიცრები, რომლებიც კორუფციაში არიან ჩაბმულნი.**

— არ დავიწყებ იმის მტკიცებას, თითქოს მამა აბრამის ბატკნები ვართ და ფულისთვის ხელი ან მე, ან სხვას არასოდეს ეხლოს. რა ვქნათ, ასეთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. გეთანხმებით, რომ მძიმე მდგომარეობაა თბილისის საგზაო პოლიციაში. არც იმას უარვყოფ, რომ ზოგიერთი სამართალდამცველი ქალაქში ყაჩაღობს (უმიზეზოდ სძალავს მძღოლს ფულს) აი, ამაზე უნდა წეროთ. მხედველობაში მაქვს თბილისის შემოსასვლელი, სადაც მხოლოდ ერთი საგზაო პოლიციელი დგას, დანარჩენებს იქ დგომა ეკრძალებათ (მაგალითად: რაიონის პოლიცია, მე-6 განყოფილება და სხვ.), მაგრამ ინიციატივას იჩენენ, უკანონოდ აჩერებენ მანქანებს და მძღოლებს ფულს სძალავენ. მაგრამ ასე უსასრულოდ არ შეიძლება გაგრძელდეს, კორუფცია თუ არ აღმოიფხვრება, მნიშვნელოვნად შემცირდება მაინც.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსმა **ბესარიონ გოგიშვილმა** კი გვითხრა:

— არ გამოვრიცხავ, რომ საგზაო პოლიციელი მძღოლს ჯარიმის ქვითრის ნაცვლად, ფულს ართმევდეს, მაგრამ იმის მტკიცება, რომ არაფერს ვაკეთებთ და მხოლოდ მინიმალური ჯარიმით ვუშვებთ დამრღვევებს, არასწორია. მინიმალური ჯარიმის ოდენობა საგზაო მოძრაობის დარღვევის დროს 50 თეთრიდან 1 ლარამდეა და არა — 5 ლარი, როგორც ამას ანტიკორუფციული ბიურო ამტკიცებს. საგზაო პოლიციელი გზაზე მოსამართლეა და მის გადაწყვეტილებას ვერავინ გაასაჩივრებს, ანუ იმის თქმა მინდა, რომ საგზაო პოლიციელი თვითონ განსაზღვრავს ჯარიმის ოდენობას.

ჩვენ საგზაო პოლიციის ავტომობილების რეგისტრაციის განყოფილების უფროსს, **ილია რუხაძესაც** გავესაუბრეთ:

— რამდენად სწორად იქნა დეკლარაციები შევსებული და რამდენად სწორად მოხდა ავტომობილების რეგისტრაცია, ამას რესპუბლიკის გენერალური პროკურატურა გაარკვევს. მანამდე კი შემიძლია გითხრათ, რომ საბაჟო დეკლარაციებს საგზაო პოლიციაში პოლიციელი კი არ წარადგენს, არამედ ავტომობილის მფლობელი და თუ მან ყალბი დეკლარაცია მოიტანა, საგზაო პოლიციელს არ ევალება იგი განასხვაოს ნამდვილისაგან. ამას მხოლოდ ექსპერტი გაარკვევს.

ანტიკორუფციული ბიურო რესპუბლიკის საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს შეფის, დავით კობახიძის „თავს“ სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც მეგობარს ასე იოლად არ იმეტებს და ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელს გამოძიების დამთავრებამდე თავის შეკავებას ურჩევს.

*P.S. მეც ბევრჯერ დამირღვევია მოძრაობის წესები, ბევრჯერაც დავუჯარიმებივარ საგზაო პოლიციელს. მწვავე კამათიც მომსვლია, მაგრამ არასოდეს ღვარძლი მათ მიმართ არ გამჩენია. პირიქით, როდესაც საშინელ ავტოკატასტროფაში მოვყევი, სწორედ რიგითი ავტოინსპექტორების მოხერხებულობამ და ვაჟკაცობამ შემინარჩუნა სიცოცხლე. ნეტავ ასეთი საგზაო პოლიციელები თუ შემოგვრჩნენ კიდევ?*

**ზვიად ჩაკვეტაძე**

# „ქვეყნის პირველი „გიჟი" ვარ და სიმართლეს ყოველთვის ვიტყვი..."

## „თუ ხელისუფლება იტყვის, გავიმარჯვეო, ხალხი ქუჩაში გამოვა"

არჩევნების მოახლოებასთან ერთად მიხეილ სააკაშვილს თავსატეხი მოემატა. საკრებულოს თავმჯდომარეს ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე უწევს ბრძოლა. ხელისუფლებაზე უკვე აღარაფერს ვამბობთ, „მიშა, არ ვარგა კრიშაო" — იხუვლეს ასლან აბაშიძის მომხრეებმა და ლამის საკრებულოს თავმჯდომარის აპარტამენტებიც დალაშქრეს. ამლორძინებლები მიხეილ სააკაშვილს სტადიონებისა და სახურავების ფულის „მოტეხას" აბრალებენ და „დიდ მიხეილს" „ცრუმიშას" ტიტულით აჯილდოებენ. რა ქნას სააკაშვილმა, მტერს ეომოს თუ მეგობრებზე იდარდოს, რომლებთანაც ბოლო დროს ურთიერთობა მეტისმეტად დაეძაბა... ბურჯანაძე და ჟვანია სააკაშვილის გარეშე ეფიცებიან ერთგულებას ერთმანეთს და გვერდით მის ძველ ოპონენტს, დავით სალარიძეს იყენებენ. რატომ არ უყვარს საკრებულოს თავმჯდომარეს სალარიძე და რას ფიქრობს **მიხეილ სააკაშვილი** ახალშექმნილ ოპოზიციურ ბლოკსა და



**„აღორძინებამ" ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის უცნაური ტაქტიკა აირჩია, — მედავებიან, „საკრებულოს მაცნეში" გამოქვეყნებულ მისამართებზე ლიფტები და სახურავები არ შეკეთებულაო. ეტყობა, ჰგონიათ, რომ სამარეში ვწევარ და ხმას ვერავის მივაწვდენ.**

თავის ოპონენტებზე, ინტერვიუდან შეიტყობთ.

— „აღორძინების" წონასწორობიდან გამოსვლის მიზეზი ის იყო, რომ აჭარის ხელისუფლებასთან დაპირისპირებულმა პოლიტიკოსმა, დათო ბერძენიშვილმა აბაშიძის მმართველობის პერიოდში პირველმა დაიწყო საარჩევნო კამპანია ბათუმის მაჟორიტარობისთვის. ეს ძალზე აღიზიანებს აჭარის ხელისუფალთ, ცდილობენ ხელი შეგვიშალონ და აქ, თბილისშივე დაგვაშინონ, — ბათუმს თავი დაანებეთ, თორემ უსიამოვნებას ვერ ასცდებით დედაქალაქშიო. ამ ხალხის გასაგონად ვამბობ — ჩემი თვითმიზანი არ არის ასლან აბაშიძესთან პიროვნული დაპირისპირება, მაგრამ ჩვენი პრინციპებისთვის ყველგან ვიბრძოლებთ. არც თბილისს დავანებებ თავს, არც ბათუმსა და არც ჩხოროწყუს, საარჩევნო კამპანიას მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ჩავატარებთ. „აღორძინებამ" ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის უცნაური ტაქტიკა აირჩია, — მედავებიან, „საკრებულოს მაცნეში" გამოქვეყნებულ მისამართებზე ლიფტები და სახურავები არ შეკეთებულაო. ეტყობა, ჰგონიათ, რომ სამარეში ვწევარ და ხმას ვერავის მივაწვდენ. ყველა ამ მისამართზე წავიყვანე ჟურნალისტები და მათ საკუთარი თვალით ნახეს ჩვენი გაკეთებული საქმე.

— **როგორც წესი, სხვის სახელებს ტახტისმაძიებლები (ცრუდიმიტრი, ცრუანასტასია) ირქმევდნენ. როგორ მიიღეთ ახალი მეტსახელი — „ცრუმიშა"?**

— მე ნამდვილი მიშა ვარ და არა — ცრუ. შევარდნაძის მრჩევლების, კახა თარგამაძისა და „აღორძინების" ბრძოლის საყვარელი მეთოდია მოწინააღმდეგის გიჟად გამოცხადება. შევარდნაძეს უკვე ვუთხარი, — თუ სიმართლის თქმა სიგიჟედ ითვლება, დაე, ვიყო ამ ქვეყნის პირველი „გიჟი"-მეთქი. ახლაც ვაღიარებ, ქვეყნის პირველი „გიჟი" ვარ და სიმართლეს ყოველთვის ვიტყვი. ხალხმა მშვენივრად იცის, ვინ არის გიჟი, ვინ — დალაგებული და ვინ — გაფუჭებული.

— **ოპონენტები კაგებესთან თქვენს კავშირზე როდესაც ლაპარაკობენ, ახსენებენ თქვენს დედის ძმას, უშიშროების გენერალ ალასანიას, რომლის წყალობითაც მოხვედრილხართ შტატებში. ისიც ითქვა — ამ ზაფხულს სააკაშვილი იგორ გიორგაძეს შეხვდა მოსკოვშიო.**

— ეტყობა, ამ სიცხეში ძალიან გადახურდნენ და ამის გამო დაიწყეს ლაპარაკი ჩემსა და იგორ გიორგაძის კავშირებზე. რაც შეეხება სხვა ბრალდებებს, მართლაც მყავს ბიძა — თემურ ალასანია. იგი გაეროს სამდივნოს თანამშრომელია, მაგრამ როგორც წესი, გაეროს თანამშრომლები კაგებეს თანამშრომლები არ არიან ხოლმე. ეტყობა, ისიც ძალიან სწყინს ბატონ შალვას, რომ ამერიკის მთავრობამ მე წამიყვანა სასწავლებლად და არა — ის.

— **თქვენმა ძველმა მეგობრებმა და თანამებრძოლებმა, ბლოკი შექმნეს. რას ფიქრობთ ამ გაერთიანებაზე, თქვენც ხომ არ შეუერთდებით მათ?**

— იმედი მქონდა, უფრო დიდი ოპოზიციური გაერთიანება ჩამოყალიბდებოდა. მზად ვიყავი, დამეთმო პიროვნული ამბიცია და სიის სათავეში ყოფილიყვნენ ბურჯანაძე, ჟვანია, გამყრელიძე ან ნათელაშვილი. ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები" ოპოზიციის მხოლოდ ერთი ნაწილის გაერთიანებაა. ბურჯანაძე მუდამ „გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელი იყო. ახლა მათ შეუერთდა დავით სალარიძე, რომლის ზურგს უკან დგას ფინანსურ-ოლიგარქიული დაჯგუფება. ძალზე ცუდად ყოფილა ამ გაერთიანების საქმე, თუ მან ნაციონალურ მოძრაობას სალარიძე არჩია. შესაძლოა, დავით სალარიძეს ბანკში 50 მლნ დოლარი ჰქონდეს, მაგრამ ის ერთია, ნაციონალური მოძრაობა კი დიდი ორგანიზაციაა, რომელსაც ასიათასობით მხარდამჭერი და აქტივისტი ჰყავს. ზოგიერთი ჩემი მეგობარი მეუბნება — იქნებ დაგეხუჭა თვალი, რომ იქ არიან სალარიძე, სამადაშვილი და სხვა ფინანსური ოლიგარქები და შენს ძველ თანამოაზრეებთან ერთად დამდგარიყავიო, მაგრამ ჩემს პრინციპებზე უარს ვერ ვიტყვი. თუ ამომრჩეველს ვუნდივარ, ჩემი პრინციპებიანად ვენდომები ხომ?! თავის დროზე, 1999 წელს, ზურაბ ჟვანიასთან ერთად მივიღე გადაწყვეტილება, რომ ვაკეში სალარიძის კონკურენტი ვყოფილიყავი, რადგან ვფიქრობდი — კაცი, რომელიც მუდამ სახელმწიფო სამსახურში იყო, მაღალი ხელფასი არასოდეს ჰქონია და მაინც მილიონები გააკეთა, ხალხის არჩეული დეპუტატი არ უნდა ყოფილიყო. ახლაც ასე ვფიქრობ და ასეთ კომპრომისზე ვერ წავალ...

კარგად მესმის, რომ საარჩევნო კამპანიისთვის ფულია საჭირო. მაგრამ ისიც ვიცი, რომ „პრინციპებიც კარგი საქონელია", კომპრომისი პრინციპების ხარჯზე დაუშვებლად მიმაჩნია.

— **არაერთხელ უთქვამთ, — მიხეილ სააკაშვილი თანაგუნდელების მძევალია, რომელთაც კატეგორიულად არ სურთ ჟვანიასა და ნაციონალების გაერთიანებაო.**

— ჩემი თანაგუნდელები: დათო ბერძენიშვილი და ზვიად ძიძიგური ეჭვობდნენ — ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძესთან ბლოკის შექმნა ხომ არ იქნება გარიგება ხელისუფლების რაღაც ნაწილთანო. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჟვანია და ბურჯანაძე წამოსულები არიან ხელისუფლებიდან, მაგრამ რაც შეეხება სალარიძეს, ის ვერასოდეს წამოვა — მას ხელისუფლებასთან ფინანსური ინტერესი აკავშირებს. თუ ნინო და ზურაბი გაუშვებენ სალარიძესა და მის მსგავს ოლიგარქებს, ჯერ კიდევ არ არის გვიან, 20 სექტემბრამდე კიდევ შეიძლება მათთან ბლოკის გაფორმება.

— **სალარიძე ამბობს, რომ იგი მზად არის წავიდეს ამ ბლოკიდან და თქვენ დაგითმოთ ადგილი, ამბობენ ასევე, რომ თქვენთან გაერთიანება „ბურჯანაძე-დემოკრატებს" აღარც სურთ თქვენივე რადიკალიზმის გამო...**

— ეს განცხადება ფინანსურ-ოლიგარქიული დაჯგუფების პოზიციას მშვენივრად გამოხატავს — მზად ვართ, შევუერთდეთ ბურჯანაძესა და ჟვანიას, თუ ისინი სააკაშვილს ჩამოსცილდებიანო. იციან, სააკაშვილი უთუოდ დაარღვევს მათ მშვიდ ცხოვრებას. ბურჯანაძე-ჟვანიასთან ყოფნით იმედოვნებენ სტატუს კვოს შენარჩუნებას. ჩემს მეგობრებს, ადრე თუ გვიან, მოუწევთ არჩევანის გაკეთება (ჯერჯერობით ვერ ვხედავ, რომ ან სალარიძე აპირებდეს ბლოკიდან წასვლას, ან ვინმე გეგმავდეს მის გაშვებას), ან დაჰპირდებიან ოლიგარქებს, თქვენთან ვიქნებით და ქვეყანაში ყველაფერი ძველებურად დარჩებაო, ან მათ ჩამოიშორებენ და ჩვენ ერთად გავაკეთებთ საქმეს. თუ ჩვენთვის მისაღები იქნება ბლოკის სია და ის პარიტეტულ საფუძველზე შედგება, მზად ვართ, სიაში პირველობაზე უარი ვთქვათ.

— **დიდ ოპოზიციურ გაერთიანებაში „ახლებსაც" მოიაზრებთ?**

— ისინი არ მოვლენ ჩვენთან... მათმა კლიპმა ძალზე გააღიზიანა მოსახლეობა და ვურჩევ, მოხსნან. ხალხს არ სჯერა დადგმული, არარეალური სარეკლამო რგოლების...

— **დასავლელი პოლიტიკური ექსპერტების პროგნოზით, თუ ოპოზიცია არ გაერთიანდა, ხელისუფლება რეგიონების ხარჯზე შეძლებს ახალ პარლამენტში უმრავლესობით მოსვლას.**

— მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ბეიკერის გეგმა უარყო, დასავლეთს საქართველოს მიმართ ინტერესი გაუნელდა. ხელისუფლება კი რეგიონებში სულ უფრო სუსტდება.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

# „სააკაშვილის მომხრეები დაუკრეფავში გადადიან და მათ ჭკუაზე მოვიყვანთ"



„აღორძინების" თბილისის ორგანიზაციამ სიცრუეში ამხილა მიხეილ სააკაშვილი. დიდი შეუსაბამობებია სააკაშვილის მიერ გამოცემულ გაზეთში მოყვანილ ფაქტებსა და რეალობას შორის. ჩვენ მიერ მოპოვებულ თანხების მითვისებისა და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტებს პროკურატურას გადავცემთ...

## ბრეგაძეს თუ დანაშაული დაუმტკიცდა, პარტიიდან გავრიცხავთ...

„დაუმთავრებელო მიშა, სად გაგექცა კრიშა!" — ასეთი და კიდევ არაერთი მსგავსი შეძახილი გაისმოდა გასულ კვირას „აღორძინების" თბილისელი ლიდერებისგან. სახუმარო არც სააკაშვილის მუქარაა — მიფრთხილდეს ასლან აბაშიძე, ყველაფერზე ვაგებინებ პასუხსო. რა გამოდის, წინასაომარ ვითარებაში ვართ? ბატონებო, რა ხდება, ომში მიდიხართ თუ არჩევნებზე?!

სააკაშვილის მხილებაში ცოტნე ბაკურიას ტოლს არ უდებდა ახალგაზრდა ამლორძინებელთა ყველაზე „შთამბეჭდავი" წევრი სანდრო ბრეგაძე, რომლის გადამეტებულმა აქტიურობამ ბევრს აფიქრებინა — ბრეგაძემ თავი იმიტომ გამოიდო, რომ დანაშაულის გამოსყიდვა და იმ ჭუჭყის ჩამორეცხვა უნდა, რომელმაც ასლან აბაშიძის თვალში მეტისმეტად დაუკარგა ფასიო. პარლამენტარ სანდრო ბრეგაძეს დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორობა და ფულის გამოძალვა ჰბრალდება. დეპუტატი გაიძახის, — პროვოკაცია მომიწყვესო, მაგრამ...

რას უპირებს „აღორძინება" ბრეგაძეს და რატომ გამწვავდა ვითარება ასე მათსა და „ნაციონალებს" შორის, გვესაუბრება **ჯემალ გოგიტიძე:**

— კომუნისტებიც არ კრძალავდნენ ბრიფინგის ასეთ ფორმას — ხალხთან ქუჩაში შეხვედრას. ნაციონალებს თავი ამ ქვეყნისა და მერიის ბატონ-პატრონები ჰგონიათ. ამბობენ — „აღორძინება" მოგვეჭრაო. თბილისის მერია როდის გახდა მათი ოფისი?! ჯერ ხელისუფლებაში არ მოსულან და რას სჩადიან. ღმერთმა ნუ ქნას გაიმარჯვონ, თორემ ხომ წარმოგიდგენიათ, რასაც იზამენ. თუნდაც არ მოსწონებოდათ „აღორძინების" წევრების მერიასთან გამოჩენა, როგორ შეიძლებოდა მათთვის ანგარიშსწორება მოეწყოთ საკრებულოს ნაციონალებსა და მათ მხარდამჭერებს. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის მომხრეები დაგვესხნენ თავს, გალახულები მაინც ისინი დარჩნენ. თურმე ჩვენს დასახვედრად დილიდანვე ემზადებოდნენ. „აღორძინების" თბილისის ორგანიზაციამ სიცრუეში ამხილა მიხეილ სააკაშვილი. დიდი შეუსაბამობებია სააკაშვილის მიერ გამოცემულ გაზეთში მოყვანილ ფაქტებსა და რეალობას შორის. ჩვენ მიერ მოპოვებულ თანხების მითვისებისა და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტებს პროკურატურას გადავცემთ...

— **ვფიქრობ, ვითარების დაძაბვას თქვენც შეუწყვეთ ხელი. „აღორძინებას" რომ სხვა ფორმა აერჩია, არც ეს შეხლა-შემოხლა მოხდებოდა...**

— როგორი ფორმა უნდა აგვერჩია?! ამის შემდეგ სააკაშვილს ვკითხავთ, — როგორ გამხილოთ, შენს გასაკრიტიკებლად რა სიტყვები გამოვიყენოთ-თქო... ამის თქმა გინდათ?

— **უბრალოდ, უმართებულოდ მიგვაჩნია პოლიტიკური პროცესების ქუჩაში გადატანა.**

— რა, აკრძალულია ქუჩაში გამოსვლა?!

— **ქუჩაში უმართავი პროცესების პროვოცირების მეტი საშიშროებაა და მომხდარზე ვინ აგებს პასუხს?**

— სააკაშვილს ვერ დავეკითხებით, სად დროშით გავიაროთ, სად — არა. ჩვენ მშვიდობიანი აქციის ჩატარება გვქონდა განზრახული და თუ ვიღაცამ არეულობის პროვოცირება სცადა, ამაზე პასუხს არ ვაგებთ. რა ვქნათ, შინიდან ფეხი აღარ გამოვდგათ პროვოკაციის შიშით?..

— **„ნაციონალები" ამბობენ, „აღორძინება" დავით ბერძენიშვილის გააქტიურებამ შეაშინაო.**

— ბერძენიშვილის ხსენებაც არ მინდა, ის ჩემთვის ნულია. ცარიელი სკამი რომ დადგათ ბათუმში, მეტ ხმას მიიღებს, ვიდრე დავით ბერძენიშვილი. თუ ასე მაგარია, სად იყო 1995 წელს, სააკაშვილს უცდიდა? აღდგომა და ხვალეო, ნახავთ, რასაც მოიგებს. პოლიტიკურ გაერთიანება „აჭარაში" როცა იყო ბერძენიშვილი, მაშინ მოხვდა პარლამენტში, მაგრამ მის გარდა იქ ბევრი ღირსეული პიროვნება იყო და ხალხმა ხმა მათ მისცა. ყველამ იცის, რომ ბერძენიშვილი „ნასედკა" და კაგებეს აგენტია, რომელიც „მხედრიონს" დასაყაჩაღებელი ხალხის სიას აწვდიდა.

— **ეს საკმაოდ მძიმე ბრალდებაა, შეგიძლიათ ამის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა?**

— აჭარაში ამას ყველა დაგიდასტურებთ.

— **თქვენი პარტიის წევრი, პარლამენტარი სანდრო ბრეგაძე ფულის გამოძალვასა და შანტაჟში დაადანაშაულეს.**

— ნამდვილად უსიამოვნო შემთხვევაა, მაგრამ ყველას ვთხოვ, ეს ინციდენტი არ დაუკავშირონ „აღორძინებას". შესაძლოა ნებისმიერ ადამიანს შეექმნას ან შეუქმნან ასეთი სიტუაცია. „აღორძინების" კავშირის სახელით ვაცხადებ — არც ერთი დამნაშავისთვის (პარტიის წევრი კი არა, ძმაც რომ იყოს) ხელის დაფარებას არ ვაპირებთ. ჯერჯერობით კი სანდრო ბრეგაძის დანაშაული დამტკიცებული არ არის.

— **თუ ბრალდება დადასტურდა, გარიცხავთ ბრეგაძეს პარტიიდან?**

— რა თქმა უნდა. ჯერ გამოძიების შედეგებს ველოდებით. ამ ხელისუფლებას კარგად აქვს დამუშავებული დისკრედიტაციის მეთოდი — ფალსიფიცირებული საქმეების შეთხზვა. პროკურატურის პარალელურად ჩვენც ვაწარმოებთ ამ საქმის ძიებას. უდანაშაულო ადამიანს არ გავწირავთ, მაგრამ დამნაშავის დაცვას ერთი წამითაც არ ვაპირებთ. ვფიქრობ, თვითონ სანდრო მოიქცევა ისე, რომ პარტიის დაცვა არ დასჭირდეს.

— **ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძის გაერთიანებას როგორ შეაფასებთ?**

— ჟვანია ბურჯანაძის ქოლგას ეფარება იმიტომ, რომ სჭირდება. თუმცა შეუბღალავი არც ბურჯანაძეა. ბურჯანაძის ქოლგის შეფარება შევარდნაძის ქოლგის ქვეშ ყოფნას გულისხმობს. ისინი ერთნი არიან, მაგრამ სკამებისთვის ეცილებიან ერთმანეთს და პრეზიდენტს მხოლოდ საკადრო პოლიტიკას უწუნებენ — ჩვენ დაგვნიშნე ყველა თანამდებობაზეო. დღეს ჟვანია ვითომ ჯენტლმენობს და ბურჯანაძეს უთმობს პირველობას. ჰგავს ჟვანია იმ კაცს, რომელიც უანგაროდ დათმობს რამეს?

— **თუკი შევარდნაძის მოსწავლეები ერთნი არიან, რატომ ვერ ვიხილეთ ბურჯანაძე-ჟვანიას ბლოკში მიხეილ სააკაშვილი?**

— სააკაშვილისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ხელაღებით შეუძლია თეთრზე თქვას, შავიაო, მერე თვალებში ურცხვად შემოგხედოს და გაგიღიმოს. ბურჯანაძე და ჟვანია ფიქრობენ, რომ სააკაშვილი მათი კონკურენტი იქნება. უცნაურია ამ ბლოკში დავით სალარიძის გამოჩენა, მაგრამ ეს იმის უტყუარი დასტურია, რომ ბლოკი შევარდნაძესთან იქნება და გუნდში პრეზიდენტის დასაყრდენად სწორედ დავით სალარიძე — შევარდნაძის ყურმოჭრილი კაცი მოგვევლინება.

— **არჩევნების ბოლომდე აპირებთ პერმანენტულ აქციებს საკრებულოსთან?**

— სააკაშვილის მომხრეები ხშირად გადადიან დაუკრეფავში და მათ ჭკუაზე აუცილებლად მოვიყვანთ. როდესაც კობა დავითაშვილი პირდაპირ ეთერში შემედავა — ასლან აბაშიძემ უცხო ქვეყნის ჯარი გამოიყენა აჭარაში წესრიგის დასამყარებლადო, უსინდისო ვუწოდე. მთელი ქვეყნის გასაგონად ამის თქმა სილის გაწვნის ტოლფასი იყო.

— **ანუ თქვენ კობა დავითაშვილს პირდაპირ ეთერში უთავაზეთ?**

— დიახ... იმედია, მოსახლეობა არ დაიჯერებს მისი და სააკაშვილის აბდაუბდას...

*იზო რკაძე*

# ომის გარეშე დაღუპულნი...

**ყაზარმულ გარჩევებში დაჩაგრული ჯარისკაცი ომის დაწყებისთანავე პირველსავე ტყვიას მოწინააღმდეგეს კი არა, მის გამამწარებელს დაახლის უკნიდან**



ქართული საჯარისო ნაწილების ყაზარმებში ღამღამობით განუკითხაობა სუფევს

ანაკლიელი, 23 წლის ჯარისკაცის, რამაზ ჭეჟიას ბურუსით მოცულმა სიკვდილმა კვლავ მწვავედ წამოსწია უდიდესი პრობლემა — საქართველოს სამხედრო ძალებში ყოველწლიურად იღუპება ორ ათეულზე მეტი ჯარისკაცი, ზემდეგი თუ ოფიცერი და ეს ყველაფერი მშვიდობიან დროს, ყოველგვარი საბრძოლო მოქმედებების გარეშე ხდება.

საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნის არმიაში დაშვებულია სულ უმცირესი პროცენტი მშვიდობიანობის დროს სამხედრო მოსამსახურის დაღუპვისა, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ საბრძოლო სიტუაციასთან მიახლოებულ საპოლიგონო სწავლებებს.

ჯარისკაცი რამაზ ჭეჟია კი შინაგანი ჯარების ფოთის პოლკში სუფსის ტერმინალს იცავდა, სადაც რაიმე პოლიგონზე ან საბრძოლო სწავლებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ქართველი ჯარისკაცების მთავარი „პოლიგონი“ — ყაზარმაა, განსაკუთრებით კი ღამის ყაზარმა, სადაც ხშირად ისეთი მგლური კანონები მეფობენ, რომლებიც ციხის საკანსაც კი შეზარავდა.

ამ ღამის „პოლიგონზე“ იმარჯვებს მხოლოდ ძლიერი, ხშირად ეშმაკი, მაგრამ ყოველთვის აგებს ჩუმი და პატიოსანი ჯარისკაცი.

საბჭოთა „დედოვშჩინას“ სამწუხაროდ, ქართული „კუთხურობაც“ დაემატა და არცთუ იშვიათად ყაზარმაში შავი სამყაროსთვის დამახასიათებელი გარჩევები მიდის; თუმცა ჯარისკაცებს რა უნდა მოსთხოვოს კაცმა, როდესაც მაღალჩინოსანი ოფიცრები არჩევენ ერთმანეთთან საქმეს ქუჩური მეთოდებით.

საზოგადოებას დღემდე ყურადღება უმთავრესად მაინც თავდაცვის სამინისტროზე აქვს გადატანილი, თუმცა ეს იმის ბრალია, რომ საზოგადოება სამხედრო საკითხებში ჯეროვნად არ არის გაცნობიერებული, თორემ მესაზღვრეთა ყაზარმებში ნაკლებად როდი „ბნელა“, ვიდრე თავდაცვის სამინისტროს ნაწილებში, რომ აღარაფერი ვთქვათ, შინაგან ჯარზე, რომელშიც მსახურობდა აწ გარდაცვლილი ახალგაზრდა.

რამაზ ჭეჟიას საქმე განსაკუთრებულ გამოძიებას საჭიროებს, მაგრამ დამნაშავეები რომც დასაჯონ (გარდაცვლილის ჭირისუფლები დარწმუნებულები არიან, რომ მათი შვილი აწამეს და შემდეგ ქუთაისში, საავადმყოფოში მიმავალი მანქანიდან გადააგდეს), ამით ყაზარმული სასიკვდილო გარჩევები არ მოიშლება.

ქართული სამხედრო ძალები ავადაა, თანაც მძიმედ. ამ ავადმყოფობას უდისციპლინობა, გულგრილობა და ათასი სხვა სახელი ჰქვია. მისი გამოსწორება მხოლოდ კარდინალური ცვლილებებით შეიძლება, თორემ ყაზარმულ გარჩევებში დაჩაგრული ჯარისკაცი ომის დაწყებისთანავე პირველსავე ტყვიას მოწინააღმდეგეს კი არა, მის გამამწარებელს დაახლის უკნიდან.

# ლაშქრობა... სვანეთისკენ?!



**სვანებმა პუტინის დესანტი გააქციეს, რას უზამენ შევარდნაძის სამართალდამცავებს?**

გასულ კვირას, როგორც იქნა, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ განიხილა სვანეთში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობა და მოქმედების გეგმა დასახა.

რა თქმა უნდა, სვანეთში (ყურადღება განსაკუთრებით მესტიის რაიონზეა გამახვილებული) დესანტს არავინ ჩასვამს, ამ სიტყვის სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ ეროვნული უშიშროების საბჭომ დაავალა შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებს, ერთობლივი მოქმედების გეგმის შემუშავება.

ანტიკრიმინალურ ოპერაციას ალბათ შინაგან საქმეთა სამინისტრო უხელმძღვანელებს და ოპერაციაში, შინაგანი ჯარების დანაყოფების



გარდა, ჩაერთვებიან სპეცდანიშნულების ჯგუფები, აგრეთვე იმ რეგიონში განთავსებული სასაზღვრო კომენდატურა და შეიძლება თავდაცვის სამინისტროს ახალშექმნილი სამთომსროლელი რაზმიც.

მაგრამ, საკითხავია, რა გამოვა აქედან? როდის იყო ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით კრიმინალებს, თუნდაც კარგად შეიარაღებულთ, დასდევდნენ მთებში? ანდა დაელოდებიან კი ეს კრიმინალური ჯგუფები შინაგანი ჯარების მთებში მბობლავ ავტოკოლონებს?

ჯარისკაცებს და საერთო სამხედრო ძალას ნაკლებ ეხება კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლა, ეს წმინდა პოლიციური საქმეა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, გვერდში სპეცსამსახურებიც უნდა დაუდგნენ.

ქართული რეალობიდან გამომდინარე, „სვანური აქცია“ შეიძლება ქვეყანაში წესრიგის დამყარების მოტივით წამოწყებული მორიგი წინასაარჩევნო ფანდიც იყოს, სინამდვილეში კი ასეთი თითო-ოროლა აქცია, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ფაფხურად დარჩება, რადგან კრიმინალიზებულია არა მარტო საქართველოს რეგიონები, არამედ თავად ხელისუფლების დიდი ნაწილი, რომელსაც ტანკებით ნამდვილად ვერ დაედევნები.

NOKIA
სიახლე!
3-დან 6 თვემდე საგარანტიო მომსახურება Nokia-ს (ნოკია) სერვის ცენტრში შეძენილ მობილურ ტელეფონებზე
მობილური ტელეფონების და აქსესუარების ფართო არჩევანი
სერვისული მომსახურება
კვალიფიციური კონსულტანტები
კონსულტაციები უფასოა:
ტელ: 94-24-12,
ტელ/ფაქსი: 94-15-66
ცენტრალური ოფისის მისამართი:
თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №71
ფილიალები:
მარჯანიშვილის ქ. №15, ტელ: 95-80-03
რუსთაველის გამზ. №31, ტელ: 99-53-83
E-mail: nokia@geo.net.ge
nokia_info@geo.net.ge
Nokia (ნოკია) სერვის ცენტრი

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის
თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი
გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:
1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა,
4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
10. ფიზიკა და მათემატიკა, 11. ქიმია და ბიოლოგია,
12. ისტორია და რელიგიის ისტორია, 13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.
თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი
საბუთები მიიღება 10-17 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2
(ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

# ტერორისტები ყველა ქვეყნისა, უკვე შეერთდით?

**ბაღდადში გაეროს წარმომადგენლობის აფეთქებამ მოზდოკში ჰოსპიტლის აფეთქების სცენარით ჩაიარა**

თითქმის აღარავის ეეჭვება, რომ მთელ მსოფლიოში ტერორისტები ერთი ხელწერით მოქმედებენ და არც ისაა გამორიცხული, მათ ერთი ძალა მართავდეს.

19 აგვისტოს ბაღდადში ნამდვილი ტრაგედია დატრიალდა: ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთულმა ყვითელი ფერის ცემენტმზიდმა შეანგრია გაეროს წარმომადგენლობის ჭიშკარი და აფეთქდა ამ ქვეყანაში გაეროს მისიის მთავარი წარმომადგენლის კაბინეტის ფანჯრებთან.

ერაყში გაეროს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ბრაზილიელი სერჟიო ვიეირა დე მელუ სასიკვდილოდ დაიჭრა და აფეთქებული შენობის ნანგრევებში ჩაიმარხა, მაგრამ მოახერხა და გარდაცვალებამდე ნანგრევებიდან თანამგზავრული ტელეფონით აცნობა მაშველებს თავისი ადგილსამყოფელი.

აფეთქებას შეეწირა ორ ათეულამდე ადამიანი, ბევრიც დასახიჩრდა. ეს არის ბაღდადში ამერიკელი სამხედროების შესვლის შემდეგ მომხდარი ყველაზე დიდი ტერორისტული აქტი.

გასაოცარი კი ის არის, რომ იგი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ამას წინათ ქ. მოზდოკის სამხედრო ჰოსპიტალში მომხდარ აფეთქებას.

მოზდოკის სამხედრო ჰოსპიტალში ტროტილით დატვირთული „კამაზი“ ჩეჩენმა კამიკაძე-ტერორისტმა შეაგრიალა, ბაღდადში კი რამდენიმეტონიანი ცემენტმზიდით, ეტყობა, ადგილობრივმა კამიკაძემ შეანგრია გაეროს წარმომადგენლობის ღობე. თუმცა ამერიკის სპეცსამსახურების წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ ერაყში ტერორისტულ აქტებს ავღანელი „თალიბების“ ან პალესტინელი დაჯგუფებების კამიკაძეები ახდენენ.

ბაღდადის ქუჩებში შიში ტრიალებს. ქალაქში ამერიკელი სამხედროების მობილური ჯგუფები პატრულირებენ. მათ ნერვები ისე აქვთ დაძაბული, რომ ხშირად შეცდომით მშვიდობიანი მოქალაქეების ავტომობილებსაც უხსნიან ცეცხლს, რადგან ყველა მანქანა დანაღმული, ხოლო მგზავრები — კამიკაძეები ჰგონიათ. განსაკუთრებით ეჭვის თვალით უყურებენ იმ ავტომობილებს, რომლებშიც მხოლოდ მძღოლი ზის, რადგან კამიკაძეები მარტო მოქმედებენ. ამიტომაც ბაღდადელი მძღოლები ცდილობენ, რამდენიმე ადამიანი მაინც დაიმგზავრონ.

ერაყში ჩასული ქართველი სამხედროები, წინასწარი მონაცემებით, საბედნიეროდ, ამ ტერაქტს ასცდნენ. მათთან დაკავშირება ჭირს, ისინი მხოლოდ კვირაში ერთხელ ახერხებენ ახლობლებთან შეხმიანებას და ისიც ხუთიოდე წუთით, რადგან კოსმოსური კავშირგაბმულობით სარგებლობა ძალიან ძვირი ჯდება.

მალე შეიძლება ერაყში თავი მოიყარონ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის წარმომადგენლებმა. იქ ათიოდე დღის წინ ჩაფრინდა 150-კაციანი აზერბაიჯანული შენაერთი, სომხებმა ახლაღა დაიწყეს ამაზე ფიქრი და აშშ-ის ადმინისტრაციას შეატყობინეს, — მზად ვართ, ჩვენი სამშვიდობო კონტინგენტის ერაყში გასაგზავნადო.

სომხები, ეტყობა, პრეზიდენტ ბუშის მადლობასაც დაიმსახურებენ, რადგან 19 აგვისტოს ბაღდადის ტერაქტის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მიმართა მთელ მსოფლიოს, გაგზავნონ სამშვიდობო შენაერთები ერაყში. მისი განმარტებით, სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო წარმომადგენლები ერაყში შეასრულებენ დამხმარე ფუნქციებს — დაიცავენ ობიექტებს და გააცილებენ ტვირთებს, ხოლო ამ საქმეებიდან გათავისუფლებული ამერიკელი ჯარისკაცები ერაყელ პარტიზანებს გაუსწორდებიან.



ტერორისტმა კამიკაძემ ბაღდადში გაეროს წარმომადგენლობის შენობა ნანგრევებად აქცია

გაერომ უკვე გაგზავნა ახალი წარმომადგენელი ერაყში. თუმცა ეს საერთაშორისო ორგანიზაცია უკვე აშკარად გამოხატავს უკმაყოფილებას იმ ამერიკელი სამხედროების მიმართ, რომლებმაც ვერ დაიცვეს გაეროს წარმომადგენლობის შენობის უსაფრთხოება ბაღდადში. მით უმეტეს, როგორც ახლა ირკვევა, ტერაქტამდე ხუთი დღით ადრე, ერაყში მოქმედმა ამერიკულმა სპეცსამსახურებმა მიიღეს წინასწარი ინფორმაცია, რომ იგეგმებოდა ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტი ბაღდადში არასამხედრო ობიექტზე, რომელშიც ბევრი უცხოელი იმყოფებოდა.

# ამერიკულმა ბომბდამშენმა მოსკოვს ბომბების გარეშე გადაუფრინა...

**საერთაშორისო ავიაკოსმოსურ გამოფენაზე МАКС-2003, ფრანგმა და იტალიელმა პილოტებმა ლამაზი საჰაერო პირუეტები აჩვენეს**


რუსული Су-47 Беркут-ი და Су-30МК ერთობლივი ფრენის დროს

სტრატეგიული ბომბდამშენი B-52, 4 გამანადგურებელ-ბომბდამშენი F-15 და 2 დამრტყმელი თვითმფრინავი F-16 მოსკოვის ახლოს ცაში მწყობრად გამოჩნდნენ...

შეიძლება ერთ დროს სწორედ ასე იყო დაგეგმილი მესამე მსოფლიო ომის დაწყება, მაგრამ გასულ კვირას ამ ამერიკულ მრისხანე საჰაერო არმადას, რომლის ბომბებისა და რაკეტების სიმწარე გამოსცადეს ერაყმა, იუგოსლავიამ თუ ავღანეთმა, სულ სხვა მიზანი ჰქონდა — ისინი ისტორიაში პირველად, შეფრინდნენ რუსეთის საჰაერო სივრცეში და მოსკოვის მახლობლად, ქ. ჟუკოვსკის აეროდრომზე მშვიდობიანად დაეშვნენ.


კოსმოსური ხომალდის უკან დასაბრუნებელი მართვადი საფეხური Байкал-ი

ასე დაიწყო მორიგი საერთაშორისო ავიაკოსმოსური გამოფენა МАКС-2003.

შეგვიძლია მოგაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა ამ დღეებში ჟუკოვსკში.

რაიმე განსაკუთრებული МАКС-2003-ზე რუსეთს არ წარუდგენია — ისევ ნაცნობ ფიგურებს — „პუგაჩოვის კობრასა“ და „კოლოკოლს“ ასრულებდნენ რუსული Су-27 და МиГ-29 ტიპის გამანადგურებლები, ისევ აოცებდა მაყურებელს უკუისრისებრი ფრთებით მრავალფუნქციონირებადი გამანადგურებელი Су-47 Беркут-ი, ჰაერში მუსიკის თანხლებით „ცეკვავდნენ“ „შავი ზვიგენები“ Ка-50 და „ალიგატორი“ Ка-52.

ამჟამინდელ ჩვენებაზე რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი არაფერი უჩვენებიათ (45 წლის წინ შექმნილი ამერიკული ბომბდამშენი B-52 შეიძლება რუსი პილოტებისა თუ მნახველებისთვის ყოფილიყო ახალი).

МАКС-2003-ს სილამაზე ფრანგი და იტალიელი საპილოტაჟო ჯგუფების გამოსვლებმა მიანიჭა. ისინი ჰაერში საარაკო პირუეტებს აკეთებდნენ. უცხოელი ასები 5-8-ტონიანი, შემსუბუქებული გამანადგურებლებით დაცურავდნენ ცაში, რუსები ცდილობდნენ, 30-ტონიანი Су-ებით ტოლი არ დაედოთ მათთვის და ხშირად ახერხებდნენ კიდეც.

სხვათა შორის, სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო Су-38Л ტიპის თვითმფრინავმა, რომელიც მინდვრების მოსაწამლადაა განკუთვნილი. ოღონდ ყურადღება თვითმფრინავის მახასიათებლებს კი არ დაუმსახურებია, არამედ იმ დიდ აფერას, რაც ამ თვითმფრინავის სერიული წარმოების დაწყების წინ მოხდა. რამდენიმე წლის წინ, ფირმა „სუხოის“ გენერალურმა დირექტორმა მიხაილ პოღოსიანმა გადაწყვიტა, ამ თვითმფრინავების სერიული გამოშვება სომხეთში, ერევნის ქარხანა „რაზდანმაშში“ დაეწყო, რისთვისაც რუსეთიდან სომხეთში 9 მლნ დოლარამდე გადარიცხა. „რაზდანმაში“, რომლის მუშამოსამსახურეებსაც თვითმფრინავი მხოლოდ მაღლა, ცაში ენახათ, მალე გაკოტრდა, ხოლო მილიონობით დოლარი აორთქლდა. რუს სპეციალისტებს ჯერ კიდევ ვერ მოუნელებიათ ეს გრანიოზული აფერა.

საქართველო МАКС-2003-ში ოფიციალურად არ მონაწილეობდა, ყოველ შემთხვევაში, სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენს“, რომელიც ამგვარი გამოფენების ტრადიციული მონაწილეა მთელ მსოფლიოში, წლეულს ჟუკოვსკში არაფერი გაუგზავნია.


უზარმაზარმა ამერიკულმა ბომბდამშენმა B-52-მა რუსები განაცვიფრა

**არსენალი**

## ებრაელებმა „დვორებით“ პალესტინელებს საზღვაო ბლოკადა მოუწყვეს

ისრაელს გარკვეულწილად იგივე პრობლემა აწუხებს, რაც საქართველოს — აფხაზი სეპარატისტებისა არ იყოს, ღაზის სექტორში მცხოვრები პალესტინელებიც ზღვიდან მარაგდებიან იარაღით.

ხმელთაშუა ზღვაზე ღაზისსექტორელ პალესტინელებს რამდენიმე ნავსაყუდელი აქვთ მოწყობილი, რომლებშიც დროდადრო შედიან იარაღითა და ტყვია-წამლით დატვირთული გემები. ბოლო ასეთი გემი ებრაელებმა გასული წლის ბოლოს დააკავეს და ჩამოტვირთეს სხვადასხვა ქვეყნის წარმოების ასობით „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატი და ის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები, რომლებითაც პალესტინელი მებრძოლები ებრაული ტანკების, „მერკავების“ აფეთქებებს გეგმავდნენ.

ამ კონტრაბანდული იარაღით დატვირთული გემის დასაკავებლად ებრაელ მეზღვაურებს დასჭირდათ დიდი საზღვაო ოპერაციის ჩატარება, რომელშიც განსაკუთრებული როლი ითამაშეს მცირე ზომის, მაგრამ დიდი სიჩქარის მქონე Dvora-ს ტიპის საპატრულო კატარღებმა.

საერთოდ, ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალებში არის 6 წყალქვეშა ნავი, 3 კორვეტი, 20 სარაკეტო და 32 საპატრულო კატარღა, აგრეთვე 9 დამხმარე გემი.

ებრაული „დვორა“ და მისი გაუმჯობესებული ვარიანტი „სუპერდვორა“ ქართველ მესაზღვრეთა განკარგულებაში მყოფ საბჭოთა Гриф-ს წააგავს, მაგრამ ბევრად უფრო თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურითაა (ისე, სხვათა შორის, ქართველ მესაზღვრეებს დაგეგმილი ჰქონდათ ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაში ერთი „გრიფის“ სრული მოდერნიზება) აღჭურვილი.



„დვორას“ სრული წყალწყვა 47 ტონაა, „სუპერდვორაზე“ ეს მაჩვენებელი 60 ტ-მდე გაიზარდა. თუმცა, ამასთანავე, გაიზარდა სიჩქარეც — 36-დან 40 კვანძამდე, რაც ებრაულ საპატრულო კატარღებს საშუალებას აძლევს, დაეწიონ ყველა იმ სამოქალაქო გემს, რომელიც ხმელთაშუა ზღვიდან ღაზის სექტორთან მიახლოებას დააპირებს.

21 მ სიგრძის „სუპერდვორას“ 17 კვანძი სიჩქარით 1.200 საზღვაო მილის გაცურვა შეუძლია და არ უჭირს ისრაელის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს უდიდესი ნაწილის გაკონტროლება, ხოლო წითელი ზღვის ერთადერთ ებრაულ საზღვაო პორტ ეილატზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

„სუპერდვორა“ შეიარაღებულია „ერლიკონის“ სისტემის ორი, 20 მმ კალიბრის ავტომატური ქვემეხით, მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასზე ებრაელი მეზღვაურები დამატებით აყენებენ ამერიკულ მართვად ტანკსაწინააღმდეგო სისტემა Hellfire-ს, რაც 2-3 კმ-ით დაშორებული დიდტონაჟიანი გემის დაზიანების საშუალებას იძლევა.

ებრაული „დვორები“ საკმაოდ პოპულარულია მსოფლიოში და იგი კარგად იყიდება. პარაგვაიმ 2 ასეთი საპატრულო კატარღა შეიძინა, შრი-ლანკამ — 3, ტაივანმა კი 48! მყიდველები „სუპერდვორასაც“ გამოუჩნდა — 4 ერიტრეას ჰყავს, 2 — ინდოეთს, 2 — სლოვენიას, 4 — შრი-ლანკას და 13 თავად ისრაელს.

„დვორას“ და, განსაკუთრებით „სუპერდვორას“ მაგალითზე, კარგად ჩანს, თუ როგორ შეიძლება შედარებით მცირე დანახარჯებით, პატარა კატარღებით გაკვეული საზღვაო რაიონის გაკონტროლება და ბლოკირება; ანუ თელ-ავივმა ღაზის სექტორის მიმართ შეძლო ის, რაც თბილისმა ათი წელია, ვერ მოუხერხა აფხაზ სეპარატისტებს — საზღვაო ბლოკადა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

## მკითხველის სვეტი

**როლან ჟაკარის წიგნში, „უსამა ბინ ლადენის სახელით“, 286-ე გვერდზე ვკითხულობთ: „1998 წლის დეკემბერში იტალიელებმა დაადგინეს, რომ ჩეხეთში საქართველოსთვის შესყიდული T-55 ტანკების საფასური გადაიხადა უსამა ბინ ლადენმა. იტალიის სადაზვერვო სამსახურის ინფორმაციით, ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკას ტანკები უნდა გადაეცა თალიბებისთვის“.**

**თუ შეგიძლიათ, გაზეთ „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე გვიამბეთ უფრო მეტი რამ ამ ფაქტზე.**

***პატივისცემით — ნანა სულიკაშვილი, თბილისი***

## ქართული ტანკები ბინ ლადენისთვის?



იემენელებმა თითოეული ტანკი 18.000 დოლარად იყიდეს ჩეხეთში, ჩვენ კი — რატომღაც 38.000 დოლარად.

ქალბატონი ნანა მართლაც ძალიან საინტერესო თემას ეხება. ჩვენს მკითხველს ალბათ ეხსომება, რომ რამდენიმე თვის წინ რედაქციაში ჩეხმა ჟურნალისტებმა მოგვაკითხეს, რომლებმაც ამ სტატიის ავტორს ამგვარი კითხვა დაუსვეს — ჩვენი ინფორმაციით, საქართველომ რომ ჩეხეთში 120 ცალი T-55 ტიპის ტანკი იყიდა, სად გყავთო. გავიკვირვეთ — 2000 წელს ჩეხეთიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალურად შეიძინა და ჩამოიყვანა არა 120, არამედ 11 ერთეული T-55AM2 ტიპის ტანკი და ერთი, ტანკის ბაზაზე შექმნილი სარემონტო მანქანაო.

ჩეხი ჟურნალისტები ეჭვობდნენ, რომ ვითომდა საქართველოსთვის მიყიდული ასამდე ტანკი სინამდვილეში გატანილი იქნა ჯერ იემენში და შემდგომ შეიძლება ავღანეთშიც კი. როლან ჟაკარიც, თავის წიგნში, ლაპარაკობს ჩეხურ ტანკებსა და ბინ ლადენს შორის გარკვეულ კავშირზე; მათ დამაკავშირებელ რგოლად იტალიის სპეცსამსახურებმა საქართველო მიიჩნიეს. ფაქტია, რომ ჩეხეთიდან მართლაც 11 ტანკი და ერთი სარემონტო მანქანა ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ რატომ ვრცელდება ცნობა საქართველოს „შუამავლობაზე“ საკმაოდ ბინძურ საერთაშორისო გარიგებაში?

სტატიის ავტორმა შეიძლება მხოლოდ ეჭვად გამოთქვას ამგვარი მოსაზრება: როდესაც ჩეხეთის ქ. ნოვიიჩინის სარემონტო ქარხანაში ქართველი სამხედროები 12 საბრძოლო მანქანას ირჩევდნენ, სწორედ იმ დროს იმავე ქარხანამ 100 ერთეული ტანკი იემენს მიჰყიდა. გაყიდული ტანკების რაოდენობა 120-ს უახლოვდება. შეიძლება სწორედ იემენისთვის განკუთვნილი ტანკები მოხვდა თალიბებთან, თუმცა საბოლოოდ არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ იარაღის იმპორტიორ ქართულ ფირმებს და ზოგიერთ სამხედრო მაღალჩინოსანს (ისევე, როგორც ხელისუფლების რომელიღაც წარმომადგენელს) ხელი ჰქონდეთ გასვრილი იარაღის უკანონო ბიზნესში.

**„გთხოვთ გვიპასუხოთ, არსებობს თუ არა ისეთი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც აქვს 45-გრადუსიანი კუთხით მოღუნული ლულა?**

***გ. ხურცილავა***

## მოღუნულლულიანები

კონსტრუქტორებმა იარაღის ლულის მოღუნვა არათუ 45 გრადუსით, არამედ მართი კუთხითაც კი ისწავლეს. მათი მიზანი იყო, ქალაქის ქუჩებში ბრძოლისას ჯარისკაცს შენობის კუთხიდან ისე ესროლა მოწინააღმდეგისთვის, რომ თავად მოფარებულში დარჩენილიყო („კვირის პალიტრა“ ამაზე უკვე წერდა).

ამგვარი იარაღის პირველი, ძალზე გასაიდუმლოებული ვარიანტები, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე, ვერმახტისთვის შექმნეს. თუმცა ეს არ იყო მოღუნულლულიანი იარაღი; ჩვეულებრივ კარაბინს და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს გერმანელები $32^0$-იანი კუთხით მოღუნულ ლულას წამოაცვამდნენ. ბერლინის ქუჩებში ბრძოლისას ასეთი ჩამოსაცმელები ეყენა ყველასათვის კარგად ცნობილ გერმანულ MP-40 ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს, რომლებსაც ბევრი შეცდომით „შმაისერებს“ უწოდებს.


გერმანული ავტომატური შაშხანა MP-44 მოღუნულლულიანი ჩამოსაცმელით

1944 წლის აგვისტოდან მოღუნულლულიანი ჩამოსაცმელები შეტევაზე გადასული ამერიკული არმიის შეიარაღებაშიც გამოჩნდა, თუმცა, თუკი გერმანელები მათ უმთავრესად ქუჩის ბრძოლებში იყენებდნენ, ამერიკელები ჯავშანტექნიკიდან ისროდნენ; მაგრამ ამას თან ახლდა ერთი უსიამოვნება — ავტომატური სროლის დროს დენთის დამწვარი გაზები ვერ ასწრებდნენ მოღუნულლულიანი ჩამოსაცმელიდან გამოსვლას, რაც ბევრ პრობლემას უქმნიდა როგორც გერმანელ, ისე ამერიკელ ჯარისკაცებს.

დამიზნებითი სროლის საწარმოებლად გერმანულ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს, მოღუნულლულიანი ჩამოსაცმელის გარდა, სარკიანი სამიზნეც უყენდება, რათა შენობის კუთხეს მოფარებულმა მებრძოლმა ზუსტად შეძლოს დამიზნება. ამგვარი იარაღის კიდევ ერთ პრობლემად იქცა უკუდარტყმის მომენტი. ტყვიის „მოხვეულად“ გასროლის შემდეგ უკუცემის ძალაც გვერდით მიდიოდა და თუკი ჯარისკაცს შეეძლო მეტ-ნაკლებად ზუსტად ეწარმოებინა ერთჯერადი სროლები, ავტომატური ჯერის შემთხვევაში იარაღი ისე უხტოდა ხელში, ზუსტ დამიზნებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.


კალაშნიკოვის მოღუნულლულიანი ტყვიამფრქვევი РПК

შეიძლება ითქვას, რომ პირველი, ნამდვილად მოღუნულლულიანი იარაღის სახეობების წარმოება საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის შუა ხანებში დაიწყო. ამაში გარკვეული როლი ითამაშა II მსოფლიო ომში საბჭოთა არმიის მიერ ნაალაფარმა გერმანულმა იარაღმაც.

მაგალითად, სტალინის ბრძანებით, ომის შემდეგ ტანკისტებისთვის დამზადდა მოღუნულლულიანი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, რომლითაც საბრძოლო მანქანის ეკიპაჟს ტანკიდან ამოუსვლელად, ლუკებიდან შეეძლო სროლა.

მაგრამ საბრძოლო ნაწილებში გამოყენება მოღუნულლულიანი იარაღის მხოლოდ ერთმა სახეობამ პოვა. კალაშნიკოვის ხელის ტყვიამფრქვევ РПК-ის მოღუნულლულიანი მოდიფიკაციები დამონტაჟდა ხანგრძლივ საფორტიფიკაციო მიწისქვეშა ბუნკერების თავზე, კერძოდ, სასაზღვრო რაიონების გასწვრივ. ბუნკერში მიმალულ ჯარისკაცს შეეძლო ისე გაეხსნა ცეცხლი საზღვრის დამრღვევებისთვის, რომ თავად არც კი გამოჩენილიყო. მოღუნულლულიანი ტყვიამფრქვევი РПК დამონტაჟებული იყო სპეციალურ კოშკურაზე და ცეცხლის წარმოება 360 გრადუსით შეეძლო. მისი ლულა 90 გრადუსით იყო მოხრილი და რაღაცით „საბრძოლველად“ გამზადებულ კობრას წააგავდა.

ჩვენი ინფორმაციით, ამგვარი იარაღი სსრკ-თურქეთის საზღვარზე გამაგრებულ რაიონებში, საქართველოს ტერიტორიაზეც ჰქონდათ საბჭოთა სამხედროებს, თუმცა მათი ჩვენთვის გადმოცემის შესახებ არაფერია ცნობილი.

# „ბურკაძის ძღვენი“




**სამეზობლოში კაცი არ მეგულება, წვეთ სისხლს რომ გაიმეტებს მაგისთვის, გარეწარია. პირველი სასჯელი კარის მეზობლის გაუპატიურებისათვის მოიხადა. მერე არც სხვები არ დაუტოვებია ისე, რომ არაფერი მოეწია. საკუთარ ბიძაშვილს ნასესხები ფულით ნაყიდი მანქანა მოჰპარა და ნაწილებად დაშლილი ნარკოტიკებზე გადაცვალა...**

## მგელი ალყაში

ერთსართულიანი მომცრო სახლი ისე მოაქციეს ალყაში მილიციელებმა, რომ მეზობლებსაც არაფერი შეუტყვიათ. ახლა გათენებას ელოდებოდნენ გამალებით. ყველას ეძინა, ძაღლებსაც კი. ჯგუფის ხელმძღვანელმა ჩასაფრების წინ ხანმოკლე ინსტრუქტაჟი ჩაუტარა თავისიანებს.

— მეხუთე წელია ვეძებთ ამ ავაზაკს. ხუთჯერ თუ ექვსჯერ გაგვისხლტა ხელიდან. ახლაც რომ გაგვექცეს, ყველა თქვენგანმა, რასაკვირველია, ჩემი ჩათვლით, თავისი ხელით აიყაროს სამხრეები. თუმცა, თხუთმეტი კაცი ერთ კაცს როგორ ვერ დაიჭერს? ერთი სიტყვით, ასი თვალი და ასი ყური გამოისხით. ბურკაძე ისეთი მამაძაღლია, წინასწარ ექნება მოფიქრებული აქედან გასაძრომი საშუალება. თუ გაუჭირდა, არც სროლაზე იტყვის უარს. ხომ გახსოვთ, შარშან სამი კაცი დაგვიჭრა და აქედან ორი სამუდამოდ ხეიბარი დარჩა. ვიცი, ახლა ამ სახლში სძინავს... ან იქნებ... არც სძინავს და რამე იგუმანა. ამნაირებს ყნოსვა გამძაფრებული აქვთ.

— იქნებ პირდაპირ შევცვივდეთ, ერთსართულიანი სახლია. ერთდროულად თითო ფანჯარაში ორორი კაცი რომ გადახტეს, ისე გავკოჭავთ მძინარეს, თითის განძრევასაც კი ვერ მოასწრებს.

— კარგი იქნებოდა, მაგრამ აკი გითხარით, იქნებ არც სძინავს-მეთქი, მაშინ? მაშინვე იარაღს წაავლებს ხელს გარეწარი. ისევ ლოდინი სჯობია, თქვენ უთვალთვალეთ, დანარჩენს ჩემს თავზე ვიღებ, ბოლოს და ბოლოს, მე და ბურკაძე ძველი „ნაცნობები“ ვართ. ზუსტად რვა წლის წინ, 5 აპრილს დავაკავე პირველად. დღეს ალბათ მეორედ შევხვდებით ერთმანეთს...

70-იანი წლები იდგა. ივნისში ისეთი წვიმები დაიჭირა იმერეთში, რომ ხევს იქით, უფსკრულში ჩაკარგა მოდიდებული მდინარე, ახლაც რომ სულისშემძვრელად ღმუოდა. ინათა თუ არა, რეზომ მეგაფონი მოიმარჯვა და ჩასძახა:

— ბურკაძე! სახლი ალყაშემორტყმულია და წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ აქვს. იცოდე, სროლის შემთხვევაში ადგილზე მოგიღებ ბოლოს! — მის ულტიმატუმს მხოლოდ ძაღლების ყეფა გამოეხმაურა, მერე კი ისევ გაირინდა იქაურობა. ცოტა ხნის შემდეგ კი ერთბაშად გაიღვიძა სოფელმა. ერთადერთი სახლიდან არ ისმოდა ჩამიჩუმი, სწორედ იქიდან, ახლა რომ სამართალდამცავების სათვალთვალო ობიექტი გამხდარიყო. არადა, რეზოს სარწმუნო ცნობები ჰქონდა და თითქოს დაეჭვების საბაბიც არ უნდა მისცემოდა, მაგრამ მოეჩვენა, რომ დრო იმაზე მეტად გაიწელა, ვიდრე პასუხის გასაცემად იყო საჭირო და იფიქრა, — ვაითუ, ტყუილად მოვრეკე ამდენი ხალხი და სახლიც ცარიელი დამხვდესო. მეგაფონით კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა იგივე და პასუხი რომ ვერ მიიღო, ერთ გამოცდილ თანამშრომელს ანიშნა, მომყევიო და თვალის დახამხამებაში გადაირბინა მანძილი სახლამდე. მერე მთელი ძალით ატაკა მხარი კარს და ხელში შემართული პისტოლეტით სახლში შეცვივდნენ. წამიც და ერთი ავტომატიანი მილიციელი სწორედ იმ სავენტილაციო მილში ჩაძვრა, რომლიდანაც ეჭვმიტანილის თავი გამოჩნდა, მაგრამ გვიან იყო. როცა სიბნელეს თვალი შეაჩვია, ანდრო ბურკაძის მხოლოდ ფეხებსლა ჰკიდა თვალი. ძებნილი სარდაფიდან სწორედ იმ მხარეს გაძვრა, სადაც აღარავინ იდგა და რაკი ყველა სხვა გზა მოჭრილი ჰქონდა, სროლასროლით პირდაპირ იმ ხევისკენ გაიქცა, რომლის ფსკერზეც ადიდებული მდინარე ბობოქრობდა. მილიციელები უმალ მოეგნენ გონს და კვალდაკვალ მიჰყვნენ გაქცეულს. რა თქმა უნდა, სროლაც შეეძლოთ, მაგრამ იმედი ჰქონდათ, ხევის პირას დაგვნებდება, ბოლოს და ბოლოს, მდინარეში ხომ არ გადაეშვებაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ

**რა დროს ამანათია... გააჭირა საქმე, თვე არ გავა, ჩემმა ძმამ სათამაშოებით სავსე ამანათი არ გამოგზავნოს. სულ გამისულელა ბავშვი. თვითონ შვილი არ ჰყავს და ახლა ორი ძმა ამ ერთი ბიჭის იმედზე ვართ, — თითქოს თავი იმართლა პალატის ექიმის წინაშე, რომელიც ამათ საუბარს ესწრებოდა. რეზოს არ შეუნიშნავს, როგორ ააფახულა თვალები ანდრო ბურკაძემ ამანათის გაგონებაზე.**

— ბურკაძე შურდულივით გაქანდა და ხევში გადაეშვა. სირბილით დაოსებულმა ქარაფის პირას მდგარმა მილიციელებმა რამდენიმე წამის შემდეგ შენიშნეს, როგორ ამოყვინთა დევნილმა და როგორ ცდილობდა ცალი ხელით ნაპირისაკენ გაღწევას. თუმცა დინება ვერ გადალახა და დაბლა დაუყვა აბობოქრებულ ტალღებს. ის იყო, ვიღაცამ დანანებით ჩაილაპარაკა, კიდევ გაგვექცა ეს ოხერიო, რომ უეცრად დაინახეს, როგორ გადაეშვა მდინარეში ოპერაციის ხელმძღვანელი, რეზო გოლიაძე, რომელიც ახლა თავისი და დანარჩენი 15 კაცის პროფესიული ღირსების გადარჩენაზე ფიქრობდა. მან სწორად აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას. ბურკაძე ბრიყვი სულაც არ იყო, — რადგან იმ სიმაღლიდან გადახტა, მაშასადამე, მდინარის ამ ადგილას მორევი ეგულებოდა. ჰოდა, თუ ძებნილისთვის შეიძლებოდა, მილიციელს ვინ უკრძალავდა. ის იყო, წყალში ჩაყურყუმელავდა, რომ უმალვე ზემოთ ამოცურდა. მიხვდა, არც ისე ღრმა იყო მორევი და არც შემცდარა. წამიც და ორივე ფეხით ფსკერზე დაენარცხა, მაგრამ ზამბარასავით შეიკუმშა და მკვეთრად უბიძგა თავს, რათა ამოეყვინთა. ერთბაშად მდინარის ზედაპირზე მოექცა. კოლეგებმა სიხარულის ყიჟინა დასცეს. მით უმეტეს, რომ ძებნილისგან განსხვავებით, რომელმაც ეტყობა წყალში ყოფნის დროს ცალი ხელი დაიზიანა, რეზომ ორივე ხელით მოუსვა და უეჭველად, აგერაგერ მისწვდებოდა გაქცეულს.

## ამაოდ დამაშვრალნი

ძებნილს კი იმის ძალაც აღარ შესწევდა, მდინარისთვის თავი დაეღწია. რეზომ უმალვე შენიშნა, რომ მღვრიე მდინარეს სისხლის მოზრდილი კვალი მიჰყვებოდა — ის სისხლი ბურკაძის იყო. იმ დროს მისწვდა, როცა ღონემიხდილი ფსკერისკენ უნდა წასულიყო. მარცხენა ხელი წელზე შემოხვია, მარჯვენათი კი გამეტებით მოუსვა და მალე ნაპირამდეც მიაღწია. თუმცა იქ ხელის ჩასაჭიდი ვერაფერი ნახა და ნაპირს თავქვე დაუყვა. აქ მდინარე დიდი სისწრაფით მიექანებოდა თავდაღმართში და ამხელა ტვირთით გაუჭირდებოდა ფონს გასვლა. იმარჯვა, ნეკერჩხლის ფესვს წაავლო ხელი, მერე როგორღაც ფსკერზე ფეხიც მოიკიდა და ნადავლიანად ნაპირზე ამოფოფხდა. ბურკაძეს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. მარცხენა იღლიიდან ჯერ კიდევ სდიოდა სისხლი. ეტყობა, ქვაზე დაეცა ქარაფიდან გადახტომის დროს, გაიფიქრა რეზომ. ჭრილობის შეხვევა დაუპირა, მაგრამ რით უნდა შეეხვია? რაც ტანთ ემოსა, ერთიანად ლაფში ჰქონდა ამოსვრილი. მიაყურადა, ძებნილი ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავდა, თუმცა წყალი არ უნდა ჰქონოდა ნაყლაპი. წელს ზემოთ გახადა და კარგად დაათვალიერა. სხეული ერთიანად დაჟეჟოდა. ჩანს, წყალი გამეტებით ახეთქებდა ქვებზე. სამედიცინო დახმარება იყო საჭირო, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. სანამ „თავისიანები“ იპოვიდნენ, გონდაკარგულის მოსულიერებას შეუდგა. ერთი პირობა იფიქრა, მორჩა, მოკვდაო — პულსი აღარ უცემდა ბურკაძეს. რეზო დიდი ხნის მონატრებული საყვარელივით დააცხრა მის ტუჩებს. საკუთარი სუნთქვით ცდილობდა ძებნილის მიმქრალი ფილტვების გამოცოცხლებას. გამოუვიდა კიდეც. ბურკაძეს სუნთქვაც აღუდგა და თვალის გახელასაც შეეცადა. რეზო ბავშვივით ხარობდა, რომ კაცი გადაარჩინა და ახლა თავს მილიციელად კი არა, ექიმად თვლიდა, რომელმაც ესესაა დაამარცხა სიკვდილი.

მალე თავისიანებიც დაადგნენ თავს. თოკებით დაშვებულიყვნენ ქარაფზე, მერე საკაცეც გაჩნდა, ბურკაძე ზედ დააბეს და ისე ასწიეს ზემოთ...

— ბევრი სისხლი აქვს დაკარგული, თუ არ გადავუსხით, დაიღუპება, — დაასკვნა ქირურგმა.

— სხვა არაფერი გამაჩნია, თორემ სისხლი იმდენი მაქვს, ექიმო, ორ მაგისთანას ეყოფა. მე მივცემ სისხლს — და რეზომ მარჯვენა ხელი გაუწოდა ექიმს.

— არა, ასე არ შეიძლება, ჯერ ჯგუფი უნდა დავადგინოთ.

დაადგინეს და ორივეს სისხლის ჯგუფი დაემთხვა ერთმანეთს.

— იცით, ექიმო, ბურკაძე ჩემი ყოფილი მეზობელია. სამეზობლოში კაცი არ მეგულება, წვეთ სისხლს რომ გაიმეტებს მაგისთვის, გარეწარია. პირველი სასჯელი კარის მეზობლის გაუპატიურებისათვის მოიხადა. მერე არც სხვები დაუტოვებია ისე, რომ არაფერი მოეწია. საკუთარ ბიძაშვილს ნასესხები ფულით ნაყიდი მანქანა მოჰპარა და ნაწილებად დაშლილი ნარკოტიკებზე გადაცვალა, — ჩაულაპარაკა მორიგე ექთანმა ქირურგს, რომელიც ამ დროს პაციენტს ჭრილობაზე ნაკერებს ადებდა.

— რატომ გამოიდეთ თავი ასე ამ კაცისთვის? თვითონ ხომ არ დაგინდოთ, გესროლათ კიდეც, — ჰკითხა მეორე დღეს ბურკაძის სანახავად მისულ რეზოს საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა.

**სირბილით დაოსებულმა ქარაფის პირას მყოფებმა რამდენიმე წამის შემდეგ შენიშნეს, როგორ ამოყვინთა დევნილმა და როგორ ცდილობდა ცალი ხელით ნაპირისაკენ გაღწევას. თუმცა დინება ვერ გადალახა და დაბლა დაუყვა აბობოქრებულ ტალღებს. ის იყო, ვიღაცამ დანანებით ჩაილაპარაკა, კიდევ გაგვექცა ეს ოხერიო, რომ უეცრად დაინახეს, როგორ გადაეშვა მდინარეში ოპერაციის ხელმძღვანელი...**

— გაჭირვებაში ჩავარდნილს, მტერიც რომ იყოს, ზურგს ვერ შევაქცევ. და კიდევ, ბურკაძესთან შეხვედრა კარგად მაქვს დაცდილი. პირველად რომ დავიჭირე, იმ დღეს ბიჭი შემეძინა — ლევანი. ახლა ბიჭი რვა წლისაა და ძმას ითხოვს. ეგებ მოხდეს სასწაული, ვინ იცის, — ყველაფერ ამას ისე ალალად ამბობდა, კაცი იფიქრებდა, თითქოს მართლაც ბურკაძესთან შეხვედრის იმედად აპირებს მეორე შვილის გაჩენასო. ექიმმა გულიანად გადაიხარხარა. რეზოსაც სიცილი აუვარდა თავისსავე ნათქვამზე, ექიმს მოუბოდიშა, სამსახურში მაგვიანდებაო და პატიმარი პაციენტისთვის სახლიდან წამოღებული საუზმე მედდას გადასცა. მძინარე ბურკაძეს დახედა. მის მოდარაჯე მილიციელს ანიშნა, ყურადღებით იყავიო და წავიდა. მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დართეს რეზო გოლიაძეს ბურკაძესთან გასაუბრების ნება. სიკვდილს გადარჩენილი ნაძირალა თავს იკატუნებდა:

— შენ როგორ გესროდი, უბრალოდ, გასაქცევად გზის გათავისუფლებას ვაპირებდი, მაგრამ თქვენებმა გზა მდინარისკენ გამიხსნეს და ის მორევი გამახსენდა, სადაც დიდი ხნის წინ ვბანაობდი ხოლმე. იმ სიმაღლიდან არასოდეს გადავმხტარვარ, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ვიცი, ათი წელი არ ამცდება. მართალია, გადამარჩინე, მაგრამ არც იფიქრო, რომ რაიმე ვაღიარო. აქედანვე იცოდე, ის ყაჩაღობები, რომლებშიც მამხილე, მე არ ჩამიდენია. მორჩა და გათავდა.

— ხომ იცი, რომ ყველა მტკიცებულება გვაქვს. დაწყებული შენი თითების ანაბეჭდებით და დამთავრებული ფოტოსურათებით. ისე, შეგიძლია ყველაფერი უარყო, მაგრამ რა აზრი აქვს, რომელი სასამართლო გაიზიარებს ამას...

პალატაში ახალგაზრდა ოფიცერმა შემოყო თავი.

— რეზო, შენმა მეუღლემ დამაბარა, ფოსტაში მოსკოვიდან ნოდარის გამოგზავნილი ამანათი მოსულა და იქნებ წამოიღოს, მე ვერ მივდივარ, ბავშვს სიცხე აქვს და ვერ დავტოვებო.

— რა დროს ამანათია... გააჭირა საქმე, თვე არ გავა, ჩემმა ძმამ სათამაშოებით სავსე ამანათი არ გამოგზავნოს. სულ გამისულელა ბავშვი. თვითონ შვილი არ ჰყავს და ახლა ორი ძმა ამ ერთი ბიჭის იმედზე ვართ, — თითქოს თავი იმართლა პალატის ექიმის წინაშე, რომელიც ამათ საუბარს ესწრებოდა. რეზოს არ შეუნიშნავს, როგორ ააფახულა თვალები ანდრო ბურკაძემ ამანათის გაგონებაზე. სამსახურში დაბრუნებულმა მილიციის უფროსს სთხოვა, კარგი იქნება, თუ ბურკაძის დაცვას გააძლიერებთ, თორემ ისეთი მამაძაღლია, ოდნავ მოიკეთებს თუ არა, გაქცევას შეეცდებაო. უფროსმაც ბრძანა, ხვალიდან ერთის ნაცვლად, ორმა მილიციელმა იმორიგეოს საავადმყოფოშიო... მაგრამ ანდრო ბურკაძე იმ ღამით გაიქცა. მეორე დილით პალატის ექიმმა რეზოს მისი წერილი დაახვედრა...

— აგერ, საწოლზე იდო, — გწერს, ამიერიდან შენი მტერი ვარო.

— ალბათ მადლობის სანაცვლოდ, სიკვდილს რომ გადავარჩინე, თუმცა ვის ეშინია მაგისი მტრობის. ცუდი ის არის, კვლავაც რომ მომიწევს მაგ გარეწრის დევნა.

P.S. ამ ამბიდან ერთი თვის თავზე რეზოს კვლავ აცნობეს, ფოსტაში თქვენს სახელზე ამანათია მოსულიო. მასზე გამომგზავნის მისამართი არასწორად იყო მითითებული, მაგრამ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. როგორც ყოველთვის, ფოსტაში მივიდა და თავისი ფიქრით ძმის გამოგზავნილი ამანათი გახსნა. მძლავრმა აფეთქებამ ერთიანად მილეწმოლეწა იქაურობა. მოგვიანებით მეზობლების კივილმა გამოაფხიზლა, ხელ-ფეხი აღარ ემორჩილებოდა, სახე სისხლში ჰქონდა ამოსვრილი. მაგრამ გადარჩა... „ბურკაძის ძღვენი“, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— ასეა, კეთილშობილური საქციელი არასდროს რჩება დაუსჯელი“...

ორი წლის შემდეგ ანდრო ბურკაძე სარატოვში დაიჭირეს, დახვრეტა მიუსაჯეს და განაჩენიც იმავე წელს მოიყვანეს სისრულეში.

***ვაჟა გავაშელი***







რუბრიკა „ვერსიის“ რჩეული
პუბლიკაციების კრებული კარგი საჩუქარია დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის!

# „ქვეყნის პირველი „ბიჭი“ ვარ და სიმართლეს ყოველთვის ვიტყვი...“

## „თუ ხელისუფლება იტყვის, გავიმარჯვეო, ხალხი ქუჩაში გამოვა“

**(დასაწყისი იხ. გვ. 7)**

ჩვენი მოძრაობა რომ წარმატებას მოიპოვებს, არც მეეჭვება, მაგრამ მაშფოთებს სხვა რამ — რამდენად გაუძლებს ქვეყნის სამართლებრივი ინსტიტუტები ხელისუფლების მშვიდობიან ცვლას. გამარჯვებით გავიმარჯვებთ, მაგრამ ძნელი იქნება მისი შენარჩუნება. შესაძლოა სიტუაციის გაკონტროლება ვერც ჩვენ შევძლოთ და ვერც სხვებმა. ამიტომ არის საჭირო ამბიციების დავიწყება, პოლიტიკური ჯგუფების კოორდინაცია და საზოგადოების მობილიზება.

არ ვიზიარებ ხელისუფლების გამარჯვების აპოკალიფსურ სცენარს იმიტომ, რომ თუ ხელისუფლება იტყვის, — გავიმარჯვეო, ხალხი მაშინვე ქუჩაში გამოვა...

**— მოსალოდნელი დესტაბილიზაციის საფრთხეს რაში ხედავთ?**

— არჩევნების წინ, მისი მიმდინარეობის დროსაც და შემდეგაც არაერთი პროვოკაციული მომენტი იქნება, ხელისუფლება ყოველნაირად შეეცდება შეიარაღებული კონფლიქტების ინსპირირებას სამეგრელოში, ხოლო აფხაზეთში კონფლიქტის სიმულაციას. შესაძლოა საქართველოს ნებისმიერ კუთხეში დაიწყოს შეიარაღებული ხალხის თარეში, რომლებიც ძალაუფლების ხელში აღებას შეეცდებიან, ალბათ იქნება ხელისუფლებასთან დაპირისპირებული პოლიტიკური ლიდერების ფიზიკური ლიკვიდაციის მცდელობაც... ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ჯანსაღი პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია, ხალხს არ უნდა შეეშინდეს. თუ მოსახლეობა მაგრად დადგება, არეულობის პროვოცირებას ვერავინ შეძლებს.

**— მაგრამ ამბობენ, რომ შეიარაღებული ჯგუფი თქვენც გყოლიათ, რომელიც საბრძოლო მომზადებას ცხვარიჭამიაში გადის.**

— ვამაყობ, რომ მინისტრობის დროს საქართველოში ყველაზე კარგად გაწვრთნილი სპეცრაზმი მყავდა. ეს კარგი ცხოვრების გამო არ შემიქმნია. მაშინ შსს გვებრძოდა და ციხეებს დაცვა სჭირდებოდა. ამ ჯგუფის წყალობით, მაშინ ციხიდან არც ერთი დამნაშავე არ გაქცეულა. ცხვარიჭამიაში სამხედრო მომზადებას კი არა, პოლიტიკურ მომზადებას გადიან ჩემი მეგობრები. დემოკრატიულ ქვეყნებში ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პარტიას აქვს საზაფხულო სკოლა და ჩვენც ცხვარიჭამიაში ასეთი სკოლა ჩამოვაყალიბეთ.

**— ქუჩაში ბრძოლებზე მინდა გკითხოთ, რით შეეწინააღმდეგებით პოლიტიკური პროცესების ქუჩაში გადატანას?**

— ინციდენტები ქუჩაში მთავრობის თამაშია, — სურს, ხალხს უთხრას: ხედავთ, ოპოზიციური პარტიები ერთმანეთის ცემა-ტყეპის გარდა, არაფერს აკეთებენ. მთავრობა მათზე უკეთესიაო... მაგრამ გარწმუნებთ, ამ მთავრობას რომ მოვიცილებთ, მშვიდობიანად ვიცხოვრებთ. როცა „ალორძინება“ მოგვივარდა და პოლიცია ჩვენს დასაცავად არ მოვიდა, იძულებულნი გავხდით, თავი დაგვეცვა. დამიქვემდებარონ ქალაქის პოლიცია და ერთ თვეში დავამყარებ წესრიგს.

**— ამბობენ, სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, საშინელ რეპრესიებს დაიწყებსო...**

— პირიქით, ხელისუფლებაში რომ მოვალთ, ხალხს დამნაშავეებისგან დავიცავთ. ისინი ციხეში უნდა ისხდნენ, ზოგიერთებს დაუსაბუთებელი ქონება უნდა ჩამოერთვას, იმავდროულად მცირე ბიზნესის განვითარებას შევუწყობთ ხელს, გავაუქმებთ მიწის გადასახადს. ამით საზოგადოება მოიგებს და კლანური დაჯგუფებები კი დაზარალდებიან. ჩვენი განცხადებები ოლიგარქებს ნერვებს უშლის, მაგრამ პატიოსანი ხალხი ჩვენი მმართველობის დროს წელში გაიმართება.

***იზო რიკაძე***

# ფულის მოპარვა „არისტოკრატიული“ მეთოდით

როგორც ჩანს, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ გავრცელებული კრიმინალური დანაშაული — კომპიუტერული თაღლითობა, ანუ „ჰაკერობა“, საქართველოშიც იკიდებს ფეხს. რამდენიმე დღის წინ, თბილისის საოლქო სასამართლომ განიხილა სწორედ ჰაკერობისათვის დაკავებული 50 წლის ზურაბ ცინაძის საქმე. ცინაძეს პროკურატურა ჰაკერული ოპერაციების განხორციელებაში და ამ გზით სოლიდური თანხის — 32.000 აშშ დოლარისა და 10.000 ლარის მითვისებაში სდებს ბრალს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ გამოძიების ცნობით, ქართველი ჰაკერი თურმე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს უწვალებლად (თუმცა, ბევრისთვის გაუგებარი მაქინაციებით) ამერიკის ბანკებში გახსნილი საბანკო ანგარიშებიდან აცლიდა სოლიდურ თანხებს.

„ჰაკერობა მას შემდეგ გახდა მსოფლიოს სამართალდამცავ ორგანოთა თავსატეხი, რაც კომპიუტერი გამოიგონეს. ამ საქმეს პროფესიონალი თაღლითები, სერიოზული ბოროტმოქმედნი ეწევიან, — გვითხრა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა ზაზა ქაჩიბაიამ, — დანაშაულის ამ სახეს ინტელექტუალურსაც კი უწოდებენ“. აღსანიშნავია, რომ ზურაბ ცინაძე საკმაოდ განათლებული პიროვნებაა, პროფესიით ფიზიკოსია, მეცნიერების დოქტორი. წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. 1989 წლიდან ცინაძე ეროვნულ მოძრაობაში ჩაერთო, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს საქართველოს პარლამენტში საგარეო ურთიერთობის სამმართველოს უფროსად მუშაობდა. მოგვიანებით, პარლამენტსაც და უნივერსიტეტსაც თავი დაანება და სიგარეტის ბიზნესს მიჰყო ხელი. რამდენიმე წლის მანძილზე შპს „ომეგას“ კომერციული დირექტორიც გახლდათ, საიდანაც 2001 წელს წამოსულა. ბოლო დროს, როგორც პროკურატურა აცხადებს, ზურაბ ცინაძეს ოფიციალური სამსახური არ ჰქონია და აქტიურ, შემოსავლიან საქმიანობას არ მისდევდა. თუმცა, თავად ცინაძე ამას უარყოფს და ამბობს: — 1997 წლიდან გახსნილი მაქვს შპს „ნაციონალი“. ფირმას უცხოეთიდან შემოჰქონდა სხვადასხვა ტექნიკა, მათ შორის, კომპიუტერული და საქართველოში მის ყიდვა-გაყიდვას ეწეოდა. რაც შეეხება კომპიუტერული სისტემებისა და პროგრამების ცოდნას, ამაში მხოლოდ თეორიულად ვერკვევი, პრაქტიკულად კი კომპიუტერთან შეხება არ მქონიაო.

მის ნათქვამს პროკურატურა სარწმუნოდ არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ზურაბ ცინაძე საკრედიტო ბარათებზე „მუშაობდა“.

**ზაზა ქაჩიბაია, გამომძიებელი:** — „ამ შემთხვევაში საქმე ეხება ბარათებიდან თანხების მოხსნას. საკრედიტო ბარათებზე ჰაკერული ოპერაციის განხორციელების ორი მეთოდი არსებობს. პირველი, როცა ჰაკერი აღწევს ამა თუ იმ ბანკის კომპიუტერულ სისტემაში, სხვადასხვა ანგარიშიდან თანხას ხსნის და კომპიუტერის საშუალებით, მისთვის სასურველ ქვეყანაში ან ორგანიზაციის სახელზე გადარიცხავს და შემდეგ თავის საკრედიტო ბარათზე სვამს. ეს გახლავთ „არისტოკრატიული“ მეთოდი, რადგან ამ გზით შესაძლებელია შედარებით დიდი თანხის მოპარვა. მას კომპიუტერულ სისტემებში კარგად გაცნობიერებული, პროფესიონალი ბოროტმოქმედები მიმართავენ. არის მეორე გზაც, შედარებით მარტივი, როცა ჰაკერი ახერხებს ამა თუ იმ საკრედიტო ბარათზე მაგნიტური ველის ჩანაწერის შეცვლას. ამ ოპერაციის ჩატარების შემდეგ მას, პრაქტიკულად, სულ სხვისი ბარათი უჭირავს ხელში და მასზე დასმულ თანხას სურვილისამებრ ხარჯავს. ასეთ შემთხვევებში დიდ ფულს ვერ ხსნიან, ყალბ საკრედიტო ბარათს, ძირითადად, სუპერმარკეტებსა და სამორინეებში იყენებენ“.

პროკურატურის ინფორმაციით, ზურაბ ცინაძე ორივე მეთოდს იყენებდა, თუმცა ის მარტო არ მოქმედებდა. „საქმე გვაქვს ჯგუფურ დანაშაულთან. ცინაძის გარდა დაკავებულია ორი პიროვნება — შალვა გოგუა და რუბენ მანაშეროვი. პირველი — ცინაძის ყოფილი სტუდენტი გახლავთ, მანაშეროვი კი მისი ახლობელია. სხვათა შორის, ჩხრეკისას ამ უკანასკნელის ბინიდან 300.000 ყალბი აშშ დოლარი ამოვიღეთ. ამჟამინდელი ინფორმაციით, ჯგუფის წევრთაგან მხოლოდ ცინაძეს ჰქონდა ოფიციალურად „ინტელექტბანკსა“ და „საქართველოს ბანკში“ ანგარიშები გახსნილი და, შესაბამისად, გააჩნდა საკრედიტო ბარათებიც. სწორედ მის ანგარიშზე ხდებოდა უცხოელების საბანკო ანგარიშებიდან მოპარული თანხის გადარიცხვა. გვაქვს ცნობა, რომ ამ გზით



რატომ ჩამოვიდნენ FBI-ს თანამშრომლები საქართველოში

ჯგუფმა 98.000 აშშ დოლარის მოხსნა შეძლო, ნაწილი — 18.000 აშშ დოლარი, გაანაღდეს კიდეც. დანარჩენის განაღდება ვერ შეძლეს, რადგან დაზარალებულ კლიენტებს განცხადებები უკვე დაწერილი ჰქონდათ და ბანკის თანამშრომლებიც გაფრთხილებული იყვნენ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. ასეულობით ამერიკელი კრედიტორი აცხადებს, რომ არანაირი თანხა არ გადაურიცხავთ საქართველოში. საქმე FBI-მდე მივიდა. ბიუროს წარმომადგენლები საქართველოშიც ჩამოვიდნენ. იმ დროისთვის ჩვენ ცინაძე უკვე დაპატიმრებული გვყავდა. მოგვიანებით, გოგუა და მანაშეროვი დავაკავეთ“.

ქაჩიბაიას თქმით, 98.000 აშშ დოლარის მოხსნის შესახებ ინფორმაცია კი არსებობს, მაგრამ ამას ჯერ დადასტურება სჭირდება. ამიტომაც ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე პროკურატურამ ცინაძეს, გოგუასა და მანაშეროვს ოფიციალურად მხოლოდ 32.000 აშშ დოლარისა და 10.000 ლარის თაღლითური გზით მითვისების შესახებ წარუდგინა ბრალდება.

შალვა გოგუა და რობერტ მანაშეროვი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფენ. თავს უდანაშაულოდ ცნობს ზურაბ ცინაძეც. სასამართლო სხდომა დახურულად ჩატარდა, თუმცა ბრალდებულთან საუბარი მაინც მოვახერხეთ.

**ზურაბ ცინაძე:** — „არანაირი რეალური არგუმენტი ჩემს საწინააღმდეგოდ არ გააჩნიათ. ცხადია, რომ პროკურატურა რაღაცით არის დაინტერესებული. სინამდვილეში საქმე შემდეგშია: სამი წლის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „ომეგას“ კომერციული დირექტორი გახლდით, ერთმა პიროვნებამ, რომელსაც საკუთარი ბიზნესი ჰქონდა, ფირმიდან წაიღო 300.000 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. სწორედ ამის გამო მომიხდა „ომეგაში“ უსიამოვნება. ეს პიროვნება საზღვარგარეთ წავიდა და დამპირდა, — ვალს იქიდან, ნაწილ-ნაწილ გაგისტუმრებო. მირჩია, ბანკში ანგარიში გამეხსნა და „მასტერკარდის“ ან ვიზაბარათები ამეღო. ასეც მოვიქეცი, რადგან მას სურდა თანხა პირდაპირ ჩემს ანგარიშზე გადმოერიცხა, სხვა გზით ბანკების საშუალებით ფულის გამოგზავნა არ უნდოდა. მითხრა, — ისინი უშიშროებასა და ძალოვან სტრუქტურებთან არიან შეკრულნი, მთელი ინფორმაცია მოწმდება და ზედმეტი პრობლემის შექმნა არ მინდაო. ამაში რას გულისხმობდა, არ ვიცი და არც დავინტერესებულვარ, ჩემთვის მთავარი ვალის გასტუმრება იყო. მართლაც, თანხას ნაწილ-ნაწილ მირიცხავდა, მაგრამ რა ფული იყო ეს, არც ეს ვიცი და არც გარკვევა მიცდია. ვიცი, რომ ეს პიროვნება უმთავრესად საზღვარგარეთ ცხოვრობს, საქართველოში დროდადრო ჩამოდის. ორმაგი მოქალაქეობა აქვს — ისრაელისა და აშშ-ის. გამომძიებელს არაერთხელ ვუთხარი ამის შესახებ, გვარიც დავუსახელე, მაგრამ რატომღაც სიმართლის გარკვევა არ აინტერესებს. პროკურატურისთვის მთავარია მე დამაპატიმროს და მთელი ეს გაუგებრობა მე მომაწეროს. სამწუხაროდ, მას სასამართლოც უბამს მხარს.“

ბრალდებულები ყველაფერს უარყოფენ და ირწმუნებიან, რომ პროკურატურა მათზე ზეწოლას ახდენს. რაც შეეხება პიროვნებას, რომელიც ცინაძის ვერსიით, მას ფულს ურიცხავდა, გამომძიებლის თქმით, მისი ვინაობა, ისევე, როგორც ადგილსამყოფელი, დღემდე დაუდგენელია.

„ეს პიროვნება საქმიდან გამომდინარე არ გვაინტერესებს. ცინაძის წინააღმდეგ გამოძიებას რეალური მტკიცებულებები უკვე აქვს მოპოვებული. ეს გახლავთ ფოტომასალა, ჩვენებები და „ინტელექტბანკის“ მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია. თუმცა, რამდენიმე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება კიდევ დარჩა ჩასატარებელი, რომელსაც ბოლომდე მივიყვანთ“, — განაცხადა ქაჩიბაიამ.

***მეგი ცანავა***

# „რეიტინგი–კავკასიამ“ ნაყინის ბაზარზე არსებული ვითარება შეისწავლა

სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრი “რეიტინგი კავკასია“ სისტემატურად შეისწავლის და აქვეყნებს სამომხმარებლო ბაზარზე არსებული ვითარების შედეგებს. გაზაფხულზე, პირველად ქართულ მედიაში, ფართოდ გაშუქდა ცენტრის მიერ დადგენილი 2002 წლის 10 საუკეთესო ქართული პროდუქტი. ასევე 10 საუკეთესო კომპანია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოების, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების, დაზღვევის და კვების პროდუქტების წარმოების სფეროებში.

ამჯერად გთავაზობთ მონაცემებს ნაყინის ბაზრის შესახებ. გამოკითხვა 1200 რესპოდენტზე, თბილისში ჩატარდა. შედეგებმა აჩვენა, რომ კომპანია “თოლია“ ქართული ნაყინის ბაზარზე ლიდერია და კონკურენტები მას სერიოზულად ჩამორჩებიან. “თოლია“ ლიდერია როგორც მთლიანად მწარმოებლებს შორის, ისე ნაყინის სახეობების მიხედვითაც. მეორე ადგილზეა “გურჯაანი“, რომლის რეიტინგს სერიოზულად ავნო გავრცელებულმა ინფორმაციამ ამ ფირმის ნაყინებში ნაწლავის ჩხირის არსებობის თაობაზე. ფირმის მიერ განხორციელებულ კონტრზომები ნაკლებეფექტური აღმოჩნდა, თუმცა ფირმამ ლიდერთა შორის ადგილი შეინარჩუნა. მესამე ადგილზეა ფირმა “სამგორი“, რომელიც ასევე არაერთი სახეობის ნაყინს აწარმოებს.

***ნაყინის მწარმოებელი 3 საუკეთესო კომპანია***

1. **„თოლია“ - 30,9%**
2. **„გურჯაანი“ - 23,2%**
3. **„სამგორი“ - 11,9%**

***ნაყინის ყველაზე პოპულარული 5 საუკეთესო სახეობა***

1. **„ლოლო“ (“თოლია“) - 16,3%**
2. **„სენდვიჩი“ (“თოლია“) - 14,6%**
3. **„ჯოკერი“ (“გურჯაანი“) - 12,4%**
4. **„საამო“ (“გურჯაანი“) - 10,8%**
5. **„სამეფო“ (“სამგორი“) - 11,3%**

დასახელდა როგორც ზემოაღნიშნული, ისე სხვა ფირმების სხვა სახეობის პროდუქციაც, მაგრამ მათი შედეგები საუკეთესო საშუალო რეიტინგულ მაჩვენებელზე დაბალი იყო და ვერანაირ ზეგავლენას ვერ ახდენდა საბოლოო სურათზე, რის გამოც ისინი საბოლოო შედეგებში არ დაფიქსირდნენ. გამოკითხვამ აჩვენა ისიც, რომ თბილისელთა 16,3% საერთოდ არ მიირთმევს ნაყინს.

**სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრი “რეიტინგი-კავკასია“**

R




სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი“

უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით

- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ
- სწრაფად
- გარანტირებული ეფექტით

მის: კოსტავას 63

25 27 09



ქართულ-გერმანული საშუალო სკოლა

„A - Z“ (ანი-ცეტი)

*დაფუძნდა 2000 წლის სექტემბერში საქართველოს განათლების სამინისტროსა და საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით.*

- ევროპული ტიპის ქართული სკოლა;
- მაღალკვალიფიციური ქართველი და გერმანელი პედაგოგ-მასწავლებლები და არასტანდარტული საავტორო პროგრამები;
- რიგი საგნების გერმანულ ენაზე სწავლება;
- მცირერიცხოვანი კლასები;
- ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები უცხოელ და გერმანულენოვანი ქვეყნებიდან ჩამოსული მოსწავლეებისათვის;
- კონსულტაციები და ინდივიდუალური დახმარება დღის მეორე ნახევარში;
- ესთეტიკური აღზრდის სტუდიები და სპორტული სექციები;
- მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა პარასკევობით;
- ორჯერადი კვება, სუფთა, კეთილმოწყობილი, არასტანდარტული საკლასო ოთახები; ავტონომიური გათბობა და ტრანსპორტი.

*ჩვენ თქვენი შვილების საფუძვლიან განათლებასთან ერთად მათ თავისუფალ, მოაზროვნე, შემოქმედებითუნარიან პიროვნებებად ჩამოყალიბებაზეც ვზრუნავთ.*

მიღება I - IX კლასებში.

მის: ფიზკულტურის ქ. 16 (სპორტის სასახლის უკან)

☎ 93-40-66; 52-10-05 (19 სთ-დან); 899-19-60-53; 893-34-04-42

# მარიამობას გილოცავთ!




28 აგვისტოს, ორკვირიანი მარხვის გასრულების შემდეგ, ხორციელად და სულიერად განწმენდილი ქრისტიანული სამწყსო სიხარულით ეგებება ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს, სიხარულით, იმიტომ, რომ სწორედ ღვთისმშობლის ცად ამაღლების შემდეგ, შეიძინა კაცობრიობამ უდიდესი მფარველი და მეოხი უფლის წინაშე.

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის არაერთხელ გვიამბია წმ. მარიამის დედამიწაზე ყოფნის უკანასკნელ დღეებზე და მის თანხმლებ სასწაულებზე. არასოდეს გვითქვამს რაიმე ღვთისმშობლის გარეგნობაზე, რაც უთუოდ დააინტერესებს ჩვენს მკითხველს. ეკლესიის ისტორიკოსი ნიკიფორე კალისტე (XVს.) ეპიფანე კვიპრელზე დაყრდნობით გადმოგვცემს, რომ ღვთისმშობელი „იყო საშუალო სიმაღლის, სახე ჰქონდა ხორბლის ნაყოფის ფერისა, გამოხედვა სწრაფი, გამჭოლი, წარბები მშვილდივით გადაჭიმული, მუქი ფერისა, ცხვირი საშუალო, ბაგეები ვარდისფერი და ტკბილმოუბარი. სახე არც მთლად მრგვალი, ხელის მტევანი და თითები მოგრძო... საუბრისას კეთილი ზნის მაგალითს იძლეოდა, არ იცინოდა, არ აღშფოთდებოდა ხოლმე, სრულიად უბრალო, ყოველგვარ ხელოვნურობას მოკლებული, განებივრების, განაზებისაგან შორს მდგომი, სრული მორჩილებით გამოირჩეოდა. ტანსაცმელს ატარებდა უბრალოს. უპირატესობას ანიჭებდა ბუნებრივ ფერებს. ყოველ მის საქმეში ღვთაებრივად ანათებდა უხვი მადლი“. ღვთისმშობელმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ლოცვაში გაატარა. იგი დღედაღამ ლოცულობდა.

შეგახსენებთ, რომ ღვთისმშობელს წინასწარ ეუწყა სულიწმიდისაგან ამ სოფლიდან გასვლის ჟამი. ღვთის სიტყვის საქადაგებლად მთელ მსოფლიოში გაფანტული მოციქულები სასწრაფოდ დაბრუნდნენ იერუსალიმში და მთელი ღამე მასთან ერთად ლოცულობდნენ. გამთენიისას ღვთისმშობელმა იაკობ მოციქულთან წმინდა ზიარება მიიღო.

და აი, მოდგა ჟამი იგი... ირგვლივ ყველაფერი ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინდა, თავად ქრისტე ღმერთი მობრძანდა. გამოუთქმელი დიდებით და საკუთარი ხელებით მიირქვა უბიწო სული ღვთისმშობლისა და აამაღლა ზეცად.

საქრისტიანო მოამბე

## მკრეხელობას ზღვარი არ აქვს

ამერიკის მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენლებმა საპროტესტო განცხადებით მიმართეს ქალაქ მაიამის მერს. საქმე ისაა, რომ ფლორიდაში გაიხსნა დისნეი-ლენდის მემკვიდრე, ე.წ. „ბიბლიური პარკი“. მნახველებს, $30-იანი ბილეთის ყიდვის შემდეგ, საშუალება ეძლევათ შეხვდნენ პარკში მოსიარულე რამდენიმე „იესო ქრისტეს“, „მთავარანგელოზებს“, „მოციქულებს“ და სხვ. პარკში შოუს სახით იდგმება ბიბლიური ეპიზოდები, პარასკეობით კი ტარდება „მაცხოვრის ჯვარცმის“ თეატრალიზებული წარმოდგენა.

ამერიკელი ქრისტიანები მოითხოვენ შეწყდეს ეს არნახული მკრეხელობა და დაუყოვნებლივ დაიკეტოს პარკი.

ფესვებთან მიახლება

# ღვთისმშობელი მარიამ-მართას თვალებით

„უწყოდეათ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“, — ასე ბრძანა დიდმა გიორგი ათონელმა, როდესაც ბიზანტიის დედოფალი თეოდორა სასახლიდან გაასვენეს და უმალ „სამეუფეოდ შემოიყვანეს“ თეოდორას შვილობილი, ქართველთა მეფის, ბაგრატ IV-ის ასული მართა. თურმე ყველას დაავიწყა საგლოველი მისმა მშვენიერებამ.

ახდა დიდი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება. ჭკვიანი, წიგნიერი, მომხიბლავი მარიამი ბიზანტიის იმპერატორის, მიხეილ დუკას თანამეცხედრე გახდა (მაშინ უწოდეს დედოფალს მარიამი). ამ უაღრესად განსწავლულმა ქალმა დიდი როლი ითამაშა საქართველოსა და ბიზანტიის ცხოვრებაში.

მისი თხოვნით დაწერა ცნობილმა ღვთისმეტყველმა და ფილოსოფოსმა თეოფილაქტე ბულგარელმა იოანეს სახარების განმარტება, ტრაქტატი აღზრდის შესახებ მარიამის ვაჟის, მომავალი იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის (იგი ცნობილი პოეტიც იყო), მარიამს ბავშვობიდანვე ურთიერთობა ჰქონდა გიორგი ათონელთან. მისი სახსრებითა და შეკვეთით იწერებოდა და მრავლდებოდა წიგნები ქართული და ბერძნული ეკლესიებისთვის, შენდებოდა ტაძრები, იწერებოდა ხატები...

მარიამმა და დედამისმა, დედოფალმა ბორენამ, რომელიც მშვენიერი პოეტიც იყო, ააშენეს კაპათას დედათა მონასტერი იერუსალიმში. ამ უსათნოესი ქალის სახე ანათებს კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიოს ტაძრის ფრესკიდან და გელათის მონასტრის მოზაიკის ღვთისმშობლის ხატიდან (საგულისხმოა, რომ გელათის ღვთისმშობლის სახედ დედოფალი მარიამი მისი ძმისწულის, დავით აღმაშენებლის ნებით დაუხატავთ. ეს ფაქტები არ არის უცნობი ქართველი მწერლებისა და წარსულის მკვლევართათვის)...



ბიზანტიის სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალების შედეგად მოკლეს მიხეილ V. მარიამი, იმ პირობით, რომ კონსტანტინეს გაამეფებდა, ცოლად გაჰყვა მისი დიდი ხნის მოთაყვანეს, ახალ იმპერატორს ნიკიფორე ბოტანაიტისს.

მხოლოდ შვილის სიკვდილის შემდეგ ჩამოშორდა ბიზანტიის ქართველი დედოფალი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას და მონაზვნად აღიკვეცა.

მარიამი მხარში ედგა თავის ძმისწულს, დავით აღმაშენებელს საერო თუ საეკლესიო საქმიანობაში. ერთი ცნობით, მას მონაწილეობა მიუღია რუის-ურბნისის კრებაში...

საქრისტიანო მოამბე

# რუის-ურბნისის კრება — „...ივერიას კვლავ უწერია გაბრწყინება“ —



1103 წელს, 900 წლის წინ, წმინდა მეფემ, დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც სრულიად საქართველოს ცხოვრება შეცვალა. კრებაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა არა მხოლოდ ეკლესიის გამთლიანება შეძლო, არამედ ქართული სახელმწიფოს გაძლიერებაც. რეფორმების საფუძველი ერის და ბერის ერთსულოვანი შეკვრა იყო. მეფემ განაჩინა და მანვე აღასრულა.

ქრისტიანული აღმსარებლობის 2000 წლის მანძილზე საქართველოში არ ჩატარებულა ასეთი მნიშვნელობის საეკლესიო კრება. ამ მოვლენის 900-წლოვანი იუბილე საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებით, 17-19 აგვისტოს, რუის-ურბნისშივე ვიდღესასწაულეთ. რუის-ურბნისშივე ჩატარდა წმინდა სინოდის კრება სიმბოლოდ იმისა, რომ დაქუცმაცებული ქვეყნის გამთლიანება ისევ ეკლესიიდან უნდა დაიწყოს. ურბნისის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა მოეწყო, ხოლო რუისის საკათედრო ტაძარში აღესრულა წირვა-ლოცვა, რომლის დასასრულს უწმინდესმა ბრძანა: „...ჩვენ მივმართეთ პრეზიდენტს, პარლამენტს, ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებს, ინტელიგენციას, სამღვდელოებას, ახალგაზრდობას და მთელ ერს და კიდევ ერთხელ ვახსენებთ, თუ რამდენად საჭიროა ერთსულოვნება. ჩვენ ვახსენებთ იმ სისუსტეებს და დანაშაულს, რასაც ჩვენ ხშირად ჩავდივართ... ჩვენ გვავიწყდება, რომ ვართ 2000-წლოვანი ეკლესიის წევრები... ამ 2000-მა წელმა ფერისცვალება უნდა მოახდინოს ჩვენს გულში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღვთის შვილები ვართ და ღვთის იარაღი უნდა ვიყოთ და არა ბოროტი სულისა...“




საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სამთავისი-გორის და რუის-ურბნისის ეპარქიებში ჩააბრძანა მართლმადიდებელთა ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე, მაცხოვრის სამსჭვალი, რომელიც საქართველოს საპატრიარქოშია დაბრძანებული. ურბნისის საკათედრო სხდომის დროს დაბრძანებული იყო ნეოფიტე ურბნელის წმინდა ნაწილი...

რუის-ურბნისის წმინდა სინოდის სხდომის განჩინებით, საქართველოს შეემატა 5 ახალი ეპარქია: გურჯაანის და ველისციხის; საგარეჯოსა და ნინოწმინდის; ფშავ-ხევსურეთის; სენაკისა და ჩხოროწყუსი. წმინდანებად შეირაცხნენ ათონში და შემდეგ ბეთანიაში მოღვაწე არქიმანდრიტი იოანე მაისურაძე და მასთან ერთად მოსაგრე გიორგი მხეიძე; იოანე ზედაზნელის მონასტერში მოღვაწე, 5532 ქართული საეკლესიო საგალობლის გადამრჩენელი ექვთიმე კერესელიძე; ფერეიდნელი ქართველები, რომლებიც ეწამნენ შაჰ-აბასის დროს და ლაზები, რომლებიც ეწამნენ მუსლიმანებისაგან.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია -მ მოილოცა სამთავისი-გორის და რუის-ურბნისის ეპარქიების ტაძრები. მის შესახვედრად გზაზე გამოსულმა და ტაძარში მყოფმა ურიცხვმა მრევლმა მოწიწებით მიიღო მისი ლოცვა-კურთხევა.

საქართველოს ეკლესია, რუის-ურბნისის კრებიდან 900 წლის შემდეგ, ამ დღესასწაულის აღნიშვნასა და რუის-ურბნისში ჩატარებულ წლევანდელ საეკლესიო კრებას საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების დასაწყისის სიმბოლოდ თვლის...

„...ივერიას კვლავ უწერია გაბრწყინება, გამთლიანება და სამშვიდობო გზაზე გასვლა. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ მოვესწრებით ამას“ — ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რუისის საკათედრო ტაძარში.

# — ვიხილე გაბრიელ ათონელი, მთიდან მოდიოდა...



ქუთაისელი **თორნიკე ჯგერენაია** „კვირის პალიტრამ“ შარშან გააცნო მკითხველს. ორი წელია, რაც მის თავს უცნაური, ერთი შეხედვით აუხსნელი ამბები ხდება — დროდადრო თორნიკეს ხილვები აქვს. უხილავი და შეუცნობელი ძალა ხელში კალამს აღებინებს და აპოკალიფსის თემებზე სურათებს ახატვინებს. მეტიც, ხილვებსა და გამოცხადებებში იგი წმინდანებით გარშემორტყმულ ღვთისმშობელს ხედავს, უსმენს მას და ცდილობს ჩვენ, მიწიერ არსებებს, გადმოგვცეს ის, რაც ჩვეულებრივი თვალისთვის უხილავია, ჩვეულებრივი ყურისთვის — უცხო. ამასთან, მის სხეულზე პერიოდულად სტიგმატები ჩნდება — იესო ქრისტეს ჯვარცმის სისხლმდინარე ჭრილობები — ხელის მტევნებსა და ტერფებზე — ნალურსმნები, ფერდზე — შუბის კვალი, შუბლზე — ნაეკლარები, ზურგზე — ნაშოლტარები.

თორნიკე რედაქციაში გვეწვია და კიდევ ერთხელ შეგახვედრებთ მასთან.

— არაფრით გამორჩეული ბავშვი არ ვყოფილვარ, ვსწავლობდი, ვთამაშობდი და ვცელქობდი, როგორც ყველა სხვა. ოღონდ ეგ არის, ხატვა მიყვარდა და... ქარგვა. ქარგვა მეოთხე კლასიდან დავიწყე, არაფერი განსაკუთრებული არ იყო იმ ნაქარგებში მანამ, სანამ ხილვები და გამოცხადებები არ შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში. ძნელია იმის აღწერა, რაც ჩემში ხდება ამ დროს — ჩემს თავს არ ვეკუთვნი. ნათლად ვხედავ ღვთისმშობელს, ანგელოზებით გარშემორტყმულს. მკრეხელობად ნუ ჩამითვლით, მაგრამ იგი მესაუბრება და თან მავალებს ჩემ გვერდით მყოფთ ვაუწყო მისი დანაბარები. რაღაც ძალა მალაპარაკებს, მახატვინებს, ხატებს მაქარგვინებს. ჩვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, არც შეიძლება მცოდნოდა ის, რასაც ვხედავ და რაც მესმის. თითქოს ვიღაც მკარნახობსო, ისე მოდის სიტყვათა წყობა...

აი, ეს ბოლო ნაქარგი ხატია დედა ღვთისმშობლისა. იქ, ხილვაში, ბევრად ბრწყინვალე და პატიოსანი თვლებით იყო შემკული, მაგრამ თვა-ლებიდან სისხლის ცრე-მლები სდიოდა. მეც ვცდილობ, ძვირფასი ქვები (ან ნახევრად ძვირფასი) მოვიპოვო და მოვქაზმო ნაქარგი. ამ ხატს მწვანე ფონი ჰქონდა თავიდან, ახლა ხომ ხედავთ, როგორი მუქია... ერთ სასწაულსაც გაგიმხელთ — ხატი მირონმდინარეა... არ ვიცი და ვერც ავხსნი, როგორ ხდება ეს და მართალი გითხრათ, არც მინდა რაიმე ახსნა-განმარტება მოვუძებნო ამ საოცრებას.

ხილვებს, როგორც წესი, წინ უსწრებს სტიგმატების გამოჩენა. ხელფეხზე ისინი ნაკლებად სისხლმდინარეა. ამ გაზაფხულზე, ბრწყინვალე აღდ-გომას, ისევ გამეხსნა იარები. ზურგზე გამჭოლი სისხლმდინარე ჭრილობები ახლაც ნათლად ჩანს, შუბლზე კი — ეკლის გვირგვინის ნაკაწრები. ასეთ დროს შოლტის ზუზუნი მესმის. ვერ ვიტყვი, ძალიან მტკივნეულია-მეთქი, შევეჩვიე კიდეც ამ იარებს.

განგებამ დიდი ბედნიერება მარგუნა — შევხვდი სრულიად საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს, მისი კურთხევა მივიღე. მასზე ხილვაც მქონდა. ვიხილე ტახტი, რომელიც პატრიარქის ტახტი უნდა იყოს. იგი საქართველოზე იდგა. გარს შავკაბიანი პირები ეხვია. მათზე კი ეშმაკი იყო გაწოლილი. პატრიარქის გვერდით, მის ქომაგად, ორი სამღვდელო პირი იდგა. მათ სახეებს ნათლად ვხედავდი, მაგრამ ჯერ ვერ დავასახელებ. შავკაბიანი სასულიერო პირები ტახტის განადგურებას ლამობდნენ, მაგრამ ამაოდ. იქვე ვიხილე გაბრიელ ათონელი (გაბრიელ სალოსი, რომელმაც ზღვიდან გამოაბრძანა ივერიის ღვთისმშობლის ხატი), მთებიდან მოდიოდა, ხელთ თასი ეპყრა. თასში კი პურის მარცვალი ეყარა. მიბრძანდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან, რომელსაც თორმეტი ანგელოზი, ქერუბინები და სერაბიმები ერტყა გარს. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა მიმართა მას: სახე ჩემი დადარდიანდა, რამეთუ განარისხეს ძე ჩემი, შეურაცხყოფენ ძეს ჩემსას, ეკლით მიმოსვენ და ხალხი კვლავ გაიძახის — ბარაბა, ბარაბაო... ძე ჩემი განრისხებულ არს და მე დარდიანი ვარ, რამეთუ არ აეხილა თვალი ხალხს, დაეხშო გონება და არად აგდებენ ჩემს ცრემლებს. აიღე ეგ თასი და მიმოაბნიე მადლი ესე, რამეთუ გაბრწყინდეს ადამიანთა გონება. უნდა ილოცოს ხალხმაო, და სამი ადგილი მიანიშნა.

გაბრიელ ათონელმა მითითებულ ადგილას მართლაც მიმოაბნია პურის მარცვალი და, საბედნიეროდ, ისევ დავინახე პატრიარქის ტახტი, მკვიდრად მდგარი. ხოლო ის შავოსნები, რომელთაც მისი შემუსვრა სურდათ, დაჩიავებულნი, ზურგით მდგარნი, დამარცხებულნი ვიხილე.

ამ ხილვამ მიბიძგა და მას შემდეგ შევქმენი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც დღეს, პატრიარქის კურთხევით, ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიაშია დაბრძანებული.

რაც შეეხება ნახატებს, უმთავრესად აპოკალიფსის თემაზე ვხატავ.

ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან ცარიელი ფურცელი ვიყავი, რაღაც ძალამ მომკიდა ხელი და დამანახვა ის, რაც მიუწვდომელია და დიადი. მომავალი ცხოვრების გზაც ჩემთვის ნათელია — ამ ხატწერას უნდა გავყვე. ეს ძალიან რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. მაგრამ უკვე ველარ შევძლებ ამის გარეშე ცხოვრებას. ჩემ ირგვლივ უამრავი ადამიანია, ვინც გვერდით მიდგას, მამხნევებს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც რატომღაც აგრესიას ავლენენ ჩემ მიმართ. ეს გასაკვირი არ არის. მთავარი ის არის, რომ უფალმა დამანახვა გზა, რომლითაც უნდა ვიარო.



*გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ*

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



CMYK

# ხუთტონიან ჯვარს ხალხი თავად მიაბრძანებს სამების ტაძარში...

## ტაძრის აგებისას გინესის რეკორდზე არავინ ფიქრობს

*მალე სამების ტაძრის მშენებლობა დასრულდება. მის გუმბათზე აღმართავენ ულამაზეს მოოქრულ ჯვარს, რომელიც მთელი თავისი სიდიადითა და ბრწყინვალებით დაადგება თავს თბილისს. ჯერჯერობით კი ეს ჯვარი ჯვარისმამის ეკლესიის ეზოშია. მასზე მუშაობა არ დასრულებულა. მრევლს მიეცემა უნიკალური საშუალება, ემთხვიოს ჯვარს, რომელიც თითქმის 100 მეტრ სიმაღლეზე უნდა ააბრძანონ.*

*ამ ეკლესიის ეზოში შევხვდით საპატრიარქოს მხატვარს* ***გიორგი ღუდუშაურს****:*

— ჯვარი სიმაღლით 7 მეტრია, სიგანით — 3,5 მეტრი. გაკეთებულია უჟანგავი ლითონისაგან, ზედ გადაეკვრება მოვერცხლილი სპილენძის ფურცლები, რომლებიც შემდეგ მოოქროვდება. უმჯობესის ძიებაში ყველანაირი ოქროდაფარვა შევისწავლეთ, რომელიც კი გამოუყენებიათ საქართველოში, უცხოეთში და საუკეთესო ტექნოლოგიად მივიჩნიეთ გალვანური. ამ წესით არის მოოქრული კრემლის ვარსკვლავებიც.

**— ჯვრის დამზადება ალბათ საკმაოდ ძვირი დაჯდება.**

— პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და კეთილი ადამიანების შეწევნით, მოვახერხეთ, რომ ჯვარი სამების ტაძრის მშენებლობის ფონდიდან არ დაგვეფინანსებინა და ეკლესიას თავისი სახსრებით გაეკეთებინა. პრეზიდენტმაც გაიღო ფული, ბიზნესმენებიც უანგაროდ დაგვეხმარნენ. ასეთი მოცულობის სამუშაო საქართველოში არ ჩატარებულა. ჩვენ მოგვიხდა წარმოების აწყობა. ეს რას ნიშნავს, მარტო მეწარმემ იცის. დაგვჭირდა სახელოსნოები, მუშახელი.

**— ამხელა ჯვრის მოოქროებას საკმაოდ ბევრი ოქრო დასჭირდება.**

— ოქროსთვის „კვარციტს“ ვეწვიეთ. შიდაგაყიდვა ჩვენში არ ხდება. ეს ოქრო ლონდონში მიდის და იქიდან გამოგიწერთო. მიხარია, რომ ეს ჯვარი ქართული ოქროთი დაიფარება... მოოქრული ფირფიტები ჯვარს ნაწილ-ნაწილ დაეკვრება. უკანა მხრიდან გვინდა დავაწეროთ მათი სახელები, ვინც წვლილი შეიტანა ჯვრის გაკეთებაში.

**— ამხელა მოცულობისა და წონის ჯვარი ტაძრის გუმბათზე როგორ უნდა აღმართოთ?**

— ჯვარი მთლიანად ალბათ 5 ტონა იქნება. ამისათვის გვაქვს საგანგებო ამწე. ჯვრის კონსტრუქცია საკმაოდ რთულია. მასში უნდა გაიაროს ოპტიკურ-ბოჭკოვანმა კაბელმა, რომელიც ჯვრის ზედა მხარეს გაანათებს, რომ რომელიმე საფრენი ობიექტი არ წამოედოს.

**— სადაც ჯვარი უნდა დამაგრდეს, იმ სიმაღლეზე, ძლიერი ქარი ქრის. ქარი არ შეგიშლით ხელს ამ სამუშაოს დროს?**

— ჯვარი დახვრეტილია. ქარი დახურულ სივრცეს მეტად აწვება. ტაძრის მთავარმა არქიტექტორმა არჩილ მინდიაშვილმა გაითვალისწინა ქარის ფაქტორი და ისე გააკეთა, რომ ის მაქსიმალურად დაცული იყოს სტიქიისგან.



გიორგი ღუდუშაური

ეს ქიმიკატები რომ გვქონდეს, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს, ჯვართამაღლების დღეს – 27 სექტემბერს უკვე შევძლებდით ჯვრის აღმართვას... ძალიან გვინდა, მისი სამების ტაძარში გადაბრძანება დღესასწაულად იქცეს.



„...ამ მოვერცხლილ დეტალებს მოვაოქროებთ და შემდეგ ჯვარზე დავამაგრებთ“

**— ჯვარი ჯვარისმამის ეკლესიის ეზოშია, უფრო იოლი არ იქნებოდა, იქვე, სამების ტაძართან გემუშავათ?**

— ჯერ ერთი, სიმბოლურია, რომ ამ ტაძარს ჯვარისმამა ჰქვია. მეორეც... საპატრიარქოს სახელოსნოები აქვეა, იოლია მისასვლელად. თანაც აქ უფრო სხვა განწყობაა. სადაც სამების ტაძარი შენდება, იქ ხმაურია. ჯვარისმამის ტაძრის წინამძღვარი მამა ტარიელი, სახელოსნოების ხელმძღვანელიც არის. ეს ტაძარი, როგორც მამა, ისე მოუვლის და გაამგზავრებს თავის შვილს. ხალხი მოვა, კურთხევას მიიღებს, ემთხვევა ჯვარს...

**— აქედან სამების ტაძრამდე როგორ უნდა გადაიტანოთ?**

— აქ ტრაილერით მოიტანეს და ამწეთი ჩამოიღეს. გაკეთება რომ დავიწყეთ, ვუთხარი უწმინდესს, კარგი იქნება, ჯვარს ბორბლებს თუ გავუკეთებთ, ჩვენ, ხალხი — მივაწვებით და ისე მივაბრძანებთ სამების ტაძარში-მეთქი. მოეწონა ეს აზრი. ისეთი მზიდი გვინდა, რომ ჯვარი არ წაიქცეს, მას მუხრუჭიც უნდა ჰქონდეს, რათა არ დაგორდეს.

**— ახლა რა ეტაპზეა სამუშაო და როდის დასრულდება?**

— სპილენძის ფირფიტები უკვე მოვერცხლილია. მალე მოოქროებას დავიწყებთ. ზარაფხანის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ დაგვახმარა ბატონი გოგი ანთიძე, რომელიც მოვერცხვლისა და მოოქროების საქმეს ხელმძღვანელობს. შემდეგ მოხდება ამ ჯვრის პასპორტიზაცია, ისე, როგორც საიუველირო ნაწარმისა. დაედება დამღა, რომ ნამდვილად ვერცხლია და ნამდვილად ოქრო... ოღონდ ძალიან შეგვაფერხა მოოქროებისთვის საჭირო სპეციალური მარილის უქონლობამ. გალვანოპლასტიკის ეს ხერხი რუსებმა გამოიგონეს. ეს ნივთიერებაც მათვე აქვთ და ძალიან გვაბრკოლებენ... ბოლოს გვითხრეს, 11 აგვისტოს გამოგვიგზავნეთ ხელშეკრულება და მარილს მიიღებთო. გავუგზავნეთ, მაგრამ... თუ მარილი არ მოგვყიდეს, რაღაც უნდა ვიღონოთ. იმასაც ვფიქრობთ, ჩვენთან ხომ არ დავამზადოთ-მეთქი... ეს ქიმიკატები რომ გვქონდეს, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს, ჯვართამაღლების დღეს — 27 სექტემბერს უკვე შევძლებდით ჯვრის აღმართვას... ძალიან გვინდა, მისი სამების ტაძარში გადაბრძანება დღესასწაულად იქცეს. ყველამ მიიღოს მონაწილეობა. კარგი იქნებოდა, რელიგიური დღესასწაულის დღეს რომ დამთხვეოდა.

როგორც მითხრეს, სამების ტაძარი აღმოსავლეთ ევროპაში სიმაღლით მეორე იქნება რუსეთის მაცხოვრის ტაძრის შემდეგ. მათ შორის სხვაობა სულ ცოტაა. სამების ტაძარი მიწის ქვეშ 14 მეტრია, მიწის ზემოთ — 77. ამას ემატება 7 მეტრი — ჯვრის სიმაღლე. რუსეთის მაცხოვრის ტაძარი კი მთლიანად 103 მეტრი სიმაღლისაა. როცა ეს ბატონ გიორგის ვუთხარი, გაეღიმა: ტაძრის აგებისას გინესის რეკორდზე არავინ ფიქრობს. ეს ამოცანა რომ გვქონოდა, შეიძლებოდა მსოფლიოში ყველაზე მაღალი ტაძარი აგვეგო... უბრალოდ, ისე გამოვიდა, რომ სამების ტაძარი აღმოსავლეთ ევროპაში სიმაღლით მეორე იქნება... ეს ხომ არ არის არსებითი!

მართლაც, მთავარი ჩვენი სულიერი სიმაღლეა.

***ლელა ჯიყაშვილი***



# ტრანსვესტიტების შოუ „გაგრიფშში“

## აფხაზური ქრონიკა



● „აფხაზური ავიახაზების“ გენერალურმა დირექტორმა ნოდარ გერზმავამ უარყო საქართველოს მედიის ინფორმაცია თითქოს კრასნოდარელმა სპეციალისტებმა აღადგინეს სოხუმის აეროპორტის დასაჯდომ-ასაფრენი ხაზი, ნავიგაციის სისტემა და ასევე ის, რომ რუსები აფხაზებისთვის ТУ-134-ის ჩუქებას აპირებენ. „უკვე რვა წელია, აეროდრომი მზად არის ყველა ტიპის საჰაერო ხომალდის მისაღებად, მაგრამ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ფრენის უფლებას არ იძლევა“, — განაცხადა გერზმავამ.

● 20 აგვისტოს აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ და აფხაზეთში ორლოვის ოლქის გუბერნატორის წარმომადგენელმა ვალერი ვოუბამ შეხვედრაზე განიხილეს ხელშეკრულება აფხაზეთისა და ორლოვის ოლქის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. ოლქი დაინტერესებულია აფხაზეთთან ეკონომიკის, ტურიზმის და სხვა სფეროებში თანამშრომლობით, ინვესტიციების მიზიდვით.

● გაგრის სანატორიუმებსა და კერძო სექტორებში 45 ათასამდე ადამიანი ისვენებს. დამსვენებელთა დიდ ინტერესს იწვევს სასტუმრო „აფხაზეთთან“ გამართული ატრაქციონები, დაივ-კლუბი — „პოსეიდონთან“, ჩრდილო ოსეთის საცხენოსნო თეატრის წარმოდგენები — ბზიფის იპოდრომზე. ცნობილ სასტუმრო „გაგრიფშში“ კი მოსკოვის ტრანსვესტიტების შოუს გასტროლები მიმდინარეობს. „სამწუხაროდ, იქ, სადაც ოდესღაც შალიაპინი მღეროდა, დღეს ამგვარი შოუ გამოდის“ — აღნიშნავს გაგრის ადმინისტრაციის მეთაური ვალერი ბღანძა.

● 19 აგვისტოს ნალჩიკში ჩატარებულ ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციის კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა აფხაზთა დელეგაცია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის იური არღუნის მეთაურობით. ჩრდილო კავკასიიდან, მოსკოვიდან, სანქტ-პეტერბურგიდან, სირიიდან, იორდანიიდან, აფხაზეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩასულთა მოხსენებებში ხშირად აღინიშნებოდა აფხაზეთის პრობლემები, კერძოდ, ეთნოკულტურის, რეპატრიაციის და ენის შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხები. კონგრესმა მიიღო მიმართვა რფ-ის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის და დსთ-ის ქვეყნების საბჭოს თავმჯდომარის ლეონიდ კუჩმას მიმართ, აფხაზეთის წინააღმდეგ სანქციების გაუქმების შესახებ. აქვე გაფორმდა ყაბარდო-ბალყარეთთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

***აფსნიპრესი***

# თბილისი — ნიუ-იორკი



სათბობ-ენერგეტიკის ახალი მინისტრის პირველი სამუშაო დღე შავად დაიწყო: თბილისი უშუქოდ დარჩა!..

ლიფტებსა და მეტროებში გაჩხერილი თბილისელები ამერიკელებთან შედარებით, რომლებიც ამას წინათ მათ დღეში ჩაცვივდნენ, თავს არხეინად გრძნობდნენ — საქართველოში უკვე 12 წელია შეჩვეულნი არიან სინათლის წასვლა-მოსვლას, ამიტომაც გამოცდილი თბილისელი ამერიკელისაგან განსხვავებით, შინიდან ჯიბის ფარნისა და ასანთის გარეშე არ გავა. 1998 წელს ენერგობაზარზე ამერიკული კორპორაციის შემოსვლა გულუბრყვილო ქართველისთვის დღესასწაული იყო — საქმე თითქოს ცოტათი გამოსწორდა, მაგრამ ასანთს, ნავთს და სანთელს ამ ქვეყანაში ფასი არ დაუკარგავს... ნათელ ცხოვრებას მონატრებული უხელფასო თბილისელები მაინც ახერხებდნენ სინათლის საფასურის გადახდას, მაგრამ ამანაც არ უშველა — „ეი-ი-ესი“, გაკოტრდა და რუსეთის „ეესმა“ იყიდა ყველაფერი, რასაც ედუარდ შევარდნაძის სამშობლოში ამერიკული კორპორაცია ფლობდა.



ახალმა მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ვაჟის, პაატას მეგობარია, განაცხადა, — მომხდარი ვანდალური აქტიაო და ხალხს დაჰპირდა, — ამიერიდან სულ გაჩახჩახებული იქნებითო. საქართველოს პრეზიდენტმა კი ორშაბათის რადიოინტერვიუში ზამთარში ენერგოკრიზისიდან თავის დასაღწევად მოსახლეობას საკუთარი რეცეპტი შესთავაზა — გასათბობად ნუ იხმართ დენს და... გექნებათო! მისი აზრით, ელექტროენერგიის ასეთი ფუფუნების მიზნით გამოყენების უფლება შეიძლება მხოლოდ ორმა ევროპულმა ქვეყანამ მისცეს თავს — საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა. სამაგიეროდ, რუსეთიდან დიდი რაოდენობით გაზის ყიდვას დაჰპირდა. ამერიკისგან განსხვავებით საქართველოში დენის მიწოდება მალე განახლდა. ეს დივერსიის შედეგი ყოფილა.

საქართველოში ბევრი დარწმუნებულია, რომ ახლანდელი დივერსია სხვა არაფერია, თუ არა ზეწოლა როგორც ქართულ ხელისუფლებაზე, ასევე რუსულ „რაოზე“.

ოპოზიცია საშინლად გააღიზიანა „რაო ეესის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელის ტატიანა მილიაევას ნათქვამმა — „ეესი“ შეეცდება, დანგრეულ ქართულ ელექტროქსელებს სული ჩაჰბეროს სარეზერვო ხაზის მეშვეობით, რომელიც სეპარატისტულ აფხაზეთზე გადისო. მაგრამ ეს ქართველი ნაციონალისტებისთვის იგივეა, რაც ხარის ცხვირწინ აფრიალებული წითელი ქალაღაია.

ქართველისთვის ისიც საშინელებაა, მოსკოვზე რომ არის დამოკიდებული, მაგრამ ამაზე უარესია იმის შეგრძნება, რომ ამ ელექტროენერგიას რუსები მტრად მოკიდებული აფხაზეთის გავლით მიაწვდიან.

***ნოე ციურიხ ცაიტუნგი***
***კომერსანტი***

# წითელი მეფეების რივიერა

რუსეთის იმპერია მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოდ, ყველაფერთან ერთად, დაპყრობილმა ტერიტორიებმაც აქცია, რომელთა შორის უმთავრესი შავი ზღვისპირეთია.

რუსეთი ასწლეულობით იბრძოდა შავი ზღვის სამხრეთის ხელში ჩასაგდებად. აქ ხომ ყველაფერი ის იყო, რასაც ნატრობდა: პალმები, ტროპიკული მცენარეები, სილაღე — სამოთხე მეფეებისთვის, საბჭოთა მოქალაქეებისა და ახალი რუსებისთვისაც.

დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ ოდესა და ყირიმი დამოუკიდებელ უკრაინას ეკუთვნის, ხოლო კავკასიური სანაპირო — საქართველოს, რუსეთი მათ მაინც ვერ ელევა. ჯერ იყო და, მისი მეფეები აშენებდნენ აქ საზაფხულო რეზიდენციებს, მერე ლენინმა იქაურობა „მშრომელთა დასვენების კომბინატად“ აქცია. ხრუშჩოვმა — ყირიმის ნახევარკუნძული ხალხთა ურყევი მეგობრობის ნიშნად უკრაინას აჩუქა და... ახლა იგი რუსებისთვის საზღვარგარეთად იქცა, ხოლო ნოვოროსიისკის პორტში რუსეთის გემები იჯარით დგანან. მეორე დაკარგული სამოთხე — აფხაზეთია, გაეროს „ცისფერჩაფხუტიანები“ დარაჯობენ პატარა სეპარატისტულ რესპუბლიკას, რომელმაც 10 წლის წინ, რუსეთის ხელშეწყობით, დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ დოკუმენტებით კვლავ საქართველოს ნაწილია.

ქართველთა სამწუხაროდ, თითქმის შეუმჩნევლად, რუსები ნაბიჯ-ნაბიჯ კვლავ იპყრობენ ამ სამოთხეს. რუსი ინვესტორები სოხუმის სანატორიუმების აღდგენას შეუდგნენ, ხოლო აფხაზებს დიდი ხანია რუსული პასპორტები აქვთ.

***ZDF ონლაინი***

# ფაშიზმი — ანტიფაშიზმის ნიღბით

## ქ-ნი ლებედევა ქართველებთან რუსებს ადანაშაულებს

რუსეთის სახალხო დამცველის, საერთაშორისო ანტიფაშისტური ორგანიზაციის წევრის, ელენა ლებედევას ვიზიტმა საქართველოში არნახული რეზონანსი გამოიწვია როგორც რესპუბლიკაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. მისი ჩასვლის მიზანი თითქოსდა ჰუმანიტარული ხასიათისა იყო — ხონის კოლონიაში მყოფი „ზვიადისტები“ უნდა ენახა, მაგრამ მის სკანდალურ განცხადებას უფრო ნაცისტური ხასიათი ჰქონდა. მაგ. ქ-ნი ლებედევას აზრით, უპრიანი იქნებოდა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა. ის ბრალს სდებს რუსეთის სამშვიდობოებს ნარკოტიკებით ვაჭრობასა და მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცებაში; „სამართალდამცავი“ იმასაც ამტკიცებდა, რომ თითქოს ახალქალაქში მოქმედი სომხური პარტია „დაშნაკცუტუნი“ ნაციონალისტურია, ხოლო იქაური სომხობა ქართველ მოსახლეობას ავიწროებს. ელენა ლებედევამ საქართველოს მთავრობას მოუწოდა, — გულხელდაკრეფით ჯდომას აჯობებს, რაიმე ზომები მიიღოთო.

(გაგრძელება იხ. გვ.27)




საჩუქარი მკითხველისთვის!

ბუთქუნას ყველა სერიას
ნამცხვარი „ზღაპრული“ მოჰყვება

ამიერიდან ბუთქუნას წიგნებს მოჰყვება კუპონი, რომლითაც შეგიძლიათ მიიღოთ „თოლიას“ უგემრიელესი, მომგებიანი ნამცხვრის „ზღაპრულის“ ერთი შეკვრა

კუპონები განაღდდება ყველა სავაჭრო ობიექტში, სადაც იყიდება „თოლიას“ ნაწარმი





ახლა უკვე ყველა წიგნში
კომიქსებია!



ბაავშვებო!
X წიგნში შეიტყობთ, თუ როგორ მოახერხა დანდალომ ცაში აფრენა და რატომ გაიჭედა მაღალი ხის ტოტებში ისე, რომ მეხანძრეებიც კი ვერ დაეხმარნენ გრძელი კიბით... მისი შველა ამჯერადაც ბუთქუნამ და მისმა მეგობრებმა შეძლეს.



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაცაწიები გენიოსობენ

***

**პატარა ლუკას** მამიდა თერმოსში წყალს ასხამს:

— მამიდა, ეს რა არის? — ეკითხება ლუკა.

— თერმოსია, გენაცვალე...

— თერმო ვინ არის?..

***

**4 წლის ზუკა** თამაშისას მღეროდა, ზაზა ეკითხება: — მღერიხარ ზუკა?

— მღერი კი არა, ზუკა ვარ.

***

**პატარა დათო მარჯანიძეს** დედა კითხვაში ავარჯიშებს. 5 წუთის შემდეგ ბიჭმა კითხვა შეწყვიტა, პირი დამეღალაო. მოდი, ახლა დაწერეო, — შესთავაზა დედამ, ვერ დავწერ, ხელიც დამეღალა, კითხვისას თითს ხომ ვაყოლებდიო.

***

**პატარა ლევანს** მამა მათემატიკაში ამეცადინებდა:

— ლევანიკო, 10 ვაშლი ღირს ერთი ლარი, რამდენი ლარი ეღირება 20 ვაშლი?

— ძვირი, — უპასუხა ლევანმა.

## იპოვე 10 განსხვავება




II

## I ანა, გამოიცანი

**1) რომელ მდინარეში მოინათლა იესო ქრისტე?**

ა) ნილოსში; ბ) იორდანეში; გ) ევფრატში; დ) სირდარიაში.

**2) რომელი მათგანი არ შედის შვიდ საოცრებათა ჩამონათვალში?**

ა) ზევსის ქანდაკება; ბ) ეგვიპტის პირამიდები; გ) როდოსის კოლოსი; დ) პიზის კოშკი.

**3) ვინ აღმოაჩინა ამერიკა?**

ა) ამერიგო ვესპუჩიმ; ბ) მაგელანმა; გ) მარკო პოლომ; დ) ქრისტეფორე კოლუმბმა.

**4) ვინ არის ავტორი ნაწარმოებისა „ალისა საოცრებათა ქვეყანაში?“**

ა) პუშკინი; ბ) ანდერსენი; გ) კეროლი; დ) ლინდგრენი.

**5) სად ცხოვრობდა ფილოსოფოსი დიოგენე?**

ა) კასრში; ბ) ვაგონში; გ) ქვევრში; დ) ორმოში.

**6) რომელ წელს ამუშავდა თბილისის მეტროპოლიტენი?**

ა) 1951; ბ) 1957; გ) 1961; დ) 1966.

**7) რომელია პერუს დედაქალაქი?**

ა) ბოგოტა; ბ) ლიმა; გ) კარაკასი; დ) კარაჩი.

**8) ვის ეკუთვნის გამოთქმა: „გონიერსა მწყრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.**

ა) დავით გურამიშვილს; ბ) შოთა რუსთაველს; გ) გრიგოლ ორბელიანს; დ) თეიმურაზ პირველს.







II გამოიცანი, რომელი ნაჭრიდან არის შეკერილი კნუტი

## III რებუსი



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ცისფერ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ იმ ქვეწარმავლის სახელს, რომელსაც „ტკბილად მოუბარი ენა“ ამოიყვანს ხვრელიდან.




ზღაპარი

## მელია და მწყერჩიტა

მშიერმა მელიამ ლეშს მიაგნო და ღონივრად მიაძლა. გაუჭირდა მონელება და შეეხვეწა მწყერჩიტას:

— მეზობელო, ოღონდ კი ეს საჭმელი მომანელებინე და, თავი არ მომიკვდება, ჩემს დღეში შენს ბარტყებს პირს არ ვახლებო!

— კარგიო, — უთხრა მწყერჩიტამ, — მე ავფრინდები და შენ უკან ფეხდაფეხ მომყეო!

აფრინდა და გაედევნა უკან მელია. ხან მინდორზე არბენინა, ხან ჩირგვებზე ახტუნა, ხან წყალში ატოპინა. იმდენი ახეტიალა, სანამ ფერდებს დაიხეთქავდა.

— ნათლიმამ, მოინელე თუ არაო? — ჰკითხა მწყერჩიტამ.

— მონელებით მოვინელე, — უპასუხა მელიამ, — მაგრამ ახლა სიცილი მომინდა ძალიანო; ერთი გულიანად მაცინე და შენს შვილიშვილებსაც არას დავუშავებო!

— კარგი, ეგეც ადვილი სამსახურია, გამომყე უკან და სიცილით გაგაძღებო! — უთხრა მწყერჩიტამ.

მიიყვანა მელია კალოზე და ძნაში დამალა. თვითონ მიფრინდა და ხარს რქაზე დააჯდა. გლეხმა სახრე მოუქნია მწყერჩიტას, მაგრამ ის სწრაფად გასრიალდა, სახრე ხარს მოხვდა რქაში და მოსტეხა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მწყერჩიტა მერე მაწვნის ქოთანზე დაჯდა. ქვა ესროლეს, მწყერჩიტამ აიცდინა, მოხვდა ქოთანს, ქოთანი გატყდა და მაწონი კალოზე დაიღვარა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მესამედ მწყერჩიტა ბავშვს დააჯდა თავზე. ბავშვმა სახრე მოუქნია. უნდოდა მოეკლა, მოირტყა თავში და მორთო ღრიალი. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მოფრინდა მწყერჩიტა მელიასთან და ჰკითხა:

— კაი სეირი გაჩვენე თუ არაო?

ამ დროს მელიას კიდეც მოშივებოდა, წაატანა პირი, უნდოდა მწყერჩიტა დაეჭირა და შეეჭამა. მწყერჩიტა აფრინდა, მელიას ზემოთ ძნაზე დაჯდა და უთხრა:

— ერთი სეირი კიდევ უნდა გაჩვენოო!

მიეპარნენ მწყერჩიტას და მოუქნიეს დიდი სახრე. აიცდინა მწყერჩიტამ სახრე, მოხვდა მელიას შიგ თავში და შუაზე გაუტეხა. აფრინდა მწყერჩიტა, გასწია თავის ბინისკენ და მელიას მიაძახა: სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო!

იგავ-არაკი

## მთიული და კაკლის ხე

### სულხან-საბა ორბელიანი

ერთი კაცი მთელი თავისი დღე და მოსწრება სულ პიტალო მთაზე ცხოვრობდა და ბარის მშვენიერება არასოდეს ენახა. ერთხელაც ჩამოვიდა ვაკეზე, ნახა წალკოტი, მოიხიბლა და შიგ სეირნობა დაიწყო. თვალს ვერ აშორებდა ხეხილის ბაღებს, მწვანე ბალახეულობას, ყვავილებს და ცქერით ტკბებოდა. ბოლოს ღმერთს მადლობა მოახსენა: ყველაფერი კარგად შეგიქმნია, ერთი რამის გარდაო — პატარა ბალახისთვის ნესვი და გოგრა მოგიბამს და დიდი ხისათვის კაკალიო. სეირნობით დაღლილს სწორედ ნიგვზის ხის ძირას ჩაეძინა. ცოტა ხანში ხეზე ყვავი შემოჯდა კაკლის მისართმევად, მაგრამ მოწყვეტისას ძირს ჩამოუვარდა, კაცს შუბლზე დაეცა და გაუტეხა. წამოდგა კაცი ფეხზე, ზემოთ აიხედა და თქვა: — ღმერთო, შენ უკეთ გცოდნია ყველაფერი და ყოველი კარგად მოგიწყვია, ამ ხეს რომ უფრო დიდი ნაყოფი ჰბმოდა, ხომ თავს გამიჭყლეტდაო.




რამდენ ნახტომით მიაღწევს ციყვი ფინიშს, თუკი რგოლებს იმ თანამიმდევრობით გაივლის, როგორც ნაჩვენებია ნახატზე.

## ანდაზები

- არ უშლის ხმალსა სიმოკლე, ვაჟკაცსა ტანდაბლობაო.
- როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო.

## გამოცანები VI

**ა** წვერი აქვს, კაცი არ არის,
ბალახს ძოვს, ცხენი არ არის,
რქები აქვს, ხარი არ არის.

**ბ** თავს გვაფარია ბანივით,
მსუბუქია და ვრცელია.
რაც უნდა მაღალი იყო,
არ მიგიწვდება ხელია.




პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# მამულ-დედული



## ცხენის რძე სამკურნალოა

ცხენი — ბუნების განუმეორებელი მშვენება და ადამიანის ულალატო მეგობარი დღესაც საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ცხენისებრთა ოჯახის ამომწყდარი გვარის წინაპარს — ჰირაკოთერიუმს, წინა კიდურებზე ოთხი თითი ჰქონდა, უკანაზე — სამი. გავრცელებული იყო ჩრდილო ამერიკასა და ევროპაში. ბინადრობდა დაჭაობებულ ტყეში. ცხენის გვარში 8 სახეობაა, რომელიც 4 ქვეგვარშია გაერთიანებული: 1. ნამდვილი, რომელსაც ეკუთვნის პრჟევალსკის ცხენი, ამომწყდარი ტარპანი და შინაური ცხენი; 2. ვირი; 3. კულანი და 4. ზებრა.

ბრინჯაოს ხანაში მოშინაურებული ცხენი, რომელიც ანტარქტიდის გარდა ყველა კონტინენტზეა გავრცელებული, 200-მდე ჯიშს ითვლის. ამ 50-60 წლის წინათ ცხენი, ისევე როგორც ხარ-კამეჩი, ერთ-ერთ გამწევ ძალად ითვლებოდა. ცხენშებმული ურიკებით გამოჰქონდათ წიაღისეული მაღაროებიდან, ცხენი იყო სატრანსპორტო საშუალება, ცხენზე ამხედრებული მეომრები ებრძოდნენ მტერს, არა მარტო შორეულ წარსულში, არამედ მეორე მსოფლიო ომშიც.

რაც შეეხება საქართველოში ცხენის როლს გუშინ, დღეს და ხვალ, იგი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზეა დამოკიდებული. ჩვენი მთის სოფლებში არასოდეს გაუვა ყავლი მეგრულ და თუშურ ცხენებს, როგორც გამწევ ძალას და სატრანსპორტო საშუალებას, მით უმეტეს არც ძვირად ღირებული საწვავ-საცხები უნდა, არც ტექდათვალიერება და რაც ყველაზე მთავარია — ბუჩქისმილმა ჩასაფრებული წესრიგის დამცველი ვერ წაგართმევს ყოველ ნაბიჯზე 2 ლარს. ჩვენთვის წარმოუდგენელია, მაგრამ შუა აზიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მცხოვრებნი სიამოვნებით მიირთმევენ ცხენის ხორცს და რძეს (კუმისს). კუმისი საუკეთესო წყლულის მოსაკლავი და სამკურნალო საშუალებაა. C ვიტამინი, ცილები, ცხიმები და მარილები ისეა შეზავებული ერთმანეთში, რომ ტუბერკულოზით დაავადებულ ადამიანსაც უმსუბუქებს მდგომარეობას და არცთუ ისე იშვიათად კურნავს კიდეც... ალბათ გაუკვირდება მკითხველს, კი მაგრამ სად არის მერე, ამდენი ცხენის რძეო — მაგაზე არ იდარდოთ, მეწველი ფაშატი 11-15 ლიტრ რძეს იძლევა დღე-ღამეში.

## ერთი სვეტი მკითხველისათვის



## უნიკალური ურთხელი

**ვარ „კვირის პალიტრის" მუდმივი მკითხველი, გულდასმით ვკითხულობ თითქმის ყველა სტატიას. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო რუბრიკა „მამულ-დედული". მინდა ამ პატარა სტატიით თხოვნით მივმართო ყველას, რომ თითოეულმა ჩვენგანმა დავიცვათ დედაბუნება, განსაკუთრებით მცენარეთა და ცხოველთა ის სახეობები, რომლებიც გადაშენების პირასაა მისული.**

*არჩილ ძირკვაძე,*
*აგრონომი-ტყეთმომწყობი*

ადამიანის წინდაუხედავმა სამეურნეო საქმიანობამ საგრძნობლად შეცვალა ტყის მცენარეული საფარი, დაირღვა მცენარეთა გავრცელების ვერტიკალური საზღვარი, დაეცა ტყის სიხშირე, მრავალი სახეობა გადაშენების პირასაა მისული. ფლორის ხელყოფამ სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა ფაუნაც.

ხის ერთ-ერთ უნიკალურ სახეობაზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, ეს გახლავთ უთხოვარი, ანუ ურთხელი, რომელიც 2000 წლამდე ცოცხლობს. ურთხელი — შორეული გეოლოგიური წარსულის ერთ-ერთი იშვიათი წიწვოვანი მცენარეა. მისი ტყეები ერთ დროს ფართოდ იყო გავრცელებული, ამჟამად კი ურთხელის ცალკეული კორომებიღა შემორჩა. პატარ-პატარა დაჯგუფებები იზრდება შორეულ აღმოსავლეთში, კარპატებში. ყველაზე რიცხვმრავალი უთხოვარის ტყე საქართველოშია, კერძოდ, კახეთში, მდინარე ალაზნის სათავეების მახლობლად, ბაწარას უთხოვარის ტყის ასაკი საუკუნეებს ითვლის. ბუნების ეს უნიკალური ძეგლი — ნაკრძალად არის გამოცხადებული, ხოლო თვით ურთხელი შეტანილია არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო წითელ წიგნში. მიუხედავად ამისა, ჩვენში არსებული ეს სახეობა სულ უფრო მცირდება...

ზემო აჭარაში, სოფ. დიოკნისში (ხულოს რ-ნი) არსებობდა ამ სახეობის 5 ეგზემპლარი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ტერიტორია ადრე ურთხელის კორომებით იყო დაფარული. უსულგულო ადამიანმა დაუფიქრებლად აანთო მის ძირში ცეცხლი და 2 ძირი მცენარე გაახმო (შედეგი ნაჩვენებია სურათზე). მიუხედავად ჩვენი კატეგორიული მოთხოვნისა, ამ კადრის გადაღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ეს ორი ხეც მოჭრეს. არადა, ამ სახეობასაც ისეთივე გაფრთხილება სჭირდება, როგორც მცხეთის ჯვარსა თუ ვარძიის ქვაში ნაკვეთ ქალაქს.

## სამკურნალწამლო მცენარეები არცთუ ისე უხიფათოა...

ამ წერილის მიზანი განსაკუთრებულია. საქმე ეხება სამკურნალწამლო მცენარეებს და მათი უსისტემო განადგურების ფაქტებს... პირველ რიგში მინდა შევეხო სამკურნალწამლო მცენარეების დაუდევრად დაბრდღვნა-განადგურებას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. რამდენჯერ შემხვედრია ბუნებაში მცენარეთა ვაიდამამზადებელი, რომელიც იმის ნაცვლად, რომ მცენარეს 20-25-სანტიმეტრიანი მოყვავილე ღერო წააჭრას, ფესვიანად გლეჯს, მერე დაჯდება ჩრდილში და „არჩევს". არადა, ძირიანად მოთხრა კი არა, ერთსა და იმავე ადგილზე ყოველწლიურად მცენარის შეგროვებაც დაუშვებელია! ერთხელ შენაგროვებ მიდამოში მხოლოდ 3-4 წლის შემდეგ შეიძლება მცენარეთა დამზადება, რომ იგი მოღონიერდეს, თესლი „დაყაროს" და ჩვენ მიერ მიყენებული ზარალი აღიდგინოს. შეგროვების დროს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სახეობის პირწმინდად აჭრა, თუნდაც ამას ინსტრუქციის მიხედვით (20-25 სმ) აკეთებდე — ყოველი მესამე, მეოთხე ძირი უნდა დარჩეს ადგილზე.

შეცდომა კი არა, დანაშაულია სამანქანო გზისპირებში ნებისმიერი მცენარის შეგროვება. აიარეთ წყნეთის გზაზე და ნახეთ, როგორ არის ნაყოფით დახუნძლული ასკილის ბუჩქები. მერე შემოდგომით მიბრძანდით და მოკრეფილი დაგხვდებათ. სად წავიდა ნეტა?! — რა თქმა უნდა ბაზრებში, აფთიაქებში ან სულაც ოჯახებში! ამ ტყვიის ჟანგით გაჟღენთილ ნაყოფს უფროსებიც მიიღებენ ნაყენის სახით და ბავშვებსაც დაალევინებენ ალბათ.

არის კიდევ ერთი ძნელად გადასაჭრელი საკითხი. გაჭირვებამ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი თვითმკურნალობაზე გადაიყვანა...

ბუნებაში უამრავი შხამიანი მცენარეა და არ არის გამორიცხული, არაკომპეტენტურობის გამო შეგვეშალოს. თუნდაც არ შეგვეშალოს და თავის დროზე საჭირო ფაზაში ავიღოთ, მაგალითად ისეთი ცნობილი მცენარე, როგორიცაა კრაზანა, შროშანა, ასფურცელა, საპონა, აბზინდა, ფარსმანდუკი, იასამანი, შვიტა, ქრისტესისხლა, ჩიტისთვალა, ხეჭრელა — არავითარ შემთხვევაში ფიტოთერაპევტის კონსულტაციის გარეშე არ უნდა მიიღოთ! — ესენი იმითაც არის ცნობილი, რომ შხამიანებია და არადანიშნულებით თუ გამოიყენებთ, შეიძლება კი გადარჩეთ, მაგრამ კარგი დღე არ დაგადგებათ.

**კრაზანა** შხამიანია, მისი ხანგრძლივი და



განსაკუთრებით დიდი დოზებით მიღება ავიწროებს სისხლძარღვებს და მაღლა სწევს სისხლის წნევას.

**ჩიტისთვალა** შხამიანია! იწვევს თავის ტკივილს, გულისრევას, თავბრუსხვევას...

**ქრისტესისხლა** შხამიანია, განსაკუთრებით ფესვები. დოზების გაზრდა, აგრეთვე ხანგრძლივად მიღება, იწვევს გულისრევას, ფაღარათს...

აი ასეთი შედეგები შეიძლება მოჰყვეს შხამიანი მცენარეების მიღებას, თუმცა, არც უშხამო მცენარეებია მთლად უსაფრთხო.

მაგალითად, ჩვენთვის, ყველასთვის ცნობილი **პიტნა** (კულტურულიც და ველურიც) ცუდად მოქმედებს შვილოსნობაზე. **თავშავას** ჩაი — სახიფათოა ფეხმძიმე ქალებისათვის. **ჟინჟღარი** დაუშვებელია: ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის, საშვილოსნოს დაავადებების დროს. იწვევს სისხლის სწრაფ შედედებას...

რაც შეეხება სამკურნალწამლო მცენარეების სწორად და დანიშნულებისამებრ გამოყენების მეთოდებს, ამის შესახებ პერიოდულად მოგითხრობთ შემდგომ ნომრებში.

## ძროხა დაკლეს, მე ნამაკლეს...

იქნებ ბევრმა არც იცის, რომ ფრინველთა შორეული წინაპრები ქვეწარმავლები იყვნენ: არქეოპტერიქსის სამი ჩონჩხისა და ბუმბულის ანაბეჭდებით დადგინდა ამ თეორიის უტყუარობა. ასე იყო თუ ისე, ბუნებამ იზრუნა კაცობრიობისთვის და უხსოვარი დროიდან „შექმნა" ფრინველები, რომელთა სახეობა მთელ დედამიწაზე დაახლოებით 8650-ია. ფრინველთა ზომები პეპლისხელა კოლიბრიდან დაწყებული სირაქლემამდეა, რომლის წონაც 130 კგ-ს აღწევს.



საქართველოში 322 სახეობის ფრინველია რეგისტრირებული.

ამჯერად შინაურ ფრინველებზე ვისაუბროთ. ძირითადად 5 გვარის ფრინველია მოშენებული: ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი და ციცარი. ეს უკანასკნელი, ჯერჯერობით მაინც იშვიათობაა, თუმცა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია განსაკუთრებით იმ მეურნეთათვის, ვინც კარტოფილს აწარმოებს.

საქმე იმაშია, რომ ციცარი ერთადერთი ფრინველია, რომელიც სიამოვნებით მიირთმევს კარტოფილის ყველაზე დაუძინებელ მტერს — კოლორადოს ხოჭოს.

უძვირფასესია ფრინველთა შორის ინდაური, არანაკლებია ბატი და იხვიც, მაგრამ მეფრინველეობის დარგის „მწვერვალი" მაინც ქათამია. დიახ, ქათამი, რომელსაც 200-დან 300 ცალამდე მარტო კვერცხის მოცემა შეუძლია წელიწადში. ყველაზე ძვირფასი დიეტური ხორცი და კვერცხი აქვს, იძლევა ბუმბულს და საუკეთესო ორგანულ სასუქს. ქათმის ერთ-ერთი დადებითი თვისება ისიც არის, რომ კვერცხის დებას იწყებს 5-6 თვის ასაკიდან და აგრძელებს დაახლოებით 10 წლამდე. მეკვერცხული დედლის წონაა 1,8-2,2 კგ, მამლისა — 2,7-3,0 კგ, მეხორცეულისა 3,0-4,5 კგ.

ახლა რაც შეეხება ქათმის მოშენებისა და მოვლის წესებს: არსებობს ბუნებრივი და ხელოვნური ინკუბაცია, რომლითაც იწყება ფრინველის მოშენება. ბუნებრივი ანუ კრუხის საშუალებით წიწილების გამოჩეკა, საკმაო სიძნელეებთან არის დაკავშირებული და დიდი დრო — 2-3 თვე ესაჭიროება. ამ ხნის განმავლობაში ფრინველი კვერცხს არ დებს, რითაც მისი პროდუქტიულობა ეცემა. ამიტომ, ვინც მეფრინველეობის ფერმერული მეურნეობის მოწყობას აპირებს, აუცილებლად მოუწევს ინკუბატორის შეძენა.

მაშ ასე, დაამზადეთ ყუთი, რომელსაც სიგრძე ექნება 50, სიგანე — 40 და სიმაღლე 30 სმ. ყუთის სახურავზე შიგნითა მხრიდან 2 ცალი 25-ვატიანი ნათურა დაამაგრეთ. იატაკზე დააფინეთ რამდენიმე ფენა ქაღალდი. მოათავსეთ შიგნით 25-30 წიწილა. ქვედა ფენა ყოველდღე უნდა შეიცვალოს. ყუთს სავენტილაციოდ გაუკეთეთ ნახვრეტები. წიწილებს პირველ კვირაში სჭირდებათ 30-32 გრადუსი ტემპერატურა, მეორეში — 27, მესამეში — 25, მეოთხეში — 23. ტემპერატურას წიწილების მდგომარეობის მიხედვით ვარეგულირებთ. თუ სცივათ, წიწილები ერთმანეთს ეკვრიან, თუ სცხელათ, დაღლებული ნისკარტებით ხშირ-ხშირად სუნთქავენ. თუ ყუთში ტემპერატურა ნორმალურია, ხალისით კენკავენ და მხიარულად წიკწიკებენ...

## მოზაიკა

### გონიერი მამალი

**იმერეთში, ერთ ღარიბ ოჯახს ერთადერთი მამალი ჰყავდა, რომელიც კედლის საათის მაგივრობასაც სწევდა. როგორც კი სტუმარი შევიდოდა მათ ჭიშკარში, მასპინძელი დაიჭერდა მამალს და ჯირკზე ადებინებდა თავს. იცოდნენ მასპინძლის გაჭირვებული თავის ამბავი და არც ერთი სტუმარი მამლის დაკვლის ნებას არ რთავდა. ისე მიეჩვია საწყალი მამალი თავის მდგომარეობას, რომ როგორც კი ჭიშკარი გაიღებოდა, გარბოდა და თავისით დებდა ჯირკზე თავს.**

### ავიაცია და ქათმები

**ჩეხური ჟურნალი „ვედა ი ჟივოტ" იტყობინებოდა, რომ ამერიკის ერთ-ერთი მეფრინველეობის ფერმის თავზე — 10 000 მეტრის სიმაღლეზე 6 თვის განმავლობაში ყოველდღე დაფრინავდნენ ზებგერითი თვითმფრინავები. პირველივე გადაფრენისთანავე, ქათმები გახდნენ მოუსვენარნი, შემდეგ დაეწყოთ ბუმბულის ცვენა, შეწყვიტეს კვება, რამაც მკვეთრად შეამცირა კვერცხის დება.**

**ნახევარი წლის შემდეგ, ფერმაში შინაგანი სისხლდენით 10 000-დან 6 000 ქათამი დაიღუპა, რაც ზებგერითი თვითმფრინავების აკუსტიკამ გამოიწვია.**

## მკითხველის ფოტო



— ფაფა ჭამე? რა კარგი სუნი გაქვს!..

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

## რედაქციისაგან:

**ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.**

**გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).**

**წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.**

CMYK

**ოთხსაუკუნოვანი დაპირისპირება ქრისტიანულ ბიზანტიასა და ცეცხლთაყვანისმცემლურ ირანს შორის, რომლის ერთ-ერთი ასპარეზი საქართველო იყო, მეშვიდე საუკუნის შუა ხანებისთვის მოულოდნელად დასრულდა. ამ ხანგრძლივმა დაპირისპირებამ მრავალი ქვეყანა და ხალხი გადაამტერა ერთმანეთს. გავიხსენოთ, რომ საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და მისი დედაქალაქისთვის ბრძოლა ბიზანტიელთა გამარჯვებით დასრულდა. სასანიდების ირანისათვის კი ეს ბრძოლა საბოლოოდ ბედის სიმღერა აღმოჩნდა, რაც მათი სახელმწიფოს დამხობით და განადგურებით გასრულდა. დამარცხებული და ლტოლვილი, უკანასკნელი სასანიანი შაჰი იეზდიგერდ მესამე შუა აზიაში, ქალაქ მერვის მახლობლად, მდიდრული სამოსის გამო ვიღაც მეწისქვილემ მოკლა და მდინარეში მოისროლა. ნაპირზე, ფესვებსა და ტოტებში გაჩხერილი გვამი ქრისტიანული თემის ეპისკოპოსმა იცნო და მიწას მიაბარა.**

**ვინ და რა ძალა იყო, ასეთი უძლეველი დინასტია და სახელმწიფო რომ აღგავა პირისაგან მიწისა? შესაბამისად, რა ახალი ძალა დაუმეზობლდა და ამავე დროს დაუპირისპირდა ჩვენს ქვეყანას? — ესენი იყვნენ არაბები. ხალხი, რომელიც მხოლოდ მეშვიდე საუკუნეში გამოდის მსოფლიო ცივილიზაციის თვალსაწიერში.**

**...ეს იყო ახალი ძალა, რომელშიც დამუხტული იყო მღელვარე ინდოეთის ოკეანის ცხელი ზვირთების სიშმაგე და არაბეთის ნახევარკუნძულის უკიდეგანო ნახევარუდაბნოებისა და უდაბნოების სიმხურვალის დაუოკებელი ენერგია.**

# არაბები საქართველოში... ერთი ტრაგიკული სიყვარულის თანხლებით

## საიდან მოდიან არაბები...

არაბთა სახელმწიფოს მეშვიდე საუკუნის პირველ მესამედში ჩაეყარა საფუძველი. მანამდე კი... არაბები უხსოვარი დროიდანვე ცხოვრობდნენ არაბეთის ნახევარკუნძულზე. ერთი შეხედვით, მოსაწყენად ერთგვაროვანი და უსახურია არაბეთის ნახევარკუნძულის ლანდშაფტი: უნაყოფო და დამღლელი ქვიშიანი სივრცე და კლდოვანი პლატოები, სიცხისგან დაშაშრული და დამსკდარი თიხნარი.

... მაგრამ იყო მასში რაღაც შინაგანი იდუმალება და მკაცრი სიძლიერეც. აქვე გადიოდა უძველესი გზა სირია-პალესტინის ცივილიზაციიდან ინდოეთისკენ.

სავაჭრო და საქარავნო გზების წყალობით დაწინაურდნენ სამხრეთელი არაბები. ამ, ე. წ. „გუნდრუკის გზაზე“ აღმოცენდნენ მეწამული ზღვის მიმდებარედ ცნობილი სავაჭრო ქალაქები: მაქორაბა (შემდგომში მექა) და იასრიბი (მედინა). უკიდურეს სამხრეთში, — იემენში, ანუ „ბედნიერ არაბეთში“ დაწინაურებული მიწათმოქმედი არაბი ტომები ცხოვრობდნენ.

მეორე ნაწილი არაბებისა, — ცენტრალური და ჩრდილოეთის უდაბნოთა შვილნი, რომელნიც ბედუინების სახელით არიან ცნობილნი, ხოლო ბიბლიაში ისმაიტელებად მოხსენიებულნი, სიცხისგან დაშაშრული, ქვიშიანი ქარებით — სამუმით თავგაბეზრებულნი ნარეკლიან უდაბნოში მომთაბარე მესაქონლეობას მისდევდნენ. ცხვარი და ცხენი ჰყავდათ ურიცხვი. მაგრამ მთავარი სიმდიდრე მათი, სიამაყე და ქონების „სასინჯი ქვა“ აქლემთა ჯოგები იყო. აქლემი იყო მათთვის ყველაფერი — რძე და ხორცი, მატყლი და ტყავი... ექსკრიმენტებსაც კი იყენებდნენ: ნაკელს სათბობად ხმარობდნენ, ხოლო წყლის უკმარისობის გამო — შარდს დასაბანად. დაბოლოს, ეს იყო „უდაბნოს ხომალდი“ — შეუცვლელი ტრანსპორტი უდაბნოში. ამიტომაცაა, რომ არაბული სიტყვები „აქლემი“ და „სილამაზე“ ერთი ძირისაა.

აი ასეთი, ცივილიზაციიდან განზე მდგარი და ცივილიზაციასვე დახარბებული ხალხი რამდენიმე ათწლეულში მსოფლიოს მორიგ უბედურებად მოევლინნენ. მათ სახელად არაბები ერქვათ, ანუ იგივე ისმაიტელები, აგარიანები და სარკინოზები.

## მუჰამედი ახალ სარწმუნოებას ქმნის

არაბები ძველთაგან წარმართები იყვნენ — თაყვანს სცემდნენ ცის მნათობებს, ცხოველებს, წყაროებს. სწამდათ სულების — ჯინებისა, რომლებიც ბევრგან ცხოვრობდნენ, განსაკუთრებით ქვებში... მთავარი სამლოცველოც ქააბა იყო — „შავი ქვა“ მექაში, რომელიც არაბთა რწმენით ზეციდან მოევლინათ.

მეშვიდე საუკუნის დასაწყისში მაჰამედმა ანუ მაჰმადმა მსოფლიოს ახალი რელიგიური, მონოთეისტური ანუ ერთღმერთიანი მოძღვრება — ისლამი მოუვლინა. მუჰამედი დაიბადა დაახლოებით 570 წელს, ქალაქ მექაში, აქ გაბატონებულ კურეიშის თემის ჰაშიმის ღარიბი საგვარეულოს ვაჭრის ოჯახში. პატარაობიდანვე დაობლდა და ბიძა მეურვეობდა. ყრმობის წლებიდან აქლემების გამრეკი გახდა სავაჭრო ქარავნებში, რის საშუალებითაც გაეცნო როგორც თავის სამშობლოს, ისე მეზობელ ქვეყნებს. მუჰამედი ოცდახუთი წლისა დაქორწინდა მდიდარ ქვრივზე, რითაც საშუალება მიეცა თავი აერიდებინა ყოველდღიური სარჩოს ძიებისთვის და საკუთარ ფიქრებსა და აზრებს ჩაღრმავებოდა. ჩამოაყალიბა კიდეც ახალი რელიგია ისლამი (მინდობილს ნიშნავს), რომელიც იუდაიზმისა და ქრისტიანობის გავლენას განიცდიდა. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ გადმოცემის თანახმად, 610 წელს მუჰამედს ჰქონია გამოცხადება, — გამოეცხადა გაბრიელ მთავარანგელოზი (ჯიბრაელი) და „უბრძანა ნამდვილი ღმერთის, — ალაჰის აღიარება“.

მუჰამედს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა და იძულებული გახდა თავის თანამოაზრეებთან, ანუ მუჰაჯირებთან ერთად 622 წელს დაეტოვებინა მშობლიური მექა და გაქცეულიყო შემდგომ მოციქულთა ქალაქად წოდებულ მედინაში. ეს არის ჰიჯრა, ანუ გადასახლება და სწორედ აქედან იწყებენ მაჰმადიანები თავიანთ წელთაღრიცხვას.

მედინადან მუჰამედმა ისლამის დროშის ქვეშ გააერთიანა სრულიად არაბები და ჩამოაყალიბა კიდეც ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფო, შემდგომში სახალიფო. აქვე გარდაიცვალა იგი 632 წელს. მუჰამედის შეხედულებებსა და დარიგებებს შემდგომ თავი მოუყარეს და მუსლიმანთა წმინდა წიგნი — ყურანი უწოდეს.

## არაბები საქართველოშიც გამოჩნდნენ



სახალიფოს მიწა-წყლიდან არაბები ნიაღვარივით მიაწყდნენ ერთმანეთთან ბრძოლაში დასუსტებულთ: ჯერ სასანიდურ ირანს, სადაც მოსპეს ტრადიციული და უდიდესი ქვეყანა და იქ ისლამი გაავრცელეს; შემდეგ კი ბიზანტიას სირია, პალესტინა და ეგვიპტე წაართვეს.

არაბები კავკასიას და საქართველოს სამანებსაც მოადგნენ. 442-443 წელია. მაგრამ ეს იყო მარბიელი, სადაზვერვო რაზმები, ამიტომაც ქართველები ადვილად გაუმკლავდნენ მათ. ამასობაში კი ჩვენი ახლო და შორეული მეზობლები ერთიმეორის მიყოლებით არაბების გავლენის ქვეშ ექცევიან. რაში იყო წარმატების საიდუმლო?

პირველ ხანებში არაბები ფრთხილ და რბილ დამპყრობლურ პოლიტიკას აწარმოებდნენ. არც ხარკი იყო ძალიან სულის შემხუთველი. ეს მაშინ, როცა დაპყრობილ ხალხებს ახსოვდათ ჯერ ირანის, შემდგომ კი ბიზანტიის არნახული სისასტიკე. თუნდაც თბილისის 628 წლის ტრაგედია, ჰერაკლე კეისარმა და ხაზარებმა რომ სისხლის წვიმა დაატეხეს. არაბი მემატიანე გადმოგვცემს სირიის ერთ-ერთი ქალაქის შესახებ, რომელიც ბიზანტიას ეკუთვნოდა და მოსახლეობა ამით გაწამებული იყო. ბიზანტიელები არაბებმა შეცვალეს. გარემოებათა გამო არაბმა სარდალმა აბუ-უბეიდმაც დატოვა ეს ქალაქი. აქ შეგროვილი ხარკი კი უკან დაუბრუნა ქალაქელებს — ხარკი იმის სანაცვლოდ ავკრიბეთ, ქალაქი უნდა დაგვეცვა მტრისგანო. რადგან პირობას ვერ ვასრულებთ, თქვენი ქონება უკან დაიბრუნეთო... ნამდვილი აღმოსავლური ფარისევლობის ნიმუშია... ბევრ ხალხს აწყევლინეს თავბედი და ადინეს სისხლის ნაკადულები მომდევნო ხანებში ერთ დროს „ლმობიერმა“ დამპყრობლებმა.

საქართველოში არაბობა 654 წლიდან იწყება. ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ მეორემ არაბთა სარდალ ჰაბილ იბნ მასლამას საჩუქრები და ზავი შესთავაზა. სწორი პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რადგანაც ამ დროს არაბები უკვე აკონტროლებდნენ სივრცეს ინდოეთიდან მცირე აზიამდე. მაგრამ... საჩუქრები მომავალ ხარკში ჩაითვალა, ხოლო არაბთა სარდალმა ქართლს დაცვის სიგელი უბოძა: მოსახლეობა იხდის „ჯიზიას“ — კომლზე თითო დინარს. ქართველებს ეკრძალებათ კომლების გაერთიანება გადასახადის შემცირების მიზნით, არაბებს — ხელოვნურად გაყოფა ჯიზიას გაზრდის სურვილით. ქართველები სამხედრო საქმეში ეხმარებიან არაბებს. არაბები აქაც თავიანთ თავზე „იღებენ“ ქართველთა დაცვას. თანაც სულმოკლე და მედროვე ქართველთათვისაც იყო ერთი ზედგამოჭრილი მუხლი — თუ ქართველი ისლამს მიიღებდა, ჯიზიასგან თავისუფლდებოდა და მუსლიმთა მოძმე ხდებოდა...

აი, ასე დაიწყო არაბობა საქართველოში, რომელიც მეტ-ნაკლები სიმძიმით რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა, განსაკუთრებით — შიდა და ქვემო ქართლში თბილისითურთ.

## სამი მხრით ხმლის ქნევა

მართალია, ჩვენს ქვეყანაში არაბებმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს, მაგრამ სხვა მხრიდანაც არ შეწყვეტილა ჩვენი დამონება-დამორჩილების პრეტენზიები. საბოლოოდ, აქ სამი ძალა დაუპირისპირდა ერთმანეთს — სახალიფო, ბიზანტია და ხაზარები. ასე რომ, ქართველ მოსახლეობას სამი მხრით ხმლის ქნევა უხდებოდა.

საქართველოში კი უფრო და უფრო მრავლდებოდა აჯანყებანი არაბობის წინააღმდეგ, რის გამოც ხალიფამ მერვე საუკუნის 30-იან წლებში დიდი სასჯელი დაუწესა ქვეყანას. ეს სასჯელი ამ შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მტარვალია ჩვენს ისტორიაში — ქართველთ მოძულე მურვან იბნ მუჰამედი, რომელსაც ქართველებმა სიძულვილით ყრუ უწოდეს.

735 წელს ხალიფა ჰიშამი საქართველოს სამაგალითოდ დასასჯელად მურვან ყრუს 120-ათასიან ლაშქარს ატანს: „მოეფინა, ვითარცა ღრუბელი ბნელისა, სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუმლი და დაფარა პირი ქუეყნისა“.

ქართლისა და სამცხეს მოოხრების შემდეგ მურვან ყრუ დასავლეთ საქართველოში გადადის. უნდა გააცამტვეროს ეგრისიც და მხარში მდგომი მოუსპოს ქართლს. სწორედ იქ იყვნენ განრიდებულნი ხიფათს ქართლის ერისმთავარი მირი და მისი ძმა არჩილი. პირველად სასაზღვრო, არგვეთის საერისთავოს მოადგა მტერი.

მხეიძეები იყვნენ არგვეთის ერისთავები — დავითი და მისი ყრმა ძმა კონსტანტინე. ღირსეული წარჩინებულნი, ქვეყნის პატრიოტები და მამაცი მეომრები. გაოგნებულნი დარჩნენ მხურვალე უდაბნოს შვილნი პირველი შეტაკების მარცხით და გამძვინვარებულები კალიებივით შეესივნენ უთვალავი ლაშქრით ნამცეცა სამთავროს... შეიპყრეს ძმები. ჩვეული ხერხით გადაწყვიტეს არაბებმა ერის მოდრეკა: ჯერ მათი ერისთავები მიიღებდნენ ისლამს, შემდეგ ხალხიც მიჰბაძავსო, ფიქრობდნენ... არ გაუმართლდათ ვარაუდი. არაბებისთვის მანამდე არნახული სიმტკიცე და რწმენის სიყვარული უჩვენეს მტერსაც და მოყვარესაც არგვეთელმა ძმებმა. წამების რა ხერხი აღარ სცადეს სარკინოზებმა. ამაოდ! მაშინ კი, გამძვინვარებულმა მურვან ყრუმ წყალში მოაშთობინა ნაწამები და ხელფეხშეკრული ძმები... ხალხიც მედგრად დადგა და უერთგულა მამაპაპურ რწმენას. იმ საოცარ ადგილზე კი, სადაც წმინდანებად შერაცხული დავით და კონსტანტინე მიაბარეს მიწას, ააგეს ულამაზესი მონასტერი და მოწამეთა უწოდეს.

არგვეთს ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი და ცხუმი მოჰყვა, სადაც არაბებმა კიდევ უფრო გაასასტიკეს ბრძოლის მეთოდები. აფხაზეთს გადასულმა ქართლის მთავრებმა პირველად აგემეს მარცხი მურვან ყრუს და ისიც იძულებული გახდა, გამობრუნებულიყო. პირველ მარცხს მეორეც მოჰყვა. ქართველებს თითქოს ბუნებაც დაეხმარა. უკან გამობრუნებულ არაბებს არნახულმა თქეშმა და ნიაღვარმა მოუსწრო. ადიდდა და აზვირთდა ორი, ერთი შეხედვით პატარა მდინარე კოლხეთისა. გაშმაგებით გადაევლო არაბთა ბანაკს და არნახული ზარალიც აწვნია. „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ერთი ასეთი „სასიამოვნო“ დეტალიც იკითხება — ერთი შეხედვით მშვიდმა და „უწყინარმა“ მდინარემ, თითქოს იგრძნო არაბთა ვერაგობა და ისე „აიწყვიტა თავი“, რომ გახელებული და აზვირთებული მოედო ხეობას, სადაც მტერი იყო დაბანაკებული. არაბთა ლაშქარში მყოფ აბაშ (აბისინიელ, ეთიოპიელ) 23 ათას მეომარს თავის ტალღებში მიუჩინა ბინა... აბაშისწყალი უწოდეს მოგვიანებით ამ მდინარეს. არანაკლებ „გამოიჩინა თავი“ მეორე მდინარემაც, რომელმაც არაბთა განთქმულ ცხენებზე იყარა ჯავრი — 35 ათასი ყალყზე შემდგარი მეომარი ცხენი ჩაყლაპა მისმა გამძვინვარებულმა ტალღებმა — ამ მდინარეს ცხენისწყალი უწოდეს მოგვიანებით...

სამი წელი იჯერა გული სისხლის მხვრეპელმა მურვანმა საქართველოს მოოხრება-გატიალებით და მაშინღა დატოვა მისი საზღვრები, როცა „არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე“.

## ამბავი ერისმთავარ არჩილის ულამაზესი ასულისა

სულის ამოთქმის საშუალება არ ჰქონდა საქართველოს. არაბების დამსჯელ ლაშქრობებს, ჩრდილო კავკასიის ტრამალებიდან მომთაბარე ხაზართა გამაჩანაგებელი თავდასხმები ერთვოდა. ვერავინ აღუდგა მსოფლიოში არაბთა წამლეკავ ძალას. ხაზარები იყვნენ ის ერთადერთნი, რომელთაც რამდენიმე მძიმე მარცხი აწვნიეს უდაბნოს მკვიდრთ.

ხაზარები ნუშუბის თურქული ტომის შთამომავლები იყვნენ და სახელი მათივე ბელადის, ხაზარიგის გამო ეწოდათ. ხაზართა ქვეყანას ხაკანი განაგებდა. ალტაისპირელი თურქების წვერმეჩხერ და ბრტყელსახა შთამომავალს ასულ-საპატარძლოთა არჩევანი ჰქონდა დღენიადაგ... მაგრამ მისწვდა მის სმენა-გონებას ამბავი ულამაზესი და უსათნოესი ასულისა კავკასიის მთის გადაღმიდან. ქართველ ერისმთავართა დიდებული სისხლი ჩქეფდა არჩილის ქალიშვილისა და ჯუანშერის დის, მშვენიერი შუშანის ძარღვებში. განსაცვიფრებელ გარეგნულ სილამაზეს სულიერი სიმდიდრე და სიღრმე ამკობდა... თანაც გულის სწორიც ჰყავდა არჩეული მშვენიერ ასულს, ისიც დიდებული ერისთავთაგანი და უებრო მეომარი...

ძილი და მოსვენება დაკარგა ხაკანმა. მოციქული აახლა ჯუანშერს, მაგრამ შუშანმა და მისმა დედამ სტეპის შვილის გულის წადილი შორს დაიჭირეს — არ იქნება წარმართის ცოლობაო. შეურაცხყოფილი დარჩა არაბთა მძლეველი. დიდი ლაშქარი გამოგზავნა ბლუჩანის სარდლობით. ქართლში გაბატონებულ არაბებს სძლიეს და ერთი ხანობა თბილისიც კი აიღეს.

კახეთის ერთ-ერთ მიუვალ ციხეში იყვნენ თავშეფარებული ჯუანშერი და მისი მშვენიერი და. „ოპლას“ ძახილ-ყიჟინით მიიტანეს იერიში ციხეზე ხაზარებმა. ძველი თურქობის ხანიდან ამ შეძახილით ამხნევებდნენ თურქები ერთურთს იერიშისას. მრავალრიცხოვანი ჯარით იოლად აიღეს სიმაგრე და ძვირფასი ტყვეებიც იგდეს ხელთ — ხაზარეთის შორ გზას გაუყენეს...

მდევარ-მშველელიც აღარავინ ჩანდა. საქართველოს ჩრდილო სამანსაც მიაღწიეს, შეივაკეს და შეისვენეს მდიდარი ნადავლით გაყოყოჩებულმა მომხდურებმა. აქედან უნდა დაწყებულიყო ახალი და ფუფუნებით გარემოცული ცხოვრება შუშანისთვის, წარმართთა დედოფლობას რომ უქადდა ხაკანის დანებება. არ ისურვა გარეგნული ფუფუნება და უცხოტომელთა დედოფლობა ქართველი ერისმთავრის არჩილის ასულმა შუშანმა. თავადვე გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს. ხალასი ოქროს ბეჭედი ეკეთა თლილ თითზე, საფირონის ღვინისფერი თვლით, რომელშიც ჩამავალი მზის სხივები უცნაურად ელვარებდა... საწამლავი ჰქონია დაგუბებული ძვირფასი თვლის ქვეშ, — „წამალი სასიკვდინე“. ამოაგდო ძვირფასი თვალი, დაეწაფა საწამლავს და ძმის, ჯუანშერის მკლავზე დალია სული... იქვე მიაბარეს მიწას ულამაზესი ასული, სიკვდილმაც რომ ვერაფერი დააკლო მის მშვენიერებას.

... უსაზღვრო იყო მწუხარება და მრისხანება ძლევამოსილი ხაკანისა. რატომ არ ჩამოასვენე, მიცვალებულის სახის ხილვის ღირსი მაინც გავმხდარიყავიო... საშინელი განაჩენი გამოუტანა თავის სარდალს: „შეიპყრეს ბლუჩან და მოაბეს ყელსა საბელი და განზიდვად სცეს ორთა ცხენოსანთა იმიერ და ამიერ, და მოსწყვიტეს თავი ბოროტად“... სამაგიეროდ, ჯუანშერის მიმართ გამოიჩინა ლმობიერება — თვალმარგალიტით დატვირთული გამოისტუმრა სამშობლოში შვიდი წლის შემდეგ.

**აქედან უნდა დაწყებულიყო ახალი და ფუფუნებით გარემოცული ცხოვრება შუშანისთვის, წარმართთა დედოფლობას რომ უქადდა ხაკანის დანებება. არ ისურვა გარეგნული ფუფუნება და უცხოტომელთა დედოფლობა ქართველი ერისმთავრის არჩილის ასულმა შუშანმა. თავადვე გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს. ხალასი ოქროს ბეჭედი ეკეთა თლილ თითზე, საფირონის ღვინისფერი თვლით, რომელშიც ჩამავალი მზის სხივები უცნაურად ელვარებდა... საწამლავი ჰქონია დაგუბებული ძვირფასი თვლის ქვეშ, — „წამალი სასიკვდინე“. ამოაგდო ძვირფასი თვალი, დაეწაფა საწამლავს და ძმის, ჯუანშერის მკლავზე დალია სული...**

**ქართლში გაბატონებულმა არაბებმა გამგებლად თავიანთი მოხელე — ამირა დააყენეს, რეზიდენცია თბილისში განუწესეს. არნახულად ძნელი დრო დადგა. მრავალი ანტიარაბული აჯანყება მოხდა კავკასიასა და საქართველოში. ერთ-ერთი იყო ნერსე ერისმთავრის ბრძოლა თავისუფლებისთვის, რომელიც მისი არაბი მსახურის, აბოს — გაქრისტიანებული არაბის მოწამეობრივი სიკვდილით დასრულდა.**

**... არაბთა დამსჯელი ექსპედიციები მიზანს ვეღარ აღწევენ. ახალაღმოცენებული ქართული სამეფო-სამთავროები მძლავრდებიან და თავს იხსნიან არაბთა ბატონობისაგან. ბოლო ცდა არაბობის აღდგენისა 914 წელს იყო, მეათე საუკუნის დამდეგს. სარდალი აბულ-ყასიმი გახლდათ არაბთა ბოლო იმედი. მართალია, მან მოსრა სამცხე-ჯავახეთი, უჯარმა, ბოჭორმა, მაგრამ ეს იყო უკანასკნელი გაბრძოლება. არაბთა ბატონობას საქართველოში ბოლო მოეღო...**

***ისტორიული წყაროების მიხედვით საქართველოში არაბების შემოსევისა და განდევნის ეპოქა მიმოიხილა ნოდარ შოშიტაშვილმა***

CMYK

# „ჩემს ბიოგრაფიას სიყვარულიდან სიყვარულამდე დავყოფდი“



*თუ კინორეჟისორ* **ზაზა ხალვაშს** *იცნობთ, სულაც არ არის ძნელი დასაჯერებელი, რომ სიყვარული ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ არ მოდის, რომ დიდმა გრძნობამ ასაკი არ იცის, არც არანაირ საზღვრებს ცნობს. შეგახსენებთ, რომ იგი ორი მოკლემეტრაჟიანი და ორიც სრულმეტრაჟიანი ფილმის ავტორია. მისმა მხატვრულმა ფილმმა „იქ, ჩემთან“ თერთმეტი საერთაშორისო კინოფესტივალის მნიშვნელოვანი პრიზი მოიპოვა. ბატონი ზაზა ქართული ტელესერიალის, „მგლების ხორუმის“ რეჟისორია და როგორც ყველა კინოშემოქმედი, ისიც ახალი ქართული მხატვრული ფილმის გადაღებაზე ოცნებობს. ვიდრე მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, მინდა თქვენთან ერთად გავიზიარო მისი გულისტკივილი ქართული კინოსაოპერატორო სკოლის კლასიკოსის — ჯიმი ქრისტესაშვილის გარდაცვალების გამო. ბატონი ჯიმი ზაზა ხალვაშის პირველი ფილმის ოპერატორი იყო. ერთად მუშაობდნენ „მგლების ხორუმზეც“. იგი იღებდა გიორგი შენგელაიას და ოთარ იოსელიანის ფილმებსაც. ოთარ იოსელიანი პარიზიდან საგანგებოდ წამლებით დატვირთული ჩამოსულა, მაგრამ „თანამებრძოლისათვის“ ვეღარ ჩამოუსწრია.*

**— ბატონო ზაზა, დავიწყოთ ბავშვობიდან...**

— დავიბადე ბათუმში, იქ დავამთავრე სკოლა. ძალიან მიყვარდა ზღვაში ყვინთვა. სკოლიდან ვიპარებოდით, ჩავყვინთავდით ფსკერზე, ქვებზე მიმაგრებულ მიდიებს ვკრეფდით, მერე ნაპირზე კოცონს ვანთებდით, ვდებდით ზედ თუნუქს, ვწვავდით უგემრიელეს დელიკატესებს. ახლა აღარ არსებობენ მიდიები ბათუმის ზღვაში. მეგობრები მეხუმრებიან ხოლმე — იმდენი შეგიჭამია ბავშვობაში, სულ გამწყდარანო. არადა, ნავთობმა, საწვავმა გაანადგურა. ბათუმის გარდა ბავშვობას სოფელ გეგელიძეებშიც ვატარებდი, სადაც ახლა ჩემი მშობლები ცხოვრობენ. ძალიან მიყვარს გვანცას კლდეები.

**— ეს რა სახელია, კლდეებს ჰქვია ასე?**

— გადმოცემით ჩვენი სოფლიდან თურქებს ერთი ლამაზი გოგო — გვანცა გაუტაციათ. მწუხარებისაგან შეშლილა დედამისი, კლდეებში დადიოდა თურმე და შვილს ეძახდა. გულმოკლული დედა კლდეებში ჩაინთქა. ხალხმა ამიტომ შეარქვა ეს სახელი.

**— რეჟისორობა თურმე ბავშვობიდან გიტაცებდათ, მაგრამ ცნობილი რუსი რეჟისორის — ანდრეი ტარკოვსკის გამო უარი გითქვამთ არჩევანზე...**

— სკოლას რომ ვამთავრებდი, მაშინ შევიტყვე, რომ „ვგიკში“ ტარკოვსკი სტუდენტების ჯგუფს ხელმძღვანელობდა. მივწერე წერილი მოსკოვში, თქვენს ჯგუფში სწავლა მსურს-მეთქი. მალე პასუხი მივიღე. დღემდე შენახული მაქვს, როგორც რელიკვია. მწერდა: „17 წლის ხარ, კინორეჟისორობა შენთვის ჯერ ნაადრევია, ცხოვრებას გაეცანი უფრო ღრმად, თუ ეგ სურვილი არ გაგიქრება, სწავლა არც მერე იქნება გვიან.“ დავუჯერე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, ისე გამიტაცა ამ სპეციალობამ, რომ ასპირანტურაც დავამთავრე.

**— ფრიდონ ხალვაშის ვაჟს, გოგლა ლეონიძის ნათლულს, ლექსები არ დაგიწერიათ?**

— ეგ „ცოდვა“ ალბათ ყველა ქართველს გვადევს, მაგრამ მათ გამოქვეყნებაზე არასოდეს მიფიქრია. *„შენ ბარბიუსის ქუჩაზე ცხოვრობ/ და ყოველ დილით მომაქვს ვარდები,/ ის კი არ იცი, მე როგორ ვგლოვობ/ გული როგორ მაქვს სავსე დარდებით...“* ბათუმში იყო ბარბიუსის ქუჩა, შეყვარებული ვიყავი მაშინ... ის გათხოვდა. ამდენი წლის შემდეგაც გრძნობა ძველებურად დარჩა, მე ბაბუა ვარ უკვე, ის ბებიაა, მაგრამ როცა თვალს მოვკრავ, ისევ პატარა ბიჭი ვხდები და სიყვარულის სიმი ძველებურად ჟღერს. თუმცა, არ მჯერა, რომ ადამიანს სიყვარული ერთხელ შეიძლება ეწვიოს. ჩემს ბიოგრაფიას სიყვარულიდან სიყვარულამდე დავყოფდი. გვერდით მყავს შესანიშნავი ქალი ნინო პაპუნიძე. ცოლად რომ შევირთე, 16 წლის იყო. ვხუმრობ ხოლმე, ჩემს სახლში გაიზარდა ათი სანტიმეტრით-მეთქი. სამი ქალიშვილი გვყავს. ჩვენი სიყვარულის სამი მშვენიერი ნაყოფი. დანარჩენი სიყვარულების ნაყოფი კი ჩემი ფილმებია. ოთარ იოსელიანი ამბობდა: სულ ვსვამ, როცა გამოვფხიზლდები, ფილმს ვიღებ. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მერე ისევ დავლიოო. მე კი ფილმს ვიღებ მაშინ, როცა სიყვარული მთავრდება. როცა მიყვარს, მაშინ ვერაფერს ვიღებ.

**— ეი. თუ თქვენი ფილმების მიხედვით ვიმსჯელებთ, სულ მცირე, 4-ჯერ მაინც უნდა ყოფილიყავით შეყვარებული. „მგლების ხორუმს“ რომ დაასრულებთ, ალბათ ისევ სიყვარულს მიეცემით.**

— (იცინის) არ გამოვრიცხავ. ასე მაქვს დაცდილი.

**— მოდით, უნივერსიტეტში დავბრუნდეთ. ფილოლოგიურზე რომ სწავლობდით, გახსოვთ ის დრო?**

— მამაჩემთან ისეთი ხალხი სტუმრობდა, რომ დღემდე არ გამნელებია შთაბეჭდილებები. გოგლა ლეონიძე ჩემი ნათლია იყო. ხშირად დადიოდა ჩვენთან. სტუმრად მოდიოდნენ კონსტანტინ სიმონოვი, არსენ ტარკოვსკი, იოსებ ნონეშვილი, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური და ა.შ. ბუმბერაზების გარმოცვაში გავატარე ბავშვობა. ჩვენს ოჯახში სულ ქეიფი იყო და სულ წუწუნებდა დედაჩემი — აღარაფერი გვაქვს, რითი დავხვდე სტუმრებსო, მაგრამ... უნივერსიტეტშიც ასეთი ატმოსფერო დამხვდა. ქართული ეროვნული იდეოლოგია უნივერსიტეტში ყალიბდებოდა. ფანტასტიკური ხალხი მიკითხავდა ლექციებს. მახსენდება ერთი ეპიზოდი: ცერეფანში მოდიოდა აკაკი შანიძე ფრანგ და ინგლისელ აკადემიკოსებთან ერთად. ურივეს თავ-თავის ენაზე ესაუბრებოდა. უცებ დაინახა სვანი სტუდენტი, სვანურად გამოელაპარაკა, მერე მეგრელი მოიკითხა მეგრულად, ეს იყო საოცარი მომენტი. საერთოდ, ძალიან საინტერესო დრო იყო, ყველაფერ ეროვნულს და ღირსეულს ფასი ჰქონდა. დღეს თაობები მოდის, რომელთაც „ვეფხისტყაოსანიც“ არ აქვთ წაკითხული.

**— ბატონო ზაზა, ფილოლოგიით გატაცებული კინოსამყაროში როგორ მოხვდით?**

— კინოს სიყვარულმა ბატონ თენგიზ აბულაძესთან დამაახლოვა. იმ დროს ნათლიაჩემის „ნატვრის ხეს“ იღებდა. რეჟისორის თანაშემწედ ამიყვანა. ერთი წელი ვმუშაობდი. მოგვიანებით მისი და რეზო ჩხეიძის სტუდენტი გავხდი.

**— ძნელია რეჟისორობა?**

— ნებისმიერ საქმეს თუ სერიოზულად მოჰკიდებ ხელს, არც ისე ძნელია. მაგრამ დღეს საქართველოში რეჟისორობა დონ-კიხოტობაც არის.

**— თქვენ ერთი კინოროლიც გაქვთ ნათამაშები.**

— „ნატვრის ხეში“ ჯარში მიმავალი ბიჭები მარიტას სთხოვენ, ერთი გვაკოცნინეო. ერთ-ერთი მე ვარ. ლიკა ქავჟარაძე მაშინ ჟრუანტელის მომგვრელად ლამაზი იყო. რაღაცას ისეთს ატარებდა, ვერ ახსნიდი. სიყვარული მოგინდებოდა, შეყვარებული რომ არ ყოფილიყავი.

**— როგორი ხართ შეყვარებული?**

— „ქალი და მამაკაცი“ — ხომ იცით ფილმი, აი, ჟან ლუი-ტრენტინიანი როგორიცაა, ისეთი ვარ. დახვეწილი, ამაღლებული, ჩემს თავში ჩაღრმავებული. სიყვარულზე აუცილებლად უნდა გადავიღო ფილმი.

*ეკა ლომიძე*

31 აგვისტო — კვირა

30 აგვისტო — შაბათი

29 აგვისტო — პარასკევი

28 აგვისტო — ხუთშაბათი

27 აგვისტო — ოთხშაბათი

26 აგვისტო — სამშაბათი

25 აგვისტო — ორშაბათი



# — ვერიკო ანჯაფარიძის სურათზე თქვეს, ლია ელიავააო...



*როგორც კი მის სახელსა და გვარს,* **ლალი ბადურაშვილს** *— შორენა კოლონკელიძეს მოაყოლებთ, უცებ გაგახსენდებათ — ღმერთო, რა ლამაზია კოლონკელიძის ასული „დიდოსტატის მარჯვენაში“. სხვათა შორის, ამ ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ ლალი ბადურაშვილის სილამაზით აღფრთოვანებულ ბევრ მშობელს დაურქმევია თავისი ასულისთვის შორენა. ეს სახელი ფილმის გამო მოდადაც კი იქცა. შორენას შემდეგ ქალბატონმა ლალიმ სხვა ეკრანული სახეებიც შექმნა. ბოლოს თენგიზ არჩვაძესთან ერთად მისმა ვაჟმა, რეჟისორმა ერეკლე ბადურაშვილმა გადაიღო ფილმში „ერთი ქართული ისტორია“... თუმცა ყველაფერს თავად ქალბატონი ლალი გვიამბობს, რომლისთვისაც ასაკს ვერაფერი დაუკლია.*

— ახლახან დამთავრდა ერეკლეს ფილმის გახმოვანება-დამონტაჟება, სადაც მეც მაქვს როლი. ფილმის გადაღება 7 წლის წინ დაიწყო და უსახსრობის გამო ახლაღა დასრულდა.

**— შვილის, რეჟისორის თანაშემწეობა არ გაგიჭირდათ?**

— არა. მშვენივრად გავართვი თავი. ზურა ყიფშიძე ეუბნებოდა ერეკლეს — ძალიან კარგად მუშაობს ლალი, თითქოს ეს მისი პროფესიააო. ერეკლე კი ხუმრობს — შენ რომ თავიდანვე დაუფლებოდი სამსახიობო და სარეჟისორო ხელოვნებას, მეორე ლანა ღოღობერიძე გვეყოლებოდიო. მაგათ რამდენიც უნდათ, იმდენი იხუმრონ. მე ძალიან მომწონს ჩემი საქმე და ერთი სული მაქვს, როდის შედგება ფილმის პრემიერა.

**— ქალბატონო ლალი, ორი ვაჟის დედა ხართ, ერთი მხატვარია, მეორე — რეჟისორი. შემოქმედი კაცების დედობა ძნელია?**

— ძალიან. ქართველი კაცი ისედაც ვერ ეტევა ვერანაირ ჩარჩოში, თუ შემოქმედებითად რამე აწუხებს, მით უმეტეს. მაგრამ მყავს შესანიშნავი შვილიშვილი ერეკლესგან — ნინი ბადურაშვილი, რომელსაც მზის სხივს ვეძახი. ის მართლაც ამდენ კაცებში ნამდვილი გამონათებაა.

**— ქალბატონო ლალი. მეც შეყვარებული ვარ თქვენს შორენა კოლონკელიძეზე, არაპროფესიონალს თამაში ხომ არ გაგიჭირდათ? თან ცისფერი თვალები და ოქროსფერი თმაც არ გაქვთ.**

— მე ისეთი პარტნიორები მყავდა, რომ ნამდვილად არ გამჭირვებია. რაც შეეხება თვალებსა და თმას, ბატონმა კონსტანტინემ განაცხადა: ფილმი შავ-თეთრია და მაინც არ გამოჩნდება. მთავარი „ცისფერი გაქვს თვალები“ კი არ არის, არამედ ის, რომ „თავად ჰგავხარ ზღვასო“. როცა მე ვეფხვებთან მივედი, რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილიც ამბობდა: ეს ქალი ნამდვილად არის შორენაო.

**— არ შეგეშინდათ ვეფხვების, როგორ გაბედეთ მათთან მიკარება?**

— ჩემ მაგივრად ვეფხვების მომთვინიერებელ ნაზაროვას უნდა გაევლო კადრში ზურგით, მაგრამ ისე რხევა-რხევით დადიოდა მათრახის ქნევას და ვეფხვებთან მბრძანებლობას ჩვეული, რომ ვერასგზით შეძლო ჩემი სვლის შესრულება. გაგიჟდა რეჟისორი — ეპიზოდი მივარდებაო. გადავწყვიტე, მე თავად გამევლო. იმხანად ნაზაროვა ავად გახდა. მაშინ დამეთანხმნენ რეჟისორიც და ნაზაროვას მეუღლე კონსტანტინოვსკიც, რომელსაც მეაბჯრის სამოსი ჩავაცვით. ვეფხვები ნაზაროვას სხეულის სუნს იყვნენ ჩვეული, ამიტომ მარბენინა, მერე მომცა ხორცის ნაჭრები და გამაფრთხილა: — თუ არ არის მშიერი, თავს არ დაგესხმება, რეაქცია მხოლოდ გაქცეულზე აქვს, მოსდევს მოფართხალე სხეულს, ბრჭყალებით იჭერს, მოიგდებს და გადაეფარება ან თათის დარტყმით წელში გადაამტვრევს. ამიტომ აბსოლუტური სიმშვიდე უნდა იქონიოთო. მეც მივეახლე ამ ვეფხვს, ვაჭამე. მან ელეგანტურად გამომართვა. ეს იყო სანახაობა. ვეფხვმა თავი მუცელში ჩამირგო, ყნოსვა დამიწყო, თათი კოჭში გამომდო. კონსტანტინოვსკიმ მითხრა — თქვენი გაცნობა უნდა, არ შეგეშინდეთ, არ გაინძრეთ, ნელა ადექით და გაბრუნდითო. მეც ასე მოვიქეცი. ამის შემხედვარე 250-მა კაცმა ტაში დასცხო, ვეფხვს ცირკში ეგონა თავი, ისკუპა და ჩემკენ გადმოხტა, მაგრამ კონსტანტინოვსკიმ დაიჭირა საყელურით. თან იყვირა — არანაირი აპლოდისმენტები, სამარისებურ სიჩუმეს ვითხოვო. სამი კადრი გადავიღე. ისეთი კადრები იყო, სამი დღე ყველას მაღალი წნევა ჰქონდა და იქით ვაწყნარებდი...

**— სად იყო ამ დროს თქვენი მეუღლე, ბატონი თემო?**

— გვიან მოვიდა, მას არ უნახავს ჩემი ვეფხვებთან „ჭიდილის“ სცენა, შეშინებული იდგა სატვირთო მანქანაზე. წყალი, წყალი მიაწოდეთ ლალისო, რომ დაიწყეს, მაშინ დავინახე თემოს შეშინებული სახე. ამ სცენის გადაღებისთანავე, საღამოს ჩემმა მეუღლემ დეპეშა აფრინა დედაჩემთან: „ქეთო, შენ ახლა შეგიძლია თქვა, „ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია“.

**— ასეთი გმირობის მიუხედავად, მეუღლე მაინც წინააღმდეგი იყო კინოკარიერა გაგეგრძელებინათ?**

— არც შორენას როლზე დამთანხმდებოდა, მაგრამ ბატონ კონსტანტინეს და ვახტანგ ტაბლიაშვილს ვერ აკადრა უარი. როლისთვის ხომ თავად ბატონმა კონსტანტინემ შემარჩია. თუმცა დღეს აღარც ქართველ მსახიობს აქვს ფასი. პირადად შევხვედრივარ მარჩელო მასტროიანის, რობერტ რედფორდსა და რობერტ დე ნიროს. ისინი შესანიშნავი მსახიობები არიან, მაგრამ ვიზუალურად ვერაფრით შეედრებიან თენგიზ არჩვაძეს, ზურა ყიფშიძეს, ოთარ კობერიძეს და სხვებს. აღარაფერს ვიტყვი ქალებზე: ნატო ვაჩნაძიდან, ლია ელიავადან, დოდო ჭიჭინაძიდან დაწყებული, ნამდვილი ქალღმერთები იყვნენ.

**— ნინისთან თუ მეგობრობთ?**

— ძალიან კარგი გოგოა ნინი, პოპულარობა არ აგიჟებს, მისი თაობის გამო კი ვწუხვარ ნამდვილად. „თეატრალურის“ სტუდენტები იყვნენ მუზეუმში მოსული. ვერიკო ანჯაფარიძის პორტრეტზე თქვეს, ლია ელიავააო. გავგიჟდი, რას ამბობთ-მეთქი, მაგრამ რა გასაკვირია, ეს ბავშვები უშუქობის გამო „გამოქვაბულში“ გაიზარდნენ და ქართული კინოს შესახებ თითქმის არაფერი იციან. იდეოლოგიის ამ არაჩვეულებრივ საშუალებას არ ვიყენებთ. თუ სახელმწიფო ახალი ფილმების გადაღებას ვერ აფინანსებს, ძველი მაინც გაუშვან ეკრანზე, ამაში რაღა უშლით ხელს?..

*ეკა ლომიძე*


ავიაკომპანიები „საქავიასერვისი“ და „სამარა“ 25 აგვისტოდან ასრულებენ რეისს



თბილისი — სამარა — ორშაბათობით

სამარა — თბილისი — სამშაბათობით

მის: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. №4

ტელ: 99-02-37; 99-83-87

**დავიჯერო, ახლა, კონსტანტინე გამსახურდიას არ ესმოდა პოლიტიკა და კანონი და მაგათ ესმით?**

# „ყვარყვარე, შენ შეგვიწყალე!..“





რევოლუცია მოხდა და ყვარყვარესაც ეს უნდოდა, მოჰყვა რევოლუციას და ცხვირწინ წამოგვისკუპდა. დასჩერებია რევოლუციის ნასუფრალს: აგერ ნაცარია, აგერ გზა, აგერ მატარებელი და აგერ კიდევ მთა. იმდენს ხვდება, მატარებელმა რომ გაიაროს, მთაში გვირაბი უნდა გაჭრას, მაგრამ რად გინდა — ყვარყვარეს ამისთანა პატარა, პაჭაპუჭა საქმეები ჭირის დღესავით ეჯავრება — ისე, როგორც ვთქვათ, ხარაგაულში ტყემლის ქარხნის აშენება. ყვარყვარეს დიდი საქმეები უყვარს — გადარევს ქვეყანას, გაშტერდებიან, დაალებენ პირს და სკამიდან ჩამომგდებიც არავინ ეყოლება.

საიდან გაჩნდა ეს კაცი? — ჩვენ, ასე პირდაღებულებმა მოვიყვანეთ ზარ-ზეიმით... იმას, რომ ტრიუმფით მოვაცილებდით, თითო-ოროლა კაცი ტროტუარიდან დანანებით შესცქეროდა ფშუტე ესკორტს. ამ ზრიალში იმათ ყურს ვინ დაუგდებდა!..

ახლაც ტროტუარზე დგას ის ხალხი და დუმს. უფრო სწორად, ყვარყვარე ისე ხმაურობს, იმათი ხმა აღარ ისმის. ისინი უბრალო კაცები არიან, ყვარყვარეს არ მიეკარნენ, რადგან კაი დიდი ხნის წინ იცოდნენ, რა დღეში ჩაგვყრიდა ფშუტე მედროვეების ჭკუაზე წანწალი. ყვარყვარე კვერცხიდან რომ გამოიჩეკა, მაშინ გვაფრთხილებდნენ, არ აჰყვეთო... რაც მოხდა, მოხდა — ავყევით... მაგრამ სულ ასე ხომ არ იქნება? ერთ მშვენიერ დღეს ყვარყვარეს ნაცრის პროექტს ქარი წაიღებს და მობრუნებული ფარის თავში მოქცეული კოჭლი ცხვარი შავ დღეში ჩავარდება... ნაცარი რომ გაიფანტება, რასაც მართლა ფასი აქვს, იმას დავინახავთ — იცის ეს ამ ხალხმა...

**დევი აბაშიძე,** ფილმ „ყვარყვარეს“ რეჟისორი:

— **ბატონო დევი, თქვენზე ამბობენ, 37-ში დახვრეტილი მამის დამსმენი ცოცხალი იპოვაო...**

— მივაგენი... ცოტათი მიივიწყეს, ტროცკისტის შვილი რომ ვიყავი და ერთმა ადამიანმა არქივში მომიძებნა მამაჩემის დამსმენის განცხადება. წერდა: ტროცკისტია, გლეხებს დასცინისო... ის კაცი მამაჩემთან დახმარებისთვის ჩამოსულა სოფლიდან. მამა დახმარებია და უთქვამს: გლეხკაცი ხარ და იმიტომ არაფერი გესმის ამ საქმისო. იმას გული მოუვიდა, წავიდა და უჩივლა. მამაჩემმა გიტარა იცოდა, რა ესმოდა იმას ტროცკისტობის?.. ის კაცი ხარაგაულში, ჩემს სოფელში ცხოვრობდა. გზის პირას ედგა სახლი. ვინც მისი „კაიკაცობის“ ამბავი იცოდა, შუაღამეც რომ ყოფილიყო, თუ იმ გზაზე ჩაივლიდა, გამოიყვანდა და აგინებდა. სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული, როგორც ჩვენ გაგვიმწარა, ისე. დედაჩემი დილიდან დაღამებამდე ციხის კარებთან იჯდა „პერედაჩის“ გადასაცემად. ამ დროს მამა უკვე დახვრეტილი იყო — მატარებელში რომ აღარ ჩაეტიათ, რამდენიმე კაცი სამგორის ხევში ჩამოიყვანეს თურმე და ჩაცხრილეს. ძმა უპატრონობით დამიავადმყოფდა და მოკვდა. სახლიდან გამოგვრეკეს...

— **ახლა როგორ ფიქრობთ, ამ ამბავმა სიძულვილი გასწავლათ თუ შურისძიება?**

— წარმოიდგინეთ, სიძულვილი არ გამკარებია. სიმწარე მქონდა დაგროვილი და გზას ეძებდა... მაგრამ რაც დრო გადის, სხვანაირად ვუყურებ ყველაფერს, უფრო და უფრო ხშირად მახსენდება ვასო ყუშიტაშვილი — ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ქუთაისის თეატრში წავედი სამუშაოდ, იქ იყო მთავარ რეჟისორად. 15 წელი უცხოეთში ჰქონდა გატარებული, ყველაფერი იცოდა და ყველაფერზე შეეძლო პასუხის გაცემა, მაგრამ ვინმე რომ აწყენინებდა, კი არაფერს იტყოდა, ჩუმად დაიხურავდა ქუდს და წავიდოდა. მოიხედავდი და აღარ იყო... დიდი ადამიანი გახლდათ. ამას ამიტომ ვამბობ, რომ იმან იცოდა: ყველას ყველაფერი მოეკითხება. ახლა რა ხდება — ის გამოდის ტელევიზორში და მიკითხავს მორალს, ვინც უნამუსოდ იცხოვრა; ზოგმა ძმაკაცს ცოლი წაართვა, ზოგმა — ხალხი გააუბედურა, ზოგმა ერთი ბატონი გაყიდა და მეორეს მიეტმასნა... ამ ხალხმა კი ნამდვილად არ იცის, რომ რაც აკეთეს, სულ უკან მიუბრუნდებათ...

— **სხვათა შორის, მაგისთანა ქმედებებს პოლიტიკაში ორიენტაციის შეცვლას, პროგრესს ეძახიან.**

— რა პროგრესი? ვერ უნდა მიხვდე, რომ მოღალატე შენც გიღალატებს? ის, ვინც სხვას უმტყუნა, პოლიტიკაში რომ მოგყავს, ქვეყანასაც ხომ უმტყუნებს? უნამუსო კაცისთვის წმინდა იდეა არ არსებობს. ვამბობთ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო. ასე იმიტომ არის, რომ ბინძური ადამიანების თავშესაფარი გახდა. ხომ გახსოვთ, ყვარყვარეს რომ ეკითხებიან, — კაცო, შენ ხომ სხვა პარტიაში იყავი, აქ რა გინდაო?! — ის პარტია აღარ მომეწონაო, — პასუხობს. მეტი სხვა კი არაფერია ყვარყვარეობა — გადადიან ერთი პარტიიდან მეორეში, აჩერჩეტებენ საზოგადოებას. გამორჩერჩეტებულ კაცს საითაც გინდა, იქით წაიყვან...

**თუ იცი, როგორ გაიგეს, რომელი იყო ყველაზე უტვინო ფრინველი: დაყარეს მარცვალი, გადააფარეს მინა და მიუშვეს ფრინველები, ყველამ ერთი-ორჯერ ჩაჰკრა ნისკარტი და წავიდა. ინდაური დარჩა, იმდენი ურტყა, ცხვირ-პირი დაისისხლიანა... კაცო, ინდაური ხომ არ ხარ? ერთხელ, ორჯერ და სამჯერ რომ მოგატყუეს, ვერაფერი ამოიღე ამ ტყუილიდან, მაგრამ ისევ მაგათ შესციცინებ და ეხვეწები, — რამე მიშველეო.**

— **რამდენჯერაც თქვენს ფილმს ვნახავ, იმდენჯერ რომელიმე კონკრეტული ყვარყვარე პოლიტიკოსი მახსენდება.**

— ყვარყვარე ყოველთვის იყო. პოლიკარპე კაკაბაძეს კი არ გამოუგონებია ეგ კაცი, ათასწლოვანი ბიოგრაფია აქვს. იშოვის დროს და წამოგისკუპდება წინ... მაგრამ ისე არასოდეს აყვავებულა ყვარყვარეობა, როგორც ჩვენს დროში. რატომ? იმიტომ რომ ერთბაშად ბევრი უნამუსო ადამიანი გამოჩნდა. რას ამბობს ყვარყვარე? — დაიღუპება ის, ვისაც სირცხვილი ფესვებში აქვს, მე ავყვავდებიო! ამ მთავრობაში რამდენსაც გინდა, იმდენს იპოვი სირცხვილი რომ არ აქვს — სროლა არ იცის და ჯარების უფროსია, ანგარიში არ იცის და ფინანსების უფროსად მუშაობს. თანაც დიდ საქმეებზე ლაპარაკობენ, პატარა საქმეები სძულთ. პატარაა აგური, მაგრამ სინჯე, უაგუროდ სახლს თუ ააშენებ?! ახლა მაგათ აგურის გასაკეთებლად სცალიათ? წამოწვებიან ვილაცების კაბინეტებში და ვშიმშილობთო, გაიძახიან. ისე არიან დასუქებულები, არ უნდა იშიმშილონ? ხალხს ხომ აშიმშილებენ... თუ იცი, როგორ გაიგეს, რომელი იყო ყველაზე უტვინო ფრინველი: დაყარეს მარცვალი, გადააფარეს მინა და მიუშვეს ფრინველები, ყველამ ერთი-ორჯერ ჩაჰკრა ნისკარტი და წავიდა. ინდაური დარჩა, იმდენი ურტყა, ცხვირ-პირი დაისისხლიანა... კაცო, ინდაური ხომ არ ხარ? ერთხელ, ორჯერ და სამჯერ რომ მოგატყუეს, ვერაფერი ამოიღე ამ ტყუილიდან, მაგრამ ისევ მაგათ შესციცინებ და ეხვეწები, — რამე მიშველეო. ისევ მაგათ როგორ უნდა ენდო? არიქა, პენსიებისთვის შიმშილობენო და აუჩუყდათ გული პენსიონერებს... აწყობთ მაგათ ხალხის გამოჩერჩეტება, ყველაფერს აკეთებენ ამისათვის — აბა, ნახე, ბიბლიოთეკას თუ აშენებენ სადმე — სულ რესტორანი და რესტორანი! მაგათი წიგნი ღვინის იარლიყია...

— **მგონი, მეტისმეტი მოგდით, ბატონო დევი, თითო-ოროლა განათლებული პოლიტიკოსი ჩვენც გვყავს. თვითონ ბევრს კითხულობთ?**

— ისე მოვიყარე 80 წლის, წიგნი ხელიდან არ გამიშვია. კაცმა იმდენი რავა არ უნდა იცოდე, სადღეგრძელო თქვა და ყური დაგიგდონ. მამახსოვრდება ყველაფერი, ხო იცი?! ხანდახან რომელიღაცა პერსონაჟის სახელი დამავიწყდება, იმდენს ვიწრიალებ მთელი ღამე, დედას ვუტირებ, მაინც გავიხსენებ... ერთმა მთავრობის კაცმა მითხრა, — სახელმწიფოს კულტურა ძვირი უჯდებაო. თქვე, მამაცხონებულებო, იმას რატომ არ კითხულობთ, უკულტურობა რამდენი უჯდება-მეთქი? უკულტურობას მოაქვს უზნეობა და ქვეყნის ნგრევა... გაიძახიან პოლიტიკა, პოლიტიკაო, თუ არაფერი არ იცი, პოლიტიკას როგორ გააკეთებ? დავიჯერო, ახლა, კონსტანტინე გამსახურდიას არ ესმოდა პოლიტიკა და კანონი და მაგათ ესმით? ავიღოთ, „ილიადა“ და „ოდისეა“ — ჰუმანიზმში ამაზე მეტი შექმნილა? ეგვიპტურ ქანდაკებებზე უკეთესი რა გაკეთდა? 800 წელიწადში „ვეფხისტყაოსნის“ მჯობი რაიმე დაიწერა? ესენი ყველაფერი იქმნებოდა იმიტომ, რომ სახელმწიფოებს იდეა ჰქონოდათ. იდეოლოგიაა მთავარი. რწმენა უნდა მისცე ხალხს...

— **მიჩვეული ხართ იმ სახელმწიფოში ცხოვრებას, რომელსაც მყარი იდეოლოგია ჰქონდა.**

— ადამიანი კანს კი არ იცვლის, იდეოლოგიას იცვლის — იდეისთვის იკლავს თავს. ამას რომ ვამბობ, მეუბნებიან, ძველი დროის ნოსტალგია გაქვსო. ნოსტალგიაა თუ რაც არის, სირცხვილია, რომ მქონდეს? რატომ არ უნდა მენატრებოდეს კარგი ფეხბურთი ან კაი ხალხი? ახლა ზოგიერთ თეატრში რომ ხალხია, ადრე იმათ სკამს არ გამოატანინებდნენ სცენაზე. მარჯანიშვილის თეატრში ერთი პატივცემული რუსი ჩამოვიდა. „კოლმეურნის ქორწინება“ ანახვეს, სცენაზე ხარიტონი — გიორგი შავგულიძე რომ შემოვიდა, აღარ მჭირდება თარგმანიო, თქვა. შევიდა საგრიმიოროში, ნახა გიორგი და არ დაიჯერა — ეს ის იყო, ხარიტონს რომ თამაშობდაო? კაცს აპოლონივით ტანი ჰქონდა და ვერ წარმოიდგინა, ათი წუთის წინ როგორ იყო დაგრეხილი ხარიტონი. გიორგი რომ დაიტირეს, ისე არავინ უტირიათ თბილისში. ეგ და აკაკი ხორავა რომ იყვნენ, მსოფლიო ინატრებდა მაგისთანა მსახიობებს... წეღან სინდისზე გელაპარაკებოდი... ეროსი მანჯგალაძის სინდისზე ნოსტალგია ვითომ რატომ არ მექნება? ბავშვივით სუფთა იყო. წყალი რომ შეგელება და გეთქვა, ღვინოაო, დაგიჯერებდა — რას ამბობ, კაცო, ასეთი წითელი როგორ არისო?! დოდო აბაშიძე რომ იჩხუბებდა, 5-6 კაცს დააწყობდა ტიკივით, მაგრამ მეტისმეტად თუ არ გაამწარებდნენ, ისე არ დაარტყამდა კაცს. ერთხელ, ღამით, ავტობუსით მოვდიოდით გადაღებიდან. მთვრალი კაცი შეგვხვდა. გავუჩერეთ. ამოვიდა, გადახედა იქაურობას და იკითხა, — ვინ ხართო... მსახიობებიო, — უთხრეს... ჰოდა, თქვენი დედაცო... აღარ გაჩერდა. აკივლდა სესილია. დოდო ზის ჩუმად. იმ კაცმა ჩასვლა რომ მოინება, ჩაჰყვა. მივყევი მეც. ერთი ისეთი უთავაზა, არხში ჩააგდო. თვითონვე ამოიყვანა, დასვა და უთხრა, — აქ იჯექი, სანამ გამოფხიზლდები, თუ კარგად არ გამოფხიზლდები და ვერ მიხვდები, სად რა ილაპარაკო, კიდევ გამოვივლიო... გესმის? გადაგვარებულ ადამიანსაც არ მიაყენა ხალხში შეურაცხყოფა...

**მსოფლიოს საოცრებები მინახავს და ძილში არც ერთი არ წამომელანდება, გარდაცვლილი შვილი არ დამესიზმრება და ფარცხნალის რომელიღაცა ბილიკს ვნახავ. ვიტყვი ხოლმე, განგება ინდობს კაცს, აძინებს და სიზმრებში, რაც სიცოცხლეში კარგი უნახავს, იმას ასიზმრებს, იმით აწყნარებს-მეთქი.**

— **მშვენიერი თემაა. — დიდ ადამიანებს ვიხსენებთ. კონსტანტინეც გავიხსენოთ. ვიცი, მეგობრობდით...**

— კი, კაცო. „დიდოსტატის მარჯვენას“ როცა ვიღებდი, ორ დღეში ერთხელ ვსტუმრობდი. აი, ვინ იყო ნამდვილი პატრიოტი! როგორც დაგელაპარაკებოდა, იმ წუთშივე ხვდებოდი, რომ მისი ტოლი არა ხარ, იმიტომ, რომ თავი სხვაგვარი ტვინით აქვს გამოტენილი... ღვინო გამოიტანეო, მეტყოდა. გაქვთ-მეთქი? — წადი, წადი, ღვინო იმდენი მაქვს, ცხენებს დავბანო. უშიშარი იყო „ვითარცა უხორცო“, ძალა აღარ ჰქონდა, სიარული არ შეეძლო და აიჩემა, ცხენზე უნდა შევჯდეო. რაღას ვიზამდი, მოვუყვანე არაბული ცხენი. აქეთ-იქით მგლებივით ცხენოსნები დავუყენე, არ გადმოვარდეს-მეთქი. შეჯდა!.. ამისთანა ხალხი გვყავდა. მოდი და ნუ მოინატრებ. კაცი რომ გასწავლის, ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველამ არ გაირე, რაა მამულიო და შენ სულ არ იცი, რა არის ცვარი და ბალახი, რა უნდა გააკეთო სამშობლოსათვის? ...ამის დამწერსაც ვიცნობდი. მე და ჩემს დეიდაშვილს შეგვხვდა ნასვამი. ერთი-ორი ჭიქით დაგვლოცეო, გავბედე, ვთხოვეთ. წამოგვყვა გალაკტიონი. ზუსტად ორი ჭიქა დალია და ადგა. შევუდექით აქეთ-იქიდან მხრებში. მოსკოვში სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა. თქვენ ხომ რეჟისორი ხართ-მეთქი, გავახსენე. მე ყველაფრის რეჟისორი ვარ, ბიძიკოო-მითხრა...

— **თქვენი ცვრიანი ბალახი სად არის?**

— ხარაგაულში, ფარცხნალში. ჩემი და რეზო თაბუკაშვილის სოფელია. სიზმარში სულ იმ მხარეში დავდივარ. მსოფლიოს საოცრებები მინახავს და ძილში არც ერთი არ წამომელანდება, გარდაცვლილი შვილი არ დამესიზმრება და ფარცხნალის რომელიღაცა ბილიკს ვნახავ. ვიტყვი ხოლმე, განგება ინდობს კაცს, აძინებს და სიზმრებში, რაც სიცოცხლეში კარგი უნახავს იმას ასიზმრებს, იმით აწყნარებს-მეთქი. ბებიაჩემი ამბობდა: რაც არ უნდა დაემართოს კაცს, სულ უნდა იძახოს ღმერთო შენი სამართალი დაილოცაო, — არავინ იცის, განგება კიდევ რას უმზადებს, ამიტომ უფალს ყოველთვის უნდა ევედროსო.

— **თქვენ იმ თაობიდან ხართ, გაგიჭირდებოდათ ასეთ რწმენამდე მისვლა.**

— რატომ? უფალი თავისთან თვითონვე მიგიყვანს. ისრაელში ვიყავით მე და რეზო ჩხეიძე. ქრისტეს საფლავთან რომ მივედით, არ ვიცი, რატომ და რანაირად მოხდა, რა ძალამ ქნა... დავიჩოქე — ფინალი ეს არის! ჩემს სოფელში კახორის მთაა. წმინდა გიორგის ეკლესია იყო იმ მთაზე. დაანგრიეს, ზარის ნატეხი იყო შემორჩენილი. ეწერა: მე, ზურაბ აბაშიძემ შევწირეო. მითხრეს, მგონი, თქვენს გვარსაც აქვს ხელი ამ ეკლესიის დანგრევაშიო. ვუამბე უწმინდესს — რა მნიშვნელობა აქვს, ვისი ხელი შეეხო, შენმა სოფელმა ხომ დაანგრია, რაიმე შეწირეო. შევწირე... მაგრამ სულ ვფიქრობ იმაზე, რამ დაანგრია ეკლესიის გარშემო, კლდოვანი სოფელი. ასეთ მყარ მიწაზე იყო გაშენებული და მაინც დაინგრა! მოდი და ნუ იწამებ!.. ამიტომ სანამ შეგიძლია, სიკეთე უნდა თესო. ილია ამბობდა, ადამიანს ორი სახლი უნდა ჰქონდეს, ერთი აქ დატოვოს და მეორე წაიღოსო... ეს ხელისუფლება რას დატოვებს? — ლაქლაქს და იმასაც ქარი წაიღებს — რაც სხვისი დატოვებული იყო, ისიც დაანგრიეს.

— **80 წლის როცა გახდებით, რას იზამთ?**

— სუფრას გავშლი. მოვიყვან მეგობრებს და ვითამადებ. ვითომ რატომ ვერ ვითამადებ? კარგი მეგობრები მყავდა და მყავს. დიდი ადამიანების გვერდით ვცხოვრობდი. ცუდად რომ ვარ, იმათ ვიხსენებ და მშველის... ასეა, მხოლოდ ყვარყვარეებით არ არის სავსე ქვეყანა... გვიჭირს, მაგრამ ქართულ ოჯახში ისე ვერ შეხვალ, პატივი რომ არ გცენ... ჩემს შვილიშვილებს ალბათ ეტყვიან, — ბაბუათქვენი ცუდი კაცი არ იყოო და... კიდევ: ნინო ანანიაშვილს რომ ვუყურებ, იმდენად ღვთიურია ცრემლებით მევსება თვალები... ეს 80 წლის სიცოცხლისთვის ცოტა არ უნდა იყოს.

*ეთერ ერაძე*



# აი, ასე ვუზერავთ!..




## „წუნა“ და მისი თაყვანისმცემლები

— რაიონში, თანაც საჩხერეში, ქალის გაუთხოვრობა დიდი სადარდელია ოჯახში, — მიამბობს ჩემი ნაცნობი ნანა, — ჩემმა დამ, ელენემ, 30 წელს რომ გადააბიჯა, საგონებელში ჩავვარდით. მთხოვნელი ბევრი ჰყავდა, მაგრამ ყველას იწუნებდა. როცა ჭიშკართან სტუმარი დაიძახებდა, „მასპინძელო“-ო, უმალ დავფაცურდებოდით სუფრის გასაშლელად — ეგებ ჩვენს „წუნას“ მოეწონოს ვინმეო.

ერთხელ, ორი მეგობრითა და ნათესავით გვეახლა სასიძო. ბიჭად ბიჭს არა უშავდა რა. შუა ლხინში ელენემ დატოვა სუფრა და თავის ოთახში შეიკეტა. სტუმრებისთვის გასაგები გახდა, რომ „პურის ჭამა“ აღარ უნდა გაეგრძელებინათ. მათი წასვლის შემდეგ დედაჩემმა უსაყვედურა, — უტაქტოდ მოიქეცი, რა ჰქონდა იმ ბიჭს დასაწუნიო? ელენემ ცივად მიუგო: ვერ შეატყვეთ, როგორ ძალით იყო ჩაკვეხებული იმ პერანგში? როცა დაჯდა, ღილებს შორის ხორცი „ჭიტა-ჭიტას“ იძახდაო!..

მალე ახალი მთხოვნელი მოგვადგა კარს. ჩვენმა „წუნამ“ ცალი თვალით გამოხედა სტუმარს და გამოგვიცხადა: არც ამას გავყვებიო. გადაირია მამაჩემი, გიჟი ხომ არა ხარ, კარგი ოჯახის შვილია, საქმის კაცია, რას ერჩიო. რას და, ფეხსაცმელები აქვს გახდილი... სტუმარი, თანაც სასიძო, წინდებით როგორ უნდა იჯდეს სუფრასთანო? დამშვიდობებისას სასიძომ მორიდებით სთხოვა ელენეს, შეხვედროდა. მშობლებს ისეთი სასოწარკვეთილი სახე ჰქონდათ, რომ ელენეს შეებრალა ისინი და დათანხმდა. მეორე დღეს, მეზობლის 7 წლის გოგონას ხელი დაავლო და პაემანზე გაიყოლა. ბავშვი სეირნობისას ატყდა — ნაყინი მინდაო. ცოტა ხანს წაუყრუა სასიძომ, ბოლოს — გოგონი, 25-მანეთიანი მაქვს და „მაროჟნისთვის“ ნუ დამახურდავებინებო, მიახალა. ამის თქმა იყო და, ელენემ — შინ უთო დამრჩა ჩართულიო და უკან მოუხედავად გამოიქცა.

მესამე მთხოვნელი დოლ-გარმონით მოგვადგა. ელენემ კვლავ უარი განაცხადა: მარჯვენა ხელს დააკვირდით და მიხვდებით, რატომაც ვიწუნებო. სასიძოს ნეკს 3-4 სმ-იანი ფრჩხილი უმშვენებდა! ჩემს ძმას სიცილი წასკდა და ელენეს უთხრა: ამ კაცს ყველაფერი რიგზე რომ არა აქვს, ნეკზე ეტყობა, მაგრამ შენც რომ მაგრად უზერავ, რად უნდა ამას ლაპარაკიო. მამამ სცადა სასიძოს გამოსარჩლება: რა უჭირს, შვილო, შენი ქმარი რომ გახდება, მოიჭრისო. ახლა ელენე გადაირია: მაგას ეს წაზრდილი ფრჩხილი სულში აქვს, მოჭრა რას უშველისო. მართალი იყო. ცოტა ხანში სტუმარმა ისეთი რამ გააკეთა, ყველანი სახტად დავრჩით. დედამ ლანგრით სალათი დადგა სუფრაზე. სასიძომ გადაიღო, მერე გამოაცხადა, — მარილი აკლიაო, სამარილეში ნიჩაბივით ჩაყო მისი საამაყო ფრჩხილი და „დელიკატურად“ მოაყარა მარილი; ეგეც არ იკმარა, თქვენ არ გაწვალდეთო, — გვითხრა და კვლავ სანაქებო ბუნებრივი „ნიჩბით“ ლანგარზე მოთავსებული სალათი დაამარილა!

ამის მერე მშობლებმა ხელი ჩაიქნიეს — რაც გინდა, ის ქენიო. ელენემ, თითქოს ამას ელოდაო, ამოიკნავლა: შეყვარებული მყავს, მაგრამ თქვენი ამბავი რომ ვიცი, ვერ ვამხელდი, რადგან მას შვილი ჰყავსო. ჩვენებმა თავისუფლად ამოისუნთქეს... მეორე დილით დეპეშა გაუგზავნა ელენემ თავის შეყვარებულს.

ახლა ჩემი და და სიძე ბედნიერად ცხოვრობენ.

## ეს კაცი გიჟია!

— ზურა რომ გავიცანი, პირველ კურსზე ვიყავი, — მიყვება მარი, — თავიდან დინჯ კაცად მომეჩვენა, მერე და მერე კი „შეუზერა“, რასაც ასე ამართლებდა: შენი სიყვარულით სულმთლად გადარეული ვარო. თავდაპირველად მაღიზიანებდა მისი ხუშტურები, მერე კი მივხვდი, რომ მართლა გადამეტებული სიყვარულით სჩადიოდა რაღაცებს.

პარტისტორიის ლექტორმა — რას ჰქვია, სამი ლექცია გამიცდინეო და გამოუკითხავად დამიწერა ორიანი. ეს რომ ზურამ გაიგო, მისი თანაკურსელის ბებიის კაბა და ლაკის ტუფლები ჩაიცვა, ჭაღარა პარიკი გაიკეთა, მოირთო და მოიკაზმა, ჩემს ლექტორს შინ ესტუმრა. ცრემლები აღვარღვარა, — მარი 7 წლის იყო, მშობლები ავარიაში რომ დაეღუპა. მე გავზარდე, ეგ არის ჩემი ნუგეში და იმედი, თქვენი ჭირიმე, ნუ დამიჩაგრავთო. იმდენი ელაპარაკა, რომ ლექტორმა ასევე გამოუკითხავად დამიწერა ხუთიანი...

ერთხელ, მაშინდელი ჩელუსკინელების ხიდზე გადავდიოდით მე, ზურა და ჩემი მეგობარი ნინო. ზურა მომიბრუნდა: — თუ უარს მეტყვი, ხიდიდან გადავხტებიო. გავეხუმრესავით: — აბა, თუ ვაჟკაცი ხარ, გადახტი-მეთქი. ამის თქმა იყო და გადაევლო ხიდის მოაჯირს. მაშინვე არ გადამხტარა, კარგა ხანს მიყურა თვალებში. ფერი დავკარგე — სისულელეს თავი დაანებე, გადმოდი-მეთქი. თან გზა განვაგრძე, ვიფიქრე, გადმოვა და გამომყვება-მეთქი. შენც არ მომიკვდე. ახლა ეს რომ არ გავაკეთო, ხვალ ზედაც არ შემომხედავო და — გადახტა. აპრილის ბოლო იყო, ადიდებული მტკვარი მოღელავდა. კარგა ხანს არ გამოჩენილა, ისეთი დაბნეულები ვიდექით მე და ნინო, რა გაგვეკეთებინა, არ ვიცოდით. ბედად, ჩვენი უნივერსიტეტელი ნაცნობი ბიჭები გამოჩნდნენ. შევჩივლეთ ჩვენი გასაჭირი. გაეცინათ, — მადლობა თქვი, შენც თან რომ არ გადაგიყოლა, ნუ დარდობ, წყალში თევზივითააო. მართლაც, ცოტა ხანში მისი თავი გამოჩნდა. ისე გავბრაზდი, აღარც დავუცადე და შინ წავედი. მთელი კვირა არ ველაპარაკებოდი. ხან ყვავილები გამომიგზავნა, ხან მეგობრები. არ ვურიგდებოდი. ერთხელ, თანაკურსელის სახლში ვმეცადინეობდით. უცებ დავინახეთ, ციდან მინდვრის ყვავილების ვეებერთელა თაიგული ჩამოეშვა. შიგ ბარათი იდო: „მარი, შემირიგდი, თორემ მეშვიდე სართულიდან გადავხტები, ქვემოთ კი მდინარე არ მიედინება...“ ავიხედეთ — ზურა არ დგას გაღიმებული? ზედა სართულის მეზობლისთვის უთხოვია, — შეყვარებული გამებუტა და უნდა მიშველოთო. გოგოებმა მითხრეს: შეურიგდი, ხომ იცი, რომ უზერავს, იმ მეზობლის (ზურასი კი არა!) ცოდვას ნუღარ დაიდებო. სხვა რა გზა იყო, შევურიგდი.

## ზოოპარკი, სახელად „ხათუნა“

— ჩემს მეგობარს, გოჩას, ძალიან უყვარდა ერთი გოგო. მეტისმეტად მგრძნობიარე იყო (ახლა, რაც ასაკში შევიდა, ცოტა განელდა). კარგად მღერის და უკრავს გიტარაზე. წამოავლებდა ხელს გიტარას და ხათუნას აივნის ქვეშ სერენადებს მღეროდა, — მიყვება ზაზა, — ერთხელ მითხრა, — უფრო მეტად უნდა მივიპყრო მისი ყურადღებაო და ხათუნას აივნის წინ მდგარ ჭადარზე აცოცდა. ისე გაერთო ამ საქმით, რომ ხიდან ჩამოსვლა აღარ უნდოდა. მშობლებს ეგონათ, ჩემთან რჩებოდა, ის კი გათენებამდე ხეზე შემოსკუპული მისჩერებოდა ხათუნას ფანჯრებს. ერთხელ ხეზე ჩასძინებია. ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. ძმაკაცებმა ხათუნას ვთხოვეთ, მოენახულებინა მის აივანთან დაზარალებული მიჯნური! არ გაგვაწბილა. რომ გაიგო, ხათუნა მოდისო, გადაირია სიხარულით. თაბაშირიანი ფეხი აიჭრელა წარწერებით: „ხათო, მიყვარხარ!“ სამწუხაროდ, გოჩას სიყვარული ცალმხრივი იყო. ხათუნა მალე გათხოვდა. გოჩამ ხათუნას გადიდებული ფოტოებით მორთო ოთახის კედლები. ცოდოა ის გოგო, კი არ მომკვდარაო, — ვსაყვედურობდით. ჩემთვის მოკვდაო, — გვპასუხობდა. ესეც არ იკმარა: ლეკვი მიიყვანა შინ, „ხათუნა“ დაარქვა, ზაზუნა იყიდა — „ხათუნას“ ეძახდა, თუთიყუში გაიჩინა, იმასაც „ხათუნა“ უწოდა, ბოლოს ოქროსფერი თევზები გაუშვა დიდ აკვარიუმში და ხუთივეს №1, №2 და ა.შ. „ხათუნა“ დაარქვა. ბიჭები ვცინოდით: მთელ ზოოპარკს „ხათუნა“ ჰქვიაო.

დიახ, ასე „უზერავდა“ სიყვარულით გაგიჟებული ჩემი ძმაკაცი. სხვათა შორის, დღემდე არ მოუყვანია ცოლი...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# დიასახლისთათვის

# ყველიან-ლობიანი ხაჭაპური



მოვზილოთ ჩვეულებრივი საფუვრიანი ცომი.

მოვხარშოთ თეთრი ლობიო, დავჭყლიტოთ, შევაზილოთ ჭყინტი ყველი (1:1), რომელსაც წინასწარ ვამოწმებთ: ცხელ ტაფაზე დავდოთ ყველის პატარა ნაჭერი და მაშინვე ავიღოთ, თუ გაიწელა, ვარგისია.

გულსართს დავუმატოთ გემოვნებით მარილი.

ცომი ამოვაგუნდავოთ, გავაბრტყელოთ, დავდოთ ზედ გულსართი, მოვუკრათ თავი და გამოვაცხოთ დაბალ ცეცხლზე.

# ხსნას თქვენგან ველი

***კვლავ მივიღეთ წერილი, სადაც მკითხველი რჩევას, უბრალო ადამიანურ თანადგომას გვთხოვს.***

„16 წლისა გავთხოვდი. დრო რომ გავიდა, მივხვდი, ბევრი რამ მაკლდა სრული ბედნიერებისთვის. ცხოვრება თანდათან უფრო აუტანელი გახდა ჩემთვის. ჯერ საკუთარ თავში ჩავიკეტე, მერე კი იქიდან გაღწევაზე დავიწყე ფიქრი. თითქოს მივაღწიე, მაგრამ ნერვიულობის ხარჯზე... სწავლა უმაღლეს სასწავლებელში განვაგრძე. არც ამას მოუტანია შვება. 8 წლის მანძილზე მე და ჩემმა ქმარმა ჩვენი მისწრაფებები, იდეალები, პრინციპები ვერაფრით დავუახლოვეთ ერთმანეთს. სულიერად დავშორდით, თუმცა ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ, რაც გაუსაძლისს ხდის ჩემს ყოფას. მეც ერთი ჩვეულებრივი ნიღბოსანი გავხდი, ჩემდა უნებურად თამაში დავიწყე... მალე დავრწმუნდი, რომ თუკი განგებამ მარტოსულობისთვის გაგწირა, ნუგეში არაფრით არ უნდა ეძებო საპირისპირო სქესის წარმომადგენელში, რადგან ეს ძიება საკმაოდ რთული პროცესია. სულ მალე შეიძლება მიხვდე, რომ „ჭეშმარიტი მამაკაცის“ ძიებისას დაკარგე უმთავრესი — თავმოყვარეობა და ღირსება.

დავიღალე ყველაფრით. ეს ოთხი თვეა, გავწყვიტე კავშირი „ყველასთან“, რადგან ვერავინ შეძლო ჩემთვის სულიერი სიმშვიდის მოტანა, ვერავინ მიხვდა, რომ მე, როგორც ქალს, როგორც ადამიანს, ბედნიერება მჭირდება. ჩემი სულიერი მდგომარეობა არასოდეს შეუნიშნავს ჩემს მეუღლეს. ამის გამო ისტერიკაში ვვარდები ხოლმე. იმის გაფიქრება, რომ მთელი სიცოცხლე ამ ზედაპირულ ადამიანთან უნდა გავატარო, მაგიჟებს. ბოლო დროს უბრალო მიზეზის გამო ჩხუბს ვიწყებ, ვაიძულებ, რომ დამტოვოს, გამშორდეს. ვატყობ, მასაც მოჰბეზრდა ყველაფერი, მაგრამ შვილები გვაკავებს. თან მომავალი მაკრთობს, მეშინია სიძნელეების, რომელიც უსათუოდ გაჩნდება გაშორების მერე. წინასწარ ვიცი, ვერავინ შეეგუება (მათ შორის ჩემი ახლობლებიც) ჩემს ნაბიჯს. ვერც გამიგებენ, რადგან ირგვლივმყოფთათვის ოჯახის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის სულიერი სიმშვიდე. ველარ ვეგუები მუდამ წესებისა და მოვალეობების დაცვას. მინდა ყველაფერი ერთი ხელის მოსმით მოვიშორო, მაგრამ რა ვუყო შვილებს? ისინი როგორ მივატოვო, მათ რა დააშავეს?

გწერთ წერილს და ვგრძნობ, თითქოს შვება მომგვარა ამ საქციელმა...

მირჩიეთ რამე, თუნდაც გამკიცხეთ, ოღონდ გზა მასწავლეთ...

***მეგი“***

**რედაქციისგან:** *როცა სიყვარული ქრება (ან სულაც არ ყოფილა), ყოველდღიური პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური ხდება. მეგი, აშკარაა, რომ მეუღლისადმი გრძნობა კარგა ხანია გაგიხუნდათ. ამბობთ, „სხვადასხვა სამყაროდან“ ვიმზირებითო; ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანს, რომელთანაც შვილები გყავთ, არ გააჩნდეს არანაირი დადებითი თვისება. იმ დადებითი მხრიდან შეაფასეთ მეუღლე, იქნებ, ურთიერთობა უფრო დათბეს... საინტერესოა, მეუღლესთან თუ გიცდიათ ამ ყველაფრის მშვიდად (და არა ჩხუბით) ახსნა? აბა, სცადეთ მასთან მეგობრულად დალაპარაკება... ბოლოს და ბოლოს, თუკი ქმართან აღარ გეცხოვრებათ, ესეც მშვიდად სჯობს გაარკვიოთ. შვილებზე ვფიქრობო. განა უკეთესია, როცა ბავშვები ძალით შენარჩუნებულ ოჯახში უამრავი უსიამოვნების მომსწრენი ხდებიან? მოზარდების სულში ყოველთვის ბზარი ჩნდება, როცა აცნობიერებენ, რომ მათ დედ-მამას ერთმანეთი არ უყვართ.*

*ასე რომ, თითქოს ახალს ვერაფერს გეუბნებით, მაგრამ კიდევ ერთხელ აწონ-დაწონეთ ყველაფერი და ნაბიჯი ისე გადადგით.*

# „ძვირფასო, სულ მალე მამა გახდები“

***ჩემმა მეგობარმა სულ სამი თვეა ცოლი შეირთო და ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის შემდეგ სამეგობროს ხელიდან „გამოგვეცალა“. ამას წინათ შემხვდა. მოვიკითხეთ ერთმანეთი. მალე მამა გავხდებიო, — მომახარა. კი მაგრამ ცოლი ახლახან არ შეირთე-მეთქი? 8 თვეში მამა გავხდები, შენ 8 თვე ბევრი გგონიაო? ისე შემეკითხა, პასუხად ღიმილიღა შევაგებე. დავემშვიდობე მეგობარს და გავიფიქრე, „საჭორაო“ თემაც გამიჩნდა-მეთქი.***

***ძვირფასო ქალბატონებო, გგონიათ, მარტო თქვენ გიჟდებით მომავალ შვილებზე? მამიკოებიც ბევრს ფიქრობენ პაწიებზე. ისინი ისეთი მგრძნობიარეები, ფაქიზები და მზრუნველები ყოფილან, რომ ძალიან მომინდა, მეც ვუთხრა საყვარელ და კეთილ მომავალ მამიკოს — ძვირფასო, შენ სულ მალე მამა გახდები-მეთქი. ტრადიციულ გამოკითხვას სწორედ ამ თემას ვუძღვნი. მამები და მომავალი მამები მოგვითხრობენ, რა ხდება მათ სულში მას შემდეგ, როცა საყვარელი ქალისგან გაიგონებენ ჯადოსნურ სიტყვებს: „ძვირფასო, სულ მალე მამა გახდები“.***

**ლევანი (36 წლის):** — სამი შვილის მამა ვარ. პირველად 5 თვის დაქორწინებულები ვიყავით, როცა ნათიამ მითხრა, — ორსულად ვარო. კინგ-კონგის ღრიალი ჩემს განცდებთან შედარებით ბულბულის გალობად მოგეჩვენებოდათ. სიხარულით ატაცებული ნათიას ოთახში ვაბზრიალებდი. ზოგი კაცისთვის ცხრა თვე ისე გადის, როგორც ცხრა დღე, არც ბავშვის დაბადება აგიჟებთ, მე კი ჩემს ცოლს სამივეჯერ ცხრა თვის განმავლობაში თავს დავკანკალებდი და რომ ეთქვა, ვარსკვლავები მომიკრიფე ცაზეო, უარს ვერ ვეტყოდი. მეორე შვილზე რომ იყო ორსულად, თებერვალში ლეღვი მოუნდა. გადავატრიალე მთელი თბილისის ბაზრები, მაგრამ სად იყო ლეღვი. ერთი კახელი დაინტერესდა — რად გინდაო. რომ ვუპასუხე, ხელი ამიქნია — ნეტაი შენა. ახლა მოუნდა? მერე რა, გაუვლის, კაცო, გაუვლისო. კინაღამ შევჭამე ის კაცი. მესამე დღეს ისრაელიდან გამოვაგზავნინე მეგობარს თვითმფრინავით. უნდა გენახათ ნათიას სახე და ჩემი შვილის რეაქცია დედის მუცელში. ახლა იტყვის ვიღაცა — ლევანი აფრენსო. მაგრამ ბავშვი აშკარად ფეხებს აბათქუნებდა სიხარულით.



**თაზო (42 წლის):** — ერთ ამბავს მოგიყვებით: დედაჩემი ჩემზე ორსულად რომ ყოფილა, მამაჩემი თურმე თან ჰყვებოდა, ცივ ნიავს არ აკარებდა. საღამოობით ბავშვივით აძინებდა და ძილის წინ თურმე სახარებას უკითხავდა. დედა იხსენებს, ვგრძნობდი, იმ დროს მუცელში იტრუნებოდი და შენს გულისცემასაც კი ვისმენდიო. რომ გავჩნდი, მამა თურმე თავს მევლებოდა, დედას არ ანებებდა ჩემს დაძინებას. ზღაპრებს მიკითხავდა, მაგრამ ლოგინში ვერ მაჩერებდა, სანამ სახარებას არ წამიკითხავდა. გავიტრუნებოდი თურმე და ცოტა ხანში ძილი მერეოდა. ერთ საღამოს მამაჩემისთვის რომელიღაც წერილზე მიკითხავს — იმას რომ არ კითხულობ-მეთქი? მამა გაოცებულა, — ეგ შენ საიდან იციო. თურმე მიპასუხია, — დედიკოს კალთაში რომ ვიყავი, მაშინ ხომ მიკითხავდი-ხოლმეო. არადა მამა დედას ორსულობის პერიოდში უკითხავდა თურმე იმ წერილს, ჩემთვის კი არასოდეს წაუკითხავს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ბავშვი მუცელში ყველაფერს უფრო უკეთ გრძნობს, ვიდრე მერე, ამქვეყნად მოვლინებული. ეს ამბავი დედამ მაშინ მიამბო, როცა ცოლს ვირთავდი და გამაფრთხილა, — ისევე იზრუნე შენ ცოლზე და მომავალ შვილებზე, როგორც მამაშენი ზრუნავდა შენზე და შენს და-ძმაზეო. მჯერა, რომ მამისა და შვილის ურთიერთობა იმ დღიდან იწყება, როცა დედა ამცნობს მამას სასიხარულო ამბავს.

**გიორგი (21 წლის):** — ცოლი 18 წლისამ შევირთე. გაცნობიერებულიც არ გვქონდა, რას ნიშნავდა ცოლქმრობა. ოჯახურმა წვრილმანებმა გაღიზიანება გამოიწვია და 7 თვის შემდეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ გადავწყვიტეთ, ერთმანეთს დავშორებოდით; მაგრამ, როგორც ჩანს, ღმერთს არ უნდოდა ჩვენი დაშორება. თაკო ორსულად აღმოჩნდა. ეს რომ გავიგე, ჯერ ავკანკალდი, დღესაც არ ვიცი, რატომ, მერე მუხლებზე დავვარდი, თავი თაკოს მუცელს მივადე, ხელები შემოვხვიე და სულ დავკოცნე. მერე თაკო იხსენებდა, მაშინ მივხვდი, რომ ძალიან კეთილი ხარ და ყველაფრის გამო, რისთვისაც მანამდე ვკინკლაობდით, შემრცხვაო. მე კი მაშინ ვფიქრობდი, — ღმერთო, რა იდიოტი ვარ, ამ გოგოს მუცელში ჩემი შვილი ჰყავს, მე კი სულს ვხდიდი, ისე ვანერვიულებდი-მეთქი. მას მერე საოცარი ჰარმონია დამყარდა ჩვენ შორის, რომელიც დღემდე გრძელდება. უკვე მეორე შვილს ველოდებით. სხვათა შორის, თაკო ხუმრობს ხოლმე, — როცა გიორგი ბრაზდება, ძალიან მინდა, იმ დროს ორსულად ვიყო. ჩემი ორსულობა მისი სუსტი წერტილია. ამ დროს ძალიან გულჩვილი ხდებაო.

**დათო (31 წლის):** — სამწუხაროდ, მე და ჩემი მეუღლე ოთხი წელია ერთმანეთს დავცილდით. მაგრამ შვილებთან ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა. ყოფილი ცოლისადმი განსაკუთრებული სინაზე მიჩნდება ხოლმე, როცა შვილებს ვეფერები. მართალია, ადამიანები რთული არსებები ვართ, მაგრამ ქალი განსაკუთრებული ვინმეა. წარმოიდგინეთ, რას განიცდის, როცა 9 თვე შვილს ატარებს მუცლით და მომავალი შვილის და თავნება, ბავშვივით ჭირვეული ქმრის ცხოვრებით ცხოვრობს; მერე გიჩენს შვილს, გიზრდის და ა.შ. გული ამიჩუყდა. მიუხედავად ყველაფრისა, ქმარი მაინც აგრძელებს ჭირვეულობას და გულს სტკენს ისე, როგორც მე. მაგრამ რა მექნა. გავაბი ერთ მშვენიერ გოგოსთან რომანი, ისიც დაფეხმძიმდა და როცა მითხრა, — ორსულად ვარო, რა მექნა, მომეკლა ის ბავშვი? გააჩინე, გამიზარდე და მეორე ცოლ-შვილივით მოგივლით-მეთქი. ის კი დამთანხმდა ამაზე, მაგრამ ცოლი გამიგიჟდა და დაინგრა ოჯახი. ჩემი შვილების დედები კი ბრაზობენ ჩემზე, მაგრამ ვიცი, შვილები გამიგებენ.

***ეკა ლომიძე***

CMYK





- ძველ-ბერძენი პოეტი ქალი
- უსაფუძვლო მედიდურობა, ყოყოჩობა
- კონტრადმირალზე დაბალი წოდება
- ბერძენი მუზა გრაგნილით ხელში
- ხვეულების საწინ. მიქსტურა „ექიმი ...“
- გუსტავ ფლობერის რომანი
- ნოტი
- ბელინის ოპერა
- თეატრალური კოლექტივი
- ნუგბარი ათქვეფილი კვერცხის ცილისგან
- ვერდის ოპერა
- ცნობილი პოლონელი კინორეჟისორი
- არტმანე
- უდაბნო მონღოლეთში
- სსრკ-ის მარშალი 1945 წლიდან
- საქონლის გასარეკი მოქნილი ჯოხი
- ფრანგული პოლინეზიის ადმინ. ცენტრი
- „რობესტა“ „კენია“ „არაბიკა“
- მდინარე პოლონეთში
- ... ჩვენი არსობისა
- დაუმტკიცებელი ჭეშმარიტება
- სახელმწიფო ევროპაში
- რბილი ქსოვილის გახვრეტა სამკაულისთვის
- ბულგარული წიწაკის მწნილი
- ოჯახური კერის მფარველი ქალღმერთი
- საბჭოთა პერიოდის სარეცხი ფხვნილი
- გაქვავებული ფისი
- ბელგიელი მოქანდაკე და მხატვარი
- საერთაშ. ორგანიზ. უმაღლესი ორგანო
- ერთ-ერთი სახარების ავტორი
- არტურ ჰეილის რომანი
- იაპონიის უძველესი დედაქალაქი
- ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელიანტი
- შხამიანი თაფლოვანა მცენარე
- ტურ ჰეიერდალის გემი
- სამკითხაო ბანქო
- მულტფილმის გმირი ქალთევზა
- ვულკანი სიცილიაზე
- საგამოცდო პერიოდი ინსტიტუტში
- ... ასათიანი
- რუსული წარმოშ. ფრანგი კინორეჟის.
- საკრავზე დაჭიმული მავთული
- ბელგ. ლუდი



- სანთლისა და სალებავის ნარევი იატაკისთვის
- საბავშვო გამომცემლობა
- ინგლისელი მწერალი ფანტასტი
- ბურატინოს მამილო
- აღმოსავლური სიმებიანი საკრავი
- ცხენის „თმა“ ვიოლინოზე
- ... დანაუეი
- ჩამონათვალი
- ელექტრონ. წინააღმდეგობის ერთეული
- ყაზახი პოეტი-განმანათლებელი
- ძვირფასი ქვა
- სივრცე დედამიწის ზემოთ
- რუსული ვერტმფრენების მარკა
- სოფელში მცხოვრები ცალკეული ოჯახი
- არე ფურცელზე ტექსტის გარეშე
- მაღალი ხე
- ადამიანის სხეული
- ინგლისელი მომღერალი ... უილიამსი
- „ბავარიის“ მენეჯერი ... ჰიონესი
- ლატვიის დედაქალაქი
- ჯენიფერ ლოპესი, ჯეი ...
- სოკოს ქსელი პროდუქტზე
- დედმამიშვილი
- დიდი მახრჩობელა
- მარგალიტის სავაჭრო ცენტრი იაპონიაში
- ინგლისელი პოეტი რომანტიკოსი





**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ტიეპოლო; 2. არუე; 3. „ფა“; 4. ფილტვი; 5. პორტერი; 6. ვაიკულე; 7. ბრეგეტი; 8. ბეტა; 9. სი; 10. სამყარო; 11. გეტი; 12. ვტ; 13. ასანა; 14. პოლო; 15. ოტო; 16. ბრენდი; 17. ლოჟა; 18. „ლეონი“; 19. ჟირარდო; 20. ჰომეოპათია; 21. ჰერა; 22. ორბი; 23. არარა; 24. პალასი; 25. ჰონორარი; 26. სი; 27. ლავრა; 28. პორტიე; 29. თორა; 30. ვისკი; 31. პერუცი; 32. ილია; 33. რისკი; 34. რაინდი; 35. საქსი; 36. კურო; 37. „ნოკია“; 38. აკრი; 39. პელე; 40. ოაზისი; 41. პეიზაჟი; 42. „სუბარუ“; 43. ტიკი; 44. კაპრიზი; 45. ტარაკანი; 46. ალაო; 47. ვენა; 48. ფი; 49. მესა; 50. პრიზი; 51. შპრეე; 52. „ბარფი“; 53. ტირანია; 54. რატი; 55. ნინძა; 56. დაფნა; 57. სემესტრი; 58. ვეა; 59. „ნივეა“; 60. ნული; 61. „ნინია“; 62. ქალა; 63. ინა; 64. კაფუ; 65. ანაგრამა; 66. ალა; 67. ნერუ; 68. „სერა“; 69. კამილა; 70. კენარი; 71. აკუსტიკა.
1. კოვბოის ატესტაცია; 2. ონავარი; 3. პერსონალური ვენტილატორი; 4. არაფერი დამიტოვეს; 5. ძიძა.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა **რამაზ ალანიამ**

# «ბერიკაობა» გაძარცულია

**— გთხოვთ გვაცნობოთ, რა ჰქვია ძეგლს ბარათაშვილის ხიდსა და კონკას შორის და ვინ არის მისი ავტორი. როგორც მითხრეს, მას „ბერიკები“ ანუ სახიობა ჰქვია და ეკუთვნის ავთანდილ მონასელიძეს.**

***ნინო ჯღარკავა***

კითხვაზე უპასუხებს არქიტექტორი **გია ჯამბერიძე**.



— ამ მრავალფიგურიანი სკულპტურული კომპოზიციის ავტორები გახლავართ მე — გია ჯამბერიძე (არქიტექტორი) და სკულპტორი ავთო მონასელიძე. „ბერიკაობა“ 1981 წლის ოქტომბრის ბოლო კვირას გაიხსნა (თბილისობაზე). საბჭოთა კავშირის პერიოდში თბილისობისთვის რიგრიგობით სხვადასხვა უბნის რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა. ჰოდა, იმ წელს ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით დაიდგა ეს კომპოზიცია, რომელსაც ავტორებმა „ბერიკაობა“ ვუწოდეთ, რაც შეეხება სახიობას, ეს ალბათ ხალხმა დაამატა.

სკულპტურა დამზადებულია თბილისში, ხოლო ბრინჯაოში ჩამოისხა ბაქოში. ამ ძეგლზე მთელი ექვსი თვე ვმუშაობდით. სიმართლე გითხრათ, ძალიან მწყდება გული, რომ ამჟამად „ბერიკაობა“ გაძარცულია. გარდა ამისა, ერთ-ერთი ბერიკა მორყეულია (ყველაზე ხშირად პირველ ბერიკაზე უყვართ პატარებს ჩამოსხდომა), რაც საფრთხეს უქმნის ბავშვებს. წელიწად-ნახევარია, რაც ამ საკითხით არც ქალაქის მერია ინტერესდება და არც მისი კულტურის სამმართველო.

# როგორ გადმოვიფორმოთ ბინა?

**— გარდამეცვალა ბიძა, რომელიც ცხოვრობდა ჩემ მიერ ნაყიდ კერძო ბინაში. როგორ და რა ვადებში შემიძლია გადმოვიფორმო საკუთარ სახელზე ბინა?**

***შალვა თორაძე***

კითხვაზე უპასუხებს **მედეა დემეტრაშვილი**, იურიდიული ფირმის დირექტორი.

— თქვენი შეკითხვა საკმაოდ ბუნდოვანია, რადგანაც არ გაქვთ დაკონკრეტებული რიგი გარემოებანი. მაგალითად, ჰყავდა თუ არა თქვენს გარდაცვლილ ბიძას პირველი რიგის ან სხვა მემკვიდრე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პირველი რიგის მემკვიდრეები არიან შვილები, მეუღლე, მშობლები. თუ მემკვიდრეები არა ჰყავს, თქვენ შეგიძლიათ გადაიფორმოთ ბინა ბიძის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში. ამისათვის საჭიროა შემდეგი საბუთები: ამონაწერი გარდაცვლილთა რეგისტრაციის სააქტო ჩანაწერიდან, ცნობა-დახასიათება ტექბიუროდან, ხოლო თუ ბინა გატარებულია საჯარო რეესტრში, ამ შემთხვევაში ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; ცნობა ყადაღის შესახებ, ანუ ხომ არ არის ბინა დაყადაღებული; ფორმა №1 საცხოვრებელი ადგილიდან; საკუთრების დამადასტურებელი საბუთი, ანუ პრივატიზებისა და ნასყიდობის დამადასტურებელი საბუთი და ბოლოს ბიძის გარდაცვალების მოწმობა. საბუთების დედანსა და ასლს წარუდგენთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონის ნოტარიუსს. ხოლო მის მიერ გაცემულ საბუთს კი წარადგენთ საჯარო რეესტრში, სადაც აღირიცხება გარდაცვლილი ბიძის საკუთრების ერთადერთი მემკვიდრე.

# შეშის დამზადება არცთუ ისე რთული ყოფილა

**— როგორც ჩანს, ეს ზამთარი თბილისელებისთვის კვლავაც მკაცრი იქნება. მაინტერესებს რა ღირს ოფიციალურად ერთი კუბური მეტრი შეშა? როგორ და სად უნდა ავიღოთ ნებართვა თუ ლიცენზია შეშის დამზადების შესახებ. ვის უნდა მიმართოს თბილისში მცხოვრებმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად?**

***თენგიზ მურღულია***

კითხვაზე უპასუხებს **ირაკლი ბაბუხადია**, სატყეო დეპარტამენტის ტყის აღრიცხვის და ტყით სარგებლობის სამმართველოს უფროსი.



— შეკითხვა მართლაც დროულია. რაიონებში, სადაც არსებობს ადგილობრივი სატყეო მეურნეობა და შესაძლებელია შეშის რესურსის გამოყოფა, ყოველწლიურად ნებადართულია 250 ათასი კუბმეტრი შეშის დამზადება. სოფლის მცხოვრებთათვის ეს პრობლემა გაცილებით იოლი მოსაგვარებელია. რაც შეეხება თბილისელ მოქალაქეს, მან უნდა მიმართოს დედაქალაქთან ახლოს მდებარე რაიონებს და მათ სატყეო მეურნეობებს (მცხეთა, საგარეჯო, დუშეთი) განცხადებით, რომ სურს, ვთქვათ, 5 კუბმ საშეშე რესურსის ათვისება. რაიონის ადგილობრივი სატყეო მეურნეობა ვალდებულია, უპრობლემოდ დააკმაყოფილოს მოქალაქის განცხადება. პიროვნება გადაიხდის ოფიციალურ გადასახადს, რომელიც ერთ კუბმ-ზე არ აღემატება 6 ლარს (არსებობს ნიხრი, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ ხის ჯიშის ათვისებაში პიროვნებამ უნდა გადაიხადოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი თანხა. ნიხრი იყოფა 4 კატეგორიად. მაქსიმალური გადასახადი 6,50 ლარია, მინიმალური — 2,60), რის შემდეგაც რაიონის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელი გადასცემს მას ტყის საჭრელ ბილეთს. რესურსის ათვისების შემდეგ დაინტერესებულ პირს მიეცემა იმავე მეურნეობის მიერ ხეტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც იგი მოახდენს ამ რესურსის უპრობლემო ტრანსპორტირებას.

საშეშე ხეტყის რესურსის ათვისება საქართველოს მასშტაბით საკმაოდ გაიოლებული და კანონიერი გზით გაცილებით ხელსაყრელი გახლავთ. ამიტომაც უმჯობესია როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობამ კანონიერი გზა აირჩიოს.

# სიტყვათა კონა

**ბოყვი** — ხის ქერქის ჭურჭელი (პატარა კალათივით), იგივეა, რაც ბოკვი.

**ბოჩიკი** — წყლის ირემი.

**ბოცომკალი** — მწერი, დიდი კალია.

**ბოძალი** — ორპირიანი, ორწვერა ისარი. 2. (კუთხ.) ორკაპა ხე.

**ბოხოხი** — მოქნილი ცხვრის ტყავი. 2. ცხვრის ტყავის წამოსაცმელი ტყაპუჩი.

**ბრგე** — მაღალი მამაკაცი, მხარბეჭიანი ტანადი ჯარისკაცი.

**ბრდვინვა** — მოშლილი საკრავის (ჩანგის) ხმა. 2. ცეცხლის გუგუნის ხმა.

**ბრინჯაო** — სპილენძისა და თუთიას შენარევს ბრინჯაო ეწოდება, ხოლო ბუნებით ყვითელ სპილენძს თვითფერი.

**ბრუტიანი** — ახლომხედველი.

**ბრწყინვალე** — 1. თეთრი, ელვარე, რაც ბრწყინავს, 2. გადატანითი მნიშვნელობით შესანიშნავი, საუცხოო.

**ბუკი** — 1. დიდი საყვირი უკრავდნენ ზეიმის დროს, განგაშის დროს ხალხის შესაყრელად. 2. დიდი მრგვალი კუნძი. მორი. 3. კუთხ. სკა, გეჯა.

**ბუმბლვა** — თოვლში გორაობა.

**ბუსნარი** — მაღალბალახიანი კორდი.

**ბღლაძუნი** — უგვანი მოფერებით თამაშობა. ასევე ჰქვია ქალთან უგვან თამაშს.

**ბღუვილი** — ხარის ხმა, ხოლო ბღუილი გაბმით ყვირილს — ღმუილს ნიშნავს.

**ბღუნვა** — ოთხზე დგომა.

**ბღუჯი** — იგივეა, რაც მუჭი.

**ბუწუწი** — ცუდი თმა.

**ბრჯენა** — არგანზე (ხელჯოხზე) დაყუდება, ანუ ჯოხზე დაყრდნობა.

**ბჭე** — სახლთა და ტაძართა შესასვლელი.

# ტრადიციების მიმდევარი სუხიშვილები

**— ძალიან გთხოვთ განგვიმარტოთ თუ რას ნიშნავს „სუხიშვილების“ ცეკვების დასახელებები: „შხელდა“, „აჯამეთი“, „უცხრესტი“, „ჯუთა“ და აგვიხსნათ, თუ რა უდევს საფუძვლად თითოეული ამ ცეკვის სახელწოდებას.**

***მ. წოწორია***



კითხვაზე უპასუხებს **ნინო სუხიშვილი**.

— თავდაპირველად მოგახსენებთ, რომ როდესაც გადავწყვიტეთ დაგვედგა ახალი, ანუ განახლებული ქართული ცეკვა, რომელიც ისევ და ისევ ტრადიციულ ილეთებზე აიგებოდა, ბუნებრივია ამ ცეკვებისთვის სახელწოდებებიც უნდა შეგვერჩია. თუ ადრე ქართული ცეკვის დიფერენციაცია საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიხედვით ხდებოდა, მაგალითად, აჭარული, მთიულური... დღესდღეობით, ახალ პროგრამაში სახელწოდებები იმავე კუთხეების თავისებურებებს უკავშირდება. „ნათლობისას“ ვიხელმძღვანელეთ ამა თუ იმ ადგილისა და იქ დამკვიდრებული ტრადიციებით. პირველი ცეკვა, რომელიც ახალ პროგრამაშია წარმოდგენილი, „ზეკარი“ გახლავთ. მოგეხსენებათ, „ზეკარი“ უღელტეხილია („რკინის ჯვარი“. უღელტეხილი მესხეთის ქედზე). ეს ადგილი საქართველოს გეოგრაფიული ცენტრია. სწორედ ამიტომ სიმბოლურად ავირჩიეთ ეს სახელწოდება, ანუ ძველსა და ახალს შორის „ზეკარი“ დგას. ეს ცეკვა გარდამავალი ნაბიჯი იყო. გარდა ამისა, თავად სიტყვა იმდენად შთამბეჭდავად ჟღერს, რომ სადღაც ზევით, უსასრულობაში, უკიდეგანო სიმაღლეზე გამოკიდებულ კარებში გასვლას, ახლისკენ, სრულყოფილებისაკენ სწრაფვას გულისხმობს. სწორედაც რომ სრულყოფისა და დამკვიდრების სწრაფვა გახლდათ ახალი ცეკვების დადგმის იდეაში ჩადებული. რაც შეეხება წერილში ჩამოთვლილ ცეკვების სახელწოდებებს, გიპასუხებთ, რომ „შხელდა“ სვანური ცეკვაა და გარდა ამისა, ამ კუთხეში ერთ-ერთი მწვერვალის სახელწოდება. „ჯუთა“ მთიულურ სტილზე აგებული ცეკვა გახლავთ და ამავე დროს, ხევსურეთის საზღვარზე მდებარე სოფლის სახელწოდებაა. „აჯამეთი“ იმერეთისა და სამეგრელო-გურიის საზღვარზე მდებარე ტყეს ჰქვია. სწორედ ამიტომ ეს ცეკვა დატვირთულია მხედრული, აბრაგული და ცხენოსნური ცეკვის ილეთებით, კოსტიუმებიც კი „ტყის ყაჩაღებისთვის“ შესაფერია. „უცხრესტი“ კავკასიური მუსიკალური რიტმია, ანუ ტემპრიტმი. ვინაიდან ცეკვა ძალზე რიტმულია და კავკასიურ სტილზეა დადგმული, ამავე დროს, იგი სრულდება პატარა ხის დასარტყამი ინსტრუმენტების თანხლებით, სახელწოდებაც აქედან შეირჩა. „ლაშარობა“ მთიულური ტრადიციებისა და ახალი ილეთების შერწყმა გახლავთ. ლაშარობა, მთიელების ცნობილი დღესასწაულია და შესაბამისად ცეკვაც სადღესასწაულო მთიულური ცეკვაა. „ნანილა“ კი სვანურად ნანას ნიშნავს. ახალ ცეკვას ქალები ასრულებენ და იგი იავნანაზეა აგებული.

# «ზარმაცი» და «ბეჯითი» პარლამენტარები

(41 სხდომიდან ვინ რამდენი გააცდინა)

**— მაინტერესებს იმ დეპუტატთა ჩამონათვალი, ვინც სისტემატურად აცდენს პარლამენტის სხდომებს. ხშირად სხდომათა დარბაზი ცარიელია. რომ ჰკითხოს კაცმა, გული შესტკივათ ხალხზე...**

***მალხაზ ქაჩლიშვილი***

*ამ კითხვით რედაქციამ მიმართა საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა დაწესების კომიტეტის თავმჯდომარეს **როსტომ დოლიძეს**, რომელმაც მოგვაწოდა პარლამენტის წევრების მიერ სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენის მონაცემები.*

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში გთავაზობთ 2003 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით ჩატარებული 41 სხდომის მონაცემებს.



| „ზარმაცი“ პარლამენტარები | | „ბეჯითი“ პარლამენტარები | |
|---|---|---|---|
| 1. რევაზ არველაძე | — 33 | 1. დავით ასათიანი | — 0 |
| 2. მერაბ თევდორაძე | — 32 | 2. ჯანსუღ ბაგრატიონი | — 0 |
| 3. ირაკლი იაშვილი | — 32 | 3. ნინო ბურჯანაძე | — 0 |
| 4. ივანე მერაბიშვილი | — 32 | 4. გიორგი კოხრეიძე | — 0 |
| 5. ზაზა ოქუაშვილი | — 37 | 5. ვახტანგ რაზმაძე | — 0 |
| 6. ზურაბ ჟვანია | — 33 | 6. შოთა სანდუხაძე | — 0 |
| 7. ჯემალ სვანიძე | — 33 | 7. რევაზ ყიფიანი | — 1 |
| 8. ასლან სმირბა | — 39 | 8. გია ყარყარაშვილი | — 0 |
| 9. ზაზა შერაზადაშვილი | — 38 | 9. ზურაბ შხვაცაბაია | — 0 |
| 10. გიორგი ხევიაშვილი | — 35 | 10. ვიტალი ხაზარაძე | — 1 |

234 დეპუტატიდან ამოირჩა სხდომებზე დასწრების ყველაზე უარყოფითი და დადებითი მაჩვენებლების მქონენი. სიის მიღმა დარჩნენ ისეთი ცნობილი პარლამენტარები, როგორებიც არიან:

1. კობა დავითაშვილი (25 გაცდენა), ვახტანგ რჩეულიშვილი (22), დავით გამყრელიძე (24), ბორის კაკუბავა (31), გოგი თოფაძე (29), მუხრან მაჭავარიანი (23), თედო პაატაშვილი (25), ჯუმბერ პატიაშვილი (18), თამაზ ნადარეიშვილი (30), მაია ნადირაძე (20), გიგი წერეთელი (10).

# როგორ ათავსებს მინისტრი საქმიანობას?..

**— თუ ღმერთი გწამთ, გამაგებინეთ, როგორ შეიძლება დღევანდელ პირობებში მინისტრმა მოასწროს — მინისტრობა, კათედრის გამგეობა, ექსპერტობა — ვგულისხმობ ალექსანდრე კარტოზიას. ვფიქრობ, ჩემ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხი მართლაც საინტერესო იქნება.**

***მიშა გუმბერიძე***

კითხვაზე უპასუხებს **ლევან გახელიძე**, განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი.

— საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სამეცნიერო საქმიანობა შეთავსებადია სხვა დანარჩენ საქმიანობასთან და ამრიგად, კანონიერია. ასევე სამეცნიერო სამუშაო არ მოითხოვს ყოველდღიურ კვლევით საქმიანობას. თუმცა ბატონმა ალეკომ თქვენი კითხვის ფორმულირებისას განმიცხადა, რომ სალექციო დატვირთვა ბოლო 2 წლის მანძილზე აღარ მაქვსო. სწორედ იმ მიზეზით, რომ ვეღარ ასწრებდა შეთავსებას. სამაგიეროდ, ჰყავს ორი ასპირანტი, ორიც დიპლომანტი და ამ ეტაპზე მუშაობს მხოლოდ მათთან. ბატონი ალეკო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი გახლავთ და მისი სამეცნიერო დატვირთვა შემოსაზღვრულია მხოლოდ დისერტაციების ოპონირებით — წელიწადში დაახლოებით 2-3. გარდა ამისა, მოუცლელობა გახლავთ მიზეზი იმისა, რომ განათლების მინისტრი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ვეღარ მონაწილეობს. ბოლო 2 წლის მანძილზე სულ ორ კონფერენციაზე იყო. პრაქტიკულად ამჟამად განათლების მინისტრი მუშაობს სრული დატვირთვით მხოლოდ ხელმძღვანელის პოსტზე და მას მართლაც ნაკლები დრო რჩება სამეცნიერო საქმიანობისთვის. შესაძლოა მკითხველი დეკლარაციაში მითითებულმა ჩამონათვალმა დააბნია, მაგრამ მინისტრი ვერ დამალავს იმ გასამრჯელოს, რომელსაც შეთავსებული სამუშაოდან იღებს.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

CMYK

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მყავს 10 წლის ვაჟი. მთელი ზაფხული ვერ მოვაშორე კომპიუტერს. მეტი აღარაფერი აინტერესებს — არც ამხანაგები, არც წიგნი, არც გარეთ თამაში. გამიგონია, რომ კომპიუტერთან დიდხანს თამაში ვნებს ბავშვის ჯანმრთელობას. კონკრეტულად რას შეიძლება ველოდო? თუ არსებობს კონკრეტული ფაქტები, მისი ზემოქმედების შესახებ.**

***ერთგული მკითხველი***

ბავშვის ძვლოვანი სისტემა არ არის ბოლომდე ფორმირებული და ნაწილობრივ შედგება რბილი, ხრტილოვანი ქსოვილისაგან. კომპიუტერთან ჯდომისას ბავშვი ხანგრძლივად იმყოფება უხერხულ, დაძაბულ პოზაში, რის შედეგადაც ხერხემლის ამა თუ იმ ნაწილის ხრტილოვან ქსოვილზე დიდი დატვირთვა მოდის. ყველაზე მეტი დატვირთვის ადგილებში მალების ზედაპირზე ჩალაგებას იწყებს ზედმეტი კალციუმი და ფორმირდება ე.წ. ოსტეოფიტები — ძვლოვანი წანაზარდები. ამგვარად იცავს თავს ორგანიზმი ზეწოლის ადგილების გამაგრებითა და გაფართოებით. იქ, სადაც ოსტეოფიტები წარმოიქმნება, იჭყლიტება ნერვული დაბოლოებები, რომლებსაც ინფორმაცია ამა თუ იმ შინაგანი ორგანოსაკენ მიაქვთ. შედეგად კი ბავშვს ერღვევა ჯანმრთელობა და, ერთი შეხედვით მისი ჩივილები არავითარ კავშირში არ არის კომპიუტერთან, რადგან მას შეიძლება აწუხებდეს არა მარტო თავის, არამედ გულის, კუჭის ტკივილი და სხვა.

და კიდევ ერთი. თუ დავაკვირდებით კომპიუტერთან მჯდომ ბავშვს, შევამჩნევთ, რომ იგი თითქმის არ ახამხამებს თვალებს. ადამიანი წუთში 17-18-ჯერ უნდა ახამხამებდეს თვალს, მონიტორის ყურებისას კი — წუთში მხოლოდ 3-5-ჯერ ახამხამებს. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ თვალის წინა საკანს არ აქვს სისხლძარღვები და იკვებება რქოვანა გარსიდან საცრემლე სითხის დიფუზიის (შეწოვის) გზით, ხამხამი კი ამას ხელს უწყობს. კვების დაქვეითებისას რქოვანა შრება, რაც მხედველობის მკვეთრ გაუარესებას იწვევს.

ამ მიზეზით ბავშვი ხშირად დაჰყავთ ექიმებთან, თუმცა დაქვეითებულ მხედველობას სათვალეც კი აღარ შველის. მკურნალობის მეთოდი ასეთ დროს მხოლოდ ოპერაციულია — რქოვანას გადანერგვა. როგორც ცნობილია, თვალი არის ორგანო, რომელიც მხედველობით ინფორმაციას ატარებს, ხოლო ამ ინფორმაციის მიღება და გადამუშავება ხდება ტვინის უკანა ნაწილებში. თუ მიუახლოვდებით კომპიუტერთან მომუშავე ადამიანს და შეეხებით კისრის არეში, შენიშნავთ, რომ იგი დაძაბულია, თითქოს გაქვავებულიაო. ასეთი დაძაბულობა აფერხებს ტვინის უკანა ნაწილების მკვებავი ხერხემლის არტერიის მუშაობას, რასაც შედეგად მხედველობის ფორმირების პროცესის დარღვევა მოსდევს.

ვფიქრობთ, საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები მოვიყვანეთ და კონკრეტული პათოლოგიური მექანიზმები აღვწერეთ საიმისოდ, რომ ყველა დედამ შეიგნოს, რამდენად საზიანოა მოზარდი ორგანიზმისთვის კომპიუტერთან გადაჭარბებული გართობა ან თუნდაც მუშაობა.

**10 წლის წინ მივიღე ტრავმა და მქონდა ცხვირის ძგიდის მოტეხილობა. თუმცა, გარეგნულად არაფერი მეტყობოდა. ბოლო ხანებში გამიჭირდა სუნთქვა და ყელ-ყურის ექიმმა მითხრა, რომ მქონდა პოლიპები. გავიკეთე ოპერაცია — პოლიპები ამომკვეთეს. მაინტერესებს, არის თუ არა პოლიპების მიზეზი ცხვირის ძგიდის მოტეხილობა და შეიძლება თუ არა ისინი ისევ გამიჩნდეს?**

***კობა ლ. 24 წლის***

ცხვირის ძგიდის მოტეხილობამ და მისმა არასწორად შეხორცებამ შეიძლება გამოიწვიოს შეგუბებითი მოვლენები და ცხვირის ლორწოვანის ქრონიკული ანთება — რინიტი. ქრონიკული რინიტი კი ცხვირში ლორწოვანის პოლიპების წარმოქმნის მხოლოდ შუალედური მიზეზი შეიძლება იყოს, რადგან მათი ბუნება სრულად განსხვავებულია. თუ რინიტი პოლიპების ამოკვეთის შემდეგ ისევ აღინიშნება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ისევ არსებობს პოლიპების განმეორებითი წარმოქმნის წინაპირობებიც. ასე რომ, ცხვირის ძგიდის მოტეხილობა მხოლოდ არაპირდაპირ კავშირშია პოლიპების განვითარებასთან.

## ყარაბადინი

**მაქვს კუჭის წყლული, ამიტომ გამუდმებით ვეძებ მცენარეულ რეცეპტებს, რომლებიც ამ დაავადების დროს არის ეფექტური. ამჟამად ხელთ მაქვს სამი რეცეპტი. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ისინი „კარაბადინში“ ექიმის განმარტებით, ნამდვილადაა თუ არა ეფექტური აღნიშნული საშუალებები.**

**1. ტუხტის (ალთეს) ფესვები დაანამცეცეთ. 2 ს/კ-ზე დაასხით 1,5 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ადუღეთ 30 წუთი დაბალ ცეცხლზე. გააცივეთ. გაწურეთ და მიიღეთ თბილ-თბილი, 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამის დროს.**

**2. მიირთვით ნატურალური თაფლი საუზმემდე 1,5 სთ-ით ადრე, 30 გრამი, — სადილამდე 2 სთ-ით ადრე, — 40 გრამი, ვახშმიდან 3 საათის შემდეგ კი — 30 გრამი, მკურნალობის კურსია 15-20 დღე.**

**3. ნიახურის ნაყენი (2 ს/კ დანამცეცებულ ძირებიან ნიახურს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დადგით 2 სთ, გადაწურეთ) მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.**

***ერთგული მკითხველი ზ.ნ.***

**ექიმის კომენტარი:** შევეცდებით, მოკლედ განვიხილოთ თითოეული რეცეპტი და განვმარტოთ მათი ეფექტიანობის მექანიზმი კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს.

**1.** ტუხტის ფესვები შეიცავს დიდი რაოდენობით ლორწოვან ნივთიერებებს. ბუნებრივი ლორწოს შემცველობით ტუხტი უთანაბრდება სელის თესლს. ლორწო ჯირჯვდება წყალში და ქმნის მახასიათებელ კოლოიდურ სისტემას, რომელსაც სამკურნალო ღირებულება აქვს. მცენარეული ლორწო კუჭის ლორწოვან გარსს ფარავს თხელი ფენით, რომელიც მასზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩერდება და იცავს შემდგომი გაღიზიანებისაგან. ამის შედეგად კი იოლდება დაზიანებული ქსოვილების თავისთავადი რეგენერაცია, მცირდება ანთებითი პროცესები. ამრიგად, ტუხტიდან გამოსულ ლორწოს აქვს კუჭის ლორწოვან გარსზე დამცველობითი, ანტიანთებითი, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, რაც წყლულის დადებით დინამიკას უწყობს ხელს.

**2.** თაფლის უნიკალურ თვისებებზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია. თუმცა, ზოგიერთი პაციენტი აღნიშნავს, რომ თაფლის მიღებისას ემატება მჟავიანობა და ეწყება გულძმარვა. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი არ იცავენ თაფლის მიღების წესებს. კუჭის წვენის მაღალ მჟავიანობისა და წყლულოვანი დაავადების დროს აღნიშნული პროდუქტი უნდა მივიღოთ მშიერ კუჭზე — ჭამამდე 1,5-2 სთ-ით ადრე, ან ჭამიდან 3 სთ-ის შემდეგ.

თაფლს გააჩნია კომპლექსური დადებითი ეფექტი სხვადასხვა პათოლოგიის დროს. კერძოდ, იგი ახდენს ანთების საწინააღმდეგო ანტიბაქტერიულ, ქსოვილთა რეგენერაციის დამაჩქარებელ, ნივთიერებათა ცვლის მომაწესრიგებელ და სხვა მრავალ ზემოქმედებას. მისი გამოყენება რეცეპტში აღნიშნული წესის მიხედვით უთუოდ დადებით შედეგს მოგვცემს წყლულის დროს.

**3.** ნიახური მდიდარია ვიტამინებით და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით. ფიტოთერაპიაში იგი ძირითადად შარდმდენ საშუალებად გამოიყენება: მასში შემავალი ეთეროვანი ზეთი ასტიმულირებს კუჭის წვენის სეკრეციას, ხოლო ფესვებში შემავალი ლორწო ლორწოვან გარსზე დამცავ ზემოქმედებას ახდენს, რაც ამცირებს ანთებით პროცესს და ტკივილს კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს. თუმცა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ ნიახურის ნაყენის გამოყენება შეგიძლიათ მხოლოდ დაბალი, ნორმალური მჟავიანობით მიმდინარე წყლულოვანი დაავადების დროს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*



## კუჭის წვენი

*ჯანმრთელი ადამიანის კუჭის წვენი შეიცავს 0,4-0,5% მარილმჟავას, რომელიც დაავადების შემთხვევაში მატულობს ან იკლებს. მომატებული გვაქვს თუ დაქვეითებული კუჭის მჟავიანობა, ამის გარკვევაში დაგეხმარებათ ტესტი (თუმცა, მჟავიანობის დონის უფრო ზუსტ პასუხს სჭირდება სპეციალური გამოკვლევა).*

1. პერიოდულად გაწუხებთ მუცლის ტკივილი?
2. სიმძიმის შეგრძნება გაქვთ ჭამის მერე გულის კოვზთან?
3. გაწუხებთ გულძმარვა?
4. გაწუხებთ ბოყინი (მჟავე გემოს შეგრძნებით)?
5. გაწუხებთ ყაბზობა?
6. ჯერ 40 წლის არ ხართ?

რაც უფრო მეტი დადებითი პასუხია, ე.ი. კუჭის წვენის მჟავიანობა მომატებულია.

სასწრაფოდ მიმართეთ გასტროენტეროლოგს!

1. პირში არასასიამოვნო გემოს გრძნობთ?
2. ცუდი მადა გაქვთ?
3. დილაობით გული გერევათ ან გულის რევის შეგრძნება გაქვთ?
4. გაწუხებთ ბოყინი?
5. მუცელი გებერებათ? მუცელი გიბუყბუყებთ?
6. თითქოს საჭმელი გადადის მუცლის ერთი მხარიდან მეორე მხარეს?
7. გაწუხებთ ყაბზობა ან დიარეა (ფაღარათი)?
8. მოსინჯეთ არაერთი წამალი, მაგრამ უშედეგოდ?

თუ „დიახ“ პასუხები უფრო მეტია, ე.ი მჟავიანობა დაქვეითებული გაქვთ.

**მაღალი მჟავიანობის** დროს რეკომენდებულია მინერალური წყლები — „ესენტუკი-4“, „ბორჯომი“, „საირმე“, „სმირნოვსკაია“. მიღების წინ წყალი გაათბეთ, გამოუშვით გაზი, კარგად მოურიეთ კოვზით და დალიეთ 1/2-3/4 ჭიქა, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

**ძლიერი გულძმარვის (ან ბოყინის)** დროს დალიეთ 1/4 ჭიქა მინერალური უგაზო წყალი ჭამიდან ერთი საათის შემდეგ. მწვავე გასტრიტის მკურნალობის დამთავრებიდან ერთი კვირის შემდეგ, დალიეთ 1/2 ჭიქა მინერალური წყალი დღეში 2-ჯერ, ჭამამდე 1-1,5 საათით ადრე.

ფარმაკოლოგია ითვლის 50-მდე საშუალებას (შინაგანს, გარეგანს, ინიექციებს, სანთლებს და სხვა წამლებს), რომლებიც ხელს უწყობენ მჟავიანობის მომატებას. ამიტომაც, გასტროენტეროლოგები გვირჩევენ, ეს წამლები შევცვალოთ უფრო ნაკლებად საშიში პრეპარატებით ან ხალხური საშუალებებით: თაფლიანი ან ჟოლოიანი ჩაით, ბალახეული ნაყენებით, რათა შევამციროთ ლორწოვანაზე წამლების ზემოქმედება. უპირატესობა მიანიჭეთ აბებსა და კაფსულებს და მიიღეთ ინსტრუქციის მიხედვით ის წამლები, რომლებსაც ექიმი გამოგიწერთ.

**დაქვეითებული მჟავიანობის** დროს რეკომენდებულია მიიღოთ:

უცხიმო ხორცი, თევზი, მოხარშული ფრინველი (და ოდნავ დაბრაწული), დაკეპილი ხორცი.

ხორცის, თევზის, სოკოს, ბოსტნეულისა და ბურღულეულის წვენები. რძიანი ფაფეული, კაკაო, მაწონი, ხაჭო, თოხლო კვერცხი, ომლეტი.

არარეკომენდებულია:

მარილიანი, მწარე, ცხარე, შემწვარი კერძები.

ხორცისა და თევზის კონსერვები.

რბილი პური და სხვა ახალი საფუარიანი ცომეული.

### ალკოჰოლი, სიგარეტი

მაღალი მჟავიანობის დროს რეკომენდებულია:

მოუხდელი რძე, რომელიც ამცირებს კუჭის სეკრეციას და ამარაგებს ორგანიზმს ყველა მნიშვნელოვანი ამინომჟავებით.

ნაღები, ახალი ხაჭო.

მოხარშული, მოშუშული ბოსტნეული.

ყველა სახის ფაფა, გარდა ხორბლისა და მაკარონის ნაწარმისა.

უცხიმო ხორცი, თევზი და ფრინველი.

ტკბილი ვაშლი, მსხალი, ბანანი.

### გეკრძალებათ:

ხორცის, თევზისა და განსაკუთრებით, სოკოს ბულიონი.

უმი ბოსტნეული, მარინადები, მჟავეული, მწარე და ცხარე.

ერბოზელილი ცომეული, ღვეზელი, შავი პური

ნაყინი, ცივი სასმელები.

ალკოჰოლი, სიგარეტი.

### ფიტორეცეპტები

**დაქვეითებული მჟავიანობის დროს:**

1. შეურიეთ თანაბარი რაოდენობის პიტნის და მრავალძარღვას ფოთოლი, ნეგოსა და გვირილის ყვავილი, შავბალახა. 2 ს/კ ნარევს დაასხით 3 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დაახურეთ და გააჩერეთ მთელი ღამე. დილით გაწურეთ და სვით შემთბარი 1/2 ჩ/ჭ ჭამამდე 30 წუთით ადრე, 3-ჯერ დღეში ერთი თვის განმავლობაში. შეისვენეთ ერთი თვე და ისევ გაიმეორეთ.

2. სვით ანისულის, ალოეს, კოთხუჯის, წყლის სამყურას, ბაბუაწვერას ფესვების, ძახველის, წითელი ცირცელის, ასკილის ნაყენი.

**მაღალი მჟავიანობის დროს:**

1. აიღეთ თანაბარი რაოდენობის გვირილისა და ცაცხვის ყვავილი, კრაზანა და ფარსმანდუკი, არყის ხის კვირტები 1ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე და 10-15 წუთით გააჩერეთ. მიიღეთ 1/3 ჭიქა საკვების მიღების შუალედებში (დღეში — 3-ჯერ), ერთი თვის განმავლობაში.

2. სასარგებლოა კრაზანას, ასისთავას, ჭინჭრის, სამკურნალო ბარისპირას ნაყენი.

3. სვით დღეში 3-ჯერ 1/2 ჩ/ჭ კარტოფილის წვენი, ან 1/2 სტაფილოს წვენი, ჭამამდე 30-40 წუთით ადრე, ჭამამდე 1 საათით ადრე ან ჭამიდან 1,5 საათის შემდეგ.

***ზდოროვიე №6***

## მიიღეთ შოკოლადის აბაზანები

„ბავშვების, და არა მარტო მათი, საყვარელი შოკოლადი საუკეთესო კოსმეტიკური აბაზანაა“ — გვარწმუნებს ბრაზილიელი თერაპევტი კიმი კავაშიმა.

მისი თქმით, ეს ნუგბარი მდიდარია $B_1$ და $B_2$ ვიტამინებით, შეიცავს ანდიოქსიდანტებს და კეთილსმყოფელ გავლენას ახდენს სახის კანზე, ატენიანებს და აღადგენს მას. ამასთან, სულაც არ არის აუცილებელი შოკოლადის ჭამა.

ექიმი კიმი მშრალკანიან ქალბატონებს შოკოლადის აბაზანებს უნიშნავს, ასეთი აბაზანა თურმე მზით დამწვარ, ქარითა და ყინვით დაზიანებულ სახესაც შველის.

ბრაზილიელ ქალებს ისე მოეწონათ კიმი კავაშიმას რეკომენდაციები, რომ თერაპევტმა „შოკოლადის აბაზანების“ ცენტრი გახსნა. პროცედურა 2-საათიანია. მთავარი მასში მასაჟებია, რომლის დროსაც კაკაოს ცხიმს იყენებენ. იგი ძალზე ზრდის შოკოლადის ზეგავლენას კანის უჯრედებზე.

***ეხო პლანეტი №27***

## სიცხე-პაპანაქება არ შეგვაწუხებს თუ...



გოგრას აქვს სიცხის დამაცხრობელი თვისება. გოგრის მოყვარულთ ნაკლებად აწუხებთ პაპანაქება.

გოგრის თესლი ადამიანს ეხმარება უფრო იოლად აიტანოს სიცხე, რადგან ის შეიცავს ცხიმებს, ცილებს, თუთიას. თუ დილით მიირთმევთ ერთ ნაჭერ გოგრას ან 20-30 ცალ ოდნავ მოხალულ გოგრის თესლს, ორგანიზმი იწყებს მინიკონდიციონერივით მუშაობას. გოგრის თესლი დღის განმავლობაში კიდევ რამდენჯერმე უნდა ჭამოთ, ოღონდ მცირე რაოდენობით და ზაფხულის ხვატი აღარ შეგაწუხებთ, ოფლიანობა იკლებს. ამიტომაც, ვინც იცის გოგრის ეს საიდუმლოება — თესლს სწორედ სიცხე-პაპანაქებისთვის შემოინახავს ხოლმე.

იმავდროულად, მეცნიერები ამბობენ, რომ მოხალული სიმინდი, პირიქით, ხელს უშლის სითხის აორთქლებას კანის ზედაპირიდან, ნაადრევად ეუფლება ადამიანს დაღლილობა. ამ თვალსაზრისით, კინო-თეატრებში მიღებულია მოხალული გოგრის თესლის გაყიდვა და არა ბატი-ბუტისა.

***მეგაპოლის-ექსპრესი №31***

# ასტროლოგია და ჯანმრთელობა

**ასტროლოგები თვლიან, რომ დაიბადებით თუ არა, თქვენი ზოდიაქოს ნიშანი უკვე თავისთავად გაფრთხილებთ, რომელ დაავადებას უნდა უფრთხილდეთ.**



**ვერძის** ნიშნის ქვეშ დაბადებულები ტრავმებისკენ არიან მიდრეკილნი, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც თავის ტვინის სისხლძარღვების სკლეროზი და თავის ხშირი ტკივილია.

**კუროს** პრობლემა ყელია.

**მარჩბივი** უნდა გაუფრთხილდეს ბრონქებს და ნერვულ სისტემას.

**კირჩხიბის** ნიშანი მოიცავს: დეპრესიას, ნევროზს; მაგრამ მისი აქილევსის ქუსლი კუჭი და გასტრიტია.

**ლომი** კი იბადება ლომის ნიშნის ქვეშ, მაგრამ მარაგად სულ უნდა ჰქონდეს ვალიდოლი, რადგან მისი გული ხშირად ითხოვს დახმარებას. იფრთხილოს სპორტული დატვირთვის დროს, ხერხემალსაც ყურადღება უნდა მიაქციოს.

**ქალწულმა** უნდა დაიცვას დიეტა და დღის განრიგი, ამით გადაურჩება საჭმლის მონელების პრობლემას.

**სასწორის** საფირმო სენია კენჭები და ქვები თირკმელში და პიელონეფრიტი.

**ღრიანკალი** — ერთადერთი ურთულესი ზოდიაქოა. ის ხშირად დგება გამოცდის წინაშე — ხშირად იღებს ტრავმებს, ინფექციებს, პრობლემურია მისი სასქესო ორგანოები.

**მშვილდოსანი** ზედმეტი ნაყროვანებისგან ხშირად იქნება შეწუხებული... თუმცა, ჯანმრთელობის მხრივ, ეს ყველაზე იღბლიანი ზოდიაქოა.

**თხის რქა** — არ გვინდა ვთქვათ, მაგრამ სუსტნი არიან და სენი ადვილად ერევათ, მაგრამ ხშირად აწუხებთ რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, აგებულების სხვადასხვა დარღვევა. თუმცა, სწორედ ისინი ცოცხლობენ ყველაზე დიდხანს.

**მერწყულიც** არ არის მარტივი — ექსტრავაგანტურ დაავადებებს მაგნიტივით იზიდავს... აწუხებს ვენები.

**თევზები** თავისი ბუნებით ნაზია და სუსტი. ამიტომაც, ხშირად იკიდებს ინფექციურ და ვირუსულ გრიპს.


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**





*თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის*

*პირველად საქართველოში!*

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გამნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: **99 64 99**
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

**ანონიმურობა დაცულია!**


**ხშირად იცვლება ჩემი წნევა, რას უკავშირდება ეს? როგორ მოვიქცე? იქნებ წამლებით მკურნალობაა საჭირო?**

*კ. კვერნაძე, ქ. ქუთაისი*

თავისთავად წნევის ცვალებადობა, თუკი ის ნორმის ფარგლებშია, არ არის პათოლოგია და არ საჭიროებს მკურნალობას. ხშირად ადამიანების გუნება-განწყობის ცვალებადობას არტერიული წნევის ცვლილებას უკავშირებენ ხოლმე, განსაკუთრებით ზაფხულში, რაც არ არის მართებული.

არტერიულ წნევასთან მიმართებაში მედიცინაში არ არსებობს ინდივიდუალური ნორმის ცნება. ნორ-

# რა იწვევს წნევის ცვალებადობას

მად ითვლება მდგომარეობა, როდესაც არ არის რისკი გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიის განვითარების, ანუ ტონომეტრზე მაჩვენებლები, არა უმაღლეს 139/89 მმ-ია. დაქვეითებული, ანუ დაბალი არტერიული წნევა არ არის სახიფათო, ანუ ის არ ზრდის ინფარქტისა და ინსულტის განვითარების რისკს.

პათოლოგიურად ცვალებადი არტერიული წნევის დროს ადამიანთა ჩივილები, შეგრძნებები ძალზე მრავალფეროვანია. ზოგიერთი სისუსტეს უჩივის, ზოგი — თავის ტკივილს. წნევის დაწევაზე მნიშვნელოვან ცვლილებას კი ვერ ამჩნევს.

არტერიული წნევის ცვლილების ხასიათი და ზღვარი განსაზღვრავს, ფიზიოლოგიურია თუ არა პროცესი. ჩვენს ორგანიზმში ყველა ფიზიოლოგიური პროცესი მუშაობს განსაზღვრული რიტმით, რის საფუძველზეც ხდება წნევის მაჩვენებლების ცვლილება. არტერიული წნევა იცვლება დღე-ღამის პერიოდის მიხედვით, ღამე მაჩვენებელი უფრო მცირეა, ვიდრე დღისით. ასევე ზეგავლენას ახდენს ფიზიკური აქტივობის ხარისხი — დატვირთვისას ის იზრდება. მნიშვნელოვანია კვება, განსაკუთრებით მიღებული მარილის რაოდენობა, კალიუმის, კალციუმის, წყლის ოდენობა, ნერვული სტრესი და მისი ხარისხი.

თუკი არტერიული წნევის ცვლილება ფიზიოლოგიურია, ანუ არ სცილდება მაქსიმალური ზღვარი 140/90-ს მაშინ არანაირი გამოკვლევის გაკეთება და მკურნალობის ჩატარების საჭიროება არ არის. მაგრამ თუკი რამდენჯერმე დაფიქსირდა მომატებული არტერიული წნევა, არ არის გამორიცხული ჰიპერტონიული დაავადების არსებობა და ექიმთან ვიზიტი აუცილებელია.

არტერიული წნევის ცვალებადობა უფრო ხშირია ჰიპერტონიკებში (მაღალი არტერიული წნევა), ვიდრე ჰიპოტონიკებში დაბალი არტერიული წნევა).



აქვე გასათვალისწინებელია ადამიანის ასაკი. ხანში შესულებში ათეროსკლეროზული პროცესების გამო შემცირებულია სისხლძარღვთა ელასტიკურობა, რაც ქმნის არტერიული წნევის აწევის ტენდენციას. თუმცაღა, ისინიც, როგორც ნებისმიერი ასაკის ადამიანები, 140/90-ზე მეტი წნევის დროს საჭიროებენ ექიმის მეთვალყურეობასა და მედიკამენტურ თერაპიას.

არტერიული წნევის აწევა სავარაუდოა ადამიანებში, რომლებიც არ ვარჯიშობენ, ასევე ემოციური დაძაბულობის, ხანგრძლივი სტრესის დროს, თამბაქოს მოწევისა და ალკოჰოლის მიღების დროს.

არტერიული წნევა იცვლება გარემო პირობების შეცვლის პარალელურადაც, განსაკუთრებით იმ ადამიანებში, რომლებსაც ადაპტირების მექანიზმი სუსტი აქვთ. ეს ხდება ე.წ. მაგნიტური დღეების დროს. თუმცაღა ამის თავიდან აცილებაც სავსებით შესაძლებელია. უნდა დაიცვათ დიეტა, რომელიც იქნება მდიდარი კალიუმით და კალციუმით, შეზღუდეთ მარილი და ალკოჰოლი. საჭიროა ნორმირებული ფიზიკური დატვირთვა, ჩაიტარეთ დამამშვიდებელი აუტოტრენინგი, რელაქსაცია.

დაქვეითებული არტერიული წნევის დროს რეკომენდებულია მეტი რაოდენობით სითხის მიღება, განსაკუთრებით, ყავისა და ჩაის სახით.

მდგომარეობის კონტროლისთვის საჭიროა ხშირად იზომოთ არტერიული წნევა.

გთავაზობთ ფრანგულ რეცეპტს, რომელიც საუკეთესოდ არეგულირებს, ნორმაში აყენებს არტერიულ წნევას:

საღამოს 3 სუფრის კოვზ შვრიას დაასხით 1 ჭიქა ოთახის ტემპერატურის წყალი. დილით, ჭამამდე, დაამატეთ 1 ჩ/კ თაფლი, გახეხილი ვაშლი, 1 ს/კ თხილი ან გოგრის გარჩეული თესლი. დაუმატეთ ლიმონის წვენი და მიიღეთ. ეს არის დღეღამური ვიტამინების დოზის მთლიანი კრებული.

არტერიული წნევისთვის კარგია სანახევროდ წყლით განზავებული სტაფილოს წვენი, გოგრის თესლი, ასევე ნიახურის სალათი. იგი ასე მზადდება: აურიეთ ერთმანეთს დაჭრილი ნიახურის ძირები, ფოთლები, გახეხილი სტაფილო, ლიმონის წვენი და მაიონეზი.

კარგია შემდეგი ნახარშიც. ერთი კვირის მანძილზე: 2 საშუალო ზომის ხახვი კანიანად ხარშეთ 15 წუთი, შემდეგ 1 ლიტრ წყალში, დაუმატეთ 50გ შაქარი. მიიღეთ მცირე ყლუპებით, 5-ჯერ დღეში.

*მაია მუხიგული*

# ახალი «შავი ჭირი» – მეროს სინდრომი

ფრანგმა ქალბატონმა, რომელსაც უცბად მკერდი საოცრად დაუპატარავდა, ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ უცნობი დაავადების ეპიდემიის პირველი მსხვერპლი გახდებოდა.

ენამწარეებმა ახალ სნეულებას „შავი ჭირი ბიუსტჰალტერში" უწოდეს. დაავადება მხოლოდ დიდმკერდიან ქალებში ვრცელდება და ორ-სამ თვეში სრულიად უმკერდონი რჩებიან. დაავადებას მისი აღმომჩენი ექიმის, მეროს სინდრომი უწოდეს.

წინასწარი მონაცემებით, დაახლოებით 40 ფრანგი ქალი დაავადდა. ერთ-ერთმა ტურისტმა კი ეს დაავადება აშშ-შიც შეიტანა. ამჟამად ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ 6 ქალია.

ჟან-პიერ მეროს თქმით, დაავადებას ადამიანის ცხიმით ნასაზრდოები ბაქტერია იწვევს. ამასთან, ზიანდება მხოლოდ ის ცხიმოვანი უჯრედები, რომლებსაც ქალური ჰორმონი, ესტეროგენი გამოიმუშავებს. უფრო სწორად, ისინი, რომლებიც სარძევე ჯირკვლებშია, სხეულის დანარჩენ ნაწილებს ბაქტერია არ ვნებს.



პაციენტი ქალები და მათი ქმრები თავზარდაცემულნი არიან. მაგალითად, 23 წლის სილვია შალემ თავის მოკვლაც სცადა — ამ საშინელი დაავადების გამო მკერდიც დაკარგა და მდიდარი საქმროც. მეგობარი ქალებიც გაურბიან ინფიცირების შიშით.

ეპიდემიის შიშით საფრანგეთის რივიერის პლაჟებზე მამაკაცები ჭარბობენ. თითო-ოროლა იქ მყოფ ქალს დახურული საცურაო კოსტიუმი აცვია. დანარჩენები შინიდან გამოსვლას ერიდებიან.

დოქტორი მეროსთვის ჯერჯერობით უცნობია ამ სახიფათო ბაქტერიების წარმოშობის წყარო. აშშ-ის ჯანდაცვის სამინისტრო მზად არის, დააფინანსოს კვლევითი სამუშაოები, ამაზე არც ბიუსტჰალტერების მწარმოებლები დაიხევენ უკან — ქვეყანაში ხომ დიდი მკერდის ბუმია და ამ ბიზნესით დიდ მოგებას ნახულობენ.

საინტერესოა, რომ მეროს სინდრომი ვერაფერს ვნებს იმ პლანტანტებით გადიდებულ მკერდს, ასე რომ, პამელა ანდერსონს და სხვა ფუმფულა — ხელოვნურ მკერდიან ლამაზმანებს შიში არაფრისა უნდა ჰქონდეთ.

*ცელებნიკი №7*


**კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:**

1. დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
2. ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
3. სამეანო განყოფილებას;
4. ახალშობილთა განყოფილებას;
5. გინეკოლოგიურ განყოფილებას;
6. თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
7. ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);
8. სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
9. რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა. მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით. მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255 (ყოფ. სამშობიარო სახლი)*
*☎ 66-73-70 71 72 73 74*



ავღანეთი

# ჰამიდ ყარზაი საველე მეთაურებს იმორჩილებს



საველე მეთაურების მოთოკვას ავღანეთის ლიდერი პრეზიდენტობის პირველი დღიდან გეგმავდა. მართალია, მათ ოფიციალურად აღიარეს ყარზაის პრეზიდენტობა, მაგრამ ქაბულს მაინცდამაინც არაფრად აგდებენ. მამულებში გამაგრებულები დედაქალაქში მხოლოდ თავისი წილი საერთაშორისო ფინანსური დახმარების მისაღებად ჩადიან. საველე მეთაურებმა ომის დროს გადაბუგული ხაშხაშის პლანტაციები აღადგინეს. ნარკოტიკებმა ისეთი შემოსავალი მოიტანა, რომ მასთან საერთაშორისო ფინანსური დახმარება რა სახსენებელია!

ჰამიდ ყარზაიმ იცის, რომ მტკიცე ხელისუფლების საფუძველი ძლიერი ჯარია. მის განსამტკიცებლად საზღვარგარეთული დახმარება არ ეყოფა, საველე მეთაურები კი დახმარების ნაცვლად საკუთარი უფლებების გამაგრებაზე ზრუნავენ. ყარზაი იძულებული გახდა, გაეცა ბრძანება — სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობები ერთსა და იმავე პირს არ უნდა ეჭიროსო. ამით მას სურს საველე მეთაურებს ცოტათი მაინც შეუკვეცოს ფრთები და ისინი პრეზიდენტის ხელისუფლებას დაუქვემდებაროს. საველე მეთაურთა უმეტესობა გუბერნატორიც იყო და რეგიონის სამხედრო მეთაურიც.

პირველი დარტყმა ღერათის პროვინციის ყოვლისშემძლე გუბერნატორმა, ტაჯიკმა საველე მეთაურმა ისმაილ-ხანმა იგემა — მას მთელი დასავლეთ ავღანეთის ჯარების სარდლის პოსტი დაატოვებინეს. შესაძლებელია ფარული გარიგება არსებობდეს — „ღერათელი ვეფხვი“ ყარზაის ნებას სხვების დასანახად დაჰყვა, სამაგიეროდ, კვლავაც თავისი პროვინციის სრული ბატონ-პატრონია. წვრილფეხა საველე მეთაურები კი თანდათანობით ყარზაის გარშემო ირაზმებიან; თუმცა ქვეყნის მეთაური მაინც ფიქრობს, რომ სტაბილურობის შესანარჩუნებლად უფრო მეტი საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მოზიდვა იქნება საჭირო.

*კომერსანტი №145*

ერაყი

# მოჰამედის არმია ძალას იკრებს

ერაყში ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა დახოცვას უმეტესწილად „მოჰამედის არმია“ კისრულობს. „ნიუზუიქის“ ჟურნალისტმა მოახერხა არმიის სამ მებრძოლთან შეხვედრა. არმიის წევრები ამტკიცებენ, რომ მათ ჯარში 5000-მდე მებრძოლია. შეიარაღებულნი არიან მეტწილად საბჭოური კალაშნიკოვებით და ყუმბარებით. რაც მთავარია, მათ ხალხი ემხრობა. ამერიკელებს ეგონათ, რომ „მოჰამედის არმია“ სადამ ჰუსეინს უჭერდა მხარს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერაყელ მებრძოლებს ის ისევე ეზიზღებათ, როგორც დამპყრობელი ამერიკელები. „მოჰამედის არმია“ თანდათანობით ძალას იკრებს. ეს კი ამერიკელთა დამსახურებაცაა. როდესაც მათ ფალუჯაში ანტიამერიკული დემონსტრაცია დახვრიტეს, საპასუხოდ ასობით ადამიანმა იარაღი აიღო ხელში. „მოჰამედის არმიაში“ უმთავრესად ისინი არიან, ვისაც ერაყში „ბავშვობიდან ჯარისკაცებს“ უწოდებენ. ჰუსეინის რეჟიმის დროს არსებობდა საგანგებო სკოლები, სადაც ბავშვებს ყველანაირი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენებას ასწავლიდნენ. საგულისხმოა, რომ არმიის მეთაურის სახელი მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცის. სავარაუდოდ, ის ყოფილი უშიშროების მაღალჩინოსანია. არმიის მიზანია ძლიერი ერაყის შექმნა, ქვეყნის ამერიკელი ოკუპანტებისაგან გათავისუფლება და სადამ ჰუსეინის რეჟიმის მსგავსი დიქტატურის დამყარება ოღონდ ჰუსეინის გარეშე.

*ნიუზუიქი*

# ევროპაში კვლავ უსაშველოდ ცხელა

ხვატი თუ დიდხანს გაგრძელდა, ეს სიცხე კი არა „კლიმატის ცვლილება“ იქნება, — წერს ფრანგული გაზეთი „ლიბერასიონი“. ბევრის აზრით, უკანასკნელი კვირების საშინელმა სიცხემ პირში ჩალა გამოავლო მეცნიერებს, რომლებიც თავს იკლავდნენ, გლობალური დათბობა არ იქნებაო. ფრანგ ექსპერტს, ანრი ლუკს შექმნილი ვითარებიდან არც ისე სასიამოვნო დასკვნები გამოაქვს — თუ ასე გაგრძელდა, პლანეტაზე ცხოვრება ნახევარი საუკუნის შემდეგ თითქმის შეუძლებელი იქნებაო.

ბრიტანეთის მეტეოროლოგიური სამსახურის უფროსი ჯონ ჰოუტონი კლიმატის გლობალურ ცვლილებებს მასობრივი განადგურების იარაღსა და მსოფლიო ტერორს ადარებს: „როგორც ტერორიზმს, ასევე ამ იარაღსაც საზღვრები არა აქვს, მას შეუძლია დაარტყას ნებისმიერ ადგილზე ნებისმიერი ფორმით — ხვატი ერთ ადგილზე, გვალვა — მეორეზე, წყალდიდობა და ქარიშხალი მესამეზე“.

როცა სიტუაცია ძალიან იძაბება, ჟურნალისტები ხუმრობას იწყებენ, მაგალითად, გერმანელი ჟურნალისტი წერს, — თუ ამინდი არ შეიცვალა, ჩვენი ქვეყანა ეკვატორული გერმანია გახდებაო, ინგლისელი კოლეგაც კვერს უკრავს — ჩვენს ეროვნულ სპორტად კი აქლემების დოღი იქცევაო. თუმცა ხუმრობა ცოტა უკბილო გამოდის, რადგან ევროპის ქვეყნებში შექმნილი მდგომარეობა მართლა საგანგაშოა.



ევროპელები ღმერთს სთხოვენ შველას

**საფრანგეთმა** პირველმა გამოაქვეყნა სიცხის სავალალო შედეგები. თავიდან მთავრობა ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ხდებოდა, მაგრამ მსხვერპლის რაოდენობა დღითი დღე მატულობდა და იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ათასობით ადამიანი გარდაიცვალა, უმთავრესად ხანში შესულები, რომლებმაც ვერ გაუძლეს 40 გრადუსზე მეტ სიცხეს.

ფრანგებმა საკუთარ პრეზიდენტსაც საყვედური აკადრეს — კვებეკში სამკვირიანი შვებულება უნდა შეგეწყვიტა, სამშობლოში დაბრუნებულიყავი და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა საგანგებო რეჟიმში დროულად ჩაგეყენებინაო. საფრანგეთი, რომელსაც მსოფლიოში ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო სისტემა აქვს, შეძრწუნებულია ტრაგედიის მასშტაბებით.

**პორტუგალიის** უმეტეს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. ივლისის დამლევიდან 1300 ადამიანი დაიღუპა, ტემპერატურა 40 გრადუსზე ქვევით არ ჩამოსულა. ქვეყნის სანიტარული სამსახურის უფროსი აცხადებს, — დიდ პროფილაქტიკურ სამუშაოებს ვატარებთ, მსხვერპლის რაოდენობა მნიშვნელოვნად არ გაიზრდებაო. პორტუგალიის ხელისუფლებამ ნატოს ქვეყნებს ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

**ესპანეთშიც** უჭირთ ხანძრების ჩაქრობა. ცეცხლი აპარტახებს ტყეებს, ადამიანები წვიმას ელიან.

**იტალიის** ჩრდილოეთ რაიონებში გვალვაა. მდინარე პოს დონე არნახულად დაეცა. ხელისუფლების აზრით, ქვეყანა კატასტროფის პირზეა. თუ სიცხემ არ იკლო, მოგვიწევს არჩევანის გაკეთება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, — აცხადებს ქვეყნის საგანგებო სიტუაციათა სამსახურის უფროსი; მისი თქმით, იტალიას მხოლოდ სექტემბრის პირველ დეკადამდე სამყოფი წყალი აქვს.

**დიდ ბრიტანეთში** თერმომეტრი 38,1 გრადუსს უჩვენებს. სიცხით დაზარალებულთა რიცხვს არ აცხადებენ. მიყენებულმა ზარალმა უკვე 300 მლნ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა.

**ბელგიის** საავადმყოფოებში უფასოდ არიგებენ ნაყინს, მაგრამ სიცხით გათანგულებს ეს დიდ შვებას ვერ ჰგვრის.

**ხორვატიაში** ამბობენ, — შარშან წყალდიდობამ დაგვაზარალა, წლეულს წვიმას ვნატრობთო.

*ნიუს.რუ*

# ერთობლივი პარტიული ცურვის დასასრული

დღემდე ჩინეთის კომუნისტური პარტიის უმაღლეს ჩინოსნებს ასეთი წესი ჰქონდათ: პაპანაქება ზაფხულში, ლიდერთან ერთად, პეკინიდან არც ისე შორს, ზღვის სანაპიროზე მდებარე წარმტაც კურორტ ბეიდაჰეში იკრიბებოდნენ და იქ, ერთობლივი პარტიული ცურვისას წყვეტდნენ სახელმწიფო საკითხებს. „წვრილფეხა“ პარტიული ჩინოსნები კი ამ დროს პეკინში ისხდნენ და ჩაის ფოთლებზე მკითხაობდნენ (ჩინეთსა და იაპონიაში ჩაიზე მკითხაობის დიდი ტრადიციაა). ამჟამად ჩინეთში „ახალმა სიომ“ დაბერა. პრეზიდენტმა ჰუ ჯინტომ, ყველასთვის მოულოდნელად უარი თქვა „ბეიდაჰეს საცურაო ტრადიციაზე“ და ზაფხულის ცხელი დღეები ქვეყანაში მოგზაურობას და კომუნისტ ფუნქციონერებთან შეხვედრებს დაუთმო. ამით კი ერთხელ კიდევ მიანიშნა — მთავრობა ხალხთან ახლოს უნდა იყოსო. საინტერესოა, რომ ახალმა პრეზიდენტმა ასევე უარი თქვა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერთა სხვა ტრადიციებზეც. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, ტონი ბლერს ჩინეთში ყოფნისას ტრადიციული, გრანდიოზული ბანკეტი კი არ გაუმართეს, არამედ მხოლოდ პატარა კერძო ვახშამი.



*შტერნი*

# თურქმენბაში შვილს ვერ შეეწინააღმდეგა

თურქმენეთის სახალხო საბჭოს ორდღიანი ფორუმი გაიმართა ქალაქ თურქმენბაშში, კულტურის ცენტრ „რუხნამეში“ (ასე ჰქვია ყველა თურქმენის მამის ცნობილ ნაწარმოებს). ოპოზიციონერები სახალხო საბჭოს — ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, „ბელადის ჯიბის პარლამენტს“ უწოდებენ. მისი წევრები საგანგებოდ არიან შერჩეულნი, სწორედ მათ მისცეს ხმა თურქმენბაშის მუდმივ პრეზიდენტობას.

ფორუმამდე აშხაბადში ამბობდნენ, — ალბათ ბატონი ნიაზოვი უარს იტყვის სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტობაზე, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა. მერე შეეხვეწებიან და ისიც დათანხმდებაო. ნიაზოვმა სეფესიტყვა წარმოთქვა, რომელსაც წარამარა ტაშით აწყვეტინებდნენ, ბოლოს ბრძანა, — ჩვენი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი 70 წელზე მეტის არ უნდა იყოს და მე კონსტიტუციას არამც და არამც არ დავარღვევო. თურქმენბაში 70 წლისა 2010 წელს გახდება. ასე რომ, ახალი საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიისთვის მზადება 2005 წელზე ადრე ალბათ არ დაიწყება.

ამბობენ, თურქმენბაშიმ ეს განცხადება მისი ვაჟის დაჟინებული მოთხოვნით გააკეთაო. იგი უკმაყოფილო ყოფილა იმით, რომ მამამისი სიცოცხლის ბოლომდე აპირებდა პრეზიდენტობას. ამჟამად საფარმურატ ნიაზოვის ვაჟი მურადი ქვეყნის მთელ ნავთობგაზს აკონტროლებს. თურქმენები მაინც ფიქრობენ, რომ მამა ადვილად არ დათმობს სავარძელს და თუ ვაჟი დაიყოლია, კონსტიტუციის მუხლსაც მშვენივრად შეცვლის. შესაძლოა, ხალხი არც იყოს წინააღმდეგი — ნიაზოვის ბრძანებით მოსახლეობა გაზის, შუქის და წყლის ფულს 2020 წლამდე არ გადაიხდის.

*არგუმენტი ი ფაქტი №34*

## მოკლედ

**ერაყში** დააკავეს სადამ ჰუსეინის დეიდაშვილი, ალი-ჰასან-ალ მაჯიდა, რომელიც უფრო ცნობილია „ქიმიური ალის“ მეტსახელით. ეს მეტსახელი შეარქვეს 1987 წელს, როცა მისი ბრძანებით ერაყელი ქურთების წინააღმდეგ გამოიყენეს მომწამლავი ქიმიური ნივთიერება.

**მექსიკაში** დააპატიმრეს ცნობილი ნარკობარონი არმანდო ვალენსია კორნელიო. მისი არტელის მეშვეობით აშშ-ში ყოველწლიურად დაახლოებით 200 ტონა ნარკოტიკი შედიოდა.

**აშშ**-ის ხელისუფლებამ ოფიციალური ბრალდება წაუყენა გერმანიის მოქალაქე ფოლკერ ჩეხანოვსკის, რომელიც ამერიკაში მუდმივი ბინადრობის უფლებით ცხოვრობს. ფლორიდის საჯარო ბიბლიოთეკის კომპიუტერით მან შემდეგი შინაარსის წერილი გაგზავნა: „პრეზიდენტს მოვკლავ. თუ მოახერხებთ, დამიჭირეთ. გაუმარჯოს სადამს!“ თუ დანაშაული დაუმტკიცდა, ჩეხანოვსკის 10 წლის პატიმრობა და 500 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს.

**მალიში** გაათავისუფლეს 5 თვის წინ ადგილობრივი ტერორისტების მიერ მძევლად აყვანილი ევროპელი ტურისტები. ისინი სამშობლოში გერმანიის სამხედრო თვითმფრინავით წაიყვანეს. გერმანიის ტელეარხები ირწმუნებიან, — ტურისტები დიდი გამოსასყიდის ფასად გაათავისუფლეს, მაგრამ ეს ფული გერმანიის მთავრობას არ გადაუხდიაო.

**ლოკარნოს** საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი მიენიჭა პაკისტანელი რეჟისორის, საბიჰა სუმარის ფილმს „წყნარი წყლები“.

**ბელორუსიის** პრეზიდენტმა ალ. ლუკაშენკომ მთავრობას დაავალა — მოქმედი ხელისუფლების მხარდასაჭერად გადამწყვეტი ზომები მიიღეთო. საწარმოებში უკვე შემოიღეს იდეოლოგიის დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობა, უმაღლეს სასწავლებლებში საგანგებოდ დაიწყებენ იდეოლოგიის საფუძვლების შესწავლას, პრეზიდენტის აპარატში კი შეუდგებიან მასებთან მომუშავე სპეციალისტების მომზადებას.

**აშშ**-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა, სენატორმა ჯოზეფ ლიბერმანმა ერაყში, გაეროს წარმომადგენლობის აფეთქებასთან დაკავშირებით განაცხადა: „ამ ტერაქტმა გააფერმკრთალა ერაყში ომის შემდგომი სტაბილურობის ილუზია, რომლითაც ასე ამაყობს ჯორჯ ბუში“.

**ათენის** აეროპორტში დააპატიმრეს ინტერპოლის მიერ ძებნილი ცნობილი ბიზნესმენი ვლადიმირ გუსინსკი. იგი საბერძნეთის დედაქალაქში თელ-ავივიდან ჩაფრინდა. რუსეთის ხელისუფლება მას 250 მლნ დოლარის მიტაცებაში ადანაშაულებს. ნტვ-ს ყოფილი მეპატრონე აცხადებს, რომ ბრალდებას საფუძვლად პოლიტიკური მოტივი უდევს.

**ედინბურგში** წელს, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ოფიციალური პროგრამით გათვალისწინებული სპექტაკლების გარდა, ქალაქის ქუჩებში გაიმართა ეგზოტიკური, უცნაურგმირებიანი სანახაობები. სპექტაკლების გმირები იყვნენ იოსებ სტალინი და უსამა ბინ ლადენი.

**აშშ**-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მზვერავთა რაოდენობა გაორმაგდა. მათ ვირჯინიის სადაზვერვო სკოლაში წვრთნიან. ცსს-ს ახალბედა თანამშრომლის ხელფასი, ამერიკული საზომით, არც ისე დიდია — წელიწადში 46-60 ათასი დოლარი.

**ლიბიის** მთავრობამ გაეროს უშიშროების საბჭოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღიარა პასუხისმგებლობა შოტლანდიის ქალაქ ლოკერბის თავზე მომხდარი თვითმფრინავის აფეთქების გამო (თვითმფრინავი ლიბიელმა ტერორისტებმა ააფეთქეს). ლიბიამ დაიწყო დაღუპულთა ნათესავებისათვის კომპენსაციის გადახდა. საერთო თანხა დიდია — 2,7 მლრდ დოლარი. ლიბია ამ თანხას თანდათანობით გადაიხდის.

**35 წლის წინ** საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთისა და გერმანიის ჯარები ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. საბჭოთა კავშირმა ჯარის შეყვანის გადაწყვეტილება მიიღო ჩეხოსლოვაკიის მეთაურის, დუბჩეკის მოსაშორებლად, რომელიც კრემლის მითითებებს ბრმად არ ასრულებდა. ამ დროს დაიღუპა უამრავი რიგითი მოქალაქე, რომლებმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს დამსჯელ ექსპედიციას.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

ყურადღება!

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 2003–2004 სასწავლო წლისთვის აცხადებს სტუდენტების მიღებას.

*აბიტურიენტებს, რომლებიც წარჩინებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდას სწავლის პერიოდში დაენიშნებათ სტიპენდია.*

უნივერსიტეტში სასწავლო ენა ინგლისურია.

• მრეწველობის მართვა; • ფინანსებისა და საბანკო საქმე; • საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; • მრეწველობის ორგანიზაცია; • კომპიუტერული მეცნიერებები; • კვების მრეწველობა; • ქართველოლოგია; • ამერიკანისტიკა.

*მისაღები გამოცდა დანიშნულია 2003 წლის 30 აგვისტოს, შაბათს, 11 საათზე.*

მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ. №2

E-mail: ibsu@edu.ge Web-site: www.ibsu.edu.ge

☎ 59-50-05; 59-50-06; 877-73-53-76



# უშბასთან ახლოს

„მოდიოდა საუკუნეებგამოვლილი სვანი კაცი წელგამართული, პატიოსანი, დაკოჟრილი ხელებით, საჭრეთლითა თუ კალმით, სამუშაო იარაღითა თუ ხმლით; მოდიოდა და თან მოჰყვებოდა სული ქართული: საქართველოსავით ლამაზი, ქართველივით ამაყი, დახვეწილი და ზნეამაღლებული. დაჯარდებოდნენ სვანები და ალამაზებდნენ ირგვლივეთს, ბრძენსიტყვაობდნენ მუდამ; შეჰქონდათ ყველგან სიკეთე, სიმხნევე, სათნოება, სიბრძნე, სილამაზე — იხედებოდნენ შორს; შორსმჭვრეტელობასა და გონიერებას იჩენდნენ ყოველთვის, შეუპოვარნი იყვნენ მომხდურთა მიმართ. საკუთარის დაფასება-შენარჩუნებას უნდებოდნენ დღენიადაგ. პირნათლად ასრულებდნენ მოვალეობას. იქ, სადაც ხმალი ვერ ჭრიდა, თავს გამოიჩენდნენ, სიტყვებს აქსოვდნენ ოქროს მძივებად, მტერსაც კი აჯადოებდნენ ვაჟკაცობითა და მშვენიერებით“, — წერს სვანეთზე უზომოდ შეყვარებული ცნობილი ფილოლოგი, პროფესორი თენგიზ სანიკიძე.

ბეჩო — უძველესი სვანური სოფელი მაღალ მთებში, საქართველოს ყველაზე ბოლო დასახლებული პუნქტი უკიდურეს ჩრდილოეთში, სვანეთისა და ბალყარეთის გამყოფი ქედების ზღურბლზე, უშბის ძირში. ვერც ერთი წიგნი, ვერც ნაამბობი ვერ გადმოგვცემს ამ კუთხის სილამაზეს და სიდიადეს, მის განსაკუთრებულობას, კონტრასტულობას — მწვანე ბალახსა და ქათქათა თოვლს ერთდროულად; უყურებ მთებს, გრძნობ მათ სიდიადეს, ზღაპრულად გეჩვენებიან ისინი, მაგრამ გადადგამ ორ ნაბიჯს და დიადი ჩვეულებრივი ხდება, ზღაპრული — ხელშესახები.

იშვიათია ხალხი, რომელიც თავისი გარეგნობითა და ხასიათით ასე შეესატყვისებოდეს გარემოს: ორივე — ფართო, გაშლილი, ზვიადი, ამაყი, მრავლისმთქმელი, მაგრამ ამავე დროს უაღრესად ლაკონიური. ხვდები სოფლის შესანიშნავ ადამიანებს და გხიბლავს მათი ბუნებრივი თავაზიანობა, სიდარბაისლე, დინჯი, სასიამოვნო ბაასი, სტუმართმოყვარეობა, საკუთარი სოფლის, მისი წარსულის და თანამედროვე კულტურის სიყვარული... აქ მოკრძალებით უფრთხილდებიან და ინახავენ მამაპაპათა სანაქებო ტრადიციებს.

ბეჩო ისე, როგორც ყველა სვანური თემი, რამდენიმე სოფლისაგან შედგება. თუ წინათ ეს სოფლები — ლამხერი, ქართვანი, დოლი, ჭკიდანარი, სვიფი, ცხეკვანი, უშხვანარი, ნაშთგოლი, ახალშენი, ჭოხულდი, ბაგვდანარი, ტვებიში, მაზერი ცალცალკე იდგნენ და მათ შორის საკმაო მანძილი იყო, ახლა ისინი მთელის განუყოფელი ნაწილებია, თუმცა სოფლებს ადვილად გაარჩევთ ერთმანეთისაგან.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მტკიცდება, რომ ბეჩოს თემი ბრინჯაოს ხანიდანაა დასახლებული. ამის ერთ-ერთი მტკიცება ბოლო დროს, ქართვანიში გამოვლენილი სამაროვანია, რომელმაც კიდევ უფრო ძლიერად გამოკვეთა კოლხეთის და ჩრდილო კავკასიის სიახლოვე.

თხუთმეტი ძველი ეკლესია-სალოცავისა და ოცი ნაკოშკარ-ნასახლარის ნაშთები მოწმობენ, რომ ბეჩო ძველად მჭიდროდ დასახლებული ადგილი უნდა ყოფილიყო. გადმოცემით მრავალი წლის წინ სოფ. მაზერში უშბიდან წამოსულმა მეწყერმა მრავალი ოჯახი დედაბუდიანად გაწყვიტა. 1983 წელს უშბის მხრიდან წამოვიდა აგრეთვე მეწყერი, მაგრამ საბედნიეროდ, სხვა მიმართულება აიღო და სოფელი გადარჩა. სხვათა შორის, გვერდი აუარა შიხრის წმ. გიორგის ეკლესიას, რომლის მიმართულებითაც ის მიდიოდა. წმ. გიორგის ეკლესია ბეჩოში რამდენიმეა, მათ შორის ზემოთ აღნიშნული წმ. გიორგის ტაძარი ბეჩოს ახალგაზრდობამ თავისი სახსრებით აღადგინა ყველანაირი სპონსორისა და ფონდის გარეშე.

ასევე აღდგა უშხვანარის ღვთისმშობლის ტაძარი, რაც წარმოშობით ბეჩოელმა სვანეთის (საქართველოს) კეთილდღეობისათვის თავდაუზოგავმა — კახა კვიციანმა ითავა, მანვე დაამზადებინა ამ ტაძრისთვის დედოზარი.

ყოველ მცირე ნაკვეთს, ყოველ ადგილს, სადაც ადამიანს ფეხი დაუდგამს — მთას, ქედს, სათიბს, საძოვარს, საყანეს, მდინარეს, ღელეს, ნაკადულს, წყაროს, გზას თავისი საკუთარი სახელწოდება აქვს. ამ ადგილისათვის უხსოვარი ხნის წინათ შერქმეული სახელები ახლაც შემონახულია სოფლის ხსოვნაში და ზეპირად გადაეცემა თაობებს.

ბეჩო მამაცი მთამსვლელების საბუდარია. არაერთ ბეჩოელ მთამსვლელს უსახელებია თავი და მათი ვაჟკაცობა აღბეჭდილიცაა ალპინიზმის ქრონიკებში.

სვანეთი ტურიზმის მნიშვნელოვანი ცენტრია კავკასიაში. ბეჩოს თვალწარმტაცი ბუნება, მისი ისტორიული ძეგლები უფრო მეტად იზიდავს მრავალ უცხოელ ტურისტს.

ბეჩოდან გადის ჩრდ. კავკასიაში ბეჩოს, ანუ იუსენგის უღელტეხილი (3375 მ. ზღ. დ.) — სწორედ ამ მარშრუტს მიჰყვებიან ხოლმე მთამსვლელები უშბის დასალაშქრავად.

ბეჩოს თემის ეკლესიების კედლებზეა შესრულებული (საგანგებოდ ამოკაწრული ან ფერწერული საღებავით მიწერილი) ძველი ქართული წარწერები. მათში უამრავი ცნობა და ფაქტია შემონახული, როგორც სვანეთის, ისე მთელი საქართველოსა და განსაკუთრებით, ქართული კულტურის შესახებ, რომელთაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ. წარწერების უმეტესობა X-XI საუკუნეებით თარიღდება. ამდენად ეს ეკლესიები ერთგვარი არქივების, ძველი საბუთების დაცვისა და შენახვის ფუნქციასაც ასრულებენ.

აღსანიშნავია ბეჩოს ეკლესიებში აღმოჩენილი ნაკაწრი წარწერები. გარდა ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიისა, ბეჩოს (სვანეთის) გრაფიტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის წარსულის კულტურულ-ისტორიული საკითხების შესასწავლად: კერძოდ, ამ ძეგლების მიხედვით თვალნათლივ ჩანს წერილობითი კულტურის მაღალი დონე შუა საუკუნეთა სვანეთში.

ქართველი ხალხის მშვენება და სიამაყეა მესტიის მუზეუმში დაცული IX ს-ის ხელნაწერი, რომელიც მეცნიერებაში ადიშის ოთხთავითაა ცნობილი. ეს ძეგლი საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა სოფ. ადიშში და შთამომავლობას გადმოეცა როგორც ქართული ენისა და კულტურის მარად გაუხუნარი საუნჯე: ამ ძეგლის დაუფასებელი მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში საყოველთაოდ ცნობილია.

ბეჩოს ეკლესიებში შემონახულია კედლის მხატვრობის ურიცხვი ძეგლი, რომლებიც ქრონოლოგიურად X-XVII ს-ებს განეკუთვნებიან. ამ და სვანეთის სხვა ხატებისა და ფრესკების შესწავლას მეცნიერები იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ სვანეთი იყო ხელოვნების სხვადასხვა სფეროში საკუთარი სკოლის მქონე კულტურის დიდი კერა.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთი წარსულის მქონე ერთ-ერთ პატარა კუთხეს — ბეჩოს თემის სოფელ მაზერს უკვე სამი წელია სკოლა არა აქვს. 50-იან წლებში აშენებული მაზერის არასრული საშუალო სკოლის შენობა სწორედ სამი წლის წინ დაიწვა. სოფლის მცხოვრებლებმა და ამ სოფლიდან წამოსულებმა შექმნეს მაზერის სკოლის ფონდი. შემოსული თანხით მოხდა სამშენებლო მასალების (ბლოკი, ქვიშა, ხრეში, ხეტყე და სხვ.) შემოზიდვა, მაგრამ გარდა ადგილზე არსებული მასალებისა, სკოლის აშენებას სჭირდება ცემენტი, თუნუქი, არმატურა, საღებავები, მინა და სხვ., რაც ადგილზე არ იშოვება. იქნებ მიზერული თანხებით, მასალებით მაინც დაეხმაროს მთავრობა ამ სკოლის მშენებლობას და 130-ზე მეტი მოსწავლე ისევ არ დარჩეს შეფარებული ერთ-ერთი მოსახლის დაუმთავრებელ სახლში.

შარშან სკოლამ 20 პირველკლასელი მიიღო, წლეულსაც ამდენივეს ელიან. იქნება ინამუსონ იმ უწყებებმა, რომლებსაც ეს საკითხი ეხება და მეტს ნუღარ გააცდენინებენ ამ ბავშვებს სკოლას. მით უმეტეს, რომ აქაური პედაგოგები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ბავშვებს არაფერი დააკლონ.

ამ სკოლის კურსდამთავრებულები არიან ცნობილი მეცნიერები (სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტის პირველ სტიპენდიანტთა შორის ერთ-ერთი სწორედ ამ სკოლის კურსდამთავრებული გახლავთ), განათლების, კულტურისა და სპორტის დამსახურებული სპეციალისტები, გამოცდილი გეოლოგები, ინჟინრები, ეკონომისტები, მედიკოსები თუ ვეტერინარები, იურისტები და სხვ.), უბრალოდ ის ადამიანები, რომელთაც აქვთ შენარჩუნებული ძველი ქართული დიდებული ტრადიციები. არ ეშლებათ ღვთისა და კაცის სიყვარული, სახარებისეული შემეცნებებით ცხოვრება, გაჭირვებულისადმი დახმარება.

***ზვიად კვიციანი,***
***ისტორიკოსი***

# რას წარმოადგენს „რობოტას“ ბანდა

## ვინ მფარველობდა შპს „ავტომობილების გაცილებას“

**(დასაწყისი იხ. გვ. 5)**

— რა გითხრათ? საკმაოდ სერიოზული სიტუაციაა. ძალიან რთულია იწინასწარმეტყველო, რას იზამენ, მაგრამ ის კი რეალურია, რომ ამ ხალხით პირადად იყვნენ დაინტერესებული ქვეყნის მაღალჩინოსნები. „რობოტას“ ჯგუფს ბოლო პერიოდში საფარიც კი გაუკეთეს. თითქოს ეს ბანდა არის შპს „ავტომობილების გაცილება“. ხო სასაცილოა?! თუ არ გააცილებინებდნენ თავს, მაშინ ესენი ესროდნენ ან მოკლავდნენ პატრონს, ან მანქანას წაართმევდნენ და მერე ოსებს დააბრალებდნენ.

**— „ავტომობილების გაცილება“ რა ჯდებოდა, უფრო ძვირი, ვიდრე გატაცება? რა „სტავკები“ ჰქონდათ?**

— გააჩნია, რა ტვირთზე იყო ლაპარაკი და საით მიდიოდა.

**— შპს „ავტომობილების გაცილება“ სადმე რეგისტრირებულია? არსებობს ფიზიკურად დოკუმენტი?**

— ფიზიკური დოკუმენტის შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ არსებობს ჯიხური, სადაც ეს ბანდა იჯდა და პოლიციის გვერდზე ყაჩაღობდა. იმ ჯიხურს ეწერა შპს „ავტომობილების გაცილება“. ეს იყო ერგნეთის ბაზრობის გამოსასვლელში. რაც ფაქტია და ვერავინ უარყოფს. გარდა ამისა, არსებობს ინფორმაცია, რომ შსს-ს გორის მთავარ სამმართველოში მისული იყო წერილი თხოვნით — ამ ჯგუფისთვის პოლიციას აღმოეჩინა დახმარება. თითქოსდა ეს ჯგუფი არეგულირებდა ქართულ-ოსურ ურთიერთობებს და ა.შ. ეს წერილიც მაღალი სახელისუფლებო წრიდან არის გამოსული. ასეთი მძიმე ვითარებაა, მაგრამ ვფიქრობ, მოვა მაგათი თარეშის დასასრულიც.

**— „რობოტასთან“ ერთად აყვანილი „კოხტას“ შესახებ რას იტყვით?**

— „კოხტა“, იგივე გიორგი დურგლიშვილი, 1996 წლიდან აქტიურად მოქმედებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში და კონტრაბანდული ტვირთების შემოტანა-გატანას ზედამხედველობს. „კოხტას“ და „რობოტას“ ალიანსი 2002 წლიდან შეიკრა. ამ ბანდაში „კოხტა“ ძალიან გავლენიანი პირია. სწორედ მისი წყალობით აქვს ამ ბანდას მფარველობა კანცელარიის მხრიდან. სახელმწიფო მაღალ ეშელონებთან ურთიერთობას ხალხში თავად დამნაშავეები უსვამენ ხაზს — ვერავინ მოგვერევაო, რაც მოთმინებას უკარგავს შიდა ქართლის რეგიონის მცხოვრებლებს, რომელთა კრიმინალებისგან შევიწროების ფორმები უკვე ყოველგვარ „საზღვრებს“ სცილდება.

კომენტარისთვის შსს-ს პრესსამსახურის უფროსს **პაატა გომელაურს** დავუკავშირდით:

**— ბატონო პაატა, არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ შსს-ს მიერ დაპატიმრებულ „რობოტას“ და „კოხტას“ სწორედ პოლიციელი მაღალჩინოსნები მფარველობდნენ, ეს გარკვეულწილად გაამყარა სახელმწიფო მინისტრის მიერ გაკეთებულმა განცხადებამაც.**

— ჯერ ერთი, სახელმწიფო მინისტრს კონკრეტულად „რობოტას“ და „კოხტას“ შესახებ არავითარი მოთხოვნა არ წამოუყენებია, მეორეც, ეს პიროვნებები დავაკავეთ კონკრეტული დანაშაულის გამო.

**— გულისხმობთ იარაღის ტარებას და ნარკოტიკს?**

— კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით. ექსპერტიზის შემდეგ გავაკეთებთ დასკვნებს, შეიძლება სხვა საქმეებიც წამოვიდეს წინა პლანზე.

**— „რობოტასა“ და შიდა ქართლის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ნათესაობის შესახებ თუ გსმენიათ?**

— არაფერი ვიცი ამის შესახებ. თუმცა, არ არის გამორიცხული ნათესავები იყვნენ. გორი პატარა რაიონია და იქ ყველა ერთმანეთთან ახლობლობს. ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ვისი ნათესავია. შს მინისტრი საკმაოდ პრინციპულია თუ საქმე სისხლის სამართლის დანაშაულს ეხება. პოლიცია ასევე აქტიურად მუშაობს კონტრაბანდის წინააღმდეგ და ამ შემთხვევაში სწორედ სახელმწიფო მინისტრის მითითებებსაც ითვალისწინებს, რადგან ეს საქმე ეკონომიკურ დანაშაულსაც ეხება, რომელიც პირდაპირ დარტყმას ახდენს ბიუჯეტზე.

***ეკა ლომიძე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
23 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1325 |
| ევრო | 2,3298 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3640 |
| რუსული რუბლი | 0,0704 |
| თურქული ლირა **(1.000.000)** | 1,5314 |


**ასლგადამღები აპარატები**
ევროპიდან და იაპონიიდან
აღდგენილი და ახალი
**1. იჯარა - ლიზინგი**
**2. იჯარა გამოსყიდვით**
**3. საერთო ბიზნესი**
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
**4. გაყიდვა გარანტიით**
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

**ქსეროასლები**
**შავ-თეთრი ნითელი ლურჯი**
**2-**დან **5** თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
**ფერადი ქსეროასლები**
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
**საარჩევნო პლაკატების და ბუკლეტების**
**კომპიუტერული დიზაინი**
ფოტოების მხატვრული გაფორმება, ბეჭდვა ნივთებზე, „ნაკლეიკები“ თქვენი ბავშვის ფოტოთი, ეტიკეტები, აკინძვა, ლამინირება
**Web-დიზაინი**

თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1,
მოზარდ-მაყურებელთა თეატრი,
ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“
Company LTD

„ტრანსფორმისი“ ფირმის
**მეტალოპლასტმასის**
**კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად**
**ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.**
**ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია**
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი“ აწარმოებს

**ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად**
მის: აკურის ქ. №8
(სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ფირმა „ლაზისი“
**მეტალოპლასტმასის**
**კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად და ხარისხიანად ევროსტანდარტის პროფილით ესპანური სისტემის საკეტებით**
**ფერები — სხვადასხვა.**
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან, სალაროების მხრიდან)
☎ 33-75-87; 899-18-66-15;
899-55-62-77; 34-52-93 (საღამოს)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## წყალგაუვალი არგუმენტი



სამსახურში, ძველმა თანამშრომლებმა, ლამის სამი ათეული წელია ერთად რომ ვმუშაობთ, გადავწყვიტეთ თავი დაგვენებებინა სიგარეტისთვის. ზოგმა შეძლო ამის გაკეთება, ზოგმა, რა თქმა უნდა, ვერა. ერთი პირობაც დავდეთ — ვინც ამ მავნე ჩვევას თავს დაანებებდა, ულვაში უნდა მოეშვა. აბა ქართველი „უნამუსო“ ვის გაუგია?

ვხუმრობდით, თავს ვინუგეშებდით და პატარ-პატარა სანაძლეოსაც ვდებდით, მერე წაგებულ-მოგებულები ერთად დავსხდებოდით და მეგობრულად მოვილხენდით.

ჩვენმა მეგობარმა უშანგიმ, რომელიც მთელი ცხოვრება სიგარეტს ეწევა და ულვაშიც არასოდეს უტარებია, გადაწყვიტა მხარი აება ჩვენთვის და მართლაც შეეშვა სიგარეტის მოწევას. რა თქმა უნდა, ულვაშიც მოუშვა. ზოგმა უთხრა, ძალიან შეგცვალაო, ზოგმა — დაგაბერაო, ზოგმა ესაო, ზოგმა ისაო. უშანგი აინუნშიც არ აგდებდა მავანთა შენიშვნებს და ჯიუტად გაიძახოდა — არა, არაფრით არ გავიპარსავ ულვაშს და სიგარეტსაც აღარ გავეკარებიო.

მიუხედავად ამისა, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი უშანგი სამსახურში უულვაშოდ გამოცხადდა და სანამ ჩვენ ვკითხავდით რამეს, თვითონ დაიწყო — სულ ჩემი ცოლის ბრალია ყველაფერი, ისეთი რამ მითხრა, იძულებული გავხდი, ულვაშს დავმშვიდობებოდიო.

— მაინც რა გითხრა ცოლმა ასეთი? — ვკითხეთ.

უშანგი მთელი სერიოზულობით გვიყვება:

— დილით ადრე ავდექი, სააბაზანოში შევედი, წვერი სუფთად გავიპარსე, ულვაში გავილამაზე, საათს დავხედე, დრო „საკმარისად“ მქონდა და ვიფიქრე, ცოლსაც გავახარებ-მეთქი. თანაც, მეგონა, ხოტბას შემასხამდა. ის კი იცით, რას მეუბნება? — გაიპარსე, კაცო, ეგ ულვაში, რა მთლად ხაზარაძეს დაემსგავსეო!..

*თამაზ შათირიშვილი, თბილისი*

## ალმასხანის თევზის ცნორი



ვასილ მჟავანაძე, თავის დროზე სწვევია ძველ სენაკს. მეურნეობის დირექტორი ალბერტ კურდღელია ყოფილა მაშინ.

ეს ამბავი ალმასხან მეძველიამ მომიყვა, რომელიც მაშინ მეთევზედ მუშაობდა, ტბორი ებარა. დანიშნულ დღეს თეთრი ხალათი ჩამაცვეს ექიმივითო. იქვე, ხის ძირში, პატარა მაგიდა წელში იზნიქებოდა სოფლის ნობათისგან (თითქოს ყოველდღე მქონდაო ეს).

მობრძანებულა ვასილ მჟავანაძე, მთელი ამალით. მისალმებია და ალმასხანისათვის მოულოდნელად უკითხავს:

— რამდენ ტონა თევზს ელოდებით წელს?

დავფიქრდიო, ალმასხანმა, ორი ტონა ვთქვა, ვაითუ ბევრი იყოს. ერთი ტონა ვთქვა, ვაითუ ცოტააო.

ამ ფიქრებში ვარ, რომ უცებ ალმასკომის თავმჯდომარის საზეიმო ხმა მესმის (ალბათ დაწინაურება უნდოდა):

— 80 ტონას ველოდებით წელს!

ამის გაგონებაზე ორივე ხელი მოვისვი თავზე, რქების ამოსვლის შემეშინდაო, ალმასხანმა. ტბორში სოფლის ბავშვები, დილიდან საღამომდე ათიოდე ღორჯოს თუ დაიჭერდნენ.

ბოლოს ისევ მჟავანაძემ მიშველა:

— ეს ბიჭი, ისეთი ახალგაზრდაა და ყოჩაღი, 30 ტონა აქვე სადმე ექნება შენახულიო...

აქ კი, წავიქეციო, გონზე როდის-როდის ბაყაყების ყიყინმა მომიყვანაო...

აღარც თეთრი ხალათი მეცვა (ეტყობა, ვილაცამ მომპარა), სუფრიდანაც ყველაფერი გამქრალიყო (ერთი ჭიქა ადესაც კი არ დაუტოვებიათ ჩემთვისო).

მარტო ჩემი ერთგული ძაღლი მარსიკია, კუდის ქიცინით შემომყურებდა გაკვირვებულიო.

*პაატა მაქავარიანი, სენაკი*

## ექიმი-ინსპექტორი



ველოდები ავტობუსს. ჩემ გვერდით დგას ახალგაზრდა კაცი საქაღალდით. ავტობუსის გაჩერების წინ მდებარე სახლიდან ქალის განწირული კივილი მოისმა. მე და ჩემ გვერდით მდგომი საქაღალდიანი კაცი დაუფიქრებლად გავიქეცით საშველად. შევცვივდით სახლში და ვხედავთ: ასე ხუთიოდე წლის ბიჭუნა აგდია იატაკზე და ფართხალებს. თურმე ბავშვი 20-თეთრიანს ათამაშებდა, ჰაერში ააგდებდა და პირით იჭერდა. ჰოდა, გადასცდა ეს 20-თეთრიანი. მე დავიბენი, საქაღალდიანმა დასტაცა ბავშვს ხელი, დაჰკიდა ფეხებით, დიდხანს აჯანჯღარა. როგორც იქნა, მონეტა ამოუღო. ბავშვმაც ამოისუნთქა და ჩვენც.

გახარებული დედა ასე მიმართავდა შვილის გადამრჩენს: — გმადლობთ, ექიმო, თქვენ რომ არა, ალბათ ბავშვი დამეღუპებოდაო...

— ქალბატონო მე ექიმი არა ვარ, მე საგადასახადო ინსპექტორი ვარო, — უპასუხა ახალგაზრდამ და თან დასძინა, — ქუთაისის საგადასახადო დეპარტამენტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესავსებად ყველა დამალული ფული ამოიღოს და პირნათელი იყოს ხალხის და მთავრობის წინაშეო.

ეს ხუმრობით თქვა, მაგრამ ის ხუმრობა რა ვთქვი, რომელშიც ნახევარი სიმართლე არ ურევია...

*ვაჟა ჭყონია, ქუთაისი*

## ხუმრობენ პოპულარული ადამიანები



### ბორის წიფურია



ოსი წაეჩხუბა ცოლს. გულმოსულმა სახლის კარი გამოიჯახუნა და გარეთ გამოვარდა. პირველსავე შემხვედრ ტაქსის ხელი აუქნია. ჩაჯდა და წავედითო, მძღოლს ეუბნება. ისიც ეკითხება, — სად მიდიხარო?

ოსმა თავი ვეღარ შეიკავა და ხმამაღლა იყვირა:

— ახლა ამას ჩააბარე აჩოტი!..



მეგრელის გოგო გააუპატიურეს. გადაირია მეგრელი, აიღო თოფი და მთელი ერთი თვე ეძება დამნაშავე. ერთი თვის შემდეგ, როგორც იქნა, გამოჩნდა და მეგრელმაც სროლა დაუპირა.

— არ მესროლო, ბიძია, მე თქვენი ქალიშვილისგან შვილი მინდა. თუ ბიჭი დაიბადა, მილიონს გაძლევ, თუ გოგო — 300 ათასს.

— რომ არ დაფეხმძიმდეს, მეორედ ცდი? — დაეჭვდა მეგრელი.

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სვანს რადიომიმღები მაღალ ხმაზე აქვს ჩართული და რეკავს რადიოკომიტეტში.

— ცოტა ხმას ჩაუწიეთ, მეზობელი მყავს გარდაცვლილიო.

*ზაზა ჩიქოვანი, აბაშა*



რაჭველმა პარიკმახერმა პარსვისას ორჯერ გაუჭრა კანი კლიენტს.

— ადრეც იყავი ჩემთან? — ეკითხება მოგვიანებით.

— არა, ყური ცელით ჩამოვიჭერი!..

*გოჩა ფაჩუაშვილი, ქუთაისი*



სვანი შევიდა წიგნების მაღაზიაში. შვილიშვილი ცეკვაზე დამყავს და „ტვისტის“ შესასწავლი ლიტერატურა მომეცითო. ასეთი ლიტერატურა არ გვაქვსო — უპასუხა გამყიდველმა.

— აბა, იმ წიგნს რო აწერია „ოლივერ ტვისტი“?!

*ვალერი ხოსრუაშვილი, ქარელი*



სვანეთის გზაზე მანქანას აჩერებენ დასაყაჩაღებლად.

— გამარჯობათ, ძმებო, მეც სვანი ვარ!.. — ამაყად ამბობს საჭესთან მჯდომი.

— სვანი ხარ, აბა, აზერბაიჯანელი აქ არ ამოვიდოდა!.. — მოუჭრა „მასპინძელმა“.

*ნესტანი, თბილისი*



რაჭველი პარაშუტით გადმოხტა 20 კილომეტრის სიმაღლიდან. 3 დღის შემდეგ იგი ამბროლაურის ცაზე გამოჩნდა.

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ფელეტონებს და იუმორესკებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

## მილოცვა

**სოფო და იასონ კიზირიძეს!**

საყვარელო სოფო და იასონ, გილოცავთ ქალიშვილის – მარიამის დაბადებას, გაზრდილიყოს ოჯახური ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლად. ამინ!

*ლუნა, ტოვლები, ნატა, ანა, ალბერტ, სანდრო მაჩაბელიძეები*

## მადლობა

**მან ჯანმრთელობა და სიცოცხლე მაჩუქა**

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვხატო მადლობა, ვინც ჩემს შვილს სიცოცხლე აჩუქა. ეს ბატონი **თენგიზ კალანდაძეა.**

მაქვს უკიდურესად მძიმე მდგომარეობა. მიკვდებოდა ერთადერთი ქალიშვილი. მისი ჯანმრთელობის შენარჩუნება დიდ ხარჯებს მოითხოვდა. არანაირი საშუალება არ გაგვაჩნდა. ერთადერთ ვაჟზე გამწარებულმა ქვრივმა დედამ ბატონ თენგიზს ვთხოვე დახმარება. მან ყველაფერი გააკეთა. თვითონ გაიღო თანხა, რომ ჩემი შვილი გადაერჩინა. დღეს უზომოდ ბედნიერები ვართ.

საყვარელო შვილები, დები და ძმები! გთხოვთ და მოგიწოდებთ, ხმა მიეცით დეპუტატ ბატონ თენგიზ კალანდაძეს, რომელსაც ბევრი კარგი საქმე უკეთებია და უფრო მეტს გააკეთებს, ბევრის ცრემლს შეიშრობს.

ფარადელ ღმერთი, ყველა კარგ საქმეში, ბატონ თენგიზ კალანდაძეს, **გიგა გაბელაიას და რობერტ ძანტურიას.**

*ციხანა, სვეტა ბირკაიძე, ციალა, მამუკა მოკუნაიძე*

## ბინები

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არატიპური, კეთილმოწყობილი ბინა, ავეჯით, ტელეფონით, ვაკის ქუჩაზე, 26-ე კორპ. ფასი $19.000 ტელ: 89-69-35. ნანა

იყიდება ან იცვლება ვაკის ტბასთან ახალ კორპუსში 2-სართულიანი სახლი, 100 მეტრი, ეზო, ავტოფარეხი, 1 კვ. მეტრი 3000 კვმ. (სანოტარო ზონა) თავისუფალი. ტელ: 899 55-43-17; 899 71-55-30

**სასწრაფოდ იყიდება! საგურამოში 1 კმ-ში ახალაშენებული ევრორემონტიანი სახლი (ს/ფ – 350 კვ.მ., ეზო – 1200 კვმ), შიდაკეთილმოწყობილი 4 სართული, 4 საძინებელი – ავეჯით და ტექნიკით, ბაღი, მოწესრიგებული ეზო, ლადი, ცხელი და ცივი წყალი. ტელ: 877 40-15-43; 877 75-45-17. ტელ: 899 94-11-94**

## ქირავდება

1, 2 და 3-ოთახიანი, კომფორტულად მოწყობილი ბინები, პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში, სადღეღამისოდ, ტელეფონით. ფასი: 1 დღე, 2 ადამიანი – $15, $30, $40, $50 და $100. არის შეღავათები. ტ: 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-86

კომფორტული ფართი 140 კვმ, ჭავჭავაძის №37-ში, II სართულზე, გარემონტებული, 5 ოთახი, ტელეფონით. გამოდგება საცხოვრებლად. ფასი $150. ტელ: 899 50-78-00. რეზო, ნია; 899 50-17-06. მიშა; 899 50-33-10. ჯულიო

## სამუშაო

18-25 წლამდე გოგონებს გთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში. 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავაზებით. უზრუნველყოფა ვიზის ფულით (ხელფასი), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 74-79 (ქეთინო)

ამერიკული კომპანია ეძებს მომსახურე აგენტებს და გოგონათა პერსონალს (მზარეული დამხმარე, მიმტანი, დამლაგებელი) ხანმოკლე სამუშაოზე – 18 აგვისტოდან 22 სექტემბრამდე. სამუშაო საათები – დილის 5.00-დან დილის 9.00-მდე; საღამოს 16.30-დან 20.30-მდე. ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელი არ არის. ტელ: 93-10-80; 899 16-44-64. გარდა ამისა გვჭირდება 4 გაყიდვის მენეჯერი. სათანადო მოთხოვნები მოვიდოდეთ და საბაზო ანაზღაურებით, რუსულის ცოდნა აუცილებელია. ეფექტიანი სამსახური. სიტუაციის თანამშრომლებს ემლევათ შანსი სამსახურისა და მუშაობისა (კომპანიის ხარჯით). გასაუბრება 200-400$ ამბ სხვადასხვა ვაკანსიაზე. მიმდინარეობს შერჩევა. ინგლისურად: „დიდუბე“, „სამთო ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბონ დიმიტრი

## მომსახურება

ფირმების რეგისტრაცია (შპს, არასამეთაურო ორგანიზაცია), აუდიტი, ქონების შეფასება, სამუშაოს მომსახურება, სავადასხვა ინსპექციისთვის დეკლარაციების ჩაბარება. ტელ: 33-30-88; 61-36-42 (სალამი)

ჭარბწონიანობისგან განკურნება მხოლოდ ერთხელ აკუპუნქტურა ემოციური შედეგი. ასეთი აპარატურით მეთოდები მხოლოდ ჩვენ! შედეგი არჯერის შემობრუნებით (რაც არ ხდება), გადაჭარბებული თანხა დაბრუნდება. მიღება ნებისმიერ დროს, გაცნობიერებული წონის ოპტიმალური დონის მიღწევისთვის. მიღება ყოველდღე, 1-10 რიცხვებიდან ყოველდღე 10-30 რიცხვებიდან – ოთხშაბათობით. ტელ: 893 31-05-49. ლალი

ფსიქოლოგიის სამედიცინო გამოკვლევა სრულად დღეში და უკვალოდ. დაიძახეთ: არ არსებობს მოწინააღმდეგე, ენა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველ საჯაროდ არ გამოიყენება ეფექტური და ფირფიტის გარეშე. გარანტია ჯანმრთელობის ძიების გარეშე. ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ქალებს ემოციური დოხტამერის ნებსით და ანესთეზიით, მონიშნულ გარანტიით. მიღება ყოველდღე, 1 ლარი. სახელმძღვანელო და მედიკამენტები. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლილი გოროშიძე

„ფეხბურთი“! კარგად გაკეთებული მორგება ნაძეცელი მოსწავლისთვის და გაუნვითარების ფონზე. ძალიან მოგიწონთ. 1 სთ – 12 ლარი. ფიზიკური მოვლა. ფასი – $200. მის: გაგარინის ქ. №10, მე-2 სად, ბინა №17. ტელ: 38-77-58; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

## ტურიზმი

დასვენება ქობულეთში, აგვისტოს ბოლოდან 10 დღე – 80-120 ლარამდე, საშუალოდ კვებით კაფეში და ასარჩევი პირობებით კერძო ბინებში. ბავშვებზე და ჯგუფებზე – შეღავათები. ცნობებისთვის: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 113/115, (ეზოს სიღრმეში, სამკ. ცენტრი), კაბ №31. ტ: 69-18-38 (ბინა); 91-18-38 (სამს); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

„დილა პლუსი“ უზრუნველყოფს შეღავათიან, კომფორტულ დასვენებას საქართველოს ზღვისპირა კურორტებზე: ბათუმი, ქობულეთი, კვარიათი, გონიო, სარფი, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ჩაქვი, ურეკი – სასტუმროებში, კოტეჯებსა და კერძო სექტორებში; ასევე ბორჯომი, ბაკურიანი; დასვენება თურქეთის კურორტებზე.

Website: http://dilaplus.gol.ge; E-mail: dilaplus@nm.ru ტელ: 98-69-51; 899 54-00-79. მის: აბულეინის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. №21

## მკურნალობა

უცხოური უახლესი მეთოდებით, უცხოური აპარატურით და ჩინური ნემსებით, ყველა ასაკში სწრაფი შედეგებით – სრული გარანტიით აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ლოგონევროზს, ნევროზს, ფსიქოლოგიურ აშლილობებს, ენაჩლუნგობას (თლიფინებს), პარეზებს, დცპ-ს – თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმი-ლოგოპედი, თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი ქ-ნი ინა კომახიძე. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან მედმუშაკი მაყვალა ცინცაძე წინაპართა გადმოცემით ამზადებს მალამოებს და საფენებს. მკურნალობს სახსრებს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), ართროზს, სამწვერა ნერვის ანთებას, პოლიართრიტს, რადიკულიტს (მხოლოდ ჰაიმორიტი, ფრონტიტი იკურნება 8-10 დღეში სრული გარანტიით). ტელ: 35-81-81, 34-62-51

სმენის აღდგენა აპარატისა და ოპერაციის გარეშე. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ვმკურნალობ სხვა დაავადებებსაც. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (ეზოს ბოლოში), კაბ. №77, ლევან სეხნიაშვილი. მიღება 9-14 სთ. ტელ: 95-83-54; 25-11-46; 53-44-39; 899 97-85-46

ქართული ფლორის მცენარეებითა და აპითერაპიის (ფუტკრის) პროდუქტებით გთავაზობთ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობას! ვმკურნალობთ: კოლიტს, ბუასილს, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, კისტას, ფიბრომას, მიომას და მასტოპათიას უოპერაციოდ. აგრეთვე ნერვულ, გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, ფილტვების, ასევე ენდოკრინული სისტემის დაავადებებს. მიღება წინასწარი ჩაწერით. მის: აღმაშენებლის №109 (ეზოში ხელმარცხნივ, ნაცრისფერგისოსებიანი ოფისი). ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 94-19-84; 96-35-92 (სამს); 897 58-29-18

## განათლება

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ფინანსებისა და სამართლის ქართულ-ბრიტანული ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე: იურიდიული, ეკონომიკური, უცხო ენების, პედაგოგიური, დიპლომატიური, ჟურნალისტიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები. წლიური გადასახადი $150. მის: შარტავას №7 (შრომის სასახლე), მე-15 სართ. ტელ: 38-76-52; 38-08-78; 590-590

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 150 ლარიდან. მის: თოფურიას №12, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 30-51-30; 32-06-97; 32-82-60

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89

ტურისტული სააგენტო გეო-ტური იწვევს 15-18 წლამდე მოსწავლეებს ამერიკის სკოლებში სასწავლებლად; სტუდენტებს – 18-26 წლამდე ეძლევათ შანსი, ეწვიონ ამერიკას და მიიღონ გამოცდილება ამერიკაში მუშაობით; გთავაზობთ დაუვიწყარ დასვენებას თურქეთში, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვაზე. ფასები შეღავათიანია. მგზავრობა ავტობუსით. შეკვეთები მიიღება 10 დღით ადრე. მის: რუსთაველის გამზ. №42. II სართ. ტელ: 93-18-08; 899 26-52-36; 893 21-45-77

## იყიდება

ავტოგასამართი სადგური, 3000 კვმ მიწის ფართობით. აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კმ-ზე. ტელ: 899 55-43-17; 899 71-55-30

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## სხვადასხვა



მივმართავ ქველმოქმედებს, მკითხველებს, იქნებ დამეხმაროთ ჩემი ორი მცირეწლოვანი შვილის გადასარჩენად, რომლებიც ცერებრალური დამბლით არიან დაავადებულნი. ბავშვები საჭიროებენ გადაუდებელ მკურნალობას (ოპერაციას, რომელიც ქალაქ ტულაში კეთდება).

დახმარების მსურველთ თანხა შეუძლიათ გადმორიცხონ საქართველოს ბანკის მთაწმინდის ფილიალში. ანგარიშის № 040911816, კოდი 220101505.

*პატივისცემით, ეკა მარშანია*

**მკითხველთა საყურადღებოდ!**

16 აგვისტოს, მეტრო „რუსთაველის“ ამოსასვლელთან მდებარე ფოტომომსახურების მაღაზიაში ერთ-ერთმა მოქალაქემ შეცდომით წაიღო კონვერტი, რომელშიც იყო ორი ფოტოფირი. კონვერტზე ეწერა „ნესტანი“. მპოვნელს ვთხოვთ, დააბრუნოს აღნიშნული ფირი იმავე მაღაზიაში ან დარეკოს: 33-39-54.

## ხსოვნა

**გელა სამხარაძის მონატრება**



გელა, შვილო, 23 აგვისტოს ორი წელი გახდა, რაც გაუსაძლის ტკივილად მექცა შენი მონატრება. ორი გრძელი წელიწადი გაილია, ცრემლებით, ტკივილით და შენი მოგონებებით აღსავსე ორი წელიწადი. ჩემო ვაჟკაცო, ჩემო დიდო ბიჭო... რას ვიფიქრებდი, მთასავით ვაჟკაცს რამე თუ მოგერეოდა. შენი იმედი მქონდა, შვილო, ჩემო საამაყო, ჩემო საფიცარო გელა... გამორჩეული დედაშვილობა გვქონდა, ყველაფერს მიმხელდი, ყველაფერში მენდობოდი. რამდენჯერ გითქვამს, დედა ჩემი ძმაკაციაო... მაგრამ რომ ვერ გიშველე, რომ ვერ დაგეხმარე, ტკივილი რომ ვერ შეგიმსუბუქე? შენი ამქვეყნად არყოფნის დარდი ხომ მკლავს და ახლა შენი შვილების მონატრებამაც გული გამილია. შენ რომ ცოცხალი მყოლოდი, უცხო ქვეყანაში ხომ არ გადაიხვეწებოდა შენი ლამაზი ცოლ-შვილი. როგორ გიყვარდა შენი მარინე, შენი გოგა და აჩიკო... როგორი ლამაზი და ბედნიერი ოჯახი გქონდა. მერე კი, ქვეყანა რომ აირია, თქვენც გაგიჭირდათ, შვილო. დღესა და ღამეს ასწორებდი, სულ შრომაში იყავი, რამხელა ტვირთს დაატარებდი, – ჩემს ცოლ-შვილს არაფერი გაუჭირდესო... ახლა რა ვქნა? ყველას პატრონი ხომ შენ იყავი. შენი უმცროსი და, თამრიკო ხომ შენს მზეს იფიცებდა. მისი პატარა სოფოსთვის მარტო ბიძა კი არა, მამაც იყავი. ახლა დიდი გოგოა სოფო – მალე 13-ის გახდება. როცა შენ გნატრობ და გიხსენებ, როცა შენს საფლავზე მოვდივარ ან ცრემლიანი თვალებით სანთლებს გინთებ, სოფო ხშირად ჩემ გვერდითაა. ნუ ტირი, ბებოო, – მეტყვის და ისიც ტირის ჩემთან ერთად. პატარა ჭირისუფალი გყავს, ჩემო ვაჟკაცო... რა ვქნა, გელა, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი... შენს მონატრებაში უნდა გავლიო დარჩენილი წუთისოფელი, შენი სულის სადიდებლად უნდა ვილოცო... მენატრები, გელა! ნათელში მიმყოფოს შენი სული უფალმა.

*შენი დედა მერი სამხარაძე*

**ლილი მამნიაშვილს!**



დედა! 27 აგვისტოს 40 დღე სრულდება, რაც უკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი თავი. ძალიან გვიმძიმს უშენობა. მთელი სიცოცხლე შვილებსა და შვილიშვილებს შემოგვწირე. საკუთარი თავი არ გახსოვდა. სულიერად ძლიერს, თავმოყვარესა და პრინციპულს ბრძოლით გიწევდა ცხოვრებისეული წინააღმდეგობების გადალახვა. სამართლიანი და ყურადღებიანი ყველას გულშემატკივარი და სწორ გზაზე დამყენებელი იყავი. ბევრი სიკეთე დათესე ამქვეყნად, ამიტომაც ახსოვხარ შენს ნამოწაფრებს. როგორ გაგეხარდა, როდესაც 29 წლის წინანდელმა კურსდამთავრებულებმაც მოგინახულეს ავადმყოფობისას. შენეული გამონათქვამები, დიდი იუმორი მუდამ ტკივილიან ღიმილს მოჰგვრის ნათესავებსა თუ მეგობრებს. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სპეტაკ სულს!

*ლალი და ლია ხუნწარიები*

**თემო (ვანო) ხატიაშვილის მოგონება**



*ტირიფის თმებით მე*
*დავიწანი, თემო, კალათი,*
*შიგნით ჩაიგიწყობ შენს*
*საყვარელ მინდვრის*
*ყვავილებს,*
*ეს მე მოგიტან, შენს*
*სამყოფელს გაგილამაზებ,*
*მერე გიტირებ და გაგალვიძებ ცრემლის ნიაღვრით.*
*ბოდიშს მოგიხდი,*
*შევაწრიალე შენი სამყარო,*
*არ შევაწუხო მეტისმეტად*
*შენი არსება.*
*როგორმე მინდა, რომ*
*გაცოცხლო, ჩემთან გამყოფო,*
*ერთგულებისთვის, მე მომერგო შენი არყოფნა.*
*მე გეფერები ყოველმხრიდან, არ მოგვწვდეს ქარი,*
*არ გაგაცივოს, არ გეტკინოს შენი ჭრილობა.*
*სანამ ვიქნები, დაგიფარავ ავი თვალისგან,*
*ეტყობა, ახლაც დაგჭირდება შენ მფარველობა.*

*ოჯახი*

**მირანდა კალანდიას მონატრება!**

ჩვენო საყვარელო მირანდა, უკვე მე-3 წელია, შენს საფლავთან მოვალთ, ავანთებთ სანთლებს და მოგილოცავთ დაბადების დღეს. შენს საფლავთან მოვლენ შენი შვილები – ნათია და გოგა, რომელთაც ასე ძლიერ სჭირდები და აკლიათ შენი ალერსი და სიყვარული, შენი ფრთამოტეხილი მეუღლე ბუთა, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შვილებს დედის სითბო არ მოაკლდეს. ცარიელია შენი ოჯახი უშენოდ, მირანდა.



როგორ ვანუგეშოთ შენი ტანჯული დედა, რომელსაც ცრემლი ჯერაც არ შეშრობია. გაუსაძლისია დედმამის ტკივილი, ძნელია, მიკა, შეგუება იმასთან, რომ შენ არ ხარ შენს და-ძმასთან ერთად, გვიჭირს უშენობა. გვენატრება შენი მხიარული სიცილი, მბრწყინავი თვალები.

21 აგვისტოს ყველანი მოვალთ შენს საფლავთან, მოგიგონებთ დიდი სიყვარულით და ღმერთს შევევედრებით, შენი სული ნათელში ამყოფოს.

*მშობლები, და-ძმა, მეუღლე, შვილები*

**იუზა კუჭუხიძის მონატრება**



ერთი წელი გავიდა შენი უკანასკნელი ამოსუნთქვიდან. 25 აგვისტოს შეწყდა შენი მაჯისცემა, რა მწარე და გაუსაძლისია უშენობა. ძნელია იმაზე ფიქრი, რომ აღარასოდეს შემოაღებ კარს და შენს თბილ, ღიმილიან სახეს ვეღარ ვნახავთ. შენი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ სიყვარული თესე, დიდმა სიყვარულმა დიდი მონატრება იცისო, მართლაც ყველას ძალიან გვენატრები, ვერც კი წარმოიდგენ, რამხელა სითბო და ხალისი მოგვაკლდა შენი დაკარგვით, როგორ ფრთამოტეხილი დაგვტოვე შენი უმცროსი ძმები, ძალიან გვენატრები ყველას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ჯემალ და გურამ კუჭუხიძეები*

**გოჩა ჩხეიძის გახსენება**



სიკვდილი ჯოჯოხეთი ყოფილა ჩვენთვის, ვინც ცოცხლად დავრჩით უშენოდ. შენ ის ლამაზი სიზმარი ხარ, რომლის დასრულებაც არ გვინდა და რომლის ცხადში უსასრულოდ გაგრძელებას ვოცნებობთ.

ოთხი წელია უშენოდ ვატარებთ უხალისო დღეებს. ყველაფერი კარგის თავიდათავი შენ ყოფილხარ.

24 აგვისტო შენი დაბადების დღეა. ცრემლიანი თვალებით შევყურებთ ზეცას, ვევედრებით ღმერთს შენს ნათელში ყოფნას. არ მოვაკლებთ შენს საფლავს ცრემლს, ყვავილებს და სანთლებს, სანამ ცოცხლები ვართ.

მნიშვნელობა არ აქვს, გოჩა, ჩვენ გვერდით რომ არ ხარ. მაინც ყველას გვიყვარდი, გვიყვარხარ და გვეყვარები. სანამ პირში სული გვიდგას, არ დაგივიწყებთ!

მენატრები, შვილო, ტკივილამდე მენატრები.

*დედა*

**ომარ ზარიძის გახსენება**

1997 წლის 7 იანვარი – დღე განთიადისას, შენი უკანასკნელი ამოსუნთქვისა, მწარეა და ძნელად გასახსენებელი.

უკურნებელმა სენმა უცბად მოგწყვიტა ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს, ჩემო ლამაზო ძმაო. შენი ცხოვრების გზაზე 51 ფოთოლი დავთვალეთ. ღმერთმა სილამაზით გამოგარჩია ომარ ზარიძე და ბავშვობიდან გარგუნა წილად მკაცრი და ტანჯული ცხოვრება, გაგინახევრა ჯანმრთელობა, დაგაჯილდოვა იუმორით.

თურმე რა ბევრი ყოფილხარ, რამდენგან ყოფილხარ, თითქმის ყველაფერი შენ ყოფილხარ, ჩვენო ხითხითა, ჩვენო ულალატო, უპატიოსნესო და თავმდაბალო, ჩუმად მოსიყვარულე ძმაო.

ვაი, რომ ვიხსენებთ შენს იუმორით საუბარს, ვიცინით, ვართ, ვცოცხლობთ შორს გადაკარგულები, შენ კი...

ჩვენთვის დაუვიწყარი და მუდმივი დარდი ხარ, ჩემო ლამაზო ძმაო.

როგორ უპრეტენზიოდ დატოვე სიცოცხლე, სიკეთით და სიყვარულით გამორჩეული კაცი იყავი და იმედი მაქვს, იმ საუფლოსაც დაამშვენებ, სადაც წახვედი, იქიდან დალოცავ შენს შვილებს და შვილიშვილებს. შენი უკანასკნელი სიტყვებიც ეს იყო: „ვაიმე ჩემო შვილებო“.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ლიანა*

**გოგიტა ქინქარაშვილის მონატრება**



გოგიტა, ჩემო პირველო სიხარულო, დიდო ტკივილო, მონატრებავ და სევდავ, მეორედ მოვიდა შენი ცრემლიანი დაბადების დღე – 26 აგვისტო, შენ ხვალ 27 წლის უნდა გამხდარიყავი.

ჩემო ექვსი დღის დანიშნულო, ოცნებებში ბედნიერო, უბედურო შვილო!

ერთი წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან, როცა შენი დეიდაშვილისგან დოლარებზე გაყიდული, საოლქო სასამართლოში, გაქცევის მცდელობის დროს პატიმარმა გაგწირა და სასიკვდილოდ გაგიმეტა. ერთი თვის შემდეგ კი 26 აგვისტოს 26 წლის უნდა გამხდარიყავი და ბედნიერ დაბადების დღეს ელოდებოდი შენს დანიშნულ ნანასთან და ჩვენთან ერთად. ვაი, რომ ბედისწერა ცუდს გიმზადებდა...

26 ივლისს გაჩერდა დრო შენი უბედური დედისათვის. საშინელი და გაუსაძლისია უშენოდ ყოფნა, შენ ხომ ასეთი ყურადღებიანი, ალერსიანი და თბილი იყავი. ვერაფრით გშველით, შვილო, შენ მაგივრად ვეფერებით შენს ლამაზ სურათებს და საფლავს, ჩემო ყველაფრით გამორჩეულო, საფიცარო შვილო.

ფულის გულისთვის მოაკვლევინეს შენი თავი და უძმოდ დატოვეს შენი ერთადერთი და ნატო, რომელიც პატარა ბავშვივით გივლიდა და გეფერებოდა, ახლა კი თვალცრემლიანი უვლის შენს საფლავს. იმედგაცრუებული და ცრემლიანი დაგატოვებინეს შენი დანიშნული ნანა, რომელმაც ისე დაგაფასა, როგორც გეკადრებოდა და არც არასოდეს დაგივიწყებს, ის ხომ ისეთი გულმოკლული დატოვე, როგორიც შენ იყავი...

დაველოდები იმ დღეს, როცა ღვთის ნებით, შენზე დარდით დაღლილი მოვალ შენთან საუკუნო განსასვენებელში, სადაც ვერავის შური და ღალატი ველარ დაგვაშორებს.

ხვალ, შენს დაბადების დღეს მოვალთ ყველანი შენს საფლავზე, მოგიტანთ ცრემლიან ყვავილებს, აგინთებთ წმინდა სანთლებს და ვილოცებთ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*შენი უბედური დედა, ნატო, ნანა*

**კოტე მჭედლიძის ხსოვნას!**



ჩემო სიხარულო, ძალიან, ძალიან მომენატრე! უშენოდ ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. შენ თვითონაც კარგად იცი, თუ როგორ მიყვარხარ „...შენ ჩემი ცხოვრება ხარ“ და თუ ვინმეში შენ აღმოგაჩენ, დაუფიქრებლად შევეწირები.

*ვერ გავუძლი ვარსკვლავთ*
*ციმციმს*
*და გულმა შენკენ გამოიწია*
*შენა ხარ ჩემი ლოცვა და*
*ფიცი*
*და მე უშენოდ არ შემიძლია.*

*ნონა*

კოტე! ნახევარ სიცოცხლეს დაუფიქრებლად შემოგწირავდი, ნახევარს კი მხოლოდ იმიტომ დავიტოვებდი, რომ ისიც შენთან ერთად გამეტარებინა.

*ქეთი*

**შოთა მარიამიძის გახსენება**



ჩვენო საყვარელო შოთა, უკვე მეორე წელია შენს დაბადების დღეს – 25 აგვისტოს უშენოდ აღვნიშნავთ, ყველას ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური თბილისის მიწა.

*შენი საყვარელი ოჯახი.*

**შაკო ინწკირველის მონატრება**



4 წელი გავიდა გლოვაში, შენს მონატრებაში გატარებული 4 წელი შაკო. არსებობს დიდი ტკივილი, რომელსაც დრო ვერ აყუჩებს და სულის ტკივილზე გაუსაძლისი ხომ არაფერი ყოფილა. დრო არ შეიძლება ყველაფრის მკურნალი იყოს ჩემო ერთადერთო ძამიკო – დიდო ფუძევ, სულის ტკივილო, უსაშველო მონატრებავ, ცრემლიანო მოგონებავ, გაუსაძლისო დარდო და მოლოდინო.

# რატომ მოკლეს მაღალი მოდის იმპერიის გამგებელი მაურიციო გუჩი


მაურიციო და პატრიცია შვილებით

მთელ მსოფლიოში მიმოფანტული მაღაზიების მფლობელის მაურიციო გუჩის ყოფილ ცოლს, პატრიცია რეჯანის, მილანში ხან „შავ ქვრივს“, ხანაც „ჩვენს ალექსისს“ ეძახიან. ეს სახელი მას სერიალ „დინასტიის“ მომხიბლავ და მზაკვარ გმირთან მსგავსების გამო შეარქვეს.

პატრიცია მართლაც ძალიან ჰგავს ამ ტანმორჩილ, კოხტა, შავთმიან, შავთვალა, ვერაგ ქალბატონს. ისევე, როგორც ეკრანულმა ალექსისმა, პატრიციამაც სახელი გაითქვა ინტრიგანობით, ფუფუნების, ფულის, ბრილიანტების დაუოკებელი სიყვარულით. მას დედამიწის ყველა კუთხეში აქვს ვილა, არ აკლია ბრწყინვალე ლიმუზინები, ძვირფასი ბეწვეული...

ძვირფასეულობას და ბეწვეულს ვერც ციხეში იცილებდა, სადაც ქმრის მკვლელობის ბრალდებით მოხვდა. დილიდან საღამომდე დიდებულ შავ ბეწვში გახვეული იწვა საკანში და მოგონებებით ინუგეშებდა თავს...

პატრიცია და მაურიციო გუჩი 22 წლისანი იყვნენ, როცა ერთმანეთი გაიცნეს. მას მილანის პრესტიჟული კოლეჯი ახალი დამთავრებული ჰქონდა, მაურიციო კი უნივერსიტეტში სწავლობდა. პირველსავე შეხვედრაზე მიხვდნენ, უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეეძლოთ. დაქორწინებაც გადაწყვიტეს. ამ ამბავმა საშინლად განარისხა მაურიციოს მამა. ის ფიქრობდა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ მაურიციო საოჯახო ბიზნესში ჩაერთვებოდა, რადგან ადრე თუ გვიან, მას უნდა დარჩენოდა მთელი მემკვიდრეობა...

მემკვიდრეობა კი... „გუჩის იმპერია“ გახლდათ! ასე უწოდებს პრესა ამ გვარის უძრავმოძრავ ქონებას, რომლის აურაცხელ სიმდიდრეს სათავე XX საუკუნის დასაწყისში ფლორენციელმა ხელოსანმა გუჩო გუჩიმ დაუდო. თავმდაბალმა და უზომოდ ნიჭიერმა გუჩიმ, რომელსაც ბედიც სწყალობდა, მშობლიურ ქალაქში ტყავის ნაწარმის მაღაზია გახსნა და მალე მისი მარკა, ერთმანეთს გადაჯაჭვული ორი ლათინური ასო „G“ გახდა სინატიფის, სილამაზის, ნაკეთობის უნიკალურობის სიმბოლო.

მამის საქმე ვაჟებმა — ალდომ და როდოლფომ — გააგრძელეს. თავი განსაკუთრებით უფროსმა, ალდომ, გამოიჩინა. ჯერ მარტომ, მერე კი ძმა რომ წამოიზარდა, მისი დახმარებით, საქმე გააფართოვა, გახსნა რამდენიმე ძვირფასი მაღაზია იტალიაში, მერე კი ევროპის სხვა ქვეყნებში. ახლა მათ მაღაზიებში არა მარტო ტყავის ნაკეთობა, არამედ ქალისა და მამაკაცის უზადო ტუალეტის აქსესუარები იყიდებოდა. გუჩისთან ჩაცმა მოდური და პრესტიჟული იყო. ფული მდინარესავით მოედინებოდა. მერე ალდო ამერიკის დასაპყრობად გაემგზავრა და მიზანსაც მიაღწია, როდოლფო კი ევროპაში დარჩა, მაგრამ ძმასთან მჭიდრო კავშირი არ გაუწყვეტია.

გუჩების იმპერია იზრდებოდა და მდიდრდებოდა. ძმებისა შურდათ. ისინი ბედნიერები იყვნენ, მაგრამ არა — პირად ცხოვრებაში.

გუჩების ოჯახს არ აკლდა სკანდალი. 60-იანი წლების დასაწყისიდან აპენინის ნახევარკუნძულზეც და ამერიკაშიც გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს გუჩის ევროპული და ამერიკული კლანების შიდაგანხეთქილებებს, ურთიერთშუღლს, ქონების გაყოფის სასამართლოებს, განშორებებს, მკვლელობებს...

ალდო და როდოლფო კი იყვნენ ერთმანეთის ერთგულნი, მაგრამ მათი შვილები...

ალდოს ორი ცოლისგან სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა. შვილები რომ წამოიზარდნენ, ოჯახში უსიამოვნებები დაიწყო. ალდო უფროსი ძმა იყო და კლანის თავკაციც. ამას მისი ძმა, როდოლფოც ეთანხმებოდა, მაგრამ არა მათი ნაშიერები. ყველას უნდოდა დამოუკიდებლად ეწარმოებინა ბიზნესი და მამის ფრთებქვეშ ყოფნაზე ჯერ ალდოს უფროსმა ვაჟმა, პაოლომ თქვა უარი, რის გამოც, მამამ ადვოკატების საშუალებით ოჯახური მარკის გამოყენება აუკრძალა, საპასუხოდ პაოლომ საგადასახადო ინსპექციაში უჩივლა მშობელს. ხმაურიანი სასამართლო პროცესის შემდეგ ალდოს 1 წელი ციხე მიუსაჯეს, მაგრამ 80 წლის მოხუცს შინაპატიმრობა აკმარეს. „ღმერთი ყველაფერს ხედავს, ღმერთი დასჯის“, — თქვა მაშინ შეურაცხყოფილმა გუჩიმ. ასეც მოხდა — 53 წლის პაოლო უეცრად გარდაიცვალა.

არც როდოლფოს გაუმართლა. ახალგაზრდობაში არც უფიქრია მამის კვალს გაჰყოლოდა, მსახიობობა უნდოდა, რამდენიმე ფილმშიც გადაიღეს. ერთხელ, ანა მანიანისთან ერთადაც ითამაშა, შეუყვარდა კიდეც, მაგრამ მალე აშოლტილმა ქერათმიანმა სანდრა რაველიმ მონადირა მისი გული. ქალმა ქმარს ვაჟი გაუჩინა — მაურიციო, მაგრამ მის გაზრდას ვერ მოესწრო... როდოლფოს ისე უყვარდა თავისი ოქროსთმიანი მზეთუნახავი, რომ მერე ცოლი აღარც შეურთავს.

როდოლფო ვაჟს უფლისწულივით ზრდიდა. საუკეთესო მასწავლებლები დაახვია თავს, ყველაფერს აკეთებდა მის საკეთილდღეოდ და აი, უცებ — მაურიციომ მისი ნების გარეშე ცოლის შერთვა გადაწყვიტა!

განრისხებულმა მამამ ცივი უარი სტკიცა შვილს. მაურიციომ კარი გაიჯახუნა და რამდენიმე დღეში პატრიციაზე ჯვარიც დაიწერა, მამა ქორწილში არ დაპატიჟეს. როდოლფო ბრაზობდა, — ეს გომბიო ჩემს შვილს ფულის გამო გაჰყვაო; მაგრამ ეს ასე არ იყო: პატრიცია შეძლებულ ოჯახში გაიზარდა. მამინაცვალი, ავტომობილებით მოვაჭრე მდიდარი ბიზნესმენი რეჯანი, რომელმაც პატრიცია იშვილა, აღმერთებდა გოგონას. რეჯანის ვაჟი კი, ამბობდნენ, დედინაცვალმა შინიდან გააგდოო. ბიზნესმენი მძიმე სენით გარდაიცვალა.

პატრიცია მამობილის სიცოცხლეში გათხოვდა. კეთილმა რეჯანიმ სიხარულით მიიღო სიძე ოჯახშიც და საქმეშიც. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ მაურიციო იძულებული გახდა, სიმამრის ფირმიდან წასულიყო და ცოლიანად მამასთან დაბრუნებულიყო.

მამას ისე გაუხარდა შვილის „გონს მოსვლა“, რომ პატრიციასაც კი შეურიგდა, განსაკუთრებით მაშინ მოულბა გული, როცა შვილიშვილს ალექსანდრა დაარქვეს — მისი საყვარელი ცოლის სახელი.

როდოლფომ შვილი, ოჯახიანად, ამერიკაში, თავის საყვარელ ძმასთან, ალდოსთან გაგზავნა. იმედი ჰქონდა, რომ მისი ძმა, რომელსაც ღვიძლი შვილები არ გამოადგნენ, ქონებას ძმისშვილს დაუტოვებდა და მართლაც, ბიძა-ძმისწულმა უცებ გაუგო ერთმანეთს. ოჯახს რომ არაფერი მოჰკლებოდა, როდოლფომ ერთ-ერთი პრესტიჟული ცათამბჯენის მთელი ერთი სართული უყიდა შვილს. ევროპაში რომ ჩამოდიოდნენ, იქაც ფეშენებელური სასახლეები ელოდათ. საერთაშორისო კურორტ სენტ-მორიცში ზღაპრული „ცისფერი ფრინველის სასახლე აუშენა“. მოკლედ, როდოლფო შვილისთვის არაფერს იშურებდა. მაურიციოს კი ერთადერთი რამ აკლდა — თავისუფლება ბიზნესში. ეს კი მამის სიკვდილის შემდეგ ეღირსა...

მაგრამ მაშინვე დაიწყო უსიამოვნება ცოლქმარს შორის. პატრიციას დამოუკიდებელი ხასიათი ჰქონდა და განიზრახა, თავისი, გადამწყვეტი ხმა ჰქონოდა მაღალი მოდის იმპერიის ხელმძღვანელობაში. მაურიციო კი უარობდა. თანაც ქალებს დაუწყო ყურება. მასაც მამამისივით, ქერა, ჯიშიანი ქალები მოსწონდა. ოჯახში გაუთავებელ აყალმაყალს გარე-გარე სიარულს ამჯობინებდა. ქალის ცეცხლოვანი სიყვარული მალე მწვავე სიძულვილად იქცა.

ცოლ-ქმარმა გარს ექსტრასენსები და მარჩიელები შემოიკრიბეს. განსაკუთრებით მაშინ გაცეცხლდა პატრიცია, როცა ქმარმა გაყრა მოსთხოვა და გააკეთა კიდეც, ქალს კი მათხოვრული ალიმენტი, წელიწადში სულ რაღაც 860 ათასი დოლარი დაუწესა.

პატრიციამ მარჩიელის პინა აურიემას მეშვეობით, ორი ადამიანი იპოვა, რომელთაც 360 ათას დოლარად ყოფილი ქმრის მოკვლა დაავალა.

ორაციო ჩიკალას პატარა პიცერია ჰქონდა, ბენედეტი ჩერაულა კი უმუშევარი იყო. მარტის ერთ საღამოს, როცა მაურიციო მილანში თავისი სახლის სადარბაზოში შედიოდა, ჩიკალამ სამი ტყვიით გამოასალმა სიცოცხლეს. მერე წყნარად გავიდა ქუჩაში, იქვე მომლოდინე მანქანაში ჩაჯდა, რომელსაც ჩერაულა მართავდა და ადგილს მოსწყდა. პოლიცია საქმეს შეუდგა. ეჭვმიტანილი მრავლად იყო — პარტნიორები, ნათესავები, რომელთაც 120 მილიონის მემკვიდრეობა წაართვა და სათამაშო ბიზნესში ჩადო. ამბობდნენ, რამდენიმე კაზინოს ყიდვას აპირებდა და სათამაშო დაწესებულებების მაკონტროლებელი მაფია არაფერს შეარჩენდაო. სწორედ ამ მიმართულებით მიდიოდა ძიება, მაგრამ ამაოდ.

უეცრად, პოლიციის ყურადღება მიიპყრო ნარკოტიკებით ვაჭრობაში შემჩნეული ჩიკალას სატელეფონო საუბრების ჩანაწერებმა, გაირკვა, რომ ჩიკალამ რამდენიმეჯერ დაურეკა პატრიცია რეჯანის და „მომსახურების საფასურის მომატება“ სთხოვა.

ორივე დააპატიმრეს, მაგრამ ვერაფერში გამოტეხეს. მერე ჩერაულა და აურიემა აიყვანეს. მაშინ კი „დაფქვეს“ ყველაფერი მაურიციოს წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ.

სასამართლო მილანში გაიმართა. მაურიციო გუჩის დაკვეთილი მკვლელობის ორგანიზებისთვის „შავ ქვრივს“ 29 წელი მიუსაჯეს, ამდენივე — ჩერაულას, უმაღლესი ზომა — სამუდამო პატიმრობა ორაციო ჩიკალას.

მაგრამ საქმე ამით არ ამოწურულა. დადის ხმები, რომ პატრიციას მამინაცვლის შვილმა (შეგახსენებთ, დედინაცვალმა შინიდან რომ გააგდებინა) მამის ცხედრის ეგსჰუმაცია მოითხოვა — დარწმუნებული ვარ, მამაჩემი პატრიციას დედის ბრძანებით მოწამლესო.

ვინ იცის, იქნებ სულ ცოტა ხანში დედაშვილი კვლავ ერთად აღმოჩნდეს, ამჯერად ციხის გისოსებს მიღმა...

*ჩასტნაია ჟიზნი №14*


# WWW.SHOPGE.COM

## გასახდომი სავარჯიშო ქამარი – AB Tronic – "აბტრონიკი"



გსურთ გახდომა?
გსურთ გათავისუფლდეთ ცელულიტისგან?
გსურთ მოიცილოთ ზედმეტი ცხიმები?
გეზარებათ ვარჯიში?

გასახდომი სავარჯიშო ქამარი "აბტრონიკი" ეფექტური საშუალებაა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოსაგვარებლად. იგი ძირეულად განსხვავდება სხვა მსგავსი ქამრებისგან და ახალი სიტყვაა **AB** სისტემებში. თუ სხვა ქამრებს აქვთ მხოლოდ მასაჟის რეჟიმი, "აბტრონიკს" გააჩნია დაზელვისა და ვარჯიშის ფუნქციებიც. მასში გამოყენებულია ნეოპრენის მასალა, რომლის საშუალებითაც "აბტრონიკი" წარმოქმნის მსუბუქ ვიბრაციულ დარტყმებს. ასეთი უსაფრთხო ვიბრაცია უზრუნველყოფს თქვენი კანქვეშა მამოძრავებელი ნერვების აქტივიზაციასა და კუნთის შეკუმშვას. რაც არ უნდა მკაცრ დიეტას იცავდეთ, თქვენი კუნთები მაინც ეშვება და კარგავს ტონუსს, რაც თავისთავად ფორმას უკარგავს სხეულს. "აბტრონიკის" ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ამ მოშვებული კუნთების გამოვლენა, მათი გამკვრივება, ცხიმების დაწვა და ცელულიტის დაშლა, კანის სტრუქტურის გაუმჯობესება და, რაც მთავარია, სხეულის იმ ნაწილებზე ზემოქმედება, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას.



მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება, რითაც "აბტრონიკი" გამოირჩევა სხვა ქამრებისგან, არის ის, რომ იგი აღჭურვილია **LCD** მონიტორით. მისი საშუალებით თქვენ თვალნათლივ შეგიძლიათ სხვადასხვა კუნთებზე განსხვავებული სავარჯიშო რეჟიმების შერჩევა. "აბტრონიკს" ასევე მოყვება სხვადასხვა ზომის ქამარი, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ მოირგოთ იგი როგორც წელზე, ასევე ხელებზე და ბარძაყებზე.

"აბტრონიკის" ქამარი არ წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულების ხელსაწყოს. იგი დამზადებულია მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ვარჯიშის გარეშე თქვენთვის სასურველი მიზნების მისაღწევად სწორ კვებასთან ერთად. ყოველდღიურად 30 წუთის განმავლობაში ქამრის გამოყენებით თქვენ იგრძნობთ შედეგს სულ რაღაც ოთხ კვირაში.

გასახდომი სავარჯიშო ქამარი **AB Tronic** – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!

ფასი 154 ლარი

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან იხილეთ ინტერნეტ მაღაზია - **www.shopge.com.** ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.



## როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

## თავი არ სტკივათ უ. . . . .




„თავი ადამიანს აქვს ერთი. მისი დონორიც არ არსებობს. ამიტომ უმჯობესია გავუფრთხილდეთ.“
/კეთილი ექიმის რჩევა/

იშვიათია ადამიანი, რომელსაც არასოდეს სტკივებია თავი. აუცილებელია ვიცოდეთ! თავის ტკივილი 45–ზე მეტი დაავადების სიმპტომია. გაიხსენეთ რამდენი უსიამოვნება შეიძლება მოგიტანოთ თავის ტკივილმა ყოველდღიურ ცხოვრებაში. სამსახურში ვერ ახდენთ ყურადღების კონცენტრირებას, ქვეითდება შრომისუნარიანობა, ასე სახარბიელო სამსახურის დაკარგვაც მოსალოდნელია. პირად ცხოვრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რომელ გუნება განწყობილებაზეა ლაპარაკი, როდესაც თავი ეს-ესაა "გაგისკდება".

გინდა მხოლოდ ერთი – დალიო აბი, ჩაწვე ლოგინში და არავინ შეგაწუხოს. წლების მანძილზე თავის ტკივილი გაბეზრებდათ თავს, და აი დადგა გამარჯვების დღე!

ამერიკული კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ მსოფლიოში კარგად ცნობილ პრეპარატს "გინკო-სმარტი", რომელიც დამზადებულია მცენარეულ ინგრედიენტებზე.

"გინკო-სმარტი"-ის დადებითი ზემოქმედება ორგანიზმზე განპირობებულია მასში შემავალი უნიკალური ნაერთების მიერ, რომლებიც როგორც აჩვენა პრაქტიკამ და კლინიკურმა გამოკვლევებმა:

- ახდენენ მეხსიერების ძლიერ სტიმულაციას, ყურადღების კონცენტრირებას;
- იცავენ ტვინის უჯრედებს ნაადრევი სიბერისაგან;
- აუმჯობესებენ მხედველობას და სმენას;
- ამაგრებენ სისხლძარღვების კედლებს და აუმჯობესებენ სისხლის მიმოქცევას;
- აწესრიგებენ არტერიულ წნევას;
- ამცირებენ ინფაქტისა და ინსულტის რისკს;
- აუმჯობესებენ კანის მდგომარეობას;
- ასუსტებენ დეპრესიის სიმპტომებს.

„ნუტრიმენტ ჰაუსში" კვალიფიციური და გულისხმიერი ექიმები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე და დაგეხმარებიან მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში.

„ნუტრიმენტ ჰაუსი“, მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე კვირის გარდა 10.00 - 18.00
**www.shopge.com**

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

# პაპისეული ხატი

*ქალბატონმა იამზემ მაჩვენა ძველისძველი ხატი, რომელიც პაპამ დაუტოვა საპატრონოდ და თან მიამბო:*

— პაპაჩემი ღვთის მსახური იყო. მოგეხსენებათ, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ტაძრების ნგრევა-განადგურებას მიჰყვეს ხელი კომუნისტებმა, ხატებს ითვისებდნენ, ყიდდნენ ან წვავდნენ. პაპამ თურმე ერთი ხატი შინ მოიტანა და დამალა. ხატზე გამოსახულია წმინდანებით გარშემორტყმული ყრმა იესო, იქვეა ღვთისმშობელიც. პაპას არაერთხელ უთქვამს, — ეს ხატი ისეთივე განუმეორებელია, ვითარცა თავად იესოო... ჩემს შვილს დასცდენია ამ ხატის შესახებ უცხოელებთან, რასაც დააფასებთ, მოგცემთო, — გვითხრეს. მაგრამ არც გვიფიქრია გაყიდვა, რადგან პაპისგან ვიცით: ამ ხატის გაყიდვა ისეთივე ცოდვაა, როგორიც იუდამ ჩაიდინა იესოს გაყიდვით!.. ვიცით, უბედურება დაგვატყდება, თუ ხატს პატივით არ მოვეპყრობით და როცა დრო მოვა, თავის ადგილზე არ დავაბრუნებთ.

**— სად არის მისი ადგილი?!**

— პაპამ დაგვიბარა, — ხატი თავად გეტყვით, სად უნდა მიაბრძანოთ. მოვა დრო და ქართველები ერთ დიდ ტაძარს დაიბრუნებენ, რომელიც ეშმაკებს ჰყავთ ტყვედ. როცა ის ტაძარი გათავისუფლდება, ხატს სიხარულის ცრემლი, ანუ მირონი დასდინდებაო. ჩვენც ველოდებით ამ სასწაულს...

**— პაპამ მაინცდამაინც თქვენ რატომ აგირჩიათ ხატის მცველად?**

— პაპამ კი არა, თავად ხატმა ამირჩია. მე ტყუპისცალი ვარ. მე და ჩემი და ძალიან სუსტები დავბადებულვართ. ის მესამე დღეს გარდაცვლილა, მეც ცუდად ვყოფილვარ და მამაჩემს უთქვამს: — ბარემ ერთად დავასაფლავოთ ორივე, საცაა, ამასაც ამოხდება სულიო... იმ ღამეს პაპას ჩემს აკვანთან დაბრძანებული ხატი დასიზმრებია. ეს ბავშვი ჩემი ნებით გადარჩება, რადგან ჩემი მომავალი პატრონიაო, — უთქვამს ხატს.

გადავრჩი. პაპაჩემმა სიკვდილის წინ ხატი გადმომცა საპატრონოდ...



**— ხატის ბოლო სასწაული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და გთხოვთ მასზე გვიამბოთ!**

— ჩემი ვაჟი, მურადი, სპეცრაზმში მუშაობს და ხშირად ურთულეს ოპერაციებში უწევს მონაწილეობა. ამ რამდენიმე თვის წინ ყაჩაღთა ჯგუფი უნდა აეყვანათ, არადა კბილებამდე იყვნენ თურმე შეიარაღებულნი და დანებებას არ აპირებდნენ.

...იმ ღამეს მესიზმრა, როგორ შევიდა ჩემი შვილი მეგობრებთან ერთად ყაჩაღების ბუნაგში და უცებ ცეცხლის ალში გაეხვია ყველაფერი... შეშინებულმა ვიკივლე... უცებ დავინახე, რომ ფრთაგამოსხმული მურადი და მისი მეგობრები ცეცხლიდან გამოფრინდნენ... თუმცა ჩემი ძახილი ესმოდათ, მაინც ზეცისკენ აიღეს გეზი, ღრუბლებს შეერივნენ... ამასობაში, ვხედავ, პაპაჩემი დაეშვა ღრუბლებიდან. მხარზე ხელი დამადო, პირჯვარი გადამწერა და მითხრა: — რა დროს ძილია, ადექი და ხატს შვილის სიცოცხლე შეავედრეო!..

შეძრწუნებულს გამეღვიძა. მაშინვე მურადის მობილურის ნომერი ავკრიფე. არ მიპასუხა, გათიშული ჰქონდა... სანთლები ავანთე და დილამდე ხატის წინ დაჩოქილი ვლოცულობდი. დილის ექვსი საათი იქნებოდა, შვილის მობილურზე უცხო კაცმა მიპასუხა... გული წამივიდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ლოცვამ არ მიშველა და შვილი დამეღუპა...

გონს რომ მოვედი, თავს მურადი მადგა. მან შემდეგ ასეთი უცნაური ამბავი გვიამბო: „ყაჩაღების საბინადრო სახლი შტურმით უნდა აგვეღო. შენობაში შევცვივდით. ჩემი თვალით დავინახე, როგორ მოაძრო ხელყუმბარას დამცველი ერთ-ერთმა ყაჩაღმა და გვესროლა. თითქოს სიკვდილს ჩავხედე თვალებში... სწორედ ამ დროს გაჩნდა თეთროსანი უცნაური არსება, დაიხარა და ხელი დაადო იატაკზე დავარდნილ ყუმბარას, რომელიც უსათუოდ უნდა აფეთქებულიყო, მაგრამ... უკან-მეთქი, — ვიყვირე და გარეთ გამოვცვივდით. ჩვენი გამოსვლა და ყუმბარის აფეთქება ერთი იყო. არც ერთი ყაჩაღი არ გადარჩენილა!..“

ყველამ ვიწამეთ, სასწაული ხატმა მოგვივლინა და ოთხ ვაჟკაცს სიცოცხლე აჩუქა.

მისგან კიდევ მეტ სასწაულს ველოდებით და გვინდა, ღირსეული პატივიც მივაგოთ. როგორც კი „გვიკარნახებს“, მაშინვე მივაბრძანებთ დათქმულ საყდარში. ეს დროც რომ შორს არაა, უეჭველია, საქართველო მალე აღდგება, გამთლიანდება და სულსაც უფლის მადლით აღივსებს, სადაც ხატს გული მიუწევს, ის ტაძარიც დაუსხლტება სატანის ტყვეობას... პაპა ფიქრობდა, რომ რომელიღაც მუსლიმანური ქვეყნის ტყვეობაში მყოფ ქართულ ტაძარზე იყო ლაპარაკი. ვნახოთ, რა მოხდება.

***ინგა ჯაყელი***

# ოთხფეხა ნათელმხილველები

შინაური ცხოველები, ცნობილია, რომ ნათელმხილველების თვისებებს ავლენენ. მათ შეუძლიათ მიწისძვრის წინასწარ განჭვრეტა, ქარიშხლის, წყალდიდობისა და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების შეგრძნება, პატრონის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენების და ა.შ. გათვალისწინება.



პარაფსიქოლოგიაში არსებობს ერთიანი ინფორმაციული ველის თეორია, სადაც ინახება ინფორმაციები წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ. ძლიერი ექსტრასენსური თვისებების მქონენი არიან ძაღლები და კატები. კატებს სამკურნალო თვისებებიც აქვთ. ისინი პოულობენ ადამიანის სხეულზე მტკივნეული ადგილს, დააწვებიან მას და ტკივილს აამებენ. კატა მოქმედებს თავისი ელექტრომაგნიტური ტალღებით და თავის თავზე გადააქვს ტკივილი. შინაური ცხოველები გრძნობენ პატრონის მოსვლას, მის ავადმყოფობას, მოსალოდნელ საფრთხეს.

— ქალაქის გარეუბანში ვცხოვრობდით, — გვიამბო ერთმა ქალბატონმა, — ძველ სახლში, I სართულზე. გვყავდა ძაღლი, ნაგაზი, რომელიც კარის წინ, ბუდრუგანაში იძინებდა. ერთ საღამოს აბაზანაში სარეცხს ვრეცხავდი და კარზე ნაცნობი ფხაკუნი და წკმუტუნი გაისმა. ყურს არ ვუჯერებდი. როცა კვლავ გამეორდა ხმა, წავედი კარისკენ, გავაღე და სიბნელეში დავინახე ჩვენი ძაღლის ნაცნობი სილუეტი. უეცრად მომესმა სააბაზანოში როგორ ჩამოიქცა ჭერი — ჩვენმა ძაღლმა გადამარჩინა!..

***მირ ნოვოსტეი №32***

# თუ ვარსკვლავებს დავუჯერებთ...

***ციური სხეულები ყოველთვის „იმორჩილებდნენ“ დედამიწელთა ბედს... ასტროლოგებიც ყოველთვის ადევნებდნენ თვალს მოციმციმე ვარსკვლავებს და ცდილობდნენ ამოეცნოთ უცხოპლანეტელთა ცხოვრების გზა. ამჯერად ასტროლოგმა ვალერი ლედოვსკიხმა „ამოიკითხა“ რჩეულთა შესაძლო მომავალი.***

**პუტინი** — მისი ჰოროსკოპი ძალიან ნათლად მიანიშნებს ურთიერთობის დაძაბვას ახლობელ ადამიანებთან.

**ხოდორკოვსკი** — მაგრად არის გაჭედილი, შესაძლოა თავისუფლების ალკვეთამდე მივიდეს საქმე.

**აბრამოვიჩი** — არც მას დააკლდება პრობლემები, მაგრამ უფრო მოგვიანებით.

**კადიროვი** — ვურჩევდი წინასაარჩევნო პერიოდში თვითმფრინავით მგზავრობაზე ეთქვა უარი.

**შვარცენეგერი** — ნამდვილად აქვს პოლიტიკოსის ტვინი. მისი კოზირი იქნება ოჯახური ფასეულობა — რაც ასე ფასობს ამერიკაში.

**ბუში** — სულ მუშტებზე იყურება. ვინ იქნება შემდეგი?

**კიმ ჩენ ირი** — ოქტომბერ-ნოემბერში მის არმიას დიდი გარეშე ძალა დაუპირისპირდება.

***არგუმენტი ი ფაქტი №34***

## „საზალოო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**
1) — ბ); 2) — დ); 3) — დ);
4) — გ); 5) — ა); 6) — დ);
7) — ბ); 8) — ბ).

**II.** მე-4 ფანჯრიდან

**III. რებუსი**
დედის გამომცხვარი კვერი ტკბილიაო.

**IV.** გველი.

**V.** 14 ნახტომით.

**VI. გამოცანები**
ა) თხა, ბ) ცა



# პრინცესა ისევ ცელქობს



მონაკოს დიდ მთავარს, პრინც რენიეს 80 წელი შეუსრულდა. მან დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა დაბადების დღე, რასაც ახლა მწარედ ნანობს. სხვათა შორის, პრინცს სულაც არ უნდოდა დაბადების დღის აღნიშვნა — შეუძლოდ ვარო, იმიზეზებდა. ძაღლის თავი კი სულ სხვაგან იყო დამარხული — მისი ქალიშვილის მამაკაცებისაკენ პათოლოგიური ლტოლვა ევროპაში კარგა ხანია სალაპარაკო გახდა. თუმცა, სტეფანიამ მამას აღუთქვა, შენს დაბადების დღეზე კრავივით ვიქნებიო. პრინცმაც გარისკა და სამასზე მეტი სტუმარი მოიწვია, მათ შორის, ევროპის სამეფო სახლების წარმომადგენლები, მოდელები — ნაომი კემპბელი და ელ მაკფერსონი, ავტომრბოლელი ხუან პაბლო მონტოია და სხვა ცნობილი პიროვნებები.

თავდაპირველად, მართლაც ყველაფერი კარგად დაიწყო — სტეფანია მოკრძალებისა და პატიოსნების განსახიერება იყო: მამაკაცებს კუდში არ დასდევდა, არც რომელიმე მებაღე ან მეჯინიბე შეუთრევია თავის ოთახში, არც სასმლისათვის დაუკარებია პირი. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მაინც იქუხა, გახურებული ზეიმის დროს, პრინცესამ ხელი დაავლო მიკროფონს და სტუმრებს შიდსთან მებრძოლ თავის ფონდში შეწირულობების გაკეთება სთხოვა, თან თითოეულს თავის ფოტოს დაჰპირდა. გულაჩუყებულმა პრინცმა რენიემ პირველმა დასცხო ტაში, მაგრამ როცა ფოტოს დახედა, კინაღამ დამბლა დაეცა — სტეფანია სრულიად შიშველი იყო აღბეჭდილი, მხოლოდ ინტიმურ ადგილზე მიემაგრებინა პატარა, წითელი ბაფთა. სტუმარმა მამაკაცებმა სიამოვნებით გაიკრეს ჯიბეზე ხელი, პრინცმა კი შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზა და ზეიმი დატოვა. დილით იმანაც დასცა თავზარი, რომ შეიტყო, მის ქალიშვილს თითოეული სტუმრისათვის ასობით ფოტო მიურთმევია თხოვნით — ამ კეთილშობილური მისიის შემწეებს დაურიგეთო. ახლა მისი ევასსამოსიანი ფოტოები მხოლოდ ევროპას კი არა, მთელ მსოფლიოს შემოივლის.

***ნიუ ზუიქი***

# კატას რაღას ერჩოდა?



კატას, რომელიც ერთი 43 წლის გერმანელისა და მისი საყვარლის ჩხუბს მშვიდად უცქერდა, სასტიკად აზღვევინეს უბრალო მოწმის როლში ყოფნა: ჩხუბი კარგად რომ გახურდა, კაცმა სხვა ველარაფერი რომ ვერ მოიფიქრა, ხელი სტაცა საბრალო ცხოველს და ქალს მისით დაუწყო ცემა. როგორც მოგვიანებით პოლიციამ აქტში დააფიქსირა, ქალი მსუბუქად დაშავდა, კატა კი — დაიღუპა. კატის მკვლელისა და შფოთისთავის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. განსაკუთრებით აღშფოთებულნი არიან ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლები.

***ეხო პლანეტი***

# ვის ხვდება გვირგვინი?



ის ყოველთვის უფროსი ძმის ჩრდილში იყო, ყოველთვის მეორე... მაგრამ მას ძალიან უყვარდა ვილი და ცდილობდა, ყველაფერში მისთვის მიებაძა, საათობით ივარცხნიდა თავის უხეშ, ხშირ, ჟღალ ქოჩორს, რომ ძმის მსგავსი ვარცხნილობა დაეყენებინა, ძმისათვის კაქტუსებსაც კი აშენებდა. მერე ბებომ — ელისაბედ II-მ უთხრა, — შენ ისე კარგად ვერ აგეწყობა ყველაფერი, როგორც უილიამს, ვინაიდან ის პირველია, შენ კი მეორეო და შეეგუა ბედს. ერთხელ მთელი ოჯახი შვეიცარიაში მიფრინავდა. ბებომ გასცა განკარგულება, რომ ჰარი მამასთან ერთად გაფრინდებოდა, ხოლო უილიამი — სხვა თვითმფრინავით, მცველებთან ერთად. „არ შეიძლება, რომ უილიამი ჩვენთან ერთად გამოფრინდეს?“ — ჰკითხა ბებოს. „არა! — მიუგო დედოფალმა, — რამე რომ მოხდეს, ინგლისი ერთდროულად დაკარგავს ორ მომავალ მეფეს“. მომავალი მეფეები არიან პრინცი ჩარლზი და უილიამი. „მე?“ — „შენ მეორე ხარ“...

იმ წუთიდან ჰარი ყველაფერს ოჯახის ჯიბრზე აკეთებდა. ისე ცუდად სწავლობდა, რომ კლასშიც კი დატოვეს. არ სურდა მეორეობა, უნდოდა ყოფილიყო სულ ბოლო...

ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც ვილის კენიელი ეკოლოგის ქალიშვილი შეუყვარდა. მან ყური მოჰკრა ბებიის ნათქვამს — ვილისათვის ძალიან ადრეა რომანების გაჩაღება, თანაც გოგონა კათოლიკეაო. თუ ვილი მას ცოლად შეირთავს, ველარასოდეს ეღირსება გვირგვინს, რადგან კანონის თანახმად, მეფე ინგლისის ეკლესიის მეთაურია. ამ მიზეზით პრეტენდენტთა სიიდან უკვე 12 ადამიანი ამოშალეს. რატომ არ შეიძლება ვილისაც შეემთხვეს მსგავსი რამ, მით უმეტეს, რომ დიდად არ ხიბლავს მეფობა, მას მხოლოდ აფრიკა აინტერესებს... და ჰარიმ გადაწყვიტა, სამაგალითო ბიჭი გამხდარიყო. ბრწყინვალედ ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები იტონში და სამხედრო აკადემიაში ჩაირიცხა. მამასაც დაუმეგობრდა. ახლა ისინი ერთად დადიან ოფიციალურ მიღებებზე. ქველმოქმედებასაც მოჰკიდა ხელი. მისით, ბებოს გარდა, ყველა აღფრთოვანებულია. ბებოს დაჟინებით გააკეთა ვილიმ ოფიციალური განცხადება, რომ თანახმაა, ავიდეს ტახტზე. არა უშავს! ჰარი უკვე მეორე აღარ არის, ის ძმის თანასწორია და ყველაფერს გააკეთებს, რომ პირველი გახდეს.

უმცროსი პრინცი ახლახან ჯარში გაიწვიეს.

***ლიზა №34***

# ალტერნატიული სამოთხე



ზღვის დონიდან 1500მ-ზე, ავსტრიის ოლქ ტაუერნში, ლუნგაუს რაიონში, 57 წლის ფერმერს, იოზეფ ჰოლცერს თავისი სამოთხის ბაღი აქვს. ბაღში, სადაც კლიმატური პირობების გამო მხოლოდ ჯუჯა ფიჭვები იზრდება, ლიმონი, კივი და ისპანახი ხარობს. 72 ტბორში ყველა ჯიშისა და სახეობის თევზი დასრიალებს — დაწყებული იაპონური კობრით და დამთავრებული ხალებიანი კალმახით. ფერმერს ისე აქვს დალაგებული ბაღში ქვები, რომ თითოეული სითბოს აკუმულატორის მაგივრობას სწევს, ტბორები კი ტროპიკული მცენარეებისათვის საჭირო ტენიანობას უზრუნველყოფს. ხელოვნური ბორცვები თითოეულ ხეს ოპტიმალურ განათებას აწვდის, საგანგებოდ მომრავლებული მატლები კი მიწას კომპოსტად აქცევენ. 30 ტურაპოლური ღორი თავის ნებაზე დასეირნობს და თან მიწასაც აფხვიერებენ. ევროსაბჭო ლუნგაუს რაიონში დიდი ნაკრძალის გაშენებას აპირებს — მისი ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, დაუცხრომელი ფერმერი იოზეფ ჰოლცერი იქნება.

***პრიროდა ი ჟიზნ №8***

# მიხალკოვი „მზით გათანგულის“ გადაღებას აგრძელებს



რეჟისორს მიაჩნია, რომ დღევანდელი თაობისთვის დიდი სამამულო ომი ისევე შორეული და გაუაზრებელია, როგორც კულიკოვოს ბრძოლა... ამიტომ მისი გმირები გადადიან ახალ სერიაში და აგრძელებენ სიცოცხლეს, რასაც დიდი აღფრთოვანებით შეხვდა კინომაყურებელი და უბრალოდ მსმენელი, ვის წინაშეც მიხალკოვმა ზოგიერთი საიდუმლო გაამჟღავნა — დივიზიის მეთაური კოტოვი ციხიდან ფრონტზე ხვდება, მისი ქალიშვილიც იბრძვის, საოცარი თავგადასავლების შემდეგ მამა-შვილი ერთმანეთს ხვდება... თვითმკვლელობისგან გადარჩენილი ოლეგ მენშიკოვის გმირი, თავს თეთრი კოსტიუმით რომ იწონებდა, საბჭოთა ოფიცრის მუნდირს მოირგებს. რეჟისორი ფინალზე არაფერს ამბობს იმის გარდა, რომ ის იქნება „გამაოგნებელი“.

***არგუმენტი ი ფაქტი №9***

# სამარცხვინო ტიტული

ინგლისური ქალაქის, ქლითროის მკვიდრი გრემ ქირშოუ დიდ ბრიტანეთში ყველაზე ცუდ მამად აღიარეს. ასეთი ტიტულით იმიტომ დააჯილდოეს, რომ ნასვამი მართავდა ავტომანქანას და როცა ავარიაც მოახდინა, მიიმალა. ამასთან, დამსხვრეული მანქანის სავარძელზე მიბმული თავისი აღრიალებული პატარაც არ გახსენებია. მოგვიანებით, პოლიცია მას საკუთარ ბაღში დაადგა თავს — გალეშილ მთვრალს ჩრდილში ჩასძინებოდა.

***მირ ნოვოსტეი***

# გონიერი ტარაკანი

სერგეიმ თავის ჟღალ ტარაკანს სახელად სტასიკი დაარქვა. სტასიკი ისეთი გონიერი გამოდგა, რომ პატრონის გარეშე საჭმელსაც კი არ ჭამდა. სერგეიმ ასანთის კოლოფებით ნახევარმეტრიანი, სამსართულიანი სასახლე აუშენა. სასახლეს აქვს სასტუმრო, საძინებელი, სასადილო, ზამთრის ბაღი და გარაჟი. სერგეი ამბობს, რომ სტასიკი სასახლეში თავისი სურვილით მივიდა და არსად წასვლა არ სურს. ჭამს მხოლოდ თავის სასადილოში, იძინებს საძინებელში, ერთობა სასტუმრო ოთახში. მართალია, აუცილებელ მოთხოვნას გარაჟში ითავებს, მაგრამ სერგეის იმედი აქვს, ამას მიაღწევს. სტასიკი პატრონის პირობით კაკუნზე თვალის დახამხამებაში ცხადდება ხოლმე.

***მეგაპოლის-ექსპრესი №32***

# პითონმა პაწია იშვილა



ტურისტები და ადგილობრივი მცხოვრებნიც საგანგებოდ მიდიან კამბოჯის ერთ პატარა სოფელში 3 წლის ბიჭუნასა და უზარმაზარი პითონის სანახავად.

ადგილობრივი ნათელმხილველი ამბობს, რომ წინა ცხოვრებაში ბიჭუნა დრაკონის შვილი იყო და ზებუნებრივი ნიჭის პატრონია. ამიტომ, როცა გაიზრდება, ადამიანებს ხელის ერთი შეხებით განკურნავს ყველა დაავადებისაგან. პაწია თამაშობს პითონთან და სძინავს მასთან ჩახვეულს. ეს უკანასკნელი კი საკვებს უზიდავს. ხალხი გაოგნებული უყურებს სცენას, როცა პითონი შვილობილს პირით ხვლიკებს აწვდის.

***გარდიანი***

# ჯორდანი ფულსაც კარგად „ისვრის“




ლეგენდარულმა კალათბურთელმა, „მფრინავმა ჯორდანმა“, „ნბა“-ში კარიერა დაასრულა და ახლა გასართობს ეძებს. ფული იმდენი აქვს, რომ მის შვილთაშვილს ეყოფა. ჯორდანის მეგობრები შეშფოთებულები არიან, რადგან მაიკლი მისთვის შეუფერებელ „საქმეს მოეკიდა“ — კაზინოში თამაშობს. სათამაშო მოედანზე ჯორდანი საოცრად იღბლიანი იყო, სათამაშო მაგიდასთან კი ბედი არ წყალობს — ერთ დღეში 2 მლნ დოლარზე მეტი წააგო. მეორე დღეს დაიფიცა, აქაურობას სათოფეზეც აღარ გავეკარებიო, მაგრამ სიტყვა გატეხა. ამას წინათ, ლას-ვეგასის კაზინოში, შვიდი საათის განმავლობაში დაახლოებით 3 მლნ წააგო და მხოლოდ 300.000 მოიგო. თან ბავშვივით უხაროდა თურმე. გეგმები ახლა გრანდიოზული აქვს — რამდენიმე კვირით უნდა ესტუმროს ლას-ვეგასს და იქაურ კაზინოებს სულ ბდღვირი ადინოს. ამბობენ, ჯორდანის მეუღლე ისე შეაშინა ოჯახის ბიუჯეტის თავქარიანმა განიავებამ, რომ ქმარს გაყრით დაემუქრა. ჯორდანი კი მზად არის თავისი ქონების ნახევარიც კი, დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარი გაიღოს, ოღონდ კი კაზინოში თამაშის საშუალება მიეცეს.

***ოკნა №30***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ა | ე | რ | თ | ე | დ | ა | დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | რ | | გ | ე | ს | კ | თ | ტ | ნ | ლ | ლ | ნ | ი | ი | კ | ა | ე | ო | ა | ე | ა | რ | | ი | ვ | ლ | უ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ილია ჭავჭავაძის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

**გ**. ხევისბერი ...; **ა**. წყალში გასახსნელი სამხატვრო საღებავი; **ე**. რა ერქვა დათა თუთაშხიას დას; **რ**. ადამიანი, რომელმაც უღალატა საკუთარ შეხედულებებს და მოწინააღმდეგის ბანაკში გადაბარგდა; **თ**. ცხოველი, რომელსაც თქმულების მიხედვით უთხრეს, ქვეყნის დასასრული მოვიდაო, მან კი თვალები დაითხარა, მაინც აღარ გათენდებაო; **ე**. რა ერქვა ჩე გევარას; **დ**. „სამი რამ მიყვარს ამქვეყნად, ღვინო, ..., ქალები!“; **ა**. რა ერქვა თხას, რომელმაც ჩვილი ზევსი თავისი რძით გამოკვება (ამავე სახელწოდების ფირმა დღეს თბილისში რძის პროდუქციას აწარმოებს); **დ**. რა ერქვა გიორგი ბრწყინვალეს მამას; **ა**. კავშირი ანუ...; **ი**. ოქრომჭედელი; **ს**. სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **ვ**. მორგუნოვი, ნიკულინი, ...; **ე**. სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **ნ**. ფრენსის ფორდ კოპოლას გახმაურებული ფილმი; **ე**. ვინ არის ბელზებელი; **ჩ**. პატარა ჩიტი; **ვ**. ბოლოში ორად გაყოფილი გრძელი და წვრილი ალამი, რომელსაც სამხედრო გემებზე აღმართავენ; **ე**. რაიმე საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **ნ**. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; **თ**. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა**. ქვითკირის სამარე; **ნ**. ატომის ბირთვში შემავალი ნაწილაკი, რომელსაც არა აქვს ელექტრული მუხტი; **ე**. სილამაზე, მომხიბვლელობა; **რ**. ბრინჯაოს სახელწოდება ძველქართულად; **თ**. ვალიკო მიზანდარის მშობლიური ქალაქი; **ა**. მსოფლიოში ყველაზე გრძელი ჩანჩქერი; **დ**. საჯარო კამათი;

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

დ. დუშმანი; ა. ავესტა; ი. იანუსი; ს. სოსელო; ვ. ვიერი; ე. ესტრადა; ნ. ნილოსი; ე. ერშოვი; თ. თხილი; პ. პავაროტი; ა. ანანასი; ლ. ლორეალი; ი. იასონი; ტ. ტაკვი; რ. რევერსი; ი. იგლუ; ს. სპარტაკი; ფ. ფავორიტი; ე. ეკიპაჟი; რ. რიშარი; ე. ესენცია; ბ. ბიათლონი; შ. შაბათი; ი. იმიტაცია.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: შენს ეტლში ვარსკვლავი შეაბი.**

# ავტოსალონი

## „ხოჭო“ სამუდამოდ დაგვემშვიდობა



მსოფლიოში აღიარებული რეკორდსმენის, „ფოლკსვაგენ-ხოჭოს“ შესახებ ჯერ კიდევ ჩვენი რუბრიკის პირველ გამოშვებაში ვწერდით. ცნობილი „ავტომაესტროს“, ფერდინანდ პორშეს მიერ ჰიტლერის დაკვეთით დამზადებულმა სახალხო ავტომობილმა მსოფლიოში ცნობილ მარკას „ფოლკსვაგენს“ დაუდო სათავე (სახელწოდება ასეც ითარგმნება — სახალხო ავტომობილი). რაც არ უნდა ირონიული იყოს, ომის შემდგომი გერმანიის ხელახალი აღორძინება ფაქტობრივად იმ ადამიანის ინიციატივით დაიწყო, ვის გამოც არა მხოლოდ გერმანია, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა გაპარტახდა და დაინგრა. თუმცა ჰიტლერი არა თუ შთამომავლობაზე, თანამედროვეობაზეც კი არ ზრუნავდა — მის მიერ სახალხო ავტომობილის დაკვეთას საკმაოდ პროზაული მიზეზი ედო საფუძვლად — მსოფლიო ომის მზადებისთვის დიდძალი ფული სჭირდებოდა. ავტომობილის იდეა კი, რომელიც ყველა გერმანელს შეეძლო შეეძინა, ერთ-ერთი ასეთი სატყუარა გახლდათ — ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის ინიციატივით, ყველა გერმანელს შეეძლო, პირველადი შენატანით ჯერ კიდევ პროექტირებაში მყოფი ავტომობილი წინასწარ შეეძინა. გერმანელმა ხალხმა ჰიტლერის მორიგი ფანდიც დაიჯერა (ან დააჯერეს...), რაიხსკანცლერს კი სახალხო მანქანაზე აღარც უფიქრია — ხალხისგან მოგროვილი მილიონები სამხედრო მრეწველობაში გადაქაჩა. სამაგიეროდ, ფიურერის მოთხოვნა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო თავისი დროის უდიდესმა კონსტრუქტორმა პორშემ. მის მიერ დაპროექტებული „ფოლკსვაგენი“, რომელსაც დიზაინიდან გამომდინარე, მოგვიანებით „ხოჭო“ შეარქვეს, 60-იანი წლების ჰიტად იქცა და გერმანიის ეკონომიკურ აღორძინებას დაუდო სათავე. „ხოჭომ“ გასულ საუკუნეში ყველაზე მეტი ტირაჟით გამოსული ავტომობილების რეკორდი მოხსნა. 21-ს საუკუნეში კი იგი ალბათ კიდევ ერთ ტირაჟს მოხსნის — ეს იქნება ავტომობილი, რომელმაც გამოსვლის დღიდან რამდენიმე საავტომობილო თაობის ცვლას გაუძლო. შესაძლებელია, ბევრმა არც იცოდეს, რომ თავისი პირვანდელი სახით „ხოჭო“ დღემდე იწარმოებოდა. მექსიკაში მდებარე გერმანული ქარხნის ფილიალი 64 წლის(!) წინ დაპროექტებულ მოდელს უკანასკნელ დრომდე დიდი წარმატებით ამზადებდა და ყიდდა. მაგრამ, როგორც თავად მექსიკური ქარხნის დირექტორმა, იენს ნოიმანმა განაცხადა, „ნამდვილმა ვარსკვლავებმა ყოველთვის იციან, სცენიდან როდის წავიდნენ“. წელს მექსიკაში „ხოჭოს“ კლასიკური მოდელის მხოლოდ 3000 ცალი, უკანასკნელი ეგზემპლარი გამოვიდა. კოლექციონერებს თითოეული მათგანი უკვე წინასწარ აქვთ ნაყიდი, რადგან ლეგენდარული ავტომობილის ბოლო ეგზემპლარი ისეთივე ძვირფასია, როგორიც პირველი. პორშეს მიერ დამზადებული საცდელი ეგზემპლარი, რომელიც ფიურერს წარუდგინეს, დღესაც არავინ იცის, სად არის — ის ან ომის ქარცეცხლმა შეიწირა, ან უფრო სავარაუდოა, რომ უკანონო გზებით, რომელიმე კოლექციონერს ჩაუვარდა ხელში და დღემდე ფარული კერძო კოლექციის საკუთრებად რჩება.

აღსანიშნავია, რომ „ხოჭომ“ ასპარეზი მხოლოდ მას შემდეგ დათმო, რაც საავტომობილო ბაზარზე მისი „შვილობილი“, მოდერნიზებული დიზაინისა და ინტერიერის NEW BEETL-ი გამოვიდა. იგი საკმაოდ ღირსეულად აგრძელებს წინაპრის ტრადიციებს და როგორც ევროპის, ისე ამერიკის ბაზარზე ერთნაირად პოპულარულია — ეს დღემდე მხოლოდ მისმა წინაპარმა „ხოჭომ“ თუ მოახერხა...

## MERCEDES-ი და BMW — ხარისხისა და პრესტიჟის შერკინება გრძელდება...

თუმცა, ტრადიციული „კლიშეების“ მიღმა, ძნელი სათქმელია, რომელი ავტოფირმის ნაწარმში რა უფრო სჭარბობს — პრესტიჟი თუ ხარისხი. სწორედ ხარისხის წყალობით, ბავარიელები შტუტგარტელებს უკვე დიდი ხანია, რაც პრესტიჟით არ ჩამოუვარდებიან. ერთადერთი, რაშიც BMW-მ MERCEDES-ს დღემდე ვერ აჯობა (და ეს თითქმის მთელ მის სამოდელო გამას ეხება), ზოგადად, უსაფრთხოების კონცეფცია გახლავთ. მთელი თავისი მიმზიდველობის მიუხედავად, რაც უფრო მძლავრი, სწრაფი და მანევრირებადია BMW-ს მარკის ავტომობილი, მით უფრო ნაკლებად უსაფრთხოა იგი. ეს განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლების მოდელებს ეხებათ — სწორედ ამ პერიოდის მოდელები სჭარბობს ჩვენში გერმანიიდან შემოყვანილ BMW-ს მარკის ავტომობილებში. მაშინდელი ტენდენციის გამო, ბავარიელი ავტომშენებლები სწრაფი და ზემძლავრი ძრავების შექმნის მარათონში იყვნენ ჩაბმულნი და უსაფრთხოების კონცეფციას მინიმალურ ყურადღებას აქცევდნენ (სხვაგვარად ვერ ავხსნით მე-3 სერიის მომცრო მოდელების არსებობას, რომელთაც 3.0 კუბატურის ძრავები უყენიათ — ასეთები თბილისშიც გვხვდება...) ერთადერთი, რაც ამ წლებში გამოშვებულ მოდელებს აქტიური უსაფრთხოების დაცვისთვის, ისიც შიგადაშიგ აქვთ, ე.წ. „აირბეგები“, ანუ მძღოლის, ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის წინ ჩამონტაჟებული საჰაერო ბალიშებია. იმის გამო, რომ გერმანიიდან მანქანების ჩამოყვანა კერძო პირთა ბიზნესის წყაროა, ბალიშებში ზედმეტი თანხის გადახდას გადამყიდველები ერიდებიან და საქართველოში ჩვეულებრივი ავტომობილები ჩამოჰყავთ (ევროკავშირმა წინა „აირბეგების“ მონტაჟი სავალდებულოდ მხოლოდ 1998 წლიდან შემოიღო). ჩვენ მიერ მოყვანილ შედარებას კი ტრაგიკული სტატისტიკაც მოწმობს — უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საქართველოში სიკვდილიანობით დასრულებულ ავტოკატასტროფებში ყველაზე მეტად BMW-ს მარკის ავტომობილები ფიგურირებს. მაგრამ ეს წარსულში გამოშვებულ მოდელებს რაც შეეხება. ამჟამად კი, როგორც აღვნიშნეთ, კორპორაცია BMW მანევრირებასთან და სისწრაფესთან ერთად არანაკლებ ყურადღებას უთმობს უსაფრთხოებასაც. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ახალი მე-6 სერიის მოდელი, რომელიც როგორც კუპეს, ისე კაბრიოლეტის ვარიაციით გამოვა. მიუხედავად საკმაოდ მძლავრი, 4,4ლ. მოცულობის, V8-ცილინდრიანი ძრავისა, ავტომობილი უპრობლემოდ ავითარებს 250კმ/სთ სიჩქარეს. სისწრაფის მიღმა, ახალი მოდელი უსაფრთხოების ულტრათანამედროვე სისტემებით არის აღჭურვილი. მანევრირების საიმედოობას სამმაგი ელექტრონული კონტროლი ახორციელებს — პირველი მოცურების საწინააღმდეგოა, მეორეს გამუდმებულ კონტროლზე ჰყავს სამუხრუჭე სისტემა, მესამე კი სავალი ნაწილის მონიტორინგს ახორციელებს. სამივე მათგანი აქტიური მოქმედებისაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ თუ სისტემა გზის საფართან და საბურავების მოჭიდებასთან მიმართებაში სიჩქარის და შესრულებული მანევრების სარისკო შეუსაბამობას აღმოაჩენს, ავტომობილის საქარე მინაზე განთავსებულ გამჭვირვალე საპროექციო მონიტორზე გამაფრთხილებელი სიგნალი ჩნდება — საფრთხის მითითებით და სათანადო რჩევებით. თუ მძღოლი მანქანას „არ დაემორჩილა“, ბორტის კომპიუტერი თავად იღებს გადაწყვეტილებას და სიჩქარეს ეტაპობრივად აგდებს. ახალი BMW დიზაინის თვალსაზრისითაც საკმაოდ საინტერესოა — მასში უახლოესი წარსულის ყველაზე პოპულარული მოდელების Z4-ის და 745I-ს გარეგნული შტრიხებია გაერთიანებული.



## პირველი „მაიბახი“ რუსეთში ალკოჰოლის მეფეს ერგო



რუსტამ ტარიკოს „მაიბახი“ ლატარიაში სულაც არ მოუგია — კომპანია „რუსკი სტანდარტის“ პრეზიდენტს, რომლის ნაწარმსაც რუსეთის სპირტიანი სასმელების ბაზრის 60% უკავია, ახალი ლიმუზინი „სულ რაღაც“ 500 ათასი ევრო დაუჯდა. სხვათა შორის, პოსტსაბჭოთა სივრცეში ტარიკო ერთადერთი არ არის, რომელმაც „მაიბახი“ შეიძინა. უკრაინაში, ბალტიისპირეთსა და უზბეკეთში 4 მოდელია გაყიდული, თუმცა მათი მფლობელები საკუთარ ვინაობას არ ახმაურებენ. ისევე, როგორც „მაიბახის“ 60-70 მფლობელი მთელ მსოფლიოში — გაურკვეველი მიზეზების გამო, მათ უმეტესობას არ სურს, მსოფლიო პრესის ფურცლებზე მოხვდეს. „გაურკვეველი“ კი იმიტომ, რომ არავითარი აზრი არ აქვს, დღესდღეობით ყველაზე ძვირფასი და პრესტიჟული ლიმუზინით იმგზავრო და ვინაობა არ „გაამჟღავნო“ — ეს ხომ იგივეა, რაც სილაში თავჩარგული სირაქლემა...

„კვირის პალიტრის“ მკითხველს ეხსომება ჩვენი პესიმისტური დამოკიდებულება ბრიტანელების სიამაყის, „როლს-როისის“ გერმანელთა მფლობელობაში გადასვლის თაობაზე. გასული საუკუნე ავტოექსპერტებმა ხელით აწყობილი, ექსკლუზიური მოდელების დასასრულად გამოაცხადეს. მაშინ „როლს-როისის“ ახალი მეპატრონე კორპორაციის, BMW-ს გენერალური მენეჯერი ირწმუნებოდა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ექსკლუზიური, თუნდაც ძალიან კარგი ხარისხის მოდელების დრო წავიდაო. მაგრამ თუ ერთმა გერმანულმა ფირმამ მე-20 საუკუნის ექსკლუზიური ლეგენდა თუნდაც ძალიან ხარისხიან, მაგრამ მაინც სერიულ მარკად აქცია, მეორემ, მისივე გერმანელმა კონკურენტმა „მერსედესმა“ ძალიან მოხერხებულად გამოიყენა ბაზარზე თავისუფალი სეგმენტის გაჩენა და „მაიბახის“ ექსკლუზიური მოდელების წარმოება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ 1997 წელს, ტოკიოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე, „მაიბახი“ პირველად იაპონურმა დიზაინ-სტუდიამ წარადგინა, როგორც წარმომადგენლობითი კლასის, შეზღუდული, მაგრამ მაინც სერიული წარმოების მოდელი („მერსედესის“ მიერ გამოცხადებულ დიზაინის საერთაშორისო კონკურსში იაპონელებმა გაიმარჯვეს). მოგვიანებით, „მაიბახის“ „გაჯაზებაზე“ მილიარდობით დოლარი დაიხარჯა. როგორც ჩანს, რეკლამამ მოთხოვნილს გადააჭარბა კიდეც და ახალი ავტომობილი უკვე ექსკლუზიური, ხელით აწყობილი ავტომობილის როლში მოგვევლინა. ისევე როგორც „აწ გარდაცვლილი“ „როლს-როისის“ შემთხვევაში, ამჯერადაც „მაიბახის“ მენეჯერები მომხმარებელს ფართო ინდივიდუალურ არჩევანს სთავაზობენ — ძრავიდან დაწყებული და სავარძლის ფერით დამთავრებული. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ პრესტიჟითა და წარმომავლობით გერმანული „მაიბახი“ ბრიტანულ „როლს-როისს“ არ ჩამოუვარდება — მისი დამფუძნებელი, მსოფლიო ავტომშენებლობის ერთ-ერთი „მამა“, ვილჰელმ მაიბახი გახლდათ, რომელმაც პირველი ავტოფირმა ლეგენდარულ გოთლიბ დაიმლერთან ერთად გახსნა. სხვათა შორის, სწორედ „მაიბახის“ მარკას ეკუთვნოდა პირველი 12-ცილინდრიანი ავტომობილი, რომელიც 1930 წელს გამოვიდა და რომელსაც მაშინდელი პრესა „ჯოჯოხეთური სისწრაფის“ მოდელად აცხადებდა — მართალია, 160 კმ/სთ-ს დღეს მოტოციკლეტიც კი უპრობლემოდ ავითარებს, მაგრამ 70 წლის წინ ასეთი სისწრაფე მართლაც რევოლუციის ტოლფასი იყო.

## „გოლფის“ მე-5 სერიაც გამოჩნდა...

კორპორაცია „ფოლკსვაგენმა“ ახალი გოლფის შესახებ პირველი ინფორმაცია გამოაქვეყნა. ავტომობილი, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია გამოდის, კომპაქტურობისა და მანევრირების წყალობით, განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ პოპულარული გახდა. საბჭოთა კავშირის დაშლამ კი ავტომობილის გამძლეობა და საიმედოობაც დაამტკიცა — პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად შემოყვანილ მოდელებს შორის სწორედ პირველი და მე-2 სერიის „გოლფები“ სჭარბობდა. ახალ, მე-5 სერიის ავტომობილს გერმანელი ავტომშენებლები სექტემბერში, ფრანკფურტში დაგეგმილ საერთაშორისო ავტოსალონზე წარადგენენ. თუმცა, მანამდე ავტომობილის შესახებ „ფოლკსვაგენის“ მენეჯმენტცენტრმა თითქმის ამომწურავი ინფორმაცია გამოაქვეყნა — ავტომობილის დიზაინი მისი წინამორბედებისგან დიდად არ განსხვავდება — ფარებს თუ არ ჩავთვლით, ტრადიციულია მოდელის სავალი ნაწილის და ტრანსმისიის ტექნიკური გადაწყვეტაც. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან „გოლფის“ პოპულარობა სწორედ ამ მაჩვენებლებით არის განპირობებული. „ფოლკსვაგენის“ კონსტრუქტორებმა ერთგული მომხმარებლების პრეტენზიებიც გაითვალისწინეს — მოდელი საგრძნობლად გაიზარდა ზომებში და მის დასაკომპლექტებლად ათამდე ახალი ძრავა შეიქმნა. მშვიდად ცხოვრების მსურველებს 1,4, ასევე 1,5 ლ მოცულობის ძრავიანი მოდელის შეძენა შეუძლიათ, ხოლო მათთვის, ვისაც სწრაფი რბოლა იზიდავს, „გოლფ-5“ 2,0 და 3,5 ლ მოცულობის ძრავებით გამოვა. „ფოლკსვაგენის“ განცხადებით, ახალი გოლფი დიზელის ვარიაციაშიც იქნება. რაც შეეხება ტექნიკურ სიახლეებს უსაფრთხოების თვალსაზრისით — ახალი მოდელი 6 უსაფრთხოების ბალიშით აღიჭურვება, ხოლო ძრავაზე დამონტაჟებული სპეციალური მოწყობილობა 140კმ/სთ სიჩქარეზე ფარებს ავტომატურად აანთებს. კიდევ ერთი სიახლე რბოლის მოყვარულთათვის — 3,5ლ მოცულობის ძრავასთან კომპლექტში ახალი სისტემის, 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფია გათვალისწინებული. მე-2 სიჩქარის შემდეგ სიჩქარეები ავტომატურად, მხოლოდ ღილაკის მეშვეობით ირთვება. ახალი მოდელის ფასი ჯერჯერობით უცნობია.



გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა

# სტეფანია გზის გასაყარზე



უკანასკნელი ინფორმაციით, თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი კალათბურთელი ვლადიმერ სტეფანია ახალ კლუბში გააგრძელებს კარიერას. მოგეხსენებათ, სტეფანიას კონტრაქტი დაუსრულდა „მაიამისთან“, ამჟამად თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს და ახალი კლუბის ძებნაშია. მართალია, მაიამელები კვლავაც ცდილობენ ერთი წლით დაიტოვონ ჩვენებური, მაგრამ ერთწლიანი კონტრაქტი სტეფანიას არაფერს აძლევს, ის ისეთ კლუბს ეძებს, რომელიც მინიმუმ 2 წლით დაუკავშირებს ბედს ქართველ კალათბურთელს. ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება ქართველ ცენტრთან „დალასსაც“ სურს, მაგრამ სტეფანია და მისი მენეჯერი მარკ ფლეიშერი წინააღმდეგნი არიან. ჩანს, ფლეიშერი და სტეფანია სანადელს მიაღწევენ, ოღონდ დალასსა და მაიამიში კი არა, მემფისში. იქაური კლუბის მესვეურებმა ვოვასთან ორწლიანი თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. ამ ინფორმაციას უცხოური საინფორმაციო საშუალებების გარდა, თავად სტეფანიაც ადასტურებს: „მარკ ფლეიშერისგან ვიცი, რომ მემფისის კლუბის მენეჯერი მზადაა, საკონტრაქტო მოლაპარაკების დასაწყებად. ჯერჯერობით ყველაფერს ფლეიშერი მოაგვარებს და თუ საქმეს სასიკეთო პირი გამოუჩნდა, ბოლო მომენტში მეც ჩავერთვები მოლაპარაკებაში. არ მინდა წინასწარ რაიმეს თქმა, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ კარიერას მემფისში გავაგრძელებ“ — განუცხადა სტეფანიამ „კვირის პალიტრას“ სატელეფონო საუბრისას.

ქართველი კალათბურთელი ამჟამად მაიამიში იმყოფება. მართალია, იქაურ კლუბთან კონტრაქტი დაუსრულდა, მაგრამ ფორმის შესანარჩუნებლად ამ გუნდთან ერთად ვარჯიშობს, პარალელურად ინდივიდუალური პროგრამითაც ემზადება. ვოვამ რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე უნდა მოაგვაროს საკონტრაქტო პირობები. ჩემპიონატი ოქტომბერში იწყება, მანამდე თითქმის თვე-ნახევარია დარჩენილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ სტეფანია ახალ სეზონს კალათბურთის ყველაზე პრესტიჟულ ლიგაში დაიწყებს. სტეფანიას გადაბირება რამდენიმე ევროპულ კლუბსაც სურს. რასაკვირველია, უკეთესი იქნება თუ ქართველი ოკეანის გაღმა დარჩება.

# გოგა გახოკიძეს იმედი უბრუნდება

ჰოლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველივე ტურმა დაადასტურა, რომ ქართველი ფეხბურთელის გოგა გახოკიძის ოთხწლიანი უიღბლო კარიერა დასრულდა. ალბათ იცით, რომ გოგამ „ეინდჰოვენში“ ოთხიდან სამი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ორჯერ ჰოლანდიის ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ მხოლოდ ტიტულები ვერ წაადგებოდა სასიკეთოდ მის კარიერასა და საქართველოს ნაკრებს. ამ გაზაფხულზე ქართველს „ეინდჰოვენთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურა, ფეხბურთელს შორს წასვლა და გუნდის დიდხანს ძებნა არ დასჭირვებია, იქვე ჰოლანდიურ „ტვენტესთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ქვეყნის ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში „როზენდალის“ წინააღმდეგ, გახოკიძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავის კლუბში. გუნდის მწვრთნელმა ჯონ ვან სხიფტმა, რომელიც ადრე ჰოლანდიის ნაკრებში თამაშობდა გულიტისა და ვან ბასტენის მხარდამხარ, თავის გუნდში საუკეთესოდ სწორედ ქართველი ნახევარმცველი აღიარა. იმედია, გახოკიძით საქართველოს ნაკრებიც დაინტერესდება და ჩვენთვის უკვე ამხანაგურად ქცეულ შესარჩევ შეხვედრებში მაინც მიეცემა თავის გამოჩენის შანსი ნიჭიერ ნახევარმცველს. თავად ფეხბურთელიც დარწმუნებულია, რომ მის უიღბლობას ბოლო მოეღო.

— **გოგა, როგორ შეეჩვიე ახალ კლუბს?**

— საკმაოდ იოლად შევეწყვე ყველაფერს.

**ნაკრებიდან არსად წავსულვარ, დასაბრუნებლად რომ მქონდეს საქმე. უბრალოდ, რამდენიმე მატჩში არ გამომიძახეს. ჩემი აზრით, მწვრთნელებმა უმართებულოდ ჩათვალეს, რომ ფორმაში არ ვიყავი. ახლა ვეცდები საჭოჭმანოდ არავის მივცე საქმე და ნაკრებს უახლოეს შეხვედრაში დავუბრუნდე. ისე, უცნაური ამბები კი ხდება ჩვენი ნაკრების თავს — მერაბ ჟორდანიას გამწვრთნელებას ვგულისხმობ. მართალია, არ მომეწონა ეს ამბავი, მაგრამ საქართველოს ნაკრები არც ჟორდანიათი დაწყებულა და არც გახოკიძით.**

ოთხი წელია ჰოლანდიაში ვარ. ენაც კარგად ვიცი და ბუნებრივია, ადაპტაცია არ გამჭირვებია. ჩინებული თანაგუნდელები მყავს. მწვრთნელიც ნამდვილი პროფესიონალია. მან კარგად გაიგო ჩემი შესაძლებლობები და თავის გამოჩენის შანსს მაძლევს. „როზენდალთან“ მატჩში ორი საგოლე პასი გავაკეთე, მესამე გოლი კი ჩემი დაწყებული კომბინაციის შედეგად გავიდა („ტვენტემ“ ეს მატჩი 3:0 მოიგო). ჰოლანდიური პრესაც კარგად გამოეხმაურა ჩემს თამაშს.

— **რა მიზნებს ისახავს „ტვენტე“ ამ სეზონში?**

— სამ გრანდს — „ეინდჰოვენს“, „ფეინოორდსა“ და „აიაქსს“ რასაკვირველია, ვერ შევედრებით, მაგრამ უეფას თასის საგზურისთვის აუცილებლად ვიბრძოლებთ. ვეცდებით ქვეყნის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მაქსიმუმს მივაღწიოთ. კლუბს განვითარების მართებული და პერსპექტიული გეგმა აქვს შემუშავებული. „ტვენტე“ მალე უფრო ანგარიშგასაწევი გუნდი გახდება. მეც ეს მინდა. ერთი დღით ხომ არ მოვსულვარ, სამწლიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული.



— **თქვენი შეძენა „როზენდალსაც“ სურდა. არადა, „ტვენტემ“ სწორედ ეს გუნდი გაანადგურა პირველ ტურში.**

— ძალიანაც კარგი. „როზენდალის“ თავკაცებმა ალბათ კიდევ ერთხელ ინანეს ჩემი ხელიდან გაშვება. პირადად მე საფიქრალი არაფერი მქონდა. როგორც კონტრაქტის პირობებით, ასევე ამბიციურობით, „ტვენტე“ გაცილებით მისაღები კლუბი იყო ჩემთვის.

— **30 აგვისტოს „ეინდჰოვენს“ ხვდებით. ალბათ მოუთმენლად ელით ამ შეხვედრას.**

— არ მინდა რაიმე წინასწარ ვთქვა. „ეინდჰოვენი“ დიდი გუნდია და მასთან ბრძოლა ყველას უჭირს. ცხადია ვეცდები ამ შეხვედრაში განსაკუთრებულად გამოვიჩინო თავი.

— **საქართველოს ნაკრებში დაბრუნების პერსპექტივაზე რას იტყვი?**

— ნაკრებიდან არსად წავსულვარ, დასაბრუნებლად რომ მქონდეს საქმე. უბრალოდ რამდენიმე მატჩში არ გამომიძახეს. ჩემი აზრით, მწვრთნელებმა უმართებულოდ ჩათვალეს, რომ ფორმაში არ ვიყავი. ახლა ვეცდები საჭოჭმანოდ არავის მივცე საქმე და ნაკრებს უახლოეს შეხვედრაში დავუბრუნდე. ისე, უცნაური ამბები კი ხდება ჩვენი ნაკრების თავს — მერაბ ჟორდანიას გამწვრთნელებას ვგულისხმობ. მართალია, არ მომეწონა ეს ამბავი, მაგრამ საქართველოს ნაკრები არც ჟორდანიათი დაწყებულა და არც გახოკიძით. ეროვნულ გუნდსა და ქართველ ქომაგებს არასდროს დავზარებივარ და თუ გუნდის ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის და მომიწვევს, სიამოვნებით ვითამაშებ.

# ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო

## წინასაარჩევნოდ ქართული სპორტი მაინც იხეირებს

ქართველ პროფესიონალ მოკრივეს გიორგი კანდელაკს კარგა ხანს მოუწია უქმად ყოფნა. შარშან, ვარიანელმა მოკრივემ რუსი ალექსანდრ ვასილიევის ცემით კრივის მსოფლიო კავშირის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და მას შემდეგ რინგზე ხელი აღარ გაუქნევია. ჩვენებური მოკრივის მენეჯერები ერთდროულად რამდენიმე ცნობილ მოკრივესთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, თუმცა მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია.



ჯერ იყო და უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკოს მძლეველ მსოფლიო ჩემპიონ კორი სანდერსთან შეხვედრაზე ალაპარაკდა კრივის სამყარო, მაგრამ ეს შეხვედრა არ შედგა. შემდეგ კი თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ კანდელაკი „აფრიკელ ხარს“, ფრანსუა ბოტას უნდა შერკინებოდა, მაგრამ ეს საქმეც ჩაიშალა. თუ სანდერს-კანდელაკის ბრძოლა მათი მენეჯერების ფინანსურ საკითხებში შეუთანხმებლობის გამო არ შედგა, ფრანსუა ბოტამ კრივის მსოფლიო კავშირის ვერსიით ჩემპიონობისათვის ბრძოლა იუკადრისა, აქაოდა, ეგ ტიტული ჩემს კარიერას ვერაფრით წაადგებაო და ჩვენი გიორგი კანდელაკიც უმეტოქეოდ დაგვიტოვა. საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ კანდელაკისათვის დიდი ბრძოლითა და შრომით მოპოვებული ტიტული უნდა ჩამოერთმიათ, ასეთია პროფესიული კრივის წესები — თუ განსაზღვრულ ვადაში არ დაიცავი მოპოვებული ტიტული, ჩამოგართმევენ და ჩემპიონობას პრეტენდენტს (ამ შემთხვევაში ვასილიევს) უბოძებენ.

ჩვენი მთავრობისაგან სასიკეთო ბევრი არაფერი გვახსოვს, თუმცა იშვიათად ისეთ საქმესაც გამოჰკრავენ ხელს, ხალხის სასიკეთოდაც რომ იქცევა. ახლა დაწვრილებით:

მოგეხსენებათ, **გიორგი კანდელაკი** პარლამენტარობას აპირებს და რაღა დასამალია, ე.წ. სამთავრობო ბლოკის საარჩევნო სიის სათავეში სურს დაიკავოს ადგილი. ბლოკის თავკაცობასთან შეთანხმებით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ წელს, შემოდგომით თბილისში კანდელაკ-ვასილიევის რემატჩი გაიმართება. ცხადია, მთავრობასა და პოლიტიკოსებს ამ შეხვედრის ორგანიზება სათავისოდ და წინასაარჩევნო რეკლამად სჭირდებათ, მაგრამ ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო, ეგრე მოუვიდათ კანდელაკსა და მის ქომაგებს. გიორგი ჩემპიონის ტიტულს დაიცავს. გულშემატკივრებს კი ჩინებული ორთაბრძოლის ხილვა ელით. ბრძოლა თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება.

**მოგეხსენებათ, გიორგი კანდელაკი პარლამენტარობას აპირებს და რაღა დასამალია, ე.წ. სამთავრობო ბლოკის საარჩევნო სიის სათავეში სურს დაიკავოს ადგილი. ბლოკის თავკაცობასთან შეთანხმებით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ წელს, შემოდგომით თბილისში კანდელაკ-ვასილიევის რემატჩი გაიმართება. ცხადია, მთავრობასა და პოლიტიკოსებს ამ შეხვედრის ორგანიზება სათავისოდ და წინასაარჩევნო რეკლამად სჭირდებათ**

ჯერჯერობით უცნობია, ვინ დააფინანსებს ამ შეხვედრას. სპორტის დეპარტამენტის გამოხრული ბიუჯეტი ამხელა ხარჯს ვერ აიტანს (ორგანიზატორს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოკრივეთა ჰონორარები აქვს გასასტუმრებელი). ვასილიევისა და კანდელაკის მენეჯერები, რა თქმა უნდა, უჰონორაროდ ბრძოლას არ დათანხმდებიან. მათ არც ქართული არჩევნები აინტერესებთ და არც პოლიტიკის ხათრით ჩხუბი. იქით კიდევ თავის წილს კრივის მსოფლიო კავშირი მოითხოვს. სავარაუდოდ, ამ შეხვედრის სპონსორობას სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული რომელიმე ბიზნესმენი ან ბიზნესმენთა ჯგუფი ითავებს.

გიორგი კანდელაკს ნაკლებად ანაღვლებს, თუ ვინ დააფინანსებს მის ბრძოლას — ჩემთვის მთავარია, ბრძოლის და ტიტულის დაცვის შანსი მომეცეს და მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატობას ვაპირებ, მერწმუნეთ, ამ ეტაპზე ჩემთვის პოლიტიკა მეორეხარისხოვანიაო. კაცმა რომ თქვას, გარკვეულწილად, მართალია კანდელაკი. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, აგვისტოში ბათუმის სტადიონზე „აღორძინების“ ეგიდით გაიმართა სარეიტინგო ბრძოლა. ერთი წლის შემდეგ, საპრეზიდენტო არჩევნების წინ თბილისში მოქალაქეთა კავშირმა კანდელაკის მორიგი სარეიტინგო შეხვედრა დააფინანსა. კანდელაკი ირწმუნება, რომ მაშინ ჩემთვის ორივე შემთხვევაში უმთავრესი ქომაგთა ინტერესი იყო, მთავარია მათ დიდი კრივი ნახონ და ვისაც როგორ უნდა, ისე გამოიყენოს ბრძოლები ჩემი მონაწილეობითო. ამჯერადაც ჩვეული სიჯიუტით აცხადებს ვარიანელი მოკრივე — მოდით, ჯერ გადაჭრით ნუ ვიტყვით, ვის სიებში ამოვყოფ თავს. არჩევნებამდე დიდი დროა. მთავარია, ვასილიევის ხელახალი ცემის შანსი მომეცა და ამ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებო.

ჩვენც მოვიცადოთ და მოვემზადოთ. ბრძოლა 5 ოქტომბერსაა დანიშნული. კიდევ ერთი ნაღდი კრივი ვნახოთ და გავიხაროთ... ისედაც ხომ კარგად ვიცით, რომ დიდ სპორტში დიდი საქმეები დიდი პოლიტიკის გარეშე არ კეთდება. კანდელაკი უკვე ისეთი დონის მოკრივეა, რომ მისი მონაწილეობით შეხვედრის მოწყობისა თუ ტელეტრანსლირების უფლების შეძენა საკმაოდ სოლიდურ თანხებს უკავშირდება. ჯერჯერობით უცნობია, რომელი ტელეკომპანია გადასცემს ბრძოლას პირდაპირ ეთერში. არჩევნები რომ არა, კაცმა არ იცის, მოისურვებდა თუ არა ვინმე ქართული სპორტის სასიკეთოდ საჩემპიონო ბრძოლის გამართვას.

მოკლედ, პოლიტიკოსებს წინასაარჩევნო რეკლამა და ჩვენ სეირი და ხეირი. ვინ იცის, ამ დონის შეხვედრა კიდევ როდის გაიმართება საქართველოში.

*გვერდი მოამზადა ჯაბა ლეონიძემ*



## №33 (359) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 614 მკითხველი გამოეხმაურა. 2 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 210-მა ქალმა და 402-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე მდიდარი პოლიტიკური ლიდერი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, ამ ლიდერთაგან ყველაზე მდიდარი ბიზნესიდან პოლიტიკაში მოსული გოგი თოფაძეა. რესპონდენტთა 59-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. **7,29** საშუალო ქულით მრეწველთა ლიდერი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა ვახტანგ რჩეულიშვილი, საშუალო ქულაა 6,81. მკითხველთა 29 თვლის მას ყველაზე შეძლებულ პოლიტიკოსად. უნდა აღინიშნოს, რომ თოფაძემაც და რჩეულიშვილმაც რესპონდენტთა ზუსტად ერთნაირი რაოდენობისაგან — 1-საგან დაიმსახურეს მინიმალური — 1 ქულა.

დავით გამყრელიძე 6,06 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა.

ჩვენი მკითხველები, აქ ჩამოთვლილ პოლიტიკოსებთან შედარებით ფინანსურ მდგომარეობას უწუნებენ ჯუმბერ პატიაშვილს, აკაკი ასათიანსა და შალვა ნათელაშვილს. მათი აზრით, ყველაზე მოკრძალებულად №1 ლეიბორისტის ქონება გამოიყურება.

ეს მხოლოდ ჩვენი მკითხველების აზრია. საინტერესოა, თითოეულ მათგანს ამ პოლიტიკოსების ქონებრივ დეკლარაციაში ჩახედვის საშუალება რომ ჰქონოდათ, როგორ განაწილდებოდა რეიტინგში ადგილები.

### მდიდარი ლიდერი




საპრიზოს ზუსტად 16 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 60 წლის **ელზა ჯორბენაძე,** 39 წლის **ქეთევან ნეფარიძე,** 64 წლის **გიორგი ზაგაშვილი,** 70 წლის **რევაზ რაზმაძე,** 21 წლის **გიორგი ნარიმანაშვილი,** 27 წლის **დათო ბოლაშვილი** (წინა ნომრის ერთ-ერთი გამარჯვებული, რეიტინგის უცვლელი მონაწილე, რომელმაც, სხვათა შორის, ამჯერად 8 ბარათი გამოაგზავნა), 20 წლის **ნიკა ჭკუასელი,** 37 წლის **ვაჟა ციხელაშვილი,** 42 წლის **ხვიჩა ჭულუხაძე,** 49 წლის **მერაბ ხავთასი,** 55 წლის **თემურ სირბილაძე;** 28 წლის სოხუმელი **ნატო ფანცულაია,** 73 წლის ქუთაისელი **ჯუანშერ კახიანი,** 45 წლის რუსთაველი **ბადრი კობახიძე** და კიდევ არის ორი ბარათი, რომლებზეც მითითებული არაა მონაწილის სახელი და გვარი, მათ შორის ერთზე მხოლოდ ასაკი — 54 წელი და ტელეფონის ნომერია აღნიშნული, ჩვენ ვერ შევძელით ამ რესპონდენტთან დაკავშირება. რაც შეეხება მეორე ბარათს, ის ჟურნალ „რეიტინგიდანაა“ ამოჭრილი. ამ ბარათის ავტორებს ვთხოვთ, რედაქციაში წარმოადგინონ გაზეთის (ჟურნალის) ის გვერდი, საიდანაც ამოჭრეს რეიტინგის ქვითარი.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 27 აგვისტოს, 17 საათზე.

## №34 (360) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ **დამატებით კითხვას** და მონაწილეობა მიიღოთ **მკითხველის პრემიაში**

**№34 (360) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 27 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 28 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №34 (360) — კოლეგიალობა

**თქვენი აზრით, რა პროფესიის ადამიანები არიან ყველაზე კოლეგიალურები** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№34(360) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მასწავლებლები | |
| 2 | პოლიტიკოსები | |
| 3 | ექიმები | |
| 4 | მეწარმეები/ბიზნესმენები | |
| 5 | კრიმინალები | |
| 6 | ჟურნალისტები | |
| 7 | პოლიციელები | |
| 8 | მძღოლები | |

**მკითხველის რეიტინგი**

დაასახელეთ აგვისტოს თვის ადამიანი საქართველოში

✓ ______________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

______________________ ______________________
ასაკი ტელეფონი

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

### დამატებითი კითხვის შედეგები

**საქართველოდან „ეი-ი-ესის“ წასვლის შემდეგ როგორ შეიცვლება ენერგეტიკაში მდგომარეობა?**






■ გაუმჯობესდება
□ გაუარესდება
▩ დარჩება იგივე

***დამატებით კითხვას 536-მა მკითხველმა უპასუხა***

## ფოტოანტიკვარი ©



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— ლამაზი ქალი და პოლიტიკა?! ვითომ არა? მგონი შეიძლება...

## • ფოტოპალიტრა •



ედუარდ შევარდნაძე, ბადრი პატარკაციშვილი

**ე.შ.** — სად იშოვე ბიჭო, ეს ბუმბული?
**ბ.პ.** — ბატების ფერმა მოვაშენე, თქვენ ხელი მომიწერეთ ბატონო და ბუმბულებს რა გამომილევს.

***ელგუჯა, კოდა***

**ბ.პ.** — ბატონო ედუარდ, იცით, ჩემზე სიმღერა მოიგონეს!
**ე.შ.** — მართლა? აბა, ერთი მითხარი.
**ბ.პ.** — Весь покрытый „зеленью“, обсолютно весь...

***MILAN, თბილისი***

**ბ.პ.** — მამათის პრივატიზაციის პროექტია „იმედის სოფელი“.
**ე.შ.** — რა გინდა კაცო, მამათში?
**ბ.პ.** — ცირკი, ქორწინების სასახლე, სტადიონი და საფერშლო ტექნიკუმი უნდა ავაშენო.
**ე.შ.** — ამდენი რამე რად უნდათ?
**ბ.პ.** — ყველაფერი ადგილზე ექნებათ და თბილისში აღარ ჩამოვლენ სასწავლებლად.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ე.შ.** — *მე არ ვიცი, რა სწერია, მაინც ვაწერ ხელს, იმედი მაქვს, მაბანავებ შენს ქალაქში დღეს.*

***სულიკო ლაზაშვილი, რუსთავი***

**ე.შ.** — ბადრი, მაჩუქე ეს „რუჩკა“, ყველაფერი გავყიდე და რაღაც ხომ უნდა დამრჩეს საქართველოს სამახსოვროდ.

***გ.თ., თბილისი***

**ბ.პ.** — ბატონო ედუარდ, ერთი ამ შესყიდვაზეც მომიწერეთ ხელი.
**ე.შ.** — შენ იმდენს იზამ, რომ მალე მგონი, მეც შემისყიდი კანცელარიის შენობიანად.

***რეზო სვანიძე, თბილისი***

**ე.შ.** — *ყველაფერზე ხელს მოვაწერ,*
*შენს ნაჩუქარ კალმით ბადრი,*
*საქართველოც მიჩუქნია*
*ცოდვა მე და შენ კი მადლი.*

***გივი ჭიკაძე, თელავი***

*გაბადრულა ედუარდი,*
*იბადრება თვითონ ბადრიც,*
*მგონი ხალხმა კვლავ იხილოს*
*რუსულ რუბლის ნაღდად ყადრი.*

***გიგიბარი, ხაშური***

**ბ.პ.** — ეს ავტოკალამი, ჩემგან საჩუქრად ბატონო ედუარდ!
**ე.შ.** — ოჰ! რა ხართ კაცო ეს ებრაელები, როგორ გიყვართ ოქრო, ჰა!

***„ჭყონდიდელი“, ქუთაისი***

C

## ფოტოგანწყობა



– ჩემ უკან რომ ქალი წევს, თუ ხედავთ?..



თარაზულად: 1. თეატრისა და კინოს ინგლისელი მსახიობი, ელიზაბეტ ტეილორის ქმარყოფილი; 4. თანამედროვეობის ყველაზე განთქმული სოპრანო; 6. თივის დიდი გროვა; 7. მუცლის კუნთების ერთობლიობა; 8. ფრანგი ფერმწერი (1780-1867); 9. ოდისევსის სამშობლო; 10. „მილანის" თავდამსხმელი; 13. ძვლის ფოსო, რომელშიც თვალია მოთავსებული; 16. ეგვიპტის დედაქალაქი; 18. მსახიობის პირველი სპექტაკლი; 19. წყალქვეშა ნაღმების მოსასპობად განკუთვნილი სამხედრო გემი; 20. მშობლიური ქალაქი; 22. მანქანის დაზიანება; 23. ხანმოკლე სტუმრობა; 25. წარმოშობით რუსი, ფრანგი კინომსახიობი; 27. მხიარული დროს ტარება, ქეიფი; 28. რეგულარული შემოსავალი, რომელსაც იძლევა კაპიტალი, ქონება ან მიწა, ისე, რომ მათ მფლობელს არ სჭირდება სამეწარმეო საქმიანობა; 29. სიგრძის საზომი ძირითადი ერთეული; 30. ტროპიკული ხილი; 31. პროვიზორის სამუშაო ადგილი.

შვეულად: 1. წონასწორობის დამცავი ჯოხი; 2. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონომერი; 3. მასალა, რომლისგანაც ამზადებდნენ დრეკად ჭოკებს; 4. ერთ-ერთი პირველი სლავური ანბანი; 5. ღირსშესანიშნაობათა კოლექტიური დათვალიერება; 11. ელექტრონული დენის ერთ-ერთი მახასიათებელი; 12. ესპანელი არქიტექტორი, ევროპული მოდერნის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლის შემოქმედება ბარსელონასთანაა დაკავშირებული; 14. წრეხაზის ნაწილი; 15. ქართველი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და მწერალი; 16. კორეული ავტომობილი; 17. გერმანელი კონსტრუქტორი, პირველი პრაქტიკულად გამოსადეგი ოთხტაქტიანი შიგაწვის ძრავის შემქმნელი; 21. ბეთჰოვენის საფორტეპიანო სონატა; 22. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 24. ძნელად გასარჩევი, გაუგებარი ნიშანი, ასო, ნაწერი; 25. ვარვარების ლითონი ნათურაში; 26. სახნავი მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა.

შეადგინა რამაზ ალანიამ

## დე ნირო — 60 წლის ვარსკვლავი



მსახიობმა, რეჟისორმა, პროდიუსერმა, მრავალშვილიანმა მამილომ (6 შვილი სხვადასხვა ცოლთან), ორი „ოსკარის" ლაურეატმა, საიმედო მეგობარმა, მაგარმა ბიჭმა, გინების მოყვარულმა და მომხიბლავი ღიმილის მქონე რობერტ დე ნირომ რამდენიმე დღის წინ 60 წლის იუბილე აღნიშნა. დე ნირომ 100-მდე ფილმში ითამაშა, მაგრამ მისი ყველაზე ძლიერი სახეა ახალგაზრდა ალ კაპონე. რატომღაც მსახიობს განსაკუთრებით კარგად გამოსდის არამზადების, მანიაკების, განგსტერების როლები. დე ნირო არის 70-80-იანი წლების ვარსკვლავი. განუმეორებელია მსახიობი ფილმში „ერთხელ ამერიკაში", სადაც ის მართალია ბანდიტს, მაგრამ ძალიან მომხიბვლელსა და მიმზიდველ გმირს განასახიერებს.

27/VIII ●
ახალი მთვარე
მაგნიტური დღეა:
28/VIII 20-დან 23 საათამდე

### წინა ნომრის სკანვორდის პასუხები



* * *



სამი ღამურა ხის ტოტზე ჩამომჯდარა და თვლემს, როგორც წესი, თავით ქვემოთ. უცბად ერთი ატრიალდა თავით ზემოთ... მეორე იღვიძებს, ხედავს ამ სცენას და აღვიძებს მესამეს:

— რა სჭირს ამას?!

— (მთქნარებით)... ალბათ გული წაუვიდა!..



## ანჯელინა ჯოლი ინგუშეთს ეწვია



ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი ანჯელინა ჯოლი კეთილი ნების მისიით ეწვია ინგუშეთს. შაბათს ის ჩრდილო ოსეთშიც ჩავიდა. მსახიობს საკუთარი დაცვა ახლდა თან. ჯოლი შეხვდა ლტოლვილებს. პრესსამსახურის თანამშრომელთა თქმით, ამ შეხვედრას 3 საათი უნდა დასჭირებოდა, მაგრამ ანჯელინა ისე გაერთო ლტოლვილებთან საუბარში, რომ დროში ვერ ჩაეტია. თავისი ვიზიტების შემდეგ კეთილი ნების ელჩი მუქ ფერებში აღწერს ლტოლვილთა უმძიმეს მდგომარეობას. დახმარების პროგრამისათვის საჭირო თანხის შესაგროვებლად ჯოლი გამოიყენებს თავის საქველმოქმედო მოღვაწეობასაც. ჰოლივუდის ვარსკვლავების მტკიცებით, ჯოლის არანაირი ინტერესი არ ამოძრავებს, მსოფლიოს ლტოლვილებზე ზრუნვის გარდა. ჩრდილო ოსეთიდან მსახიობმა მოსკოვს მიაშურა. პრესკონფერენციის შემდეგ, სადაც ის ისაუბრებს ჩეჩნურ ბანაკებზე, ჯოლი სამშობლოში — შეერთებულ შტატებში დაბრუნდება.

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

### 34 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№34 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 28 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ©1518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".